№ 1.

# ისტორია

## ოსმალეთის უოფილ მუსულმან ქართველთ საქართველოსი

ზ. ჯიჯინაძისა.

სულ ოცდა ხუთნაირი წიგნი გამოვა ქართველ მუსულმანთ შესახებ.

ბ ა თ უ მ ი
სტამბა ვ. ი. ჩანტლაძის და ნ. ი. ხვინგიასა.
1911

# ოსმალეთის საქართველო

ანუ

## აღწერა კლარჯეთისა.

როგორც მოგვითხრობს ჩვენი სამშობლოს ძველი ისტორიის ნაწილი, ფარნავაზ მეფემდე, ვიდრე საქართველოში მამასახლისური წესები არსებობდა, ანუ ახლანდელის ენით— რესპუბლიკური მთავრობა, მანამდის კლარჯეთი ერთს სამამასახლისოს შეადგენდა და იგი ემორჩილებოდა მცხეთის სამამასახლისოს. მაშინ და შემდეგ საუკუნოებშიაც ამ მხარეს კლარჯეთი ეწოდებოდა. შემდეგ დროებში ხან ზემო ქართლი უწოდეს, ხან მესხეთი, ხან სამცხე და ხან საათაბაგო. როგორც სჩანს კლარჯეთის წოდების შემდეგ **ზემო ქართლი** უწოდებიათ, ზემო ქართლის შემდეგ **სამცხე**, სამცხეს შემდეგ **მესხეთი** და მესხეთის შემდეგ **საათაბაგო**. ჩვენ აქ ვხმაროობთ **კლარჯეთს**, ე. ი. იმ სახელ-წოდებას, როგორც ეს მხარე ძველის ძველადგანვე იწოდებოდა.

საქართველოს ისტორიის ძველის ნაწილიდან სჩანს, რომ ჩვენს სამშობლოში ქართველი ტომის ერი, ისე ვერსად მრავლობდა, როგორც კლარჯეთში, ანუ სამცხე-საათაბაგოში. მასთანვე კლარჯნი ძველის-ძველიდანვე განთქმულნი იყვნენ სილამაზით, ახოვნებით, ვაჟკაცობით, რაინდობით და სიდარბაისლით. უახლოეს დროის მწერალი თეიმურაზი მიტომაც ამბობს ამათზე შემდეგს:

„პირველ თქმულია ბრძენთაგან სიდარბაისლე მესხისა“ ჩვენი დროის მწერლებიც ასე მოიხსენიებენ:

„მესხნი სწავლითა ქებულიო“.

ესევე მხარე ბევრმა ჩვენმა მამებმა და მწერლებმაც შეამკეს. ნიკოლოზ თფილელმა, ბესარიონმა, ზაქარიამ და ანტონ კათალიკოზმა ბევრს ალაგას წარმოსთქვეს ამათ შესახებ შემდეგი:

„მესხთა მთიები, მესხთა ცისკარი,
მესხთა გვირგვინი, მესხთა დიდება,
მესხთა სიწმინდე, მესხთა ლამპარი,
მესხთა ნათელი აღმობრწყინდება“ ო და სხვანი.

ქართულს ძველს მწიგნობრობაში, ქართველნი მხოლოდ კლარჯეთის ქართველთა სახელწოდებით იქებიან და იდიდებიან. კლარჯეთის ქართველნი ძველადგანვე წამოსადეგნი ვაჟკაცნი იყვნენ, ხელ-ოსნიერნი, მარჯვენი, სქელ შავ სისხლით სავსენი, დიდი თვალ-წარბის და ხმის მექონენი. ქალებიც ასეთნივე იყვნენ. ამ მხრის ქართველთა სულიერი და ხორციელი თვისებანი ძველადანვე სწორეთ სანაქებო მდგომარეობაში ყოფილა მოთავსებული. ამიტომაც ესენი ღირსნი გახდენ იმ პატივისცემისა და დიდებისა, რაც მათ შოთა რუსთაველმა შთაბერა. უკვდავი „ვეფხვის ტყაოსანი“, პირდაპირ ამ მხრის ერის ცხოვრების სურათებს წარმოადგენს. აქედან კარგათა სჩანს მესხთა ზნე-ჩვეულება, ხასიათები, სამოქალაქო და სამხედრო მხარეები, რაინდობა და მამულის სიყვარული. ქალების გატაცებული გმირობა, უზომო პატივისცემა სამშობლო ქვეყნის მფარველ გმირებისა და ბევრიც კიდევ სხვა რამეები. თვით უკვდავი შოთა რუსთაველიც ხომ მესხეთში დაიბადა და იქვე აღიზარდა, როგორც თვითვე ამბობს:

„და ვსწერავ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთავისა დაბისა“ ო.

მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ დღეს რას ვხედავთ შოთა რუსთაველის მშობელს რუსთავში!? კარგს არაფერს, მთელი რუსთავი ვერანად გამხდარა, ქართველების იქ ყველაფერი მოსპობილა, ფერფლად ქცეულა. ქართველთ მაგიერ დღეს იქ ჭურთები სახლობენ და ჭურთული ენა სუფევს.

საათაბაგოს ყოველთვის პირველი ადგილი ეკავა სამთავროებ შორის, მეფეს მოსდევდა ათაბაგი და მას სხვები. სა-

ათაბაგო თავის შინაგან ღირსებითა და სიმდიდრით მუდამ მაღლა იდგა საქართველოს ყველა მხრის ადგილებზე, აქ ყველაფერი ბრწყინავდა, სწავლა, მეცნიერება, ქრისტიანობა, მწერლობა და გმირობა. ამიტომ საათაბაგოს ყველა პატივს სცემდა, ეს პატივისცემა თვით შოთა რუსთაველსაც ეტყობა, ამას ცხადათ მოწმობს „ვეფხვის ტყაოსნის“ მრავალი ცნობები და აღწერანი, მაგალითად, თუნდ ციხის-ძირის აღწერა და მის ქაჯეთის ციხედ წოდება და მრავალ სხვა ადგილებისაც.

მესხთა თვისების და ცხოვრების წესები მაინცა და მაინც არ წარმოადგენს ერთ განკერძოებულს რამეს სხვა კუთხის ქართველთ ცხოვრებასთან. მესხთა ცხოვრება საქართველოში საზოგადო ხასიათების მექონი იყო და თითქმის მსოფლიოც. მაშ რამ გახადა რუსთველისათვის ამ მხრის ერის საქმეები საყურადღებოთ, თუ არ ამათ საზოგადო მსოფლიო მიდრეკილებამა და ღირსებამა. მსოფლიო ისტორიაში თუ ქართველობა დაიჭერს ადგილს, ვიტყვით, რომ პირველნი მესხნი იქნებიან და მათი ხსენება ნათელს მოჰფენს დანარჩენს ქართველებსაც. მაინც ყველა უძველესთ ხალხთა მეისტორიეთა ნაწერებში ჩვენ მხოლოდ მესხეთს ვხედავთ მოხსენებულს, მაგ., დაბადებაში, სადაც მოხსენებულია მ ო ს ო ხ ი, ე. ი. მესხეთი, მესხები. აქედან გადმოკეთდა სიტყვა სამცხე, მცხეთა და სხვანი.

კლარჯეთი იყო დასავლეთი საქართველო. იგი იწყება ბორჯომის ხეობით და მიემართება სამცხით ტრაპიზონამდე, სამხრეთით—არმენიამდე და ჩრდილოეთით—შავი ზღვის ნაპირამდე. იგი კარგა ვრცელი მთიანი ადგილებია და ზომა რომ იქმნეს, მაშინ 300 ვერსზე მეტი გამოვა სიგძე-სიგანე. ეს ჭანეთს გარდა, რომელიც ძველათ აგრეთვე საქართველოს ნაწილს შეადგენდა. კლარჯნი თავიანთ ზრდილობის გარდა მეტათ მამულის მოყვარენიც იყვნენ, ომში პირველი ადგილი ამათ ეკავათ. „ქართლის ცხოვრების“ თქმით პირველ მოწინავეთ ესენი უნდა დამდგარიყვნენ, თორემ იწყენდენ და საქმეც დაიშლებოდა. ამათი ობა მოწინავე ამხნევებდა დანარჩენ

ქართველებსაც. ესენი გმირულათ ეგებებოდენ ყოველთვის საქმეს და ამით სხვებსაც ახალისებდენ, როგორც ძველის-ძველთგანვე სიბრძნით შენიშნულნი და სავსენი. გმირობა და თავის-დადებაც ანგარიშით იცოდენ, მოსაზრებით და ჭკუით.

მეათე საუკუნეში მესხეთის დავით კუროტპალატმა იშვილა ბაგრატ მესამე და მთელის საქართველოს მეფედ ეს დაადგინა. ასე და ამ გვარათ კლარჯთა მეოხებით ამ დროიდან იწყება ქართველთა ტომის გაძლიერება. ამის შემდეგ აღორძინდა ქართველებში მწიგნობრობა, ხელოსნობა, მხედრობის ცოდნა, ლაშქართ ვაწყობა, ხელოვნება, ვაჭრობა. კლარჯნი ვაჭრობით და აღებ-მიცემით რომ წინ ყოფილან, ეს ხომ ყველასთვის ცხადია. აჭარელნი დღესაც ამბობენ, რომ ძველათ აჭარას ვ ა ჭ ა რ ა ერქვაო, რადგანაც აქაურნი გამოჩენილი ვაჭრები ყოფილან და ამათ შავის ზღვით ბევრი რამ ნაწარმოები გაჰქონდათ შავ ზღვის იქითა ქვეყნებშიო. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ სასწავლებლების და ეკლესიების შენებაც აქეთ წავიდა წინ. მწიგნობარნი და მსწავლული პირებიც სულ აქედან გამოდიოდენ. ამ მსწავლულთ პირთა მეოხებით იყო, რომ პირველათ აქეთ აღშენდენ შესანიშნავი ტაძრები, რომელთა უმეტესი ნაწილი XV საუკუნის შემდეგ გაუქმებულ იქმენ და მოსპობილ ისე, როგორც ზეგანში სოფ. ვანის (ვანაძეები) დიდი ეკლესია, რომლის ქვებიც კი აღარ სჩანს.

ხახულის ხეობაში, რომელიც დღევანდლამდის ოსმალოს ხელშია დარჩენილი, X საუკუნეში, ბაგრატ მეოთხემ დაამთავრა დიდებული ტაძარი ხახულისა. ამ შესანიშნავ ტაძრის გვერდით დაარსებულ იქმნა სასწავლებელი, სადაც ქართველთა შვილებს ასწავლიდენ. ამ ტაძრის წინამძღვარს და სასწავლებლის უფროსს ჩვენი ძველი მწერლები ახალ იოანე ოქროპირად ასახელებდენ. ამ პირმა გააბრწყინა ხახული და ხახულის სასწავლებელი. იოანე ხახულელი მწერლობდა კიდეც, ამან თავის მწერლობის გავლენის ქვეშ მრავალი ქართველი გამოზარდა, გაამწერლა, წიგნთა თარგმნა და გადაწერა ხახულის

ხეობის ქართველთ ამან ასწავლა. XI საუკ. გასულს ეს ტაძარი დავით აღმაშენებელმა განაბრწყინა და გაამდიდრა. XII საუკუნის გასულს, თამარ მეფის ხალიფაზე გამარჯვების სახსოვრად მანიაკი დასწერა და ეს მანიაკი ჯერეთ თამარ მეფის დროშაზე იქმნა წარწერილი და შემდეგ ხახულის შესანიშნავს ღვთის-მშობლის ხატზე, რომელი ხატიც ხახულის აოხრების შემდეგ გელათში იქმნა გადმოტანილი და რის ხელოვნებასაც განცვიფრებაში მოჰყავს თანამედროვე სწავლულნი. ამ შესანიშნავი ტაძრის ერთი ნაწილი დღეს ჯამეთ არის გადაკეთებული და შიგ ლოცულობენ ქართველი მაჰმადიანები, რომელთაც 400 წლის ოსმალთა მუდმივ ომების მეოხებით თავიანთი დედა-ენა დაკარგეს. ხახულის ხეობაში სხვა წვრილი ეკლესიებიც მოიპოვება მცირედ. სოფლებს შერჩა თავიანთი პირვანდელი ქართული სახელები და აქა-იქ მაჰმადიანებმა იციან, რომ ისინი ქართველთ შთამომავალნი არიან.

ხახულის მახლობლათ, ორის დღის სავალზე, სამხრეთით ძევს შესანიშნავი ხეობა ი შ ხ ნ ი ს ა, სადაც დღევანდლამდე სდგას დიდებული ტაძარი იშხნელისა, რომელიც ჩვენს ისტორიაში დიდის დიდებით ბრწყინავს და რომელიც აღშენებულია ამავე საუკუნეში და ქართველთ მეფეთაგან გამდიდრებული. დღეს ეს დიდებული ტაძარი ოსმალეთის სამფლობელოს შეადგენს. ამ ტაძრის გარემონი და მთლად იშხნის ხეობა ძველათ მთლათ ქართველი ტომით იყო მოფენილი და სოფლები და ეკლესიებიც ხშირი იყო. დღეს ამ ხეობის ქართველ მაჰმადიანებს ქართულის ენის აღარაფერი ესმით. მთელს ხეობაში მოისპო ქართული ენა, ხმაურობა. აქ ქართველ ტომის და ენის მოსპობას ის გარემოება უფრო უწყობდა ხელს, რადგანაც ხსენებულ ადგილებთა ქართველნი სჯულის გამო ოსმალებს უფრო სასტიკათ ეომებოდენ, ამის გამო ოსმალთაგან ესენი დამორჩილების შემდეგ სასტიკათ იდევნებოდენ და ბევრს ამათთგანს შუაგულ ოსმალეთში ასახლებდენ. დღეს ამ შესანიშნავი ტაძრის ერთი ნაწილი ჯამეთ არის გადაკეთებული, ამ

ტაძრის ხილვას განცვიფრებაში მოჰყავს ევროპის მოგზაური მსწავლულნი.

შესანიშნავია აგრეთვე ამ ეკლესიების მახლობლივ მდებარე მესამე დიდი ეკლესია და მეოთხე **პარხლის ხეობაში** პარხლის შესანიშნავი ტაძარი, რომელიც დღევანდლამდე შეურყევლათ სდგას. მისი ერთი ნაწილი დღეს ჯამეთ არის გადაკეთებული. პარხალი ოსმალოს სამფლობელოში სძევს. მთელი ხეობის მცხოვრებნი ქართველთ ტომის მაჰმადიანები არიან და ამათ სამშობლო ენას ქართული ენა შეადგენს. ამ ხეობის სოფლებსაც შერჩათ თავიანთ პირვანდელი ქართული სახელები. ეს გარემოება ძალიან საკვირველია, რადგანაც პარხლის აქეთა ხეობის ქართველთ კი დავიწყებიათ ქართული ენა.

არტაანის (არდაგანი) ოლქში შეიმუსრა ბანის ტაძარი, ანუ ბანა, საეპისკოპოსო კათედრა. ამ ტაძრის ნაშთენიდან კარგად სჩანს ის გარემოება, თუ საქართველო ერთ დროს როგორ უნდა ყოფილიყო დაწინაურებული თავის კულტურით. თვით დღემდე შემუსრულის ნაშთსაც კი განცვიფრებაში მოყავს მნახველი. დღეს კი მთელს არტაანის ოლქში ქართული ენა მოსპობილია საერთოთ ქართველ მაჰმადიანთა შორის.

კ ა რ ი ს მხარეშიაც (ყარსის ოლქ.) ბევრი ტაძრები აღშენდა და ერთი ამათთაგანი არის ჩ ი ლ დ ი რ ი ს ხეობაში, სოფ. ველში, დიდებული ტაძარი, რომელიც ჩილდირის ხეობას ამშვენებს და რომელიც გასაოცარს სანახაობას წარმოადგენს თავის სიგრძე- სიგანით და სიმაღლით. ეს ტაძარი და ხეობა შესანიშნავია მით უფრო, რომ ყარსის ოლქში ქართველი ტომი მოისპო, აქ ქართველების აღარა არსებობს-რა, ხოლო ჩილდრის ხეობაში კი შეინახეს ქართველთ თავიანთი ენა ისიც შერყევით, მცირედ, ისე რომ ჩილდირის ხეობაც მალე დაკარგავს ამ ენას. ვინაობას კი გურჯათ, ქართველად აღიარებენ. დღეს ყარსის ოლქში ეს ტაძარი ისეთ ალაგას სდგას და ისეთის ხელოვნების არის, რომ იგი ყოველ თავის მხილველ ქართველს დიდათ შეაწუხებს და ატირებს. აქ ბევრი ქარ-

თველ მოგზაურთაგანი ყოფილა და მწარეთაც შეწუხებულან.

ასეთსავე განსაცვიფრებელს სურათს წარმოადგენს სუმბატისაგან გაკეთებული დიდი ტაძარი **ლავანის ხეობაში**, სოფ. **ლოდის ენანაში**, სადაც ეკკლესიის ერთს ქვაზე გამოჭრილია მზის საათი და აქა-იქ ეკლესიის ქვებზე მრავალი ქართული წარწერანი. ტაძარი შიგნიდან სოფიოს კენჭებით იყო შემკული. ეს ნაშთი შეიმუსრა ყოველ ნაირის ხელოვნებით მის დროს, როცა იგი ჯამეთ გააკეთეს და დღეს სულაც მოისპობა, რადგანაც შიგ ჯამე მოისპო და პატრონობაც მოაკლდა.

მთელ საქართველოში მეტათ საყურადღებო ტაძრათ ითვლებოდა მურღულის მახლობლივ **შატბერტის ტაძარი**, რომელიც პარხლის მახლობლივ მდებარეობს და დღეს ესენი იმით ისაზღვრებიან, რომ შატბერდი რუსის სამფლობელოშია და პარხალი—ოსმალისაში. შატბერდი ძველათ დიდათ განთქმული და გაბრწყინებული იყო სიმდიდრით და ეკკლესიის ხელოვნებით და ნაშენებით. ამ ტაძრის გვერდით იყო დიდი სასწავლებელი. და ამავ სასწავლებლის მასწავლებელთა მეოხებით მთელს კლარჯეთში მოიფინა სამღთო სწავლა და წიგნების გადაწერა. შატბერდის ძმანი და მამანი დაუცხრომლათ მოღვაწეობდენ წიგნების გადაწერაში და ამათ ბევრი ეკკლესია შეამკეს თავიანთის გადაწერილ ახლად თარგმნილ სასულიერო წიგნებით. ოსმალთა მრისხანებამ შატბერდი მთლად მოსპო და აღგავა. ქართლის მცხოვრები შატბერაშვილები ანუ შატ-ბერა-შვილები იქიდან არიან წამოსულნი XVII საუკ. დამდეგს.

ტბეთის ტაძარიც ხომ მეცხრე საუკუნიდან დღევანდლამდის მთლათ და შეურყევლათ სდგას ტბეთის ხეობაში. ყველა ჩვენთაგანმა კარგათ უნდა იცოდეს, თუ რაფერ ბრწყინავდა ეს ტაძარი და ან ამ ტაძრის გვერდით რა შესანიშნავი სასწავლებელი ყოფილა დაარსებული, სადაც გამოჩენილთ მტბევართა მეოხებით ბევრი შესანიშნავი მწიგნობარი ქართველნი აღზრდილან. აქაურ მგალობელთა, მამათა და ძმათა უფროს განუმშვენებიათ ქართული გალობა და იმისთვის

მათ ნოტებიც შემოუღიათ, რომლის ერთმა ვრცელმა წიგნმა ჩვენ დროამდისაც მოაღწია. ამავ ტაძრის სასწავლებელში სწავლობდა მცირე ხანს შოთა (შიო) რუსთაველი. ოსმალთა მეოხებით ესეც გაუქმებულ იქმნა და შემდეგ ერთი ნაწილი ჯამეთ იქმნა გადაკეთებული. ამ ორი წლის წინეთ საღად დაშთენილს გუმბათს მეხი დაეცა და საბრალოთ დაარღვია. მშვენიერი რამ ნაშთია ეს ტაძარი და დღეს უპატრონოთ სდგას ტბეთის ხეობაში.

ასევე გაპარტახებულია **ანჩის ტაძარი** და ამის ხეობაში 1630 წ. შემდეგ ქართველობაც მოისპო. გამოჩენილ ანჩის ეკკლესიის ხატი ტფილისში გადმოიტანეს და ცნობილს ანჩის-ხატის ეკკლესიაში დაასვენეს, რის გამოც ეწოდა ამ ეკკლესიას ანჩის-ხატი.

სამხრეთ ,ლარჯეთში მოისპო ვალაშკერტის საეპისკოპოზო ტაძარი. აქ სომხეთის საზღვარზე მოისპო ქართველობაც, გაქრა ქართველ ერის კვალი და ენა. ქართული ენა ქართველთ შორის, არამც თუ ასეთ უშორეს ადგილებში მოისპო, არამედ, სამწუხაროდ, თვით ჩვენთან ახლოს, ყარსის ნაწილს ფოცხოვის ხეობაში და ქვაბლიანში, სადაც ქართველთ მაჰმადიანები მთლად ოსმალურად ლაპარაკობენ. ამაზედ უარესი უფრო ის არის, რომ არამც თუ ამ ძველს მესხეთის ნაწილში, რომელიც ახალციხეს ზედ აკრავს, არამედ ქართული ენა მოისპო თვით ქვემო ქართლის საზღვარზედ, ბორჯომიდან სულ 20 ვერსის სოფ. აწყვეროდამ, სადაც ქართველ მაჰმადიანები საყოველთაოდ ოსმალურად ლაპარაკობენ.

მოკლედ რომ ითქვას, თითქმის მთელს სამუსულმანო საქართველოს სახე შეცვლილი აქვს, ერთის შეხედვით კაცი მასში მყოფს ხალხს ქართველათაც ველარ იცნობს, რადგანაც იგინი საკმარისადაც გადასხვაფერებულან. გარდა ასეთის გადასხვაფერების, დღეს ოლთისისკენ ისეთ სუ-

რათებს ნახავს კაცი, რომ ვერავინ იფიქრებს, თუ ოდესმე იქაურობა ქართველი ტომით იყო მოფენილი და ეს ადგილები ნამდვილს საქართველოს საკუთრებას შეადგენდა ძველის-ძველადანვე. თითო-ოროლა ძველს ნაშთებს კაცი ისევ მიყრუებულს ტყეებში შეხვდება, რომელთა წარწერანიც ცხადათ მოწმობენ აქეთ ქართველთა კვალს. რომელი ერთი მოთვალოს კაცმა აქ და აღნუსხოს. ჩვენ არ ვიხსენიებთ **სხალტას, ზარზმას** და ბევრს კიდევ იმ ტაძრებს, რაც გაუქმებულ და მოსპობილ იქმნა მტრისაგან. მთელი ეს მხარე მოფენილი იყო შესანიშნავის ნაშთებით, სასწავლებლებით და მწიგნობარ კაცებით. ყველა ამაების აღსადგენათ და ასაღორძინებლად **კლარჯთ** ძალი შესწევდათ და ამ ძალას ისიც ეხმარებოდა, რომ ამათ ჩრდილო-დასავლით წინ წასული ბიზანტია საზღვრავდა და სამხრეთით—არმენია.

ბაგრატ მეოთხის შემდეგ საქართვალომ თითქმის კლარჯელთა მეოხებით იწყო განდიდება და ამაღლება. დიდებულმა დავით აღმაშენებულმა თითქმის კლარჯთა მეოხებით დასძრა საქართველოდან არაბნი და გაანთავისუფლა ჩვენი სამშობლო. სახელოვანი თამარ მეფეც ვერა ღონის-ძიებით ვერ დააარსებდა ტრაპიზონას იმპერიას, რომ უპირველეს გმირებათ კლარჯნი არ ყოფილიყვნენ. ამ მეფეს დღესაც კი ქართველი მაჰმადიანები თავიანთ მეფეს უწოდებენ და ესენი მის მოსვლასაც ელიან. ასეთი ცნობებიდან კარგათა სჩანს ის, თუ კლარჯთა და ქართველ მეფეთა შორის როგორი სიყვარული უნდა ყოფილიყო დამკვიდრებული. კლარჯეთი იყო საქართველოს სიძლიერის ბჭე. აქ ძველის-ძველადანვე მრავლად და ხშირად იბადებოდენ გამოჩენილი გმირები. ასეთმა გმირებმა ქრისტიანობის მიღების შემდეგ უფრო იჩინეს თავი და ნამეტურ გამრავლდენ ბაგრატოვანების აღორძინების შემდეგ. ასეთ შესანიშნავ გმირთა სახელების მოხსენებას რომ გავყვეთ, ეს ერთობ შორს წავა. გავიხსენოთ მხოლოდ მიხეილ (გობრონ) ახალციხელი და მისი ას სამოცი გამოჩენილი გმირები. ამ გმირთა მეოხებით მიაღწია საქართველომ იმ სიმა-

ღლემდე, რომელზედაც იგი მეთორმეტე სარკუნეში დასდგა.

ქართველთ ყველა მსწავლული კაცებიც სულ აქ სცხოვრებდენ, როგორც სასულიერო ბრძენი მწერლები, ისევე საერონი, თითქმის სულ აქაურები იყვნენ. V საუკ. ქართველთ მთარგმნელნი აქაურები იყვნენ, აქედან წავიდენ ესენი საბერძნეთში და იქ შეისწავლეს ბერძნული ენა და თარგმნა დაიწყეს. აქედანვე გაემგზავრა ვარაზ ბაკურის ძე მეურვანოზი ბერძენთა იმპერატორთა წინაშე მძევლათ, რომელიც შემდეგ დიდის დიდებით აღმობრწყინდა, ბერძნულის ენიდამ სთარგმნა მრავალი შესანიშნი სამეცნიერო და საღვთო-საფილოსოფოსო წიგნები და შემდეგ ეფისკოფოსათ იქნა აღყვანილი შუამას კათედრაზე. აქაურივე იყო გამოჩენილი კირიონ (კივრიონ) კათალიკოზი, ბრძენი, მწიგნობარი და მთარგმნელი, ქართულს ენაზე მრავალთა ძველთა ღვთის მეტყველთა და მეცნიერთა ნაწერების ავტორი, რომლის ნაწერებმა ჩვენ დრომდე ვერ მოაღწიეს. აქეთვე სცხოვრებდა და იმყოფებოდა სტეფანე მტბევარი (VIII საუკ.), ეპისკოპოზი, რომელმაც აღწერა შიხეილ (გობრონის) ახალციხელის ცხოვრება და რომელ ცხოვრებამაც ჩვენ დრომდისაც მოაღწია. აქედამვე გამოვიდა გამოჩენილი მთარგმნელი გიორგი მთაწმინდელი, რომელმაც ახლად დაასრულა ქართულ სამღთო წერილთა თარგმნა. აქაურებივე იყვნენ გაბრიელ ქართველთ მთარგმნელი, ექვთიმე მთარგმნელი, იოანე პეტრიწი კავკასიძე, ჭიმჭიმელი. აქაურებივე იყვნენ ყველა ჩვენი საერო მწერლებიც და მწერლებთა შორის შოთა რუსთაველიც, რომელმაც ადიდა ქართული ენა. აქაურივე იყო გამოჩენილი იოანე შავთელი, დავით საათაბაგოელი და მრავალიც სხვა გამოჩენილი ბრძენი ქართველი მწერლები. ყოველ მონასტრის გვერდით მთელი გუნდი არსებობდა ისეთის ბრძენ სამღთო მეტყველ მამების, რომლებიც ვრცელს ტომებს სწერდენ, მაგალითად, როგორც მიქელ მოდრეკილი, იოანე ბერი, მწერალი შატბერდის კრებულისა და მრავალნიც სხვანი, რომელთ

თარგმანთა და ნაშრომებს განცვიფრებაში მოჰყავს ყოველი მნახველი.

როგორც ბრძენ მწერალთა რიცხვით იყო ეს მხარე სავსე და მდიდარი, ისევე შემკული იყო ეკლესიების ოსტატურათ მაშენებელთ ოსტატთა, მხატვართა, ინჟინერთა, ხუროთა და სხვების. ყველაზე დიდებით აქაურნი ოსტატ-ხელოვანი ხელოსნები მოიხსენებოდენ. ესენი ჩინებულათ აკეთებდენ ეკლესიებს, შიგ ამკობდენ შესანიშნავის მხატვრობით და გარეთ კიდევ ჩუქურთმის მჭრელნი ამკობდნენ ათას ნაირის ქანდაკებით, რომელთა ნიშნები დღევანდლამდეც კი სჩანს აქა-იქ. ეკლესიების გარდა ციხე-კოშკების და გალავნების კეთებაც კარგათ სცოდნიათ, სახლების კეთებაც ასევე, როგორც ქვიტკირის, ისევე ხის. ამას დღევანდელი მათი სუფთა ნაშენი სახლებიც ასაბუთებენ. მათ ხიდებისა და ბოგირების კეთებაც კარგათ სცოდნიათ. დღესაც კი მოიპოვება აქა-იქ ძველის-ძველათ გაკეთებული ხიდები, რომელნიც მნახველთ აკვირვებენ საოცრათ და ნამეტურ თანამედროვე ინჟინერთ. მაჭახლის ქვითკირის ხიდის, მახუნცეთის, დანდალოსი, ხულისა და სხვების. დღევანედელამდე შეურყევლათ სდგანან და კიდევაც დიდხანს დაშთებიან. კლარჯნი ყველა ამ მხრის ხიდების კეთებას თამარ მეფეს აწერენ. ვისაც კი ჰკითხავთ რამეს ამ ხიდების კეთების შესახებ, ყველა იმას გიპასუხებს, რომ თამარ მეფის გაკეთებულიაო. არხების გაყვანაც ხშირად სცოდნიათ და მეტათ კარგათ.

ბაღოსნობაც კარგათ სცოდნიათ. ამის მეოხებით იყო, რომ აქეთ ხილი ძველათ ძრიელ მრავლობდა და ტყეები სულ მშვენიერის ხეხილით გაავსეს, რასაც დღევანდელი ხეხილის სიუხვეც ამტკიცებს. ღვინის დაყენებაც კარგათ სცოდნიათ აქეთ, ყოველ სოფლის მცხოვრებს თავის საკუთარი ვაზის ვენახი ჰქონდა და ღვინოს სწურავდა. ღვინის ქვევრებით და საწურავებით ხომ სავსეა დღევანდელი სოფლები და ნასოფლარებიც. მაგრამ ყველა ესენი შემდეგ დროებში მოისპო ოსმალთა მეოხებით. პურისა, სიმინდის და ბრინჯის მოყვანაც უხვათ სცოდნიათ. პირუტყვის გამრავლება და ერბო-მატყლით ვაჭ-

რობაც. ფეიქრობაც წინ ყოფილა წასული, კაცებს გარდა ქალებიც ქსოვდენ, ფეიქრობდენ. ესენი აკეთებდენ აბრაშუმს, რთავდენ და ყოველ ნაირ ტანსაცმელს და სახლში სახმარებელს ხელცახოცებს, ფარდებს, ქეჩა-ხალიჩებს და სხვა საჭირო რამეებს ესენი აკეთებდენ. ნამეტურ ამათში კარდათ იცოდენ ოქრო-მკედით მოქარგვა, ქარგვაზე მუშაობა და სამღვდელთ სამოს კერვა და შემკობა, საეკკლესიო საჭირო ფარდების მომზადება დიდის ხელოვნებით, რომლის ნიშნები დღევანდლამდისაც არის ბლომათ დაშთენილი. ტანსაცმელთ გარდა ყოველნაირი იარაღის კეთებაც აქ იცოდენ კარგათ და ნამეტურ სახლში საჭირო სახმარი ავეჯეულობის, ქვაბების, კეთება, თუნგების, თიხის ჭურჭელი, ხის საჭირო ნივთების და ვინ იცის კიდევ რამდენი რა გინდარის არ. ყველა ამაებით ესენი იყვნენ პირველნი და მერე საქართველოს სხვა კუთხის ქართველნი. ამათგან სწავლობდენ უკანასკნელნი. პირველობისთვის ამათ ხელს უწყობდა საბერძნეთის და სომხეთის საზღვრები, მათთან მისვლა-მოსვლა და გონების სიფხიზლე. მაშ რისთვის შენიშვნენ ჩვენნი ძველნი მწერალნი მესხებს სიბრძნის მოყვარ-მოტრფიალეთ! ასე იყო ძველათ კლარჯეთი აღორძინებული და დაწინაურებული, ისევე იყო მასთან მთელი საქართველოს ერიც ამაღლებული. რამ ააშენა იმოდენა მონასტირ-ციხე-კოშკ-ეკკლესიები, თუ არ ერის საერთო კარგმა ცხოვრებამ და შეერთებულმა მეცადინოებამ.

მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, ჩვენს აღორძინებულ მდგომარეობას ბოლო მოეღო, ასეთის ბედნიერებით ჩვენ დიდხანს არ დავრჩით. ჩვენ მოსისხლე მტრებს შეშურდათ ჩვენი შინაური მშვიდობიანი მდგომარეობა, ჩვენი აყვავებული ცხოვრება, ჩვენი განვითარება, მწიგნობრობა, ხელოვნური მხატვრობა, ხელოსნობა, სიდარბაისლე, ერთობა და ქვეყნის სიყვარული. შურის მეოხებით დაბრმავებულმა მტრებმა დაგვიწყეს მტრობა და აქა-იქიდან ერთობის ძირის თხრა. საქართველოს ჯერეთ ისევ დიდებისა და ძლიერების სხივები ემოსა გარს, როცა ოსმალ-სპარსებმა თავის აწევა იწყეს და

საქართველოზე ჩუმ-ჩუმათ ილაშქრებოდენ. მტერი ყოველთვის პირველათ მესხეთს ეცემოდა, რადგანაც ამათ ისე არც ერთის მხრის ქართველებისა არეშინოდათ, როგორც კლარჯეთ-მესხის, მაგრამ ესენი აქ ხშირათ ვერაფერს აწყობდენ და ძლეულნი უკან ბრუნდებოდენ. კლარჯ-მესხნი იყვნენ მეტათ ხელ-ღონიერნი, როგორც დღეს მთიელნი, იყვნენ შემაერთებელნი, მხნე, ერთგულნი, ქვეყნისათვის თავ-დადებულნი. კლარჯ-მესხეთის ყოველს ქართველს გულში მტკიცეთ ჰქონდა ჩანერგული ქვეყნის ერთგულების უზომო პატივისცემა, სარწმუნოების და მამა-პაპათა ზნე-ჩვეულობის მტკიცეთ შენახვა. ამ მხრის მთავარნი ჯაყელნიც გამოჩენილნი იყვნენ სამსახურით, ესენიც დიდის ერთგულობით ემსახურებოდენ ჩვენს სამშობლოს. ესენი საქართველოს ყველა კუთხის მთავრებს სჯობნიდენ ერთგულობით. მინამდის ესენი ერგულათ იყვნენ, მანამდის მტერი ვერას აკლებდა ჩვენს ქვეყანას. კლარჯეთ-მესხეთი ყოველთვის უვნებლათ შთებოდა და ამის მეოხებით მთელი საქართველოც. როცა ამათ სამშობლო ქვეყნის ერთგულ სამსახურს პირი არიდეს და უკუღმა დაიწყეს ტრიალი, მის შემდეგ საქართველოს საქმეც უკუღმა გადატრიალდა და საქართველოზე თავისუფლათ იწყეს ჩვენმა მტრებმა თარეშობა-ნადირობა. შინაური უთანხმოების მეოხებით მტერმა დაიჭირა კლარჯეთ-მესხეთი და მასაც ოგივე დღე დააყენეს, რაც ოდესმე დევნილს და ბედკრულს არმენიას. სხვის უღლის ქვეშ შესვლის შემდეგ კლარჯეთ-მესხეთში დაეცა ყველა ის სანაქებო მხარეები, რაც აქ ძველის-ძველათ აღორძინებულიყო და აყვავებულიყო ჩვენის ძველის ძველ დაბრძნილ და ხელოვან მამა-პაპათა მეოხებით.

ასე და ამ გვარათ, ამოდენა ვრცელს მხარეს, როგორიც არის კლარჯეთ მესხეთი, სადაც ქართველის ერის სახელი ერთ დროს ძალოვნების არსებობით და დიდებით გაისმოდა, სადაც ქართველთ პირველათ შეიწყნარეს მაცხოვრის სიტყვა, სადაც პირველათ აღორძინდა ხელოსნობა, ხელოვნება, ტაძრების კეთება, მწიგნობრიობა და სხვანი, დღეს იქ ამაების ალა-

რაფერია, ყველაფერი აღმოიფხვრა, მოისპო და მით ფუჭათ იქცა მრავალ ძველ დაბრძნილ ქართველთ მწიგნობართა, მთარგმნელთა და მეფეთა შრომაც. უბრალოთ დაიკარგა ქართველთ პირველ საუკუნოების მქადაგებელთა სიტყვანი, სრულიად მოიხოცა აქ ამათი სწავლა-მოძღვრების გრძნობები, მოისპო ყველა ის ნაშთები და ძეგლები, რაც ოდესმე კლარჯ-მესხელთ დიდთა მამულიშვილთა და მწერალთა მეოხებით აღორძინებულა. ეს მხარე ძველათ აკვანი იყო ჩვენის მწერლებისა, დღეს კი ეს აკვანი მთლათ დამსხვრეულია. იგი იყო მანათობელი კერა და ამ კერის გარშემო ისხდენ და მოღვაწეობდენ ქართველთ მთარგმნელი მამანი და ბრძენი მწერლები. დღეს ეს კერაც გამქრალია და ცარიელს ნაცარსღა წარმოადგენს. იგი იყო ტაძარი დავითიანთა, სადაც მუდმივ უქრობელი ლამპარი ენთო, სადაც ოთხსავ კუთხივ გალობის ხმა გაისმოდა, სადაც დღე-ღამ ბარისა და ნიჩბის ცემა ისმოდა და სადაც ყოველი დაბა, სოფელი, გზა-კვალი და ტაძრები დიდის დიდებით შენდებოდენ. დღეს აქ ამაების აღარაფერია დაშთენილი, ლამპარიც გამქრალია და ყოველნაირი გამაცოცხლებელი საქმიანობის ხმაურობაც აღარ ისმის, ყველგან სიმკვდრე-სიჩუმე სუფევს. მთელს კლარჯეთ-მესხეთს შავები აცვია და მგლოვიარებს მწარეთ. მასთან უნდა იმგლოვიაროს ქართველობამაც, რომ ამ მხრის ყველა საუკეთესო მწიგნობართ შრომანი დაკარგულ და ფერფლათ ქცეულ იქმნა. მთლათ მოისპო ამათგან ნაწერი წიგნები. ოსპალთ მეოხებით დამწვარ-დადაგულ იქმნა მრავალი ძველი იშვიათი სიგელგუჯრები, მათი წერაქვის და სატეხის მეოხებით დამტვრეულ იქმნა მრავალი ეკკლესიების ძველი წარწერები და ამით მოისპო მთლათ ჩვენთა ძველთა დიდთა მწიგნობართა ცხოვრების ცნობებიც.

უბრალოთ დაიკარგა ბაგრატ მესამის მეცადინეობა, შრომა და ამაგი, უბრალოთ დაიკარგა დიდებულის ბაგრატ მეოთხის ღვაწლი, ამისი თავ-გადადებული შრომა, ამისი მუდმივი ერთგულება, ამისი ნატვრა—საქართველოს ბედნიერების შესახებ, ამისი ოსტატური პოლიტიკა საბერძნეთთან, რის მე-

ოხებითაც დააწინაურა საქართველო, რის მეოხებითაც ამ დიდებულმა გვამმა დიდებულ და უკვდავ ჰყო თავისი სახელი. ამის დროს აღორძინებულ ქართველთ წარმატების საქმეებს რიცხვი არა აქვს, ნამეტურ მაგარი ნაშთების შენებას. მაგრამ დღეს აქ ბაგრატის ბევრი აღარაფერია დაშთენილი, ყველაფერი ფუჭათ არის ქცეული. ასევე გაუქმდა დიდებული დავით აღმაშენებელის შრომა, რომელმაც კლარჯ-მესხეთს მეტათ დიდი ღვაწლი დასდო, განამაგრა აქ ყველაფერი, განამდიდრა ტაძრებით და სასწავლებლებით, შეაჩვია ხალხი მხნეობას და გმირობას და მით ადიდა თვისი სახელოვანი და დიდებული სახელიც, მაგრამ დღეს ამ დიდებულ მეფის ხსენებაც აღარავინ იცის. ასევე დაიკარგა დიმიტრი მეფის და გიორგი III-ის შრომა და ამაგი და ნამეტურ სახელოვანი თამარ დედოფლის შრომა და ღვაწლი. ამ პირს კლარჯეთ-მესხეთზე იმდენი შრომა და ღვაწლი აქვს დადებული, იმდენი ამაგი და სიკეთე, რომ მას შემდეგ შვიდასი წლის განმავლობაშიაც აქ არ დაჰვიწყებიათ მისი სახელი. სამასი წელიწადია რაც კლარჯეთ-მესხეთი ოსმალთ დაიპყრეს და ამ დაპყრობით აქ ყველაფერი მოსპეს ქართველებისა, მოსპეს სარწმუნოება, ზნე, ჩვეულება და ბევრს ადგილებში ქართული ენაც-კი, მაგრამ თამარის დიდებული სახელი და ხსოვნა-კი ვერც ერთ გაფანატიკოსებულის მაჰმადიანის გულში ვერ ჩააქრეს და ვერ მოსპეს. ასევე უბრალოთ დაიკარგა გიორგი ბრწყინვალის შრომა და მრავალთა ერთგულთა ქართველთა ათაბაგთა, რომელნიც კლარჯეთ-მესხეთისთვის დაუცხრომლათ შრომობდენ და მოღვაწეობდენ. მაგრამ რომელი ერთი მოვთვალოთ აქ, რომლებიც ამ მხრის სასარგებლოთ და ასამაღლებლათ მოღვაწეობდენ.

ნეტავ რას იტყოდენ გიორგი მთაწმიდელი, იოანე პეტრიწი, შოთა რუსთაველი, იოანე შავთელი, და სხვა დიდებულნი პირნი, რომ ამათ ნახონ თავიანთი სამშობლო და მასში მიწასთან ასე გასწორებული ქართველობა. დღეს აქ ხალხი დაქვეითებულია სასტიკათ, ესენი ძველებურათ აღარც ქართვე-

ლობენ, აღარც ქართველობისთვის გული შესტკივათ, აღარც მწიგნობრობას მისდევენ, აღარც სწავლა-განათლებას, აღარც მეურნეობას, მეევნახობას, ხელოსნობას, ხელოვნურს მხატვრობას და ბევრს კიდევ სხვა სანაქებო საქმეთ. ესენი დღეს სულ სხვაფერ არიან შეცვლილნი. თავიანთ თავებს თათრათ აღიარებენ, უარს ჰყოფენ თავიანთ შთამომავლობას, ენას, მით არღვევენ წმიდა გრძნობა-ჟეშმარიტებას და მეცნიერულს შეხედულებასაც. ყველა ეს უბედურება მოხდა და გვეწვია ჩვენ ერთის მოღალატის გამცემის პირისაგან, რომლის გვარი, ჩვენ უკვე ვახსენეთ და რომელ გვარის წევრებთაგან წინა დროებებში ბევრი შესანიშნავი მამულისშვილებიც გამოსულან, რომელთაც დიდის შრომით უმსახურნიათ კლარჯეთ-მესხეთისთვის და უკანასკნელ გამოვიდენ ისეთნიც, რომელთ მეოხებითაც სულ ფუჭათ და ნაცრათ იქცა მათმა-პაპათა-მიერ დაწყობილი საღაღადებელი საქმენი. ესენი იყვნენ აქაურნი ათაბაგნი—ჯაყელნი.

ათაბაგთა გვარის ‹ნობები საქართველოში ბაგრატ მესამის მეფობიდან სჩანს. მაგალითად, ბეშკენ ჯაყელი, კაცი დიდათ ერთგული ბაგრატისა და საქართველოს ძლიერებისა. ამათი გვარი ჯაყელი წარმომდგარი უნდა იყოს ხეობის სახელ ჯაყიდან, რომელი ხეობაც ყარსის, არტაანის და ზეგანს შუა მდებარეობდა ძველათ და ეწოდებოდა ჯაყის-ხეობა. დღეს ამ ხეობას და ადგილებს ოსმალთაგან ჯაყისმანი ეწოდება. ძველს წერილებში-კი ჯაყია მოხსენებული და ჯაყის-ციხე. დღეს ჯაყის ხეობის ქართველობა მთლათ გამაჰმადიანებულია და ქართველებისა აქ ყველაფერი მოსპობილა. ბევრს საეჭვოთაც მიაჩნიათ ის, რომ ვითომც ჯაყისმანი ქართულია, ოსმალური ჰგონიათ, თვით ათაბაგებიც ასევე ფიქრობენ. დავით აღმაშენებლის დროს სჩანს ათაბაგი განძისა და რანისა და თამარ მეფის დროს კი იწყება ბრწყინვალე ხანა ამათი. ესენი გამოდიან საქართველოს სამეფო ასპარეზზე და ბრწყინვალეთ იწყებენ სამსახურს. ამ დროს საქართველო ერთი ძლიერი სამეფო იყო, მას ერთი მეფე ჰყავდა, ერთი მთავრობა და

არსად გაძლიერებული მთავარი, არსად გალაღებული თავადისა და აზნაურის ჭაჭანება(ვ) არ იყო, ყველა მეფეს ემორჩილებოდა. ამ დროებში ჯაყელის გვარის წევრებმა ისე ისახელეს, ისე დაიმსახურეს პატივი მეფისა და ქვეყნის წინაშე ერთგულებით და სამსახურით, რომ მეფემ ესენი საქართველოში ყველა თავადის შვილებზე მაღლა დააყენა და ჯეროვანი პატივი მისცა. ამ პირების საქმე ისე მოიმართა, რომ მალე ესენი განაგებდენ მთელის კლარჯეთ-მესხეთის საქმეებს.

აქ არ შეიძლება რამდენიმე სიტყვითაც არ მოვიხსენოთ ის, თუ რას ნიშნავს ათაბაგი. ნ. ხიზანაშვილი თავის საფუძვლიანს გამოკვლევაში სწერს, რომ ათაბაგობა „**ძაძა-მეუფეობას**“ ნიშნავსო, ე. ი. აღმზრდელობას. ესენი აღზრდიდენ მეფეთა ვაჟის შვილებსაო. პირველ საუკუნოებში ათაბაგებს **ძაძა მეუფე** ეწოდებოდათო და XII საუკუნის შემდეგ კი ათაბაგი დაერქვათ. თათრულათ „**ათ**“ ცხენს ჰქვიან და „**ბეგ**“ უფროსს, ჩვენის ფიქრით „**ათა-ბეგ**“ ქართულათ ნიშნავს ცხენთა მეუფროსეს და ამას ყოველი თათარიც იტყვის. **ათაბაგს** ჩახრუხაძეს მოიხსენიებს*). ამის მოხსენებიდან სჩანს, რომ მის დროს ახალად უნდა ყოფილიყოს ეს სიტყვა საქართველოში შემოსული, არჩილ მეფეც ასე იხსენიებს ათაბაგობას: „**მე მის სახელსა ზრ დიარს ვარ. ბატონ მეც ათაბაგობით, აქ არ ეოფილა, მაგრამ სულთანს ჩვენს გამზრდელ მამობით**“**)

ეს ცნობები უეჭველათ აქეშმარიტებენ ნ. ხიზანაშვილის ცნობებს. მოგვითხრობენ, რომ ათაბაგი იქამდის იყო წინ წასული და ამაღლებული, რომ ადრე სამეფო სპასალარი სპასალარად კი არ იწოდებოდა, არამედ ათაბაგათაო. ეს აზრი დ. ბაქრაძემ ცოტა საეჭვოთ მიიღო, ამან გვარიანი საზღვარი დასდო ამ ორს სახელს შუა. „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით „**იყო ათაბაგობა ეფეტეს სხვათა ერისთავთა**

*) **ჩახრუხაძის ბიბლია, 1882 წ. ტფილისი.**
**) **არჩილიანი, 1888 წ. ქუთაისი.**

განდიდებულ, ესეგ, რომელი სპასალარისგან ათაბაგი იქმნა“. ასევე ვხედავთ, რომ გიორგი ბრწყინვალემ სარგის ჯაყელს ათაბაგობა და ამირ-სპასალარობა მისცა. კარგად სჩანს, რომ ათაბაგი ერთსა და იმავე დროს გამგე იყო კლარჯეთისა და სპასალარი მთელის საქართველოს სამეფოისა. ნ. ხაზანაშვილის მოწმობით, ათაბაგობა საქართველოში ვითომც სელჯუკების მიბაძვით შემოულიათ. ვიდრე საქართველოს ერთი მეფე ჰყავდა, მინამდის ათაბაგნი საქართველოს მეფის ბრძანების და გამგეობის ქვეშ იყვნენ, ხოლო როცა ჩვენდა საუბედუროთ საქართველო სამ სამეფოდ გაიყო და ხუთ სამთავროთ, მაშინ ერთ უპირველეს სამთავროთ კლარჯეთ-მესხეთი იქმნა ცნობილი და ამის მთავრათ ათაბაგნი-ჯაყელნი, რაისა გამო ‘ხსენებული მხარე საბერძნეთის და არმენიის საზღვრებამდე სამცხე-საათაბაგოთ იქმნა წოდებული. საათაბაგოს საქმე შემდეგ ისე წავიდა და ათაბაგნი ისე მოსცილდენ მეფეს, რომ ესენი სრულიად აღარ ემორჩილებოდენ მას, ესენი მეფის მსგავსადაც ეკურთხებოდენ და ისე მიიღებდენ ათაბაგობას. საათაბაგო, საბატონიშვილო სამთავროს წარმოადგენდა. იგი ყველა სამთავროებზე მაღლა იდგა, ყოველი საქმე პირველათ ათაბაგთ ეკითხებოდათ. ყველაფერში პირველნი ესენი იყვნენ და ზართლაც პირველს დროებში ესენი რიგიანათაც მოქმედებდენ. ამათ ბევრი რამე შეჰმატეს განცალკევებულს საათაბაგოს, ბევრს ალაგას ბევრი ციხე-სიმაგრეები ააგეს და გზები მოამართეს მტრის დასახვედრათ. ამ გამოჩენილი გვარის წევრთაგან ბევრი შესანიშნავი გმირები გამოვიდენ და გმირთა შორის ბრძენი და მწიგნობარი კაცებიც, თვით კანონმდებელნიც. ამათ მოქმედებასთან მჭიდროთ არის შეკავშირებული მთელი საათაბაგოს ისტორია.

პირველ ხანებში სამცხის ათაბაგნი ძრიელ ერთგულად ასრულებდენ თავიანთ მოვალეობას, საქართველოს მეფეს ძრიელ ერთგულათ ემორჩილებოდენ და მსახურებდენ, მაგრამ რაც ხანი გადიოდა, ათაბაგთა ლაღი გონება უფრო ლაღდებოდა და ამის მეოხებით მათში იბადებოდა კაცის შუ-

რის მაძიებელი აზრები და მტრობა, ერთ მცირე რამ წყენის გამო ესენი გონებასა ჰკარგავდენ, მტერობით აღარ იცოდენ რა ექნათ, რა მოეხერხებინათ. ერთ უბრალო რამ წყენას არავის დაუთმობდენ, მეფის ბრძანების აღსრულებას ზურგს უჩვენებდენ. ჩვენც ისეთივე მეფენი და მბრძანებელნი ვართ, როგორც თქვენაო. ამაების მეოხებით ქართველთ დიდებულთა შორის დამკვიდრდა ერთმანეთის მტრობა, ღალატი, უთანხმოება და უკანასკნელ ერთმანეთის ჟლეტა-წყვეტა უკანონოთ. ამან დაღუპა საქართველო, ამან დადაგა საქართველო, ამან აწამა წამებული და ტანჯული ქართველობა და ამანვე დაუგდო ქართველობას შემდეგშიაც ტანჯვა წვალება. ჯაყელნი როგორათაც ერთგულებით აღმოსჩნდენ პირველ ხანებში და საქართველოსაც ერთგულად ემსახურებოდენ, ისევე შემდეგ დროებშიაც პირველათ ამათ უღალატეს საქართველოს, პირველათ ესენი აღმოსჩნდენ ქართველთ მტრათა, პირველათ ამათ ჰყვეს ქართველობაზე უარი, პირველათ ესენი განუდგენ მეფეს, ქვეყანას, ერს და ერთობას, დროის მეოხებით უარ-ჰყვეს თვით სჯულიც, სამშობლო ენა და მწიგნობრობაც. პირველად ამათ იწყეს ქარველ გვარის წინაშე წინააღმდეგობით ღალატი და მტრობა, ესენი დროის ამყოლნი გარდაიქცენ თურმე. ვიდრე საქართველო ძლიერი იყო, მინამ ქართველთა მომხრენი იყვნენ და როცა კი ამათ ქართველებს უძლურება შეამჩნიეს და სხვათა გაძლიერება, მაშინ ამათ სხვებს დაუკრეს თავი და დაემორჩილენ დიდის სიმდაბლით და თავის მოკატუნებით. ეს სენი ჩვენს კეთილშობილებს დღევანდლამდე შერჩათ და ესენი გაყიდულ არიან თავიანთის წოდების წარმომადგენლობის მეოხებით. გავანებოთ ამაზე საუბარს თავი, რომ მკითხველის გული უფრო სამწუხარო ცნობებით არ აღვავსოთ და ახლა შევეხოთ კლარჯეთ-მესხეთს და მის წარმომადგენელთ ათაბაგთა გვართა წევრთა ცნობებს.

საქართველოს და სომხეთის ისტორიულ წყაროების ჩვენებით ჯაყელის გვარი ერთობ ძველის დროიდგან სჩანს საქართველოში. მოგვითხრობენ, რომ მესროპმა სომხურ ანბა-

ნის შედგენის შემდეგ ქართულ ანბანის შედგენის საქმეს მოჰკიდა ხელი და მან ქართველის მსწავლულის ჯაყელის დახმარებით შეადგინა ქართული ანბანი. თუმცა ეს ცნობა ჩვენ უმნიშვნელოთ მიგვაჩნია და ქართული ანბანის შედგენის საქმე მესროპზე ბევრათ უწინარეს ფარნავაზ მეფეს ეკუთვნის, მაგრამ ჩვენ ეს აქ მხოლოდ მიტომ მოვიხსენეთ, რომ ამ ცნობაში ჯაყელთა გვარი მოიხსენება. ასე და ამ გვარათ სჩანს, რომ ჯაყელთა გვარი საქართველოში ერთ უძველეს გვარათ უნდა ითვლებოდეს, შემდეგ ამ მსწავლულ ჯაყელისა პირველ სახელოვან ათაბაგს ჩვენ ვხედავთ სარგის ჯაყელს, XII საუკუნეში, რომელიც თამარ მეფის თანამედროვე პირათ ირიცხება. თამარის შემდეგაც ივი ერთობ კარგა ხანს სჩანს სამეფო ასპარეზზე და „ქართლის ცხოვრების“ ჩვენებით ეს პირი კვდება 1286 წ. ჩვენი ფიქრით 1286 წ. უნდა შეინაცვლოს 1196 წელზე, ან 1206 წ. თორემ ზემოხსენებული რიცხვი ჩვენ შეცდომათ მიგვაჩნია, რადგანაც სარგის ათაბაგის ასეთი გძელი სიცოცხლე საეჭვოა და მასთანვე საკვირველიც, რომ კაცი სამეფო ასპარეზზე თამარ მეფის მეფობიდან მოყოლებული 1285 წ. სცოცხლობდეს. გარდა ამისა ჩვენს ისტორიაში ერთობ არეულია სარგის ჯაყელის მოღვწეობის ცნობები და ხშირად სარგის ჯაყელის ცნობებს სარგის მხარგძელის მოღვაწეობის ცნობებში ჰრევენ. ჩვენის ფიქრით სარგის თმოგველი უნდა იყოს სარგის ჯაყელი, დამწერი „დილარიანისა“, რომელსაც შოთა რუსთაველიც იხსენიებს.

როგორც მოგვითხრობენ. სარგისი საკმარისად განსწავლული კაცი ყოფილა, მცოდნე ბევრის სხვა-და-სხვა ენებისა. ამას დიდი სამსახური მიუძღვის საქართველოზე და ნამეტურ სამცხე-საათაბაგოს წინაშე, რადგანაც ბაგრატოვანები თვის გაძლიერების შემდეგ, უმეტეს ნაწილათ აღმოსავლეთის საქართველოს აქცევდენ ყურადღებას და დასავლეთი საქართველო კი ისე დასტოვეს, რადგანაც ეს მათ უფრო წინეთ ააღორძინეს. ამიტომ ამათ მაგიერ სამცხეს ჯაყელებმა დაუწყეს მფარველობა. სარგის ათაბაგის სიკვდილის შემდეგ ათაბაგათ იქმნა

ბექა, ძე სარგის ათაბაგისა. ბექა იყო მწიგნობარი კაცი, იცოდა აზიური ენები და მასთან იყო ლმობიერი მთავარი, უყვარდა სიმართლე. ამან შეადგინა მესხთათვის სამართლის წიგნი, ეს სამართლის წიგნი სამცხის დიდებულთ დაუდო წინ და მოკლეთ აუწყა, რომ დღეის შემდეგ მომჩივანთა საქმეს ამ სამართლის წიგნით განაგებდეთო. ამ დღიდან მესხთა მიეცა სამართლის წიგნი და ყოველთვის და ყოველგან ბექა ათაბაგის სამართლის წიგნით განაბჭობდენ სადავო საქმეებს... ბექა ათაბაგს ამ სამართლის წიგნს გარდა სხვა ნაწერი წიგნებიც აქვს დატოვებული. ამისავე ბრძანებით ქართველი ბერები გადასწერდენ მრავლად ქართულ ძველს ხელთნაწერს წიგნებს. პარხალს, ხახულს, შატბერდს, ტბეთს, ოპიზას, ანჩას, საფარს, ვარძიას, ზარზმას და სხვაგანაც. მამასავით ესეც განაგებდა ქვეყანას, უვნებლათ ჰპატრონობდა მას და გარდაიცვალა 1308 წ. ათაბაგათ ამის შემდეგ იქმნა იოვანე მეორე, კაცი მამის კვალათვე ბრძენი და საქმის კარგი მცოდნე. ეს პირი რუსუდან დედოფალსაც მოესწრა და მისგან გაგზავნილ იქმნა რომში პაპი ონორი III-ან, შესახებ საქართველოს სამეფოის საქმეებისა, და ნამეტურ ქართველობისაგან ჯვაროსანთა ომში მონაწილეობის მიღების და საქართველოში კათოლიკე სარწმუნოების გავრცელებისა მაგრამ ვერც ამან და ვერც სხვათა იმ დროის დიდებულმა ქართველებმა ვერა ჰქნეს-რა და საქართველოს თავის მომავალი უბედურება ვერ ააცილეს თავიდან, რადგანაც საქართველოს ბედმა მოუვლინა ისეთი პირნი, როგორიც იყვნენ რუსუდან დედოფალი და ლაშა გიორგი. იოანეს გადაცვალების შემდეგ ათაბაგათ იქმნა აღბუღა. აღბუღა ათაბაგიც საკმარისად მწიგნობარი კაცი იყო, მცოდნე ევროპიელის და აზიურის ენების. ეს პირი ქართულს ისტორიაში საკმარისად მწიგნობარ პირად სჩანს. ამან კარგად იცოდა საქართველოს ისტორია, იცნობდა ქართველი ერის ზნესა და ხასიათსა, ესეც თავის პაპა ბექას მსგავსად იყო სამართლის და სიმართლის მოყვარე. ამან ბექა ათაბაგის სამართლის წიგნი კარგად გაიცნა, 1453 წ. ეს „სამართლის წიგნი“ მან

კარგათ განიხილა, გაარჩია, მასში ბევრი რამ სამართალი უკეთ გაჩარხა, უკეთ შეავსო და მის შემდეგ კლარჯელთ ეს შევსებული წიგნი მისცა სახმარებლად. ამ სამართლის წიგნის დასაწყისში ასე სწერს: — „**შევიყარენით ოღლოს ქართლის დიდებულნი და დავდეგით წინა პატრიარქასა შაჰისა ჩემისა მანდატურ უხუცესის ბექას განაჩენი და იგი აგრეთვე სრულებით და უკლებლათ დავწერეთ და რაც ჟამთა სხვათა და სხვათა უწესოანი საქმენი შესრულებულიყვნენ, მათი სამართალიც ზედ დაუდეგით ასრე და სხვანი**“. აქედან სჩანს, რომ აღბუღას თავის პაპის ბექას წიგნი უკეთ შეუვსია.

ასე და ამ გვარად ქართველ მაჰმადიანებმა, ანუ აჭარელ ქობულელ ლივანელებმა ასეთის კანონმდებელ წინაპართა ისტორიულის ცნობებით უნდა იძლიერონ კიდეც. ამათი საყურადღებო სამართლის წიგნის შესახებ ვრცელი გარჩევა აქვს დაწერილი ნ. ურბნელს. მეფის გიორგის ბრძანებით 1391 წ. ეს პირიც საქართველოს ერთგულ პირათ სჩანს საქართველოს ისტორიაში. ამან დიდათ სახელოვან ჰყო თავისი სახელი, ამის ქალზე იქორწინა ბაგრატ ბატონიშვილმა, შემდეგ მეფემ საქართველოსამ. ამ შემთხვევამ დიდი ერთობა ჩამოაგდო მეფესა, მთავარსა და ორსავ კუთხის მხრის ერში, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ჩვენში მოიძებნებოდენ თითოოროლა ისეთი პირნიც, რომლებიც ამ ერთობას ძირს უთხრიდენ ხოლმე.

ეს სენი საქართველოს ერს XIII საუკ. შემდეგ ძვალსა და რბილში გაუჯდა და ამანვე დაღუპვა ჩვენი სამშობლო ქვეყანა, ამას ის მაგალითიც ამტკიცებს, რომ ოდესაც ბაგრატი ერთობას მეცადინეობდა და ამან შორეულის სამცხის მთავარის ქალი შეირთო, ამ დროს ამას აუჯანყდენ მეგრელ-სვან-აფხაზნი, ესენი დაეცენ იმერეთს და ქუთაისი დასწვეს, მაგრამ ბაგრატმა სძლია ესენი და ყოველისფერი დააწყნარა. ამ შინაურ არევ-დარევის დროს ოსმალნი სამცხეს დაეცნენ და მთლად მოაოხრეს. აქედან ესენი ქუთაისს წავიდენ, აიღეს დამწვარ-დადაგული ქუთაისი და ამის შემდეგ გელათს მისცეს ცეც-

ხლი და გადასწვეს. ამ დროს იმერთ დიდი გმირობა გამოიჩინეს, ამათ მთლად გარეკეს აქედან ოსმალნი, გადარეკეს სამცხეში და სამცხიდან საზღვარს გაიყვანეს. ეს მაგალითი და ოსმალთ თავ-დასხმა ქართველებისათვის დიდ სახელმძღვანელოთ უნდა დაშთენილიყო და მას შემდეგ ქართველნი მეტათ მტკიცე ერთობით უნდა შეკავშირებულიყვნენ, ერთმანეთზე გული და გონება უნდა დაეწმინდათ და ერთობაზე საერთო შეცადინეობას უნდა მისცემოდენ, მაგრამ არ განვლო დიდმა ხანმა, რომ საქართველოს მოევლინა საერთო უბედურების რისხვა და ამ რისხვამ შემუსრა იგი. ეს რისხვა იყო თემურ-ლენგის მოვლენა და მისგან აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობა 1377 წ. ამ დაგეშილ მტრის მოვლენამ უპირველესად სამცხე-საათაბაგო შემუსრა და დააქციე-დაანგრია, რადგანაც საქართველოს უმთავრეს ძალათ ეს ადგილები მიაჩნდა, ექვსჯერ დაეცენ ესენი საქართველოს და ექვსჯერვე პირველათ სამცხეს ეცენ, რადგანაც იმათ აქ ეჯულებოდათ ქართველთა გამოჩენილი სპა-ჯარი. ეს ასეც იყო და საქართველოსთვის იმდენი გამოჩენილი მეომარი ბმირები საქართველოს არც ერთ კუთხეს არ მოუცია, რამდენიც სამცხეს აღმოუჩენია ხოლმე მთელის ქართველობისთვის.

ამ თავზარ დაცემის და საერთო რისხვის მოვლენის დროს დიდის გმირობით იბრძოდა ბაგრატ მეექვსე ბაგრატოვანი, რაისა გამო იგიც დიდ ბაგრატად იქმნა წოდებული, როგორც XI საუკ. ბაგრატ მეოთხე. რამდენიმე ხნის შემდეგ სოფლის საქმეებისაგან დაღლილი ათაბაგი გარდაიცვალა და ათაბაგათ იქმნა ბექა მეორე. ბექას გამთავრებაც გიორგი მეფის ბრძანებით მოხდა. ამ დროებისათვის მთლათ საქართველოსთვის და ნამეტურ აჭარისთვის დიდ საჭიროებას წარმოადგენდა რიგიანი პირების ყოლა და საქმის გამაგრება, მაგრამ სამცხე-საათაბაგოს უცბათ მოევლინენ ოსმალნი, ამათ გამართეს ომი და ომში მოიკლა მეფე გიორგი 1407 წ. რამაც თავზარი დასცა ქართველთ. ამის შემდეგ მეფეთ იქმნა მეფის ძმა კონსტანტინე. მეფე კონსტანტინე ოსმალთ წინაამღდეგ დიდის გმი-

რობით ამხედრდა, მაგრამ არ გავიდა დიდი ხანი, რომ 1414 წ. ოსმალებმა სამცხის ომში ეს მეფეც მოკლეს. გამეფდა ალექსანდრე, გიორგი მეფის ძე. ამ დროს ათაბაგათ Iოანე იყო. ალექსანდრე მეფე რომ გამეფდა 1414—1441, ამის კურთხევაზე იოანე ათაბაგი არ დაესწრო, ესეთი საქციელი ათაბაგის, მეფეს ძრიელ ეწყინა და ამიტომ ამას პასუხი მოსთხოვა. მალე მეფემ ათაბაგს საქართველოსაგან განდგომილება შეამცნია, რადგანაც ოსმალთ ამ დროს თავიანთი ძალა გაავრცელეს დასავლეთ საქართველოზე და ათაბაგსაც სხვა-და-სხვა საჩუქრებით ახარბებდენ. ალექსადრე მეფე წავიდა სამცხეში, ათაბაგი დაიმორჩილა და თანამდებობიდანაც გადააყენა ორგულობისათვის. უკანასკნელ ამან შეინანა ცოდვები და მეფეს პატიება სთხოვა. მეფემ აპატივა, ისევ მიუბოძა ათაბაგობა და თვით კი ტფილისში ჩამოვიდა. ეს იყო პირველი მაგალითი, რომ ათაბაგის ღალატი საქვეყნოთ გამოჩნდა. სამწუხაროდ, და საქართველოს დასალუპათ ამ ალექსანდრემ გაყო საქართველო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. ეს მეფე მოხუცებაში ბერათ შესდგა, სახელათ ათანასე უწოდეს და მცხეთას დამკვიდრდა. აქვე დასაფლავდა.

Iოანე ათაბაგის შემდეგ ათაბაგათ იქმნა ძე ამისი აღბუღა. ამ დროს მთელს დასავლეთ საქართველოში ანუ კლარჯეთ-მესხეთში ყველგან ქართული ენა სუფევდა სახმარებლათ. ქართველთა ძველი ეკკლესიები ამ დრომდის შეურყევლათ იდგენ და ყველგან წირვა-ლოცვა სრულდებოდა. აღბუღა ათაბაგს ჩვენი ისტორია მეტათ ბრძენს კაცათ სახავს და ქვეყნის ერთგულათ, მაგრამ შინაურ არეულ გარემოების მეოხებით ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ათაბაგსაც მტრობს და ებრძვის ყვარყვარე ათაბაგი, თავის სახლის და გვარის შვილი და ყვარყვარე იმარჯვებს 1447 წ. ყოველ ასეთ შინაურს ამბოხებას ჩვენ, როგორც იქმნებოდა ავიტანდით, რადგანაც ხშირათ უმიზეზოთ წაჩხუბებული მალეც დაშოშმინებულან ხოლმე, მაგრამ რაკი 1451 წ. ოსმალთ კონსტანტინოპოლი აღეს და ძველი ბიზანტია მოსპეს, ამის შემდეგ ჩვენც დაგვა-

ტყდა მათი უბედურება და ყოველ ნაირ უძლურებას და აოხრებას მივეცით ოსმალთა გაძლიერების გამო აყელყალავებულთ მტერთ ქართველთა მეოხებითვე 1463 წ. მეფე გიორგი სძლიეს, ქართლი და მესხეთი და მეფის საგანძური მოაოხრეს, ათაბაგმა მეფეს მტერობა ჰყო„ ამან გაიმარჯვა, თვით გაათაბაგდა, დაიამა გული და ძმის სისხლში იბანა ხელი. მტერობას ისე ჰქონდა ამის გულში ფესვი გამდგარი, რომ ამ ბოროტ მტერს ის გარემოებაც ახარებდა და ამაგრებდა, რომ 1472 წ. უზნ ასანმა საბერძნეთი სრულიათ აიკლო და მერე ეს საქართველოს მოადგებოდა, რაც უფრო დაეხმარებოდა ამის ბოროტებას. ამიტომ იგი შეება მეფე გიორგის ფანავარზე 1465 წ. ქართველმა სძლია ქართველს, შურმა სძლია კეთილსთვით მეფეც ტყვეთ იპყრა და პატიმარ ჰყო თავის სამარცხვინოთ და ქართველთა სავნოთ და საღალატოთ.

ამ დროს ოსმალნი ტრაპიზონს მოახლოვდენ. მალე ტრაპიზონი აიღეს და აიკლეს. აქ ამ დროს იყო ქართველთ მცხოვრებთა რიცხვი 1000 კომლზე მეტი, ამათ აქ ეკკლესია და სასწავლებელი ჰქონდათ, ესენი მთლად მოსპეს. დღევანდლამდე ტრაპიზონში ქართველთა ჯარის ყოფნის ნიშნათ დაშთენილია ერთი ეკკლესია, რომლის ქვებს ძველად ქართული წარწერებიც ჰქონდა, ეხლა აღარ არის ეს. აქ ქართველი ეპისკოპოზი იჯდა ოსმალთ ეს მოსპეს, მერე ბერძნის ეპისკოპოზი იყო აქ, რომელიც ბერძნულად იწოდებოდა-„ეპისკოპოზ ხალთისათ“ ე. ი. ქართლისა. გარდა ამისა ტრაპიზონში ძველათ ქართველთა ებრაელნიც ხშირათ დადიოდნენ, ამათ ვაჭრობა ჰქონდათ გამართული. საქართველოს უბედურების შემდეგ ბევრნი ქართველ ებრაელ ვაჭართაგანი იქვე ტრაპიზონში შთებოდენ და აღებ-მიცემობდენ, შეჭიწროების გამო საქართველოში აღარ ბრუნდებოდენ. ამ ქართველთ ებრაელებმა ტრაპიზონის მხარეში შეურყევლათ შეინახეს ქართული ენა, დღევანდლამდე ესენი ქართულს ენაზე ლაპარაკობენ. 400 წელიწადია რაც ჩვენგან მოსწყდენ „ქართველთ. ისრალნი საქართველოში“ ზ ჯ. 1904 წელ. ნამდვილ ქართველთ კი დაკარგეს თავიანთი ენა მაჰმადიანობის მეოხებით და ამათ შეინახეს. ტრაპიზონის აღების შემდეგ ოსმალთ ნელ-ნელა იწყეს საქართველოსკენ წამო-

სვლა და ნადირობა, მაგრამ ესენი ვერას აწყობდენ, რადგანაც კლარჯ-მესხნი საოცარის გმირობით ხვდებოდენ და გმირულათ ებრძოდენ ოსმალთ და უკანვე აბრუნებდენ, ოსმალნი დიდათ ჰკვირდებოდენ ამ მთის ხალხის ასეთ მხნეობასა და რაინდობაზე.

მცირე ხნის შემდეგ გარდაიცვალა ყვარყვარე ათაბაგი ჯაყელი და ამის შემდეგ დაჯდა ძე მისი ბაადური. ბაადურის დროს ოსმალთ ტრაპიზონში ფესვი გაიდგეს და აქა-იქ ბერძნებსაც უწყეს გათათრება. ოსმალთ შესყიდვით მალე გაათათრეს ბერძნები და ამ გათათრებულთა დახმარებით დიდათ გაძლიერდენ და განიდგეს ფესვი. ათაბაგი ყველა ამაებს ხედავდა და ძლიერ ეშინოდა. ეს მუდამ დღე მოელოდა ოსმალთაგან კლარჯეთის წართმევას და დაპატრონებას. ამას გარდა ამ ვაჟბატონს საქართველოს მეფის რიდიც ჰქონდა და ნამეტურ იმერთ ბატონის. ფიქრობდა, რომ ოსმალთა გაძლიერებას ესენი შეიტყობენ და მაშინათვე მოვლენ და მთავრობას წამართმევენო. ეს საქართველოს მეფეს და იმერთ ბატონს განს გაუდგა, მორიდება დაიწყო მათთან და თავის ციხე-კოშკებს ამაგრებდა. ეს თავის თავზე იყო დაიმედებული და თუ საქმე გაუჭირდებოდა, მაშინ ამას ყველასთვის უნდა ეგო პასუხი. საქმემ ისე შეაშინა ეს პირი, რომ როდესაც გიორგი მეფის ძე უნდა ეკურთხებინათ მეფეთ, მაშინ ათაბაგს კურთხევაზე დასწრება სთხოვეს, მაგრამ ამან არ ისურვა კურთხევაზე დასწრება, თვით არ წავიდა და არც კლარჯეთ-მესხეთის უმაღლესი სამღვდელოება გაუშო კურთხევაზე დასასწრებლად. ახლად გამეფებულმა კონსტანტინემ ათაბაგის ორგულობას ყურადღება არ მიაქცია და მალე ჭკვიანის რჩევით და საუბრით ათაბაგს დაუმტკიცა ერთობის საჭიროება და სიყვარული. ათაბაგი დარწმუნდა ამაზე და მტეროობას თავი გაანება. ეს გარდაიცვალა 1478 წ. ამის შემდეგ გაათაბაგდა ძე ამისი მანუჩარ პირველი.

მეფე კონსტანტინე ჩინებულათ გრძნობდა ერთ მეფობის შნიშვნელობას და სარგებლობას. მან განიძრახა იმერეთის

დამორჩილება და შეერთება. 1481 წ. ლაშქრით გაემართა კიდეც იმერეთში, მაგრამ ამან იმერთ ომი არ გაუმართა, რადგანაც იმერთ ბატონს ათაბაგი თვისკენ მიემხრო და ესენი აპირებდენ მეფის წინააღმდეგ ბრძოლას. მეფემ დადიანს მიმართა დახმარების სათხოვნელათ: სამცხეზე მინდა გავილაშქრო და დახმარება მომეციო. მეგრელთა ბატონი დაეთანხმა. ესენი მალე კლარჯეთ მესხეთში წავიდენ და ათაბაგი დაიმორჩილეს. ათაბაგის დამორჩილების შემდეგ მეფემ იმერთ ბატონს მიმართა. ამ დროს იმერეთში დიდი შლილობა იყო. თავადები და სხვა და სხვა წვრილმანი აზნაურები ბატონიშვილს ეურჩებოდენ. მეფემ ისარგებლა ამით, იმერთ ბატონი დაიმორჩილა და იმერეთი შეაერთა; შეერთების და წესიერების დამყარების შემდეგ მეფე ქართლში დაბრუნდა. ვიდრე მეფე იმერეთს დაიმორჩილებდა, მანამდის ათაბაგს მეფის საწინააღმდეგო ჰაზრები ჩაედო გულში, მომხრე ხალხიც ეშოვა, ნამეტურ მეომართა შორის. ამას განეძრახა მეფესთან ომი იმ იმედით, რომ მეფე ეხლა იმერეთიდან დაღალულ-დაქანცული დაბრუნდებაო, მე ამით უნდა ვისარგებლო და თავი გავითავისუფლოვო, ამიტომ ეს წამოვიდა დიდის ლაშქრით და საქართველოს მეფეს, მგზავრობის დროს, ერთ საშიშ ალაგას დაუხვდა და ომი გაუმართა. ახლა ჩვენდა დასაღუპათ და ათაბაგის სამარცხვინოთ ქართველებმა აქ ჟლიტეს ერთმანერთი, ამ ბოროტ პირის მეოხებით დიდი უბედურება მოხდა, ორივე მხარეს სასტიკათ ბრძოდენ, საქმემ იქამდის მიაღწია, რომ მუხანათმა ათაბაგმა გაიმარჯვა, მეფის ლაშქარი დასცა და თვითმეფეც დაიჭირა და პატიმარ ჰყო 1484 წ.

როგორც იქნა მოღალატე პირისაგან გამოწვეული ჟლეტა-წყვეტა და ქართველთ შლილობა გათავდა. ბოროტმა მეფე გაათავისუფლა, ეს თბილისში წამოვიდა, მეფის დაცემის ამბავი იმერთაც ადრე შეიტყვეს და ესენიც განდგენ ერთობისაგანა. კონსტანტინე ბევრი ებრძოლა ამათ, მაგრამ ველარაფერი გააწყო და ყოველივე დაირღვა, დაიფუშა და იმოდენა ქართველობაც უბრალოთ დაიღუპა. ქართველთა დახო-

ცვის და დაღუპვის გარდა ერში ნივთიერი სიღატაკეც ჩამოვარდა, გაჭირვება და ათასი უბედურებანი. ყველა ამ ჩვენს საუბედურო ამბებს ჩვენი დაუძინებელი მტრებიც კარგათ ხედავდენ შორიდან და ყოველს ჩვენს ასეთ ვაი-ვაგლახებს და მტერობას სიამოვნებით უმზერდენ. 1485წ. საქართველოზე დაირაზმა და წამოვიდა იაყუბ ყაენი. ამან გამოვლო ბოცო, მოვიდა ახალქალაქს, ააოხრა მთელი მხარე, ტყვეთ ჰყვნა მრავალნი გამოჩენილნი ვაჟკაცნი. ამის შემდეგ ალაგ-ალაგ დაბა და სოფლებს მისცა ცეცხლი და მთლათ გადასწვა. ახალქალაქიდან წამოვიდა და აწყვერამდის მოვიდა. აიღო აწყვერი, აიკლო და ააოხრა აწყვერის შესანიშნავი ტაძარი. ამ დროს აწყვერი სასტიკათ შეირყა, მტერი თავის ძალას აქედან ავრცელებდა აქა-იქ, მაგრამ დაბნის ხევში ამათ დაეცნენ საბარათოს ქართველნი და მთლათ მოსწყიტეს მტერი. ათაბაგმა აწყვერის ღვთის-მშობელი დიდი საფასით დაიხსნა და თავის ალაგსვე დაასვენა, მტერი მთლად ვანდევნეს.

ამ შემთხვევამ დიდი თავზარი დასცა ათაბაგს. ეს შეშინებულ-შერცხვენილი და კუდ ამოძუებული აქა-იქ ძალვით დახტოდა და ზოგიერთ ციხე-კოშკებს-ღა ამაგრებდა. ეს კარგათ მიხვდა თავის შეცთომებს და ერთობის საჭიროებას, მაგრამ რაღა დროს. ერთობ მალე ავათ გახდა და 1487 წელს გარდაიცვალა. ამის შემდეგ გამთავრდა ყვარყვარე მე-III, შვილი აღბუღა ათაბაგისა, რადგანაც მანუჩარს ძე არ დარჩა და უძეო იყო. ყვარყვარე ათაბაგს „ქართლის ცხოვრება“ საკმარისად ბატიოსან პირათ გარდმოგვცემს. ამან ბრულიად დაამაგრა, დაიპყრა კლარჯეთ-მესხეთი, საქართველოს წაზღვრების ძიებაშიაც შევიდა. ეს ამბავი კონსტანტინე მეფეს ძრიელ ესიამოვნა. მეფე და ათაბაგი ერთმანეთს დაუახლოვდენ და ერთობის საჭიროება აღიარეს. მეფემ თათრებზე გალაშქრება ისურვა რომ ამით საქართველოს საზღვრებიდან ესენი მთლად გაერეკა და ამიტომ ათაბაგს დახმარება სთხოვა. ათაბაგმა პირობა მისცა, ესენი მალე მტრის საზრდოლათ წაემართენ, მაგრამ შინაურ მეამბოხეთა მეოხებით ათაბაგი უცებ მეფეს გა-

ნუდგა. ამან იფიქრა, ვაი თუ მეფეს ვუშველო, საზღვრებიდან თათრები გავრეკოთ და მეფემ მერე მე დამიმორჩილოსო. მეფემ ათაბაგის ყოველივე კარგათ სცნა, მაგრამ მაინც არ შეუშინდა. მხნეთ შეებრძოლა მტერს და საქართველოდან მთლათ განდევნა. ათაბაგი და მეფე მაინც დამტკბარან, ათაბაგი დაურწმუნებიათ, რომ მეფე შენ არას ვავნებსო, ამის გამო ამათში სიყვარულის გრძნობებიც გაღვიებულა, მაგრამ ეს არ ყოფილა დიდის ხნის. შინაურ მტერთა მეოხებით 1494 წ. ათაბაგს მეფესთან ცეცხლის ჯვარზე ომი მოუხდა, ომი შეტათ ფიცხელი, გულ-საკლავი, თვალთ საცრემლავი და საგლოველი ყოველთა ქართველთა.

კლარჯ-მესხნი ძლეულ იქმნენ ქართლელთაგან, ქართველნი თვით ქართველთაგან და ისრე სასტიკათ, რომ ერთი კაციც არ დარჩა დაუკოდავი. ამ დროს კლარჯეთ-მესხეთის ქართველთ სამღვდელოება დიდათ მეცადინეობდა. ესენი ცხარის ცრემლით მზერდენ ქართველთა ერთმანეთის ჟლეტას, მაგრამ ვერას ახერხებდენ და მათში სიყვარულს ვერ სთესდენ. ბევრნაირი ბოროტებით დავალებულს ათაბაგსაც მოუვიდა აღსასრულის დღე და ესეც გარდაიცვალა 1500 წელს. ამის შემდეგ ათაბაგათ იქმნა ქაიხოსრო ათაბაგი. ეს პირი ბევრათ სჯობდა თავის მამას. ამან მალე იგრძნო ერთობის შშვიდობიანობა და საჭიროება. ამან დაიწყო მეფესთან დაკავშირება. ასევე სხვა და-სხვა მთავრებთან და ნამეტურ გურიელთან. ამ დროს ოსმალნი სასტიკათ გაძრიელდენ: დაჭერილ ტრაპიზონიდან იწყეს გალაშქრება და ნავარდობა. ამათ დაიჭირეს ყარსი, ოლთისი და სხვა ადგილები, რომლებიც საქართველოს ვანაპირებით იყო. ამ ადგილებს ოსმალნი ვერ დაიჭერდენ, მაგრამ ქართველებს ამათ ასე უეშმაკეს: ოსმალებმა ქართველთ ომებისაგან მობეზრებულთა, წინ გამოიმძღვარეს 30,000 ათასი ახალ გათბილრთ ბერძენთა ლაშქარი და წინ ესენი მოუძღვოდენ. ქართველთ ვერ შეიტყეს ეშმაკობა. ბერძნები

დაინახეს და მოყვარულათაც მიეგებენ და პურ-მარილითაც მიიღეს- ახალ გათათრებულ ბერძენნი აქა-იქ დაბინავდენ, ქართველთა ყოველი სამზადისი, ვითარება და ძალა შეიტყეს და მერე აღუმართეს ბრძოლის მახვილი და დაუწყეს ქართველთ ჟლეტა. ქართველნი ამაზე შეკრთენ და შეშინდენ, მაგრამ რაღას იზამდენ. მტერმა ყველა ადგილები აიღო, და ფეხი გაიმაგრა. ბერძნები საშინელ ფანატიკ თათრებათ აღმოსჩნდენ.

ამ ადგილების შემდეგ ოსმალებმა ლაზისტანს მიმართეს და დაუწყეს ბრძოლა, მაგრამ ვერაფერი გააწყეს. ერთხელ იომეს—დამარცხდენ, მეორეთ იომეს და კიდევ ისევე, უკანასკნელ ოსმალთა წინამძღვარათ იყო ხოშ ოღლანი, ჭანების მხრით კახაბერი. ხოშ ოღლანმა სძლია კახაბერი, კახაბერი მოკლა და ამის სიკვდილის შემდეგ ჭანეთიც აღებულ იქმნა. ამ კახაბერის შესახებ ამათში დღევანდლამდე ბევრი თქმულებებია დაშთენლი. ძველათ ამაზე იტყოდენ, რომ „ყველა კაცი კაცია კახაბერი სხვაა“. სამწუხაროდ ამ გვარი გმირი კახაბერის შესახებ ჩვენ ერთობ მცირე ბიოგრაფიული ცნობები ვიცით. ზოგნი ამბობენ ლაზისტანი ომით კი არ აიღეს, არამედ ხოშ ოღლანმა ერთი ჯაჭვი გაწყვიტა და ამის ნაძლევში იყო ლაზისტანი დადებულიო. ოსმალთ ლაზისტანი აიღეს, მაგრამ პირველ ხანს ამათ აქ საქმე ძრიელ გაუჭირდათ. ლაზები მათ სასტიკათ სდევნიდენ და ამათ დიდათ ხელს უწყობდა ათაბაგი. ხელის შეწყობის გარდა დარიგებასაც აძლევდა. ლაზებმა ისე მოახერხეს, რომ ოსმალთაგან თავი იხსენეს და გურიის მთავარს ჩაბარადენ. მაშინ ლაზები ქრისტიანები იყვნენ, ნამეტურ იმ ადგილებთა, რომლებიც საქართველოს საკუთრებას შეადგენდა საქართველოს გარეშე მყოფი ლაზნი კი ისე იყვნენ დაშთენილნი და ესენი ხეზე და ქვაზე ლოცულობდენ. გურიი და ლაზისტანისთვის შეუძლებელი იყო შეერთება და ოსმალთა ძლევა ლაზისტანიდან, რომ აქ ათაბაგის თანხმობაც არ ყოფილიყო. ათაბაგი კარგად გრძნობდა ერთობის მნიშვნელობას და იმ შემთხვევებსაც, რომ ოსმალებმა ოლთისში, ყარსში, არტაანში და სხვა

გან ფეხი გაიმაგრეს და თუ ესენი ერთობით არ იქნებოდენ, მაშინ ოსმალნი სხვა ადგილებსაც დაიჭერდენ. ამის მაგალითები ათაბაგმა თავის თვალით ნახა და ამიტომ ეს დიდის სიფრთხილით განაგებდა. არ გავიდა ხანი, რომ კლარჯ-მესხთა დაეცენ ოსმალნი, ომი გაიმართა და ამ ომში დაკოდილ იქმნა ათაბაგი. ამით გარდაიცვალა 63 წლის მოხუცი, 1504 წ.

ამის გარდაცვალებით კლარჯეთ-მესხეთის საქმე დიდათ აირია. ათაბაგის სიკვდილის შემდეგ გაათაბაგდა ძე მისი მზე ჭაბუკ ათაბაგი. ჩვენი ისტორია ამ პირს „დიდ მზედ ჭაბუკად“ მოიხსენებს. მზე ჭაბუკ ათაბაგი პირველ წლებში რიგიანათ განაგებდა. ამას საქართველოსთვის ძრიელ სტკიოდა გული, მაგრამ ამის გულის ტკივილი არ იყო დიდი ხნის და სუფთა სხივების მექონი, თავის წინაპრების მსგავსად, ესეც მალე აღმოჩნდა სამშობლო ქვეყნის მოღალატეთ.

ოსმალებმა აიღეს ოლთისი, ყარსი, არტაანი (არდაგანი) და სხვა ამ მხრის საქართველოს ადგილები. აქ ყველგან ფეხი გაიმაგრეს ამათ და თავიანთი კაცები დასვეს გამგეთ. ამის შემდეგ ლაზისტანიც აიღეს და დანარჩენ ადგილებს კი ახლოს ვერ ეკარებოდენ, ეშინოდათ. შავშეთს, აჭარას, ლივანას, ზეგანს, არდანუჯს და სხვებს გვერდი აუარეს. ამათ ჯერეთ ლაზისტანის აღება განიძრახეს და მერე აქედან სხვა ადგილებზე გავლენის მოფენა და ბოლოს დამორჩილებაც. საქმე ისე მოიმართა, რომ ოსმალები ყარსიდან ჯავახეთს დაეცენ, აიღეს მთელი ჯავახეთი, ახალციხე თავიანთ ბინათ გაიხადეს და ზემო ხსენებული ადგილები კი ისე დასტოვეს. ამათ ისე ხსენებულ ადგილების ქართველების არ ეშინოდათ, როგორც ლაზისტანის. ლაზები ნადირებათ მიაჩნდათ მათ, ჯერეთ იგინი უნდა დავიმორჩილოთო, თორემ სხვებს რომ ხელი ვახლოთ, მაშინ ისინი დაგვეცემიან და დაგვჭამენო. ამიტომ ოსმალთა განიძრახეს ლაზისტანზე დაცემა და სამუდამოთ აღება. ათაბაგი შეშინდა დიდათ, ვაი თუ ოსმალთ ჭანეთი გურიელებს წაართვან და მერე მე მომადგენო. იმისიც ეშინოდა, გუ-

რიელებმა რომ გაიმარჯვონ, ვაი თუ ამათ მე დამიწყონ შლილობა და წამართვან გამგეობაო.

შურმა მტრობამ და სიძუნწემ ისე გადარია ეს ყოვლად მოუსაზრებელი ბოროტი პირი, რომ ამან განიძრახა სამშობლოს ღალატი, ერის გაცემა. ეს ღალატი და გაცემა ის იყო, რომ ათაბაგმა ისურვა ოსმალებთან დამეგობრება, თითქმის ქვეშევრდომობაც, ოღონდ ამას კი ხელიდან არ გამოსცლიყო გამგეობა. გურიელი გაუდგა შორს. ათაბაგმა ოსმალთ მოახსენა, თქვენ მე ნურას მერჩით, მე თქვენს ქვეშევრდომობას ვიკისრებ, მხოლოდ ათაბაგობას ნუ წამართმევთ, გარდა ამისა თქვენ ლაზისტანზე ნუ ამხედრდებით, თქვენ მე მიბოძეთ თქვენი ჯარი და თქვენის ჯარის საშუალებით ავიღებ ლაზისტანს. მე ისედაც თქვენს მორჩილებაში და სიყვარულში ვიქნები.

ოსმალთ მალე შეისმინეს ამის თხოვნა და მისცეს ჯარი. ათაბაგმა მალე გურიელს ომი გამოუცხადა. გურიელი გაოცდა ამაზე, მაგრამ რაღას იზამდა, გამდგარს მოღალატეს პასუხი მისცა. მალე ომი დაიწყეს, ათაბაგმა სძლია. გურიელმა ქუდზე კაცი გაიყვანა და საქმე მაინც გაჭირდა, გურიელი დაამარცხა ათაბაგმა, მოსრა დიდი ძალი ვაჟკაცობა გურულთა. ბოლოს ლაზისტანი აიღო და დაისაკუთრა. ამ აღების შემდეგ კი ოსმალები ლაზებს მეტათ ოსტატურათ დაუახლოვდენ და მეგობრობის დასაწყისიც დააფუძნეს. კახაბერი გურიელი ხელ-მეორეთ აპირებდა ბრძოლას და ლაზისტანის დამორჩილებას, მაგრამ ეს ვერ მოხდა, კახაბერი მალე გადაიცვალა.

მაგრამ არ გავიდა დიდი ხანი, რომ საქართველოს მტერს და გურიის საუკეთესო ვაჟკაცთა მსვრელს მოევლინა თვისი რისხვა. ოსმალეთის მთავარ სარდალი დიდის ჯარით სამცხეს მოადგა **1513** წ. მოღალატე ათაბაგი თავის ამალით ოსმალებს გზაში მიეგება. ოსმალთ ამას იმერეთზე გალაშქრება სთხოვეს და დაავალეს. ესეც დაჰპირდა. ესენი მალე გამოემართენ იმერეთზე გასალაშქრებლათ და იმერეთის ასაღებათ. ამ დროს ათაბაგი დიდის ღალატით აღმოჩნდა და ოსმალებს

დიდს დახმარებას აძლევდა. ოსმალნი მალე მოადგენ იმერეთს. გაიმართა ომი და იმერეთი ერთობ მალეც აიღეს, დაიმორჩილეს ყველა საომარი ადგილები, აიკლეს და დასწვეს ქუთაისი. დასწვეს გელათი, დიდი უბედურება მოადგა იმერეთს კარზე. მან საშინელი შავი დღეები განვლო, თავ-ზარ დასაცემი და დიდათ საცრემლავ-სავალალებელი, მით უფრო, რომ, გარედან მას მტერი მოადგა, შიგ კიდევ აი რა ამბები ხდებოდა.

იმერთა ბატონიშვილს ბაგრატს, მთავარს ვახტანგზე ვაეშარჯვნა. მთელი იმერეთის თავად აზნაურობა ორ დასათ გაეყო ყოველ დასს თავისი მოთავე ჰყავდა, ესენი ერთმანერთის წინააღმდეგ იბრძოდენ და ერთნი მეორეების დანთქმას ლამოდენ. ამ გარემოებამ მეტათ ცუდი ზედ გავლენა იქონია იმერეთის ხალხზე. თავად აზნაურობის ღალატმა, ქვეყნის გაშცემლობამ და ომებმა გლეხკაცობას მეტათ გაუტეხეს გული. გლეხ კაცობა მეტათ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა. ესენი ყოველ დასის წევრთაგან იდევნებოდენ და იჩაგრებოდენ, მთელი იმ დროის სვავთ უმრავლესი იმერთ თავად აზნაურობა მხოლოდ ამ მშრომელი ერის სისხლით და ხორცით სტკბებოდა ისევე, როგორც დღეს. გლეხ-კაცობა მოუძლურდა. ესენი მტერს ადვილათ დაემორჩილენ. მტერმა დაიმორჩილა ყველა თავადები და ბატონიშვილის მოწინააღმდეგე მთავრები, მღელვარება დაშოშმინდა. მტრისაგან შინაურ მეამბოხეთა დამორჩილებით იხელმძღვანელეს გლეხებმა. გლეხკაცობა მიემხრო ბატონიშვილს. ამ დროს სხვა-და-სხვა მტერ თავდიშვილებმაც იგრძნეს თავიანთი მოვალეობა. ყველა ესენი მიემხრენ იმერთ ბატონიშვილს და ერთ დღეს ოსმალთა წინაამღდეგ ამხედრდენ, ამათ მტრის წინამღდეგ დიდი გმიროობა გამოიჩინეს, ოსმალნი დააუძლურეს, განდევნეს და იმეოეთი გაანთავისუფლეს. ოსმალნი უკანვე გაემართენ, ამათ ფურიაზე განვლეს და სამცხეში ჩავიდენ. აქ შეჩერდენ და თათბირი დაიწყეს. ლამობდენ, იქნება ათაბაგიც გაგვიდგესო, ამაზედ რაღაც ეჭვები აეღოდ, ამიტომ ამ სისხ-

ლით გაუმაძღრებმა ახლა სამცხეს დაუწყეს რბევა, ტყვევნა და ხოცვა, ხალხმა არ იცოდა მტრის ასეთი წადილი, თორემ ესენიც მოემზადებოდნენ საომრათ. მოუმზადებელ ერს მეხივით დაეცა ასეთი რისხვა და მტრის მოვლენა. დიდ ძალი ვაჟკაცობა გაწყდა ქართველთა. ათაბაგს სვინდისმა სძლია, უკანასკნელ, შენანებაშიაც შევიდა, მიხვდა ყოველს თავისს დანაშაულს და სამშობლო ქვეყნის გამცემლობას, მაგრამ რაღა დროს.

კლარჯეთ-მესხეთის ქაოველობა კარგათ მზერდა თავის სამშობლო ქვეყნის მდგომარეობას. ამათ თვალთ წინ ედგათ ყარსის ქართველთა დალუპვის ამბები, ოლთისის, იშხნის ხახულის, თორთუმის და სხვა იქითა მხრის ქართველთა და ამიტომ ესენი ეევედრებოდენ ათაბაგს, რომ ქართლს, იმერეთს და გურიას მივმართოთ, შველა ვსთხოვოთ და ოსმალნი განვდევნოთ აქედან, ჩვენი ქვეყანა თავისუფალ ვყოთო. თორემ საქმე წაგვიხდება, ქვეეყანა დაიღუპებაო. ბოროტებით სავსე ათაბაგმა ეს არ ქმნა, ეს ისევ მტერს ეკედლებოდა. მათ წინაშე მეკადინეობდა ერთგულების აღმოჩენას და თავის საქმეების გამაგრებას. ამან როგორც იქმნა ოსმალთ დაუმტკიცა თავისი ერთგულება და ესენი დაარწმუნა, რომ თქვენ ჩემი ფიქრი ნუ გაქვსთ, მე სულით, ხორცით და გულით ნამდვილი თქვენი მონა და ფეხთა მტვერი ვარო. ნიშნათ თვის ერთგულ ქვეშევრდომობისა ამან მტერს აღუთქვა გურიაზე და იმერეთზე გალაშქრება და მთლად ამ ადგილების დამორჩილება. ათაბაგმა ამ დროს დიდი ბოროტება და ღალატი გამოიჩინა. პირველათ ამის დროს დაბნელდა ქართველთა მზე კლარჯეთ-მესხეთში

ოსმალნი რაკი დარწმუდენ ათაბაგის ერთგულებაზე, ესენი ხელ-ახლა გამოემართენ იმერთზე გასალაშქრებლათ, პირველათ ამათ გურიასთან მოუხდათ ომი, გურულებმა ფიცხელათ და სასტიკათ იომეს მტრის წინაამღდეგ, მაგრამ ვეღარაფერი გაწყეს, რადგანაც ათაბაგის რჩევით ოსმალთ ერ-

თობ დიდ-ძალი ლაშქარი წამოეყვანათ თანა. ამ ომში ათაბაგის ქართველნიც ერივნენ, რომელნიც ქართველთ წინააღმდეგ ბრძოდენ. დიდ-ძალი ხალხი მოსწყვიტეს გურიაში, გურიის აოხრების და დამორჩილების შემდეგ ესენი იმერეთში წავიდენ და ომი იქაც გამართეს. იმერნი დიდის გმიროობით იბრძოდენ, მაგრამ გაჩნდენ შინაურიგამცემნი და საქმე გაჭირდა, მტერმა დაიმორჩილა ყოველივე და თავის წეს წყობილი დაადგინა, ქვეშევრდომობა დააფუძნა. აქა-იქ გამგეებათ ნიშნავდა იმ პირებს, ვინც მათ ერთგულებას იჩენდა. ამ ერთგულ პირებისაგან მოგროვებულ იქმნა 2000-მდე მშვენიერი გოგო-ბიჭები იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში და შირთმეული ახალ სისხლის მსმელ მთავროობისთვის, რომელ უსამართლო მთავროობამაც ეს ბედკრულნი დიდის სიამოვნებით მიიღო და მალე სტამბოლში გაგზავნეს. ამ დროდან დაიდო ოსმალთაგან ქართველებზე მშვენიერ ქალვაჟებით ხარკის გადახდის საქმე, შერიგების დროს საჩუქრებათ მიცემა და სხვანი. თუმცა ოსმალთ ყოველივე დაიმორჩილეს და ფერფლათ აქციეს, მაგრამ ამათი აქ დგომა მაინც დადხანს არ იქმნა, იმერთა და გურულთ ვერ მოითმინეს ამათი ყოფაქცევა. ესენი ხელ-ახლად აღსდგენ ოსმალთ წინააღმდეგ და დიდის შრომით და სისხლის ღვრით გაანთავისუფლეს ყოველივე დამორჩილებული და აღებული ადგილები. ოსმალნი მთლათ განდევნეს. ბოროტს ათაბაგსაც მალე ეწია უბედურება. სამშობლო ქვეყნის მოღალატე ავათ გახდა მალე და 1515 წ. გარდაიცვალა. ამის შემდეგ გაათაბაგდა ძე ამისი ყვარყვარე ათაბაგი.

ამ წლებში ოლთისის, ყარსის, იშხნას, ხახულის და თორთომის მხარის ქართველებს გათათრება დაუწყეს. ამის გამო აქ დადგა ქართველთა წამების ხანა, ეკლესიები მიეცენ აოხრებას, დაკეტვას და ცარცვას. ყარსის ქართველობა გაწყდა სჯულის გულისთვის ომში, მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყეს, ზოგი ამათგანი აჭარისკენ გამოიქცენ, ზოგი ქართლში, იმერეთში და სხვაგან, მაგრამ აქაც დარჩა დიდ-ძალი ქართველო-

ბა, ვინც დარჩენ მათ დიდი შევიწროება გამოიარეს, დიდი ბრძოლა და მაინც ვერაფერი გააწყეს. 1515 წლიდან თითქმის 1560 წლებამდის იბრძოლეს. უკანასკნელ გათათრდენ. და ახალ გათათრებულ ვამგეთ ყარსში სოლომონ გოგიტიძე დასვეს, რომელსაც თათრობის მიღების გამო ფაშობა მისცეს და სახელათ სეიდი დაარქვეს, სეიდ ფაშათ იწოდებოდა, მაგრამ ესეც ჩუმი ქრისტიანი იყო თურმე და ამის მეოხება იყო, რომ ყარსის ქართველთ 1590 წლებამდის შეინახეს საიდუმლოთ ქრისტიანობა. ოსმალთ რაკი შეიტყვეს ყარსის ქართველთ საიდუმლო ქრისტიანობა, ამიტომ მათ სასტიკის წამებით დაუწყეს დევნა და ხელ-ახლა გაიმართა ქართველთა წამება სჯულის გულისათვის. უკანასკნელ სეიდ ფაშა და სხვა მრავალი საიდუმლო ქრისტიანი ქართველნი აჭარისკენ გამოიქცენ, ზოგი სხვა-და-სხვა კუთხეებში. მთელი მხარე, მთელი საერისთავო დაიცალა თითქმის. აქ მოისპო ქართველთ სიმრავალე. ამიტომ ოსმალებს აქ ნამდვილი თათრები შემოყვანდათ და ასახლებდენ, რის მეოხებით იქ ქართველთა ციხე-კოშკ-ეკკლესია და მონასტრები აოხრებასა და ქცევა-ნგრევას ეძლეოდენ. დროს განმავლობაში, აქ ნამდვილ თათრების გამრავლებით საქმე ისე მოიმართა, რომ ყარსის (კარი) საერისთაოში მთლათ მოისპო ქართველი ხალხი, ენა და ნიშნები. ვინც დარჩნენ აქ ქართველნი, ისინი ნამდვილ თათრებში არეულ იქმენ და დაკარგულ. ყარსისაკენ დღეს ქართველების იქ ყოფა-ცხოვრებას მარტო დანგრეულ ეკკლესიების ნაშთები-ღა მოწმობენ და ღაღადებენ.

ამავე დროებში აღაოხრეს იშხნის ტაძარი, პარხალი და ხახულის შესანიშნავი ტაძარი, რომლის შესანიშნავი ღვთისმშობლის ხატი ჩუმათ გელათში მოასვენეს და აქ დაასვენეს, რასაც თანამედროვე არქეოლოგნი განცვიფრებაში მოჰყავს. ამ ადგილების ქართველებშიაც ამ დროდან იწყეს მაჰმადის სჯულის გავრცელება და XVII საუკუნის გასვლამდე აქაც უკვე ისევე მოჰფინეს, როგორც კარისკენ და სხვაგან, აქაურ

ქართველთაც დიდი შევიწროება გამოიარეს, დიდი მწუხარება, სჯულისთვის ბრძოლა, წამება, მაგრამ უკანასკნელ მაინც გათათრებულ იქმენ. როცა გათათრდენ, მაშინ ამ ადგილებში ქართველთა რიცხვი ერთობ მცირე იყო, რადგანაც სჯულის გამოცვლის გამო ესენი იქ არ დგებოდენ და ზოგი აჭარაში მორბოდენ და ზოგი საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებში. ვინც დარჩენ აქ ქართველთაგანნი და გათათრებულ იქნენ. ამათაც დროის მეოხებით აქ დაკარგეს თავიანთი ხალხოსნობა და ენა, რადგანაც ხსენებულ ადგილებში ოსმალებმა ნამდვილ თათრების მცხოვრებთა რიცხვი ერთობ გაამრავლეს და ესენი სასტიკათ მოქმედებდენ ქართველებზე, ესენი ქართველებისას ყველაფერს ყლაპავდენ. ამათის მეოხებით ამ მხრის ქართველთა სოფლებსაც კი შეეცვალათ თავიანთი ძველი ქართული სახელები და დღეს მათ ყველას თათრული სახელები ეწოდებათ. აქა-იქ თითო-ოროლა სოფლებს კი შერჩათ თავიანთი პირვანდელი სახელწოდებანი. ასევე შეენაცვლათ თვისი პირვანდელი ქართული სახელები მთებს, წყაროებს, ხეობებს და სხვებს. ამათშიაც დაშთა თითო-ოროლა თავის პირვანდელის სახელ-წოდებით. ხსენებულ ადგილებში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებიც ისე გადაგვარდენ და დაიღუპენ, რომ დღეს მათ თავიანთ შთამომომავლობის აღარაფერი იციან და ვინმემ ქართველობის შესახებ რომ რამე უთხრას მათ და ნათესავებზე გაახსენოს რამე, მაშინ ისინი ამას საეჭვოთ მიღებენ და თან ეუკვირთ კიდეცა. ამათში თამარ მეფის სახელი კი ყველგან იციან და საცა კი აქეთ რამე ძველი ნაშთებია დატოვებული, ყველა ამაებს თამარ დედოფლის გაკეთებულათ ხადიან. მაგალითად, იშხნისა და ხახულის ხეობის მაჰმადიანი ქართველები ბევრს ამბებს ლაპარაკობენ თამარ მეფის შესახებ. ერთი ამბავი ეკკლესიების კეთებას შეეხება, ამას აქვე მოვიყვან: ,,თამარ მეფეს ეკკლესიების კეთება ძლიერ უყვარდა. ამან გააკეთა იშხნის ტაძარი, ხახულის და პარხლის, ამ ეკკლესიების დამთავრების დროს ფული შემოაკლდა, მაშინ თამარ დედოფალმა ერთი

თმა გამოიძრო თავიდან, ეს თმა თავის კაცებს მისცა, თმა კაცებმა გაყიდეს და ამაში ანალები ფულით დაამთავრეს ეს შესანიშნავი ტაძრებიო''.

ასეთ მხარეებში, სადაც ქართველობა ერთხელ მჭიდროდ იყო დასახლებული, სადაც ქართველთა სახელი ერთ დროს დიდებით განისმოდა, იქ ქართველთა ტომის კვალი და ენა ისე ამოვარდა და მოისპო, რომ დღეს ხსენებაც აღარ არის. შემდეგ დროებში ესევე უბედურება გარს მოადგა სხვა-დახვა კუთხის ქართველთაცა და ბევრს კიდევ სხვა ადგილებში გაქრა ქართული ენა, ხალხოსნობა და სხვანი. ესეთი უბედურება და რისხვა უფრო იმ ადგილებთა ქართველებს ადგებოდა კარს, რომლებიც სჯულის გამო სასტიკათ იბრძოდენ და ესევე უბედურება მოელოდა აჭარას, მაჭახელს, ლივანას, ზეგანს, მურღულს და სხვა ადგილებს, რომ ამათთვის დროსა და გარემოებას არ გაეწყო ხელი და სხვა-და-სხვა მოხერხებით არ აღმოჩენილიყვნენ ოსმალთა წინაშე. აჭარაში ამის შესახებ ძლიერ ბევრმა მოხუცებულმა პირებმა ილაპარაკეს და ნამეტურ შეგნებულ ბეგებმა, რომ ძველათ ჩვენ რიგიანათ რომ არ დაგვეჭირა საქმე ოსმალთან, უამისოთ აქაც ამოვარდნილი იქნებოდა დღეს ქართული ენაო. მაგრამ ეს ვერ მოხდა და გინდ რომ კიდევაც ოსმალოს ხელში ვყოფილიყავით, ეს მაინც ვერ მოხდებოდა, იგინი ამას ვერ მოესწრებოდენ, თუმცა ნატვრა კი დიდი ჰქონდათო. ჩვენ აქ ამ უბედურებათა ამბები მიტომ მოვიყვანეთ და ჩვენ საგანს მიტომ გადუხვიეთ გზას, რომ ამ უბედურებათა დასაწყისი იმ წლებს მისწვდება, როცა მზე ჭაბუკი განაგებდა. ახლა კი ისევ წინა დროებზე მივიდეთ.

ყვარყვარე ათაბაგი შინაურულათ იყო გაზდილი, ამას შეესწავლა ქართული მწიგნობრობა. ამით ეს თავის მამას ბევრათ სჯობდა, გარდა ამაებისა იყო ქვეყნის მოყვარე, ხალხთა მაშენობლობის მონატრე, რიგიანი მზრუნველი და საყოველთაოთ ქართველთა ერთობის და უფლების მეძიებელი. ათაბა-

გობის მიღების შემდეგ ეს დიდის ერთგულებით განაგებდა თავის ქვეყნის საქმეებს და ყველაფერს და ყველა საქმეში დიდს მომხრეობასაც იჩენდა ქართველთა სასარგებლოთ. ეს გმირულათ ამხნევებდა კლარჯ-მესხთ და გულში მტკიცეთ უნერგავდა ქართველობის სიყვარულს და მამულისათვის თავის დადებას. შინაურ გამცემთა მეოხებით ოსმალებმა ყვარყვარეს ამბები შეიტყვეს და ამიტომ ამათი ჯარი სამცხის დასამორჩილებლათ წამოვიდა 1521 წ. ესენი მალე მოვიდენ და შაებენ ყვარყვარეს. ქართველთ დიდი გმირობა გამოიჩინეს, ამათ ოსმალნი დაამარცხეს. დამარცხებული ოსმალნი ქართლზე წამოვიდენ გასათარეშებლათ. ქართლშიაც ვერაფერი გააწყეს და მერე უკან დაბრუნდენ. გზათ ამათ სამცხისაკენ მოუხდათ გავლა. გზაში ესენი აქა-იქ რჩებოდენ და არავის რას ერჩოდენ. ამატომ ათაბაგმა ამათ არაფერი დაბრკოლება არ მისცა, აქა-იქ საჭმელიც მიაწოდა, რომ სიმშილის გამო არ დახოცილიყვენ, ან ჩემ ხალხს არ დაუწყონ ცარცვა-გლეჯა. ქართლში და იმერეთში ათაბაგის ასეთი საქციელი ძრიელ ეწყინათ. ყვარყვარე მაცხოვრის მცნებას დაადგა: შეიყვარე მტერი შენი, რათა არცხვენდე მათაო. მტერმაც ისარგებლა ამით. ამათ ყვარყვარეს მოყვრობა ისურვეს და მოყვრობით თვისკენ მიბირება. ეს მალეც მოახერხეს და ხათრის და თავაზის ჩამოგდების შემდეგ ოსმალნი უკან დაბრუნდენ. ესენი დაიმედდენ ათაბაგის ერთგულებასა და მეგობრობაზე. ათაბაგი დარჩა კლარჯეთ-მესხეთში. ამის შემდეგ კლარჯ-მესხეთს ახლა სხვა მრისხანე უბედურება მოადგა კარს. რამდენიმე წლის წინეთ ათაბაგს გაუჩნდენ ზოგიერთი მტერი ქართველთ თავადიშვილები, რომლებმაც კლარჯეთ-მესხეთში ათაბაგთან ბრძოლა ვერ შეიძლეს, ოსმალების იმედი არ ჰქონდათ, რომ მათის დაბეზღებით ათაბაგი აეკლოთ და დაესაჯათ და ამიტომ ეს ქვეყნის მოღალატეები გაიქცენ სპარსეთში, თავაშვებულნი მიადგენ შაჰ-ისმაილს კარზე და გასცეს ჭორიკანობით თავიანთი სამშობლო. ქართველობას და ნამეტურ ათაბაგს ბევრნაირი ღალატი დასწამეს, შაჰ-ისმაილი ისე გაასიეს და ისე ააღელვეს, რომ

ეს აღბორგეს საქართველოზე წამოსასვლელათ და ჯავრის ამოსაყრელად. შაჰ-ისმაილი მალე მოევლინა ბედკრულს საქართველოს და გაიმართა ხელ-ახლად სისხლის ღვრა და ჟლეტა-წყვეტა. ამ სისხლით გაუმაძღარმა ჯერეთ ქართლი აიკლო და მერე კლარჯეთ-მესხეთს მიმართა, მაგრამ აქ კი ისე ვერ ინავარდა, როგორც სხვა ადგილებში, თუმცა სამცხე კი მოდრიკა და მოხარკედ ჰყო. დამორჩილების შემდეგ შაჰ-ისმაილი ძლიერ ოსტატურათ ეპყრობოდა ქართველთ.

ამ დროს სამცხეში კათოლიკობა უკვე მოფენილი იყო. ართვინი, არტანუჯი, ახალციხე და სხვა დაბანი სავსე იყო ქართველ კათოლიკებით. ჯავახეთის ქართველ კათოლიკებმა შაჰ ისმაილს თხოვნა მიართვეს თავიანთ ყოფა-ცხოვრების შესახებ და ხარკის შემსუბუქებას სთხოვდენ, შაჰ-ისმაილმა ამათი თხოვნა შეიწყნარა და დააკმაყოფილა ყოველნი. ამისთვის მან ქალალდიც უბოძა ქართველ კათოლიკებსა და შიგ მოიხსენებს, რომ თქვენ, ჯავახეთს ქართველ ფრანგებს მე შაჰ-ისმაილმა ყოველივე მოგანიჭეთ და მოგეცით ის, რაც თქვენ ითხოვეთ ჩვენგანო. აქედან ცხადათ სჩანს, რომ ქართველი კათოლიკობა სამცხეში ადრიდანვე ყოფილა. ამას ფიქრი აღარ უნდა, რადგანაც შაჰ ისმაილი ამათ ქართველ ფრანგათ არ აღიარებდა, რომ მართლაც ქართველნი არ ყოფილიყვენ. კათოლიკეთა გარდა ამან სხვა-და-სხვა სარწმუნოების ხალხსაც მცირეთ შეუღავათა ხარკი და მგონი ეს მიტომ, რომ, მას ეჩვენებინა თავის გულკეთილობა და რამე ნაირათ თვისკენ მიეზიდნა, რომ ბოლოს ამ მიზიდვით მათ ოსმალნი შესჯავრებოდათ და სპარსთა მომხრეთ გამხდარიყვენ. შაჰ ისმაილი ამისთვის დიდათ მეცადინეობდა, ყოველ ღონისძიებას ხმაროობდა. კლარჯეთ-მესხეთში ფეხის გამაგრების და გაფცქვნის შემდეგ შაჰ ისმაილი სპარსეთში წასასვლელად მოემზადა. ამ დროს ქართლის მეფე საომრათ მომზადებულიყო, ამას ბევრი მეომარნი შეეკრიბა, ამასვე მიმხრობიყო ათაბაგი. ამათ ისმაილს ომი გაუმართეს და უკანასკნელ ხძლიეს სასტიკათ და ქართ-

ველთა ყოველივე გაანთავისუფლეს, ხარკი მოხსნეს ქვეყანასა და ყმაწვილების ტაციობაც აღკრძალეს. შაჰი წაშავდა სპარსეთში და ქართველთა გამცემელ მოღალატე თავადიშვილების მეოხებით სულ უბრალოთ მოისრა იმოდენი ქართველობა.

ამ უბედურების შემდეგ, ევროპის ზოგთ ქრისტიან სამეფოებმა ოსმალეთს ომი დაუწყეს იერუსალიმის დასახსნელად. ამიტომ ქართველთაც გამოიყვანეს თავიანთი ლაშქარი და ათაბაგის სარდლობით ესენი მალე წავიდენ ოსმალეთში და შეუერთდენ იქ მოსულთ ევროპის ქრისტიანთ ჯარის კაცთა. აქ ამ დროს ევროპის მეომართა დიდი გმირობა აღმოიჩინეს, ნამეტურ ქართველთა. ქართველნი ისე ოსტატურად და მამაცურად იბრძოდენ, რომ ამათგან ასი კაციც არ მომკვდარა, მთელი ევროპის ჯარი გაკვირდა ქართველთ მხნეობაზე და მამაცობაზე. ომის შემდეგ ქართველნი საქართველოში უვნებლათ დაბრუნდენ და შინ თითქმის მშვიდობით მოვიდენ. ქართველთ სცნეს კლარჯელთ და ათაბაგის მშვიდობით დაბრუნება. იმერთ ბატონიშვილს ბაგრატს ათაბაგთან უსიამოვნო კავშირი ჰქონდა და ამიტომ ამას დიდათ ეწყინა, რომ ათაბაგი თავის ქართველ ლაშქრით მშვიდობით დაბრუნდა. სწყინდა მით უფრო, რადგანაც ათაბაგი ქართლის მეფეს დაუხლოვდა. ამათში მეგობრობა ჩამოვარდა და ქართლის მეფემაც გააყოლა ათაბაგს ოსმალში თავის ლაშქარი. ბაგრატმა ათაბაგს შური აგო და ამათში წერილების მიწერ-მოწერა გაიმართა. იმერთ ბატონიშვილმა ძველი ხრიკები მოიგონა, ათაბაგს გაახსენა მისი მამის ორგულობა და იმერეთზედ გალაშქრება. იმერთ ბატონმა სამეგრელოს და გურიის მთავრები მიიწვია თავისკენ და ათაბაგს ომი აუტეხეს სრულიად უმიზეზოთ თითქმის, სრულიად უკანონოთ და უზრდელურათ. ქართველთა სწყვიტეს ქართველნი, იმერთ უნამუსო ბატონისა და მთავრების მეოხებით ქართველთა ჟლიტეს ერთმანერთი. ორსავ მხარეს მოსწყდა დიდი ძალი გლეხ-კაცობა. თვით ათაბაგიც მხნეთ იბრძოდა, მაგრამ ბოლოს მაინც იძლია. იმერ-

ლებმა ტყვეთ წაიყვანეს ათაბაგიც და პატიმარი ჰყვეს გელათში. ამ პატიმრობაში მიიცვალა კიდეც **1537** წელს. ამის მიცვალების შემდეგ სამცხის ბატონათ იმერთ ბატონი გამოცხადდა, რადგანაც სამცხეს დამორჩილებულათ სთვლიდნენ და იმერეთთან შეერთებულათ. ეს საქმეები ზოგთ დიდებულთ მოსწონდათ და ზოგს კი არა. ათაბაგის ძეს კი, ქაიხოსროს, ძრიელ ჯავრი მოსდიოდა და მეცადინეობდა სამთავროს აღდგენას.

ათაბაგის ძე მალე სტამბოლში წავიდა დახმარების საოხოვნელათ. ოსმალთ შეისმინეს ამის თხოვნა და ამას ლაშქარი მისცეს დასახმარებლათ, რადგანაც ქართველთა ერთობა ამათ ძლიერ სძულდათ და უნდოდათ, რომ საქართველო თითო სამთავროთ ყოფილიყო დანაწილებული, რის მეოხებითაც უფრო ისარგებლებდენ და დარღვეულ ერთობის მექონ ერს და ქვეყანას უფრო ადვილათ დაიჭერდენ. ათაბაგი მალე მოვიდა კლარჯეთში, თან მოიყვანა ოსმალოს ლაშქარი და ბაგრატს შეება, მაგრამ ბრძოლაში ვერას გახდა, ბაგრატმა გაიმარჯვა, ოსმალთ ლაშქარი განდევნა და თვით ათაბეგის ძესაც დაჭერას უპირებდა. ქაიხოსრომ თავს უშველა და აქა იქ ჩუმათ დახტოდა და საქმეს იმზადებდა, მაგრამ ამას ადვილათ ვერ ახერხებდა. ბაგრატი სამცხეს გარდა მიუხტა ჭანეთს, ოსმალნი განაძევა და თვითონ დაიჭირა. მაგრამ სიშორის გამო ბაგრატმა ჭანეთის პატრონობა არ ინდომა და ეს მხარე მან გურიელს ჩააბარა. ამათ პირობაც ასე ჰქონიყოთ დადებული, რომ თუ ათაბაგი ვძლიეთ და საათაბაგო შევიერთეთ, მაშინ ჭანეთი გურიელს ჩაბარდესო. სამცხის მებატონეთა დიდათ იუკადრისეს ამ ერთობისთვის, ესენი მოუსაზრებელის ოცნებებით აღიბარგენ და სწუხდენ მასზე, რომ სამცხე ბაგრატმა რათ შეიერთა, ჩვენ რათ დაგვიმორჩილაო. ამათ განიძრახეს ბაგრატის ღალატი და ახლად შეერთებული კავშირის დარღვევა. ესენი ფხიზლად მეცადინეობდენ ბაგრატის სავნოთ და ქვეყნის დასალუპათ. ერთი ამ მტერ გამცემ

პირთაგანი, გვარად შალიკაშვილი, უფრო მეტის ღალატით და მტეროობით აღმოჩნდა. ამან მიიკედლა ათაბაგი თვისკენ და მალე სტამბოლში წავიდა, თან წაიყვანა ათაბაგი, წარსდგა სულთნის წინაშე და დიდის მტეროობით და ბოროტის ამბებით დააბეზღა იმერთ ბატონი ბაგრატი. მოახსენა შალიკაშვილმა, რომ ბაგრატმა ყოველივე ეს უბედურება თქვენის ერთგულეგის გამო მიაყენა ათაბაგსაო. ომში ათაბაგი ტყვეთ იპყრა, პატიმარ ჰყო, პატიმრობაში მოჰკლა და მას შედეგ საათაბაგო მან დაიჩემაო. ბევრი კიდევ სხვა საღალატო საქმეები ასმინა ამ ქვეყნის და ერის მოღალატე გვამმა. ასეთის მტერ-მოღალატე გვამებით მაშინ სავსე იყო მთელი საქართველო.

შალიკაშვილის დაბეზღებით სულთანი სასტიკათ აღელდა. ამან საჩქაროთ წამოავლინა უკანვე და თან გამოაყოლა ოსმალოს ლაშქარი, 1541 წ. ესენი მობნელდენ საქართველოში და ბაგრატს გაუმართეს ომი, ორსავ მხარეს მოსწყდა დიდი ძალი ქართველობა. ამ ომში დიდი გმირობა გამოიჩინეს აჭარლებმა და მარადიდელებმა. ამათ მედგრათ შემართეს ხელი და მტერი მალე დასცეს, მთლათ უკუ აქციეს, საზღვარს გადარეკეს და საქართველოს მტრებიც სასტიკათ შეარცხვინეს. დამარცხების ამბავი სულთანმა მალე შეიტყო და მას ეს ძრიელ ეწყინა, ამან დაიწყო საქართველოზე აღბორგება, მალე ამათ ქართველებში მოღალატე გამცემლებს დაუწყეს ძებნა და ასეთი პირები ბევრიც იპოვნეს. შალიკაშვილმა და სხვათა გამცემთა ყველაფერი საქმეები აცნობეს. სულთანი დაიმედდა. ამან შეკრიბა დიდი ძალი ლაშქარი, ბევრი ფაშები და ყველა ესენი მალე გამოისტუმრა საქართველოში, მტერს წინ შალიკაშვილი მოუძღოდა და სხვა ქათველი მოღალატე თავადიშვილები. უპირველესი ადგილი გამცემლობაში შალიკაშვილს ეკავა. ნეტა რამ გადაამტერა ეს ბოროტი საქართველოზე ასე, რამ გააუნამუსოვა და დაღუპა! წყეულ-შეჩვენებულ იყოს მისი სახელი და ხსენება.

ოსმალეთიდან მომავალს თათრის ჯარს გზაში შეემატენ

დიარბეკირის და არზრუმის ჯარებიც თავიანთის ფაშებით. ესენი მალე მოადგენ საქართველოს. ლუარსაბ მეფე და ბაგრატ ბატონიშვილი ერთათ შეითქვენ და 1545 წ. ომიც დაიწყეს. ლუარსაბი და ბაგრატი ბასიანსა და სოხასტზე ორს ფაშას შეებენ. სხვანი კიდევ სხვა მხრით ეომებოდენ ქართველთ, ქართველნი ფირცხელ ომობდენ, მაგრამ ვერა გაიწყეს-რა იძლივენ უწყალოთ და მოისრენ მთლათ. ოსმალთ დაიჭირეს სამცხე და ფეხი გაიმაგრეს. მტერმა მიტომ უფრო გაიმარჯვა, რომ ამ გასაჭირს დროში შინაურებში ძრიელ ბევრნი აღმოჩნდენ მოღალატეები, რომელნიც ათაბაგის მომხრენი იყვენ და ამიტომ ღალატობდნენ ქართველთ, რომ ამით ეხემძღვანლათ და შემდეგ ათაბაგი დამჯდარიყო მთავრათ ოსმალთა მეოხებით. ამათ აღუსრულდათ გულის წადილი, მტერმა გაიმარჯვა და გამარჯვების და დამორჩილების შემდეგ ათაბაგათ ქაიხოსრო გამოაცხადეს. ჯავახეთს, აჭარას და სხვა ადგილებს წინეთ ბევრი ომები და შეწუხება გამოევლო, მაგრამ ასეთი თავზარდამცემი მოვლენანი კი არას დროს. ქაიხოსრომ ოსმალთა სრული მონება აღიარა, ოსმალნი მალე წავიდენ უკანვე. სამცხის ბატონათ ქაიხოსრო იქმნა, ეს ხან სამცხეში სცხოვრობდა და ხან აჭარაში.

ლუარსაბი და ბაგრატი ძრიელ მღელვარებდენ იმ გაჭირვებისა და შეწუხების გამო, რაც კი საქართველოს მოადგა კარს ათაბაგის, შალიკაშვილის და სხვათა გამცემლების მეოხებით. ბაგრატმა განიზრახა ათაბაგის დამარცხება და საათაბაგოს სამუდამოთ დაპყრობა. 1546 წ. ბაგრატი მეორეთ დაეცა სამცხეს, ომი გამართა, მაგრამ ველარაფერი გააწყეს, ოსმალთ ყველაფერი მოედრიკათ და დაოემონებინათ. ამ დროს ხელახლა აღაოხრეს ეკკლესიები და ნამეტურ აწყურის ტაძარი, აწყურის ღვთისმშობლის ხატი ციხის ჯვარს წაასვენეს. ასევე სხვა-და-სხვა ეკკლესიებიდან, თორემ ოსმალთაგან ცარცვა-გლეჯა ერთობ წინ იყო წასული. შალიკაშვილი აქ შავდებოდა. ამას ძრიელ ეშინოდა იმერთ ბატო

ნის და ქართლის მეფის. ეშინოდა მიტომ უფრო, რომ ღა ლატი შემიტყვესო ოდესმე თუ ესენი გაძლიერდენ, მე კაი დღეს არ დამაყენებენო ეს ხელახლა გაიქცა სტამბოლში, მა- ლე წადგა სულთნის წინაშე და მოახსენა ბევრი რამ სალალა- ტო ჭორები იმერთა ბატონის შესახებ, მაგრამ სულთანი მაინც ვერ დასძრა. ოსმალთ ამისთვის არ სცალოდათ. შალი- კაშვილი შერცხვენილი და კუდ ამოძუებული დარჩა. სამცხე- ში დროებით სისხლის ღვრა და ომები შეჩერდა. სოფლის მცხოვრებთ იწყეს სახლ-კარის გაშენება, ფეხის გამაგრება, მეურნეობის მართვა და ცხოვრების აყვავება. საცა დაქცეული ეკკლესიები იყო მათაც გამაგრება და აღშენება დაუწყეს. ხალხს დიდათ უხაროდა, პატარა ხანს მოისვენეს ამათ სისხ- ლის ღვრისაგან და ამის მეოხებით ხალხით აბიბინდა სამცხე და სხვა ადგილები, გაივსო ყოველი ხეობა და დაბა მცხოვ- რებთა რიცხვით და გამრავლება იწყეს პირუტყვთა, ფრინ- ველთა და სხვათა სახმართა საჭირო სურსათთა. მაგრამ ასე- თი ბედნიერება კლარჯელთათვის დიდი ხნის სტუმარი არ იყო. შინაურ მტერთ ვერ მომრევ ქართლის ბატონიშვილე- ბი ლუარსაბ და ლევან მესხთა დაიმეგობრეს და **1549 წ.** ამათ სპარსთა სამზღვრებზე სპარსებს უწყეს რბევა. ამ რბე- ვამ და თავ-დასხმამ ძრიელ ააღელვა სპარსთა მფლობელი. ნე- ტა ქართველთ მეფეთ რა საქმე ჰქონდათ, რომ მესხთა მეო- ხებით სპარსთა საზღვრებს ეცენ დასარბევათ, რათ ჩაიდი- ნეს ასეთი მოუსაზრებლობა და რატომ აჰყვენ ათაბაგის რჩევას, რათ მოტყუვდენ? ეს იყო ოსმალთ მომხრე ქართ- ველთ მოღალატეთა პოლიტიკა. მიტომ, რომ ქართველთ ასეთი მოუფიქრებელი ამხედრება იაფათ არ დაუჯდებო- დათ.

რამდენიმე ხნის შემდეგ სპარსეთში გაძლიერდა კაცთა უბრალოთ მმუსვრელი შაჰ-თამაზი, ეს შეუბრალებლათ ხალ- ხის მწყვეტი, და ოსმალნი ერთმანეთს გადაეკიდენ. სპარსთა მეტათ იწყეს განდიდება და ოსმალთ დასუსტება. **1549 წ.**

შაჰ თამაზი საქართველოზე დაიძრა და წამოვიდა დიდის ჯარით. მალე ყარაბაღს მოვიდა, აქ მას მიეგება ლეონ მეფე და მორიგება ჩამოაგდეს. შაჰ-თამაზი უკან დაბრუნდა, თან გაჰყვა ლეონ მეფეც. შირვანისკენ ამათ ომი მოუხდათ და გულისტანი დაიჭირეს. შირვანის შემდეგ ისევ ქართლზე წამოვიდა, თბილისს მოვიდა და დაიჭირა. აქედან ათაბაგს ეძრახა, ქალი ცოლათ გამოართო და წარვიდა. ამ წელს იმერთ ბატონი ბაგრატი მიიცვალა, ამის ალაგას დაჯდა ძე ამისი გიორგი. ბაგრატს კლარჯელნი კარგათ იცნობდენ. ოსმალთ ყოველივე ამბები სცნეს ქართლის, სათაბაგოს და სპარსეთის, ესენი მალე მოვიდენ კლარჯეთში, ტაო მთლათ დაიჭირეს. ლივანაში გადმოვიდენ ლაზისტანიდან, არდანუჯისკენ ყარსიდან. ქართველთ დაუწყეს სასტიკათ დევნა. ამ დროს მიეცა აოხრებას დიდებული ტბეთი, სხალტა, ოპიზა და სხვანი. ზოგიერთი ხეობანი კი დაშთენ თავისუფლად და იქ ოსმალთ ფეხი ვერ შედგეს. ოსმალთ ფიცხელად იწყეს აქ გამაგრება და მოშენება. 1552 წ. არტანუჯიდან არსიანამდე დაიმონეს, ფანავრი აღაშენეს, აჭარაში კი ვერ გადავიდენ. ოსმალთ აქ თავიანთ მომხრეებიც აღმოუჩნდენ და ათაბაგის შესახებ ბევრ რამეს ასმენდენ მათ. ოსმალთ შემოსევის ამბავი შაჰ-თამაზმა მალე სცნა. 1553 წელს ეს წამოვიდა საქართველოში, ქართლი მოვლო. ზეზაში ათაბაგი მიეგება. თმოგვი, ვანის ქვაბნი, აწყვერი, ასპინძა და სამცხე დაიჭირა ქაიხოსროს აწყვერი მისცა. ოსმალთა განდევნის შემდეგ შაჰ-თამაზი სამხრეთ საქართველოსკენ სომხეთისკენ გაემართა. ამ დროის ქართველებში მოღალატეთ აღმოჩნდენ თავადნი შერმაზინ და ვახუშტი დიასამიძენი. ესენი წავიდენ ხონთქართან. ათაბაგის და სხვების ყოველივე საიდუმლოება ასმინეს, ოსმალნი აღამხედრეს და სამცხეში მოიყვანეს. ამ დროს სპარსთა ძალაც იყო სამცხეში, ოსმალნი შეებნენ სპარსთ და სპარსელნი დაამარცხეს. სპარსელთ ქართლის იმედი ჰქონდათ. მაგრამ ქართველნი არ მიეშველენ, ძლეულნი სპარსნი გაჯავრებულნი ქართლზე დაბრუნდენ და ქართველთ გაუმართეს

ომი. ქართლი მთლათ აიკლეს. ატენის ციხიდან ლუარსაბის დედა გამოიყვანეს და ტყვეთ წაიყვანეს. ამ უბედურების მეოხება იყო, რომ 1558 წ. ლუარსაბ მეფე სპარსელებმა მოკლეს, რომლის შემდეგაც გამეფდა სახელოვანი სვიმონი.

ოსმალთ თუმც განდევნეს სპარსნი სამცხიდან, მაგრამ არც თვით დარჩენ დიდხანს აქ, რადგანაც შუაგულ ოსმალეთში და სტამბოლს იქით სხვადასხვა ქრისტიანები ებრძოდენ და ამათ ოსმლთ საქმეც დიდათ გაუჭირვეს. ოსმალეთი კინაღამ დასცეს, ისე დაამდაბლეს და აიკლეს ბევრი რამ ოსმალებისა. ოსმალთა უძლურების ამბები ათაბაგის ყურამდისაც მალე მოვიდა. ათაბაგი ძლიერ შეშინდა, ეს ჩავარდა ფიქრებში, ამან მალე იხმო ზოგიერთი დიდებულები და მათთან რჩევა-თათბირი დაიწყო. თუ ოსმალეთი დაეცა მერე ჩვენ რაღა ვქნათო,ვ აითუ ჩვენ ქართლელებმა, ან იმერეთ დაგვიჭირონო. ამათ გარდასწყვიტეს სპარსეთთან დამეგობრება, კაცების გაგზავნა და მფარველობის თხოვნა. მოციქულნი მალე წავიდენ სპარსეთში, ესენი წარსდგენ შაჰ-თამაზის წინაშე და მოახსენეს: —„რადგანაც თქვენ ძლიერი მეფე ბრძანდებით და მოწყალე ყოველთა, ამიტომ წამობრძანდით ჩვენსკენ, დახმარება მოგვეცით, ჩვენ თქვენის დახმარებით ოსმალთ განვდევნით და მერე მთელს საქართველოს თქვენ დაგიმორჩილებთ. შაჰ-თამაზს ეს ამბავი ძლიერ ესიამოვნა. ის მალე გამოემართა საქართველოსკენ. ვიდრე შაჰ-თამაზი საქართველოში მოვიდოდა, მინამდე ქართველთ გიმცემთაგან ყოველივე შეიტყო, ამას ჯავრი მიუვიდა, ქართველნი გადამიდგენო. მალე ამხედრდა და დიდის ლაშქრით სამცხეში წამოვიდა. ქართველთა ეს ამხედრება მალე შეიტყვეს, შაჰ-თამაზი ჯერ მოსული არ იყო საქართველოში. სამცხეს დიდებული კრება მოახდინეს და მალე შაჰ-თამაზს კაცები წაუგზავნეს და შეუთვალეს. დღეს თუ ხვალ ხონთქრის ლაშქარი მოვა აქა და ჩვენ აგვიკლებს, ამიტომ, გეევედრებით. რომ დახმარება მალე აღმოგვიჩინო და დაგვიხსნათ უბედურებისაგან. მოციქულები მალე ჩავიდენ სპარსეთში და შაჰ-თამაზს ყოველივე მოახსენეს. ამან

საჩქაროთ მხედრობა მოამზადა. სარდლათ თავისი შვილი შაჰ-ისმაილი დაუნიშნა და ესენი ერთობ მალე გამოგზავნა სამცხეში ქართველთ დასახმარებლათ.

სპარსეთის ჯარი სამცხეში მოვიდა, ამ დროს მთელი სამცხე ოსმალებით იყო სავსე. ყოველი დაბა და სოფელი დიდის მორჩილების ქვეშ ჰყვანდათ. ათაბაგი ობლათ იყო და არაფერი ეკითხებოდა. ეს მიეკედალა შაჰ-ისმაილს და ამის მეოხებით ჰფიქრობდა მთავროობის აღდგენას, მაგრამ ვერც მიკედლებას ახერხებდა ადვილათ. ამას ერთი მტრისაც ეშინოდა და მეორისაც. რამდენიმე დღის შემდეგ კი ამას ერთმაც დაუწყო წეწვა და მეორემაც. ყველა იმას ეუბნებოდა, რომ მე მომემხარე. მას არ მიემხრო თორემ მე გავიმარჯვებ და ბოლოს შენც შეგანანებო. ათაბაგი ჩავარდა ორნაირს ცეცხლში და აღარ იცოდა რა ექნა. ქართველობაც სასტიკათ დაეცა ამდენის უბედურების და ხოცვა-ჟლეტისაგან. 1558 წ. ოსმალ-სპარსთ გაჰმართეს ომი და ამ ომის მეოხებით პირქვე დაამხეს საქართველო. ერთიცა და მეორენიც სწვამდენ სამცხის სოფლებს, დაბებს, ციხეებს და კოშკებს, აქცევდენ ყველა მაგარ საომარ ციხეებს და ადგილებს. ამ დროს შეიმუსრენ ზარბზმა, საშარა და ვარძია, არსად აღარაფერი დარჩა შეუმუსრავი და დაურღვეველი. ბევრ ალაგას მთლად დააქციეს ეკკლესიები, ბევრ ალაგას ბერებიც ხოცეს და ყმაწვილებიიტაცეს ერთმანეთის გაჯავრებით, ბევრის ვაი-ვაგლახის შემდეგ სპარსელებმა სძლიეს ოსმალნი და განდევნეს, კლარჯეთი გაანთავისუფლეს და ათაბაგს მისცეს გამგეობა. საათაბაგომ შაჰ-ისმაილის წინ თავი მოიდრიკა, ქვეშევრდომობა და ერგულება განუცხადა. შაჰისმაილი მალე სპარსეთს დაბრუნდა, ამან თან წაიყვანა დიდძალი ქართველთ ლამაზი ქალ-ვაჟნი და იქ ესენი სპარსეთის უმაღლეს პირებს საჩუქრათ დაურიგეს. კლარჯეთის საქმე პატარა დაწყნარდა, ერმა იწყო მოშენება და აყვავება. აქა იქ სიცოცხლის ნიშნები და მხიარულება მოიფინა. 1560 წლებში ათაბაგმა დაქცეული ნაშთების აღდგენა იწყო და აქა-იქ შეწირულებაც დაუწყო. 1562 წ. ათაბაგმა

აწყურში გაამაგრა აწყვერის ძველი ციხე. ქართველთ გაძალუ-ანება და გამაგრება ოსმალთ არ ასვენებდა. ამათ ქართველებისა ჯავრიც სჭირდათ, რომ ჩვენ გადაგვიდგენ და სპარსელთ მიემხრენო და ამიტომ ამათ მალე განიზრახეს ქართველებზე ამხედრება, ჯავრის ამოყრა და მთელი სამცხის ფერფლად ქცევა, მთელი საქართველოს დამორჩილება და მერე ამათი გათათრება. ვიდრე ჩვენ მათ არ გავათათრებთ ისევე, როგორც ყარსი, ტაოსკარი, ოლთისი და სხვანი. მინამდისინ ქართველნი ჩვენ წინააღმდეგ არ დაწყნარდებიან და ყოველთვის ასეთი ომი და ოდიგრები ექნებათო. ამ ჰაზრებით გამსჭვალული ოსმალნი სამცხეს მალე მოადგენ, ომი დაიწყეს, ხალხს დაუწყეს უწყალოთ ჟლეტა-წყვეტა და ანიავება. ამ დროს ხალხმა დიდი მწუხარება გამოიარა, დიდი განსაცდელი და დიდი უბედურება.

ახ, საბრალო საქართველოვ და ქართველებო, მაცხოვრის მსგავსად წამებულო და დატანჯულო, თვით მაცხოვრის სწავლის მფარველობის მეოხებით! რომელი ერთი ამბავი ამოიკითხოს კაცმა შენის ისტორიიდან, რომ იმას გულ-ღვიძლები ცეცხლით არ დაეწოს და ცხარე ცრემლი არ დაღვაროს. დღე და ღამე ქრისტიანობისთვის სისხლს ღვრიდი, მის მცნებას უბრალოთ არვის უთმობდი, მართლმადიდებლობით გატაცებული თვით ქრისტიან კათოლიკეთა და სომხებსაც კი ეკამათებოდი, იცავდი და ინახავდი ყველაფერს სუფთათ, წმიდათ და ფაქიზათ, მაგრამ როცა შენს სამშობლო ქვეყანას მტერი ევლინებოდა და იმორჩილებდა, როცა შენს საუკეთესო ტაძრებს ესენი ანგრევ-აქცევდენ და სპობდენ თვის წერაქ ქვეშ, მაშინ კი შენს საშველ დასახმარათ და ამ მართალმადიდებელთ ძეგლ შთენთ დასაფარათ არაფერი საშველი ღონის-ძიება არ ჩნდებოდა და შენ არავინ გიფარავდა. აქ არც ქრისტე ჩამოდიოდა, რომელის მოძღვრებისთვისაც შენ შენს შვილებს უწყალოთ ხოცავდი და სწირავდი, არც სხვა წმიდანები მოდიოდენ, შენს მტერებს არვინ რაჯ ერჩოდენ და

ესენი ყველა ჩვენს წმიდა ნაშთებს თავისუფლათ იღებდენ და იმორჩილებდენ. მაშინ აღარც მართლმადიდებლობა გშველოდა, არც მაცხოვრის სწავლა და ყველაფერი გაუქმებას ეძლეოდა...

ოსმალთა სამცხე დიდათ შებოჭეს, მალე ამათ აქა-იქ ქართველობას გათათრებაც დაუწყეს მაგრამ ნება-ყოფლობით, ძალას არავის ატანდენ. ესენი ბევრს ფულით შეისყიდიდენ ხოლმე და ისე ათათრებდენ. ამათ დიდს პატივსაც ანიჭებდენ. სამღვდელოებას შემცირება დაუწყეს და პატივის აყრაც. ათაბაგი ამაების გამო ძლიერ შეშინდა. ეს ნაყოფი გამოიღო ქართველთა უკულმართმა ხვნა და თესვამ. ეს საჩუქარი და ბედი მოევლინა კლარჯეთს ქართველთა დიდებულთა მეოხებით, ამათის აქა იქ ხეტიალით, გამცემლობით, ქვეყნის ღალატით და ორგულობით. ასეთი მოღალატე პირები გაიძვეროობით. კლარჯეთი სასტიკათ შეაწუხეს ოსმალთა, ათაბაგსაც გაუჭირვეს საქმე. ათაბაგი და მთელი აქაური დიდებულები დიდს ფიქრსა და დარდში ჩავარდენ. ამათ გარდასწყვიტეს სპარსეთში წასვლა წინაშე შაჰ-ისმაილისა და დახმარების თხოვნა, თორემ ოსმალნი მთლათ მოგვსპობენო. სპარსეთში თვით ათაბაგი წავიდა, ნახა შაჰ-ისმაილი, მიართვა ფეშქაშათ წაყვანილი გოგო-ბიჭები და თან დიდი დახმარებაც სთხოვა. შაჰ-ისმაილმა პირობა მისცა, ათაბაგი მალე გამოისტუმრა საქართველოში, მეც მალე წამოვალო. ათაბეგს მგზავრობა ყაზმინისკენ მოუხდა, ეს აქ ჩამოხტა, მგზავრობისაგან ავათ ვახთა და ამავე ქალაქში მიიცვალა **1573** წ.

ათაბაგს დარჩა სამი ძე: ყვარყვარე, მანუჩარი და ბექა. ათაბაგათ ყვარყვარე იქმნა. ჩვენის ისტორიის თქმით ყვარყვარიყო „ამაყი, გლისპი. მრისხანე და გაუშინჯავი, თუმცაღა ათაბაგობდა ყვარყვარე, მაგრამ დედა მისი დედის იმედი და ვარაზ ოთარისძის შალიკაშვილის ძე იყვენ გამგებელ და მომქმედ ყოვლისავე საქმისა მუნებურისა“. ყვარყვარე ათაბაგი სხვადასხვა ფიქრებში ჩავარდა, ამან არ იცოდა რა ექმნა და საქმე

როგორ დაეჭირა და მოეგვარებინა. სპარსეთის დიდი მორიდება ჰქონდა, რადგანაც ამის მამა მათ მფარველობას ეძებდა და ამისთვის სათხოვნელათაც წავიდა, იგი გზაში გარდაიცვალა, ოსმალების შიშიც ჰქონდა და არ იცოდა რა გზას დამდგარიყო. ამან მალე ისევ ოსმალთ წინაშე მოიხარა თავი და ერთგულება შეჰფიცა. ოსმალთაც ეს უნდოდათ. ამათ უთხრეს, შენ. ოღონდ ჩვენი ერთგული იყავი და ომის და აკლების ფიქრი და შიში ნუ გაქვს. სპარსეთს ნებას არ მივსცემთ, რომ შენ რამე გავნოს. ყვარყვარე დაემორჩილა მათ ბრძანებას და ერთგულებას დაადგა. ოსმალთ აქა-იქ იწყეს მაჰმადიანობის აშკარათ გავრცელება და ქართველების გადაყვანა თვისკენ, ოსმალების ასეთ საქციელს მრავალნი მწუხარებით უმზერდენ, მაგრამ რას ვააწყობდენ. ველარაფერს. ოსმალთ ისე შებოჭეს ქართველნი და შებოჭეს უფრო შინაურ ქართველთა მოღალატეთა მეოხებით. მაჰმადის სარწმუნოების გავრცელება თავისუფლად იწყეს, ამისთვის ქართული ენის მცოდნე მქადაგებლები გამოგზავნეს და ესენი ქადაგებდენ ხალხში მაჰმადიანობის პატივისცემას და მნიშვნელობას.

როდესაც ქაიხოსრო ათაბაგი ყაზმინში გარდაცვალება შაჰ-თამაზმა შეიტყო, მან გალაშქრებას თავი გაანება და სამცხეზე წამოსვლა იქით გადასდო, რადგანაც მას კახეთიდან მოუვიდა ქართველთ მოღალატე გამცემნი და აუწყეს რომ კახეთის მეფე ალექსანდრე გღალატობს შენაო. შაჰ-თამაზისთვის კახეთი შეიქმნა სამტროთ, დასამხობათ და არა სამცხე. ყეინი მალე გამოემართა განჯის დასამორჩილებლად, განჯიდან კახეთს უნდა დასცეოდა და მთელი მხარე უნდა აეკლო, თავისი რისხვა უნდა მიეყენებინა მათთვის. მეფის ალექსანდრეს დროს ცხოვრობდა ამის თანამედროვე პირი ოთარ ჩოლოყაშვილი, რომელიც იმ დროს დიდათ სახელოვანი იყო და რჩეული. ამან მოიგონა ერთნაირი არა მოსაწონარი ხერხი, რაის მეოხებითაც იმედოვნებდა, რომ იქნება ამით კახეთს თავის განსაცდელი ასცდესო. იმან სამცხის ათაბაგის მეუღლე, დედის იმედს, წერილი მისწერა და შეუთვალა საჩქაროთ ასე: შაჰ-

თამაზი სამცხეში მოდის, ამას-ჰსურს, შენ და შენი შვილები სრულიად ამოგწყვიტოს და ათაბაგობა თავის ცოლის ძმას ვარაზ ოთარის ძე შალიკაშვილს მისცეს. ესწრაფე, რომ მოჰ-კლა, ვიდრე ყეინი მანდ მოვა, თორემ საქმე ცუდათ აღგი-სრულდებაო.

ათაბაგის მეუღლემ წერილი მიიღო, ეს დიდათ განცვიფ-რდა ამაზე და აღარავის რა ჰკითხა. პირდაპირ შალიკაშვილის საქმეს შეუდგა. ეს მალეც შოაკვლევინა, ასე აღსრულდა სი-ცოცხლე იმ გამოჩენილის მოღალატე შალიკაშვილისა, რო-მელიც ერთ დროს საქართველოს მტერს წინ მიუძღვოდა და თავის სამშობლო ქვეყნის დაქცევ-დაღუპვას ლამობდა. საქ-მე ისე წარემართა, რომ შალიკაშვილის სიკვდილი მისმა სი-ძემ, შაჰ-თამაზმა, ერთობ მალე სცნა, ამან იმის გამო განჯის აღების შემდეგ კახეთზე გალაშქრებას და მოოხრებას თავი გაანება და განჯიდან თრიალეთის გზით პირდაპირ კლარჯე-თისკენ წავიდა. მალე სამცხეში ჩავიდა და კახეთზე განმზადე-ბული რისხვა სამცხეს მიაყენა, «მოოხრა მთლათ სამცხე და ტყვე ჰყვნა, გარნა უმეტესოცზე». აიკლო მრავალი დაბანი, დააქცია ეკლესიები, ზარზმა გააუქმა, რამდენიმე ბერი დააღ-რჩო, ასეთივე შავი დღე მიაყენა საფარას, ვარძიას, სხალტას და მრავალთაც სხვადასხვა ტაძრების და მონასტრების მფარ-ველ მღვდელთა და მონაზონთა. ათბაგის მეუღლე შვილები-თურთ აჭარაში გადავიდა და ზენდიდის ციხეში შეაფარა თავი. ზენდიდის ციხე მაშინ მთლათ იდგა, აჭარაში დიდათ განთქმული იყო, კედლები მისი მეტათ სქელი და ყოვლათ უშიშარნი. ესენი ჰფიქრობდენ: სპარსნი თუ გაძლიერდენ და აჭარაში გადმოვიდენ, მაშინ ჩვენ აქედან გავუმართავთ ბრძოლასაო. აქ დედის იმედს და ყვარყვარეს დიდი დახმა-რება მისცეს ზენდიდის მებატონე თავადთა პირფარეშის ძეებ-მა, რომელთაც ეჭირათ ამ მხრის გამგეობა, მთლათ ციხე და ომის საქმეებიც. პირფარეშის ძენი XII საუკ. აღორძინდენ აქ, თამარ მეფისგან დაჯილდოვებულ იქნენ გვარიშვილო-

ბით და ნიშნათ ერთგულობისა ამათ ჩაჰბარდა აჭარა და ზენ-
დიდის ციხე. რომელნიმე ამათგანი ძველათ დიასამიძეთ იწო-
დებოდენ, პირფარეშის ძეობა კი თამარ მეფისგან მიიღეს
ამათ. პირფარეშის ძენი მხნეთ მოქმედებდენ, ამათ შეკრი-
ბეს მთელი აჭარის ვაჟკაცობა, ნამეტურ სახალხო გმირები
და სხვადასხვა მებატონეები და რჩევა ქმნეს ზენდიდში, რომ
თუ შაჰ-თამაზი შემოვიდეს და გვეომოს, მაშინ ყველა ჩვენ-
თაგანი მოკვდეს საქართველოსთვისო. ყველამ ფიცი მისცეს,
ვინც საქართველოს უღალატოს ის შერცხვენილ იქმნეს და
შეჩვენებულიო. ეს შემთხვევები **1575—1576** წლებში მოხდა.

სპარსთა აიღეს მთელი მხარე, უკანასკნელ აჭარაშიაც
გადვიდენ, აქ დიდი ომი გამართეს, ამ ომში მოსწყდა საუ-
კეთესო ვაჟკაცობა აჭარელთა, მოსწყდენ რამდენიმე ძმანი
დიასამიძე-პირფერეშის ძეთა. სპარსთ სძლიეს, მაგრამ არც ამათ
დაადგათ, კაი დღე. ათაბაგმა და მისმა დედამ ომის დაწყების
წინეთ სულთანს შიკრიკები გაუგზავნეს, სპარსთა შემოსევა
აუწყეს და ამასთანავე დახმარებაც სთხოვეს. ოსმალნი მალე
მოვიდნენ კლარჯეთში, ამით ყველაფერი სპარსთაგან დამორჩი-
ლებული და გაოხრებული დახვდათ, ამათ ომი აღარ ინდო-
მეს, საქმე მორიგებით გაათავეს. სპარსთა კლარჯეთი ოსმალთ
დაუთმეს, ყოველივე ჩააბარეს და თვითონ კი სპარსეთისაკენ
განიზრახეს წასვლა. ამათ თან წაიყვანეს დიდი ძალი ქართ-
ველთ ლამაზი ქალ ვაჟნი, რომელნიც შემდეგ დროებში სპარ-
სთა დიდკაცის სახლებში დარიგებულ და დაყიდულ იქმენ
კარგ ფასზე. ოთარ ჩოლოყაშვილის საქციელმა და მოუსაზ-
რებელმა მოხერხებამ კახეთს მაინც ვერ ააცილა თვისი უბე-
დური განსაცდელი. მტერმა ჯერეთ ერთი მხარე აიკლო, აანი-
ავა და როცა აქ გაძღა ქართველთ ჟლეტა წყვეტით, მერე
მეორეს მიადგა, ე. ი. კახეთს და ამასაც მიაყენა თავის რის-
ხვა და უბედურება. ეს ნაყოფი გამოიღო იმ დროის განცალ-
კევებულ ქართველთა ბრძოლა-მეცადინეობამა. სამცხე და კახე-
თი რომ ერთათ შეერთებულიყვენ და მტერს ისე დახვედრი-

ყვნენ, ეჭვი არ უნდა, რომ მაშინ მტერი ვერას გააწყობდა, მაგრამ ქართველთ დიდებულებს ასეთ ერთობის ნატვრა სულ არ ჰქონდათ, ესენი თვითოეული ცალ ცალკე იბრძოდენ თავის დასაცველათ და ამის მეოხებით მტრის წინაშე ვერას აწყობდენ, რადგანაც მტერი ყოველთვის ერთობით ეცემოდა ხოლმე მათა და ანიავებდა.

ოსმალთ სამცხე მაგრა დაიჭირეს, დედის იმედი ციხიდან გამოვიდა, ამათ თხოვნას ოსმალთ პირი არიდეს, ოსმალთ სპარსთა პირობები უთხრეს, მათგან ჩვენ გაგანთავისუფლებთ, ამიტომ ჩვენი სურვილი არის, რომ მთელი საათაბაგო უნდა გათათრდესო. ქართველთ დააიმედეს, ამას პატარა შეცდა უნდა და სამზადისიო. ცოტა ხანს დაგვაცადეთ და მერე ყველაფერი მოხერხდებაო. დაიმედებულ ოსმალნი უკანვე დაბრუნდენ და ათაბაგობა ისევე ყვარყვარეს მისცეს. ოსმალთ წასვლის შემდეგ ქართველთ თათბირი იწყეს და სჯულის გამოცვლა ძრიელ ემძიმებოდათ. ამათ განიზრახეს ოსმალთაგან განდგომა და ქართლისკენ მიმხრობა. ამ დროს თფილისში სპარსთაგან გაჰმამადიანებული დოუთ ხანი იჯდა მეფეთ. კლარჯელნი ამას ეკედლებოდენ. ოსმალთ ეს საქმეები მალე შეიტყვეს, იმათ წარმოავლინეს ლალა ფაშა და განიძრახეს თფილისის აღება. 1578 ფაშას წინ აღუდგა დოუთ ხანი, მაგრამ ამან ვერაფერი გააწყო, რადგანაც სპარსთ უღალატეს, დოუთ ხანმა თფილი ოსმალთ მისცა და თვით კი სტამბოლში წავიდა დიდების საძებრათ, სადაც გარდაიცვალა კიდეც. ქართლის თავადები ფაშას ოთხი დღის განმავლობაში მოურიგდენ, ფასი მისცეს და თფილისი გაანთავისუფლეს, ფაშა წავიდა. ამან გზათ იმერეთში განვლო და იმერეთის დაჭერას ფიქრობდა, მაგრამ აქ ვერაფერი გააწყო. იმერთ გმირულათ იბრძოლეს, ბევრი ჯარიც გაუწყვიტეს და 1579 წ. განდევნეს მთლათ.

ამ დროებში გაჩნდა სვიმონ მეფეც და გაამაგრა ქართლის საქმე, თფილისის განთავისუფლების აზრი და ცდა

პირდაპირ ამას ეკუთვნის. საათაბაგოს გათათრების საქმე შეჩერდა. ათაბაგთ კიდევ თავის გამართლება იწყეს. ლალა ფაშამ ყვარყვარე და მანუჩარი სტამბოლში გაიყოლა. სამცხეში ამ დროს მომსვრელი ჟამიც გაჩნდა. სულთანს აცნობეს ეს ამბავი, ამიტომ სულთანმა მანუჩარ ათაბაგის-ძე დაითხოვა და სამცხეში წარმოავლინა, 1580 წ. უკვე მოვიდა კლარჯეთში. ყვარყვარე კი დარჩა სტამბოლში, სულთანის კარზე. ყვარყვარე იყო მეტათ ტანოვანი ვაჟკაცი, ხელ ღონიერი და მარჯვე, სულთანის თხოვნით ეს შეეჭიდა ოსმალოს ერთს გამოჩენილს მოჭიდავე ფალავანს, რომელიც ერთის ხელით შემართვით დასცა. ყვარყვარე მეტათ ხერხიანი მოჭიდავეც ყოფილა, სულთანის დიდი მასიამოვნებელიც. სულთანმა ყვარყვარე მალე გაანთავისუფლა, ქრისტიანობის მექონი ათაბაგათ დაამტკიცა და საათაბაგოში წარმოავლინა ათაბაგათ.

ყვარყვარემ რიგიანათ მართა საქმეები, გათათრების საქმე მცირედ შეჩერდა. ამ დროს ქართველებში გაჩნდენ გამცემი კაცნი. ესენი ოსმალთ ამბებს უზიდავდენ, რომ ათაბაგი გღალატობთო, ხალხის გათათრება შეჩერდაო. ამ საქმის დარიგებას ქართლის მეფენი აძლევენ და ამაგრებენო. ოსმალთ მალე სინან ფაშა გამოგზავნეს საათაბაგოს დასამდაბლებლათ და ქართლ იმერეთის ასაღებათ. სინან ფაშა დიდის ძალით მალე მოვიდა საათაბაგოში. საათაბაგოს დაშოშმინების შემდეგ ის ქართლზე წავიდა, მანუჩარი და ყვარყვარე თან გაიმძღვარა. ფაშამ ყვარყვარე იმერეთში გაგზავნა იმერეთის დასაპყრობათ და მანუჩარ კი ქართლზე გაიყოლა. თფილისი უნდა ავიღოთო. მანუჩარი ფაშას ახლდა გვერდით. სვიმონ მეფე აქა იქ ჯარს ამაგრებდა. სვიმონ მეფეს, ყვარყვარეს და მანუჩარს ერთმანეთში საიდუმლო მეგობრობაც ქონდათ. ამ მეგობრობის ნიშნათ სვიმონ მეფე თავის ქალის მითხოვებას დაჰპირდა ათაბაგს. ომი დაიწყეს, სვიმონ მეფე გაიმარჯვა, ოსმალნი უკუ აქცია, ბევრი გაწყვიტეს. ომის შემდეგ ყვარყვარემ იქორწინა, მაგრამ ამან დიდხანს ვერ იცოცხლა 1583

წ. გარდაიცვალა. იმის მაგიერ დაჯდა ძმა იმისი მანუჩარ ათაბაგი.

მანუჩნრ ათაბაგმა ჭკვიანათ დაიწყო მოქმედება. ქვეყნის მართვაში დიდი ნიჭი გამოიჩინა, მშვიდობის მოყვარეობის დიდი ნატვრა ჰქონდა. ამან დააწყნარა მთელი კლარჯეთი, ყველამ იწყეს მოშენება, გამაგრება და ცხოვრების გაუმჯობესობა. 1584 წ. ათაბაგმა თავის რძალი სვიმონ მეფესთან მიიყვანა. მანუჩარის რიგიანი გამგეობის ამბები შაჰ-თამაზსაც ესმოდა, ამას დიდათ უხაროდა რომ ათაბაგი ნიჭიერათ განაგებდა. ოსმალნი ქართლზე თავიანთ ძალას ველარ გაამრავლებენო. მანუჩარსა და შაჰთამაზს შორის მეგობრობა ჩამოვარდა. 1587 წ. შაჰთამაზი განჯის ასაკლებათ წამოვიდა. ამან მალე აიკლო ყოველივე, და განჯის გამგეობა ათაბაგს ჩააბარა. ათაბაგი შაჰთამაზის მეოხებით ფიქრობდა თვის ათაბაგობის დამტკიცებას, რადგანაც ოსმალთ იგი გაათაბაგების შემდეგ მაინც ათაბაგათ არ დაამტკიცეს.

ვიდრე ათაბაგი განჯიდან სამცხეში ბრუნდებოდა, მინამდის ქართველთ გამცემთა მეოხებით ოსმალთ ლაშქარი უკვე გაჩენილიყო იქ. ამათ დაეჭირათ ახალციხე და აქედან გორი. სამცხეში მისულს ათაბაგს მესხნი აუჯანყდენ. ოსმალთ ესენი თვისკენ მიემხროთ. ამიტომ სვიმონ მეფე თფილისიდან გაემართა სამცხეს, დახმარება მისცა ათაბაგს, აშლილი ხალხი დაამშვიდა და ათაბაგობა კვალადვე ათაბაგს მიუბოძა 1788 წ. თვითონ კი თფილისში დაბრუნდა მალე.

მანუჩარ ათაბაგმა მესხთა დამშვიდების შემდეგ ოსმალეთში სულთანს კაცები გაუგზავნა და შეუთვალა თავის პირობები. სხვათა შორის ის სთხოვდა, რომ თქვენ მე ათაბაგათ მიცანით და ქრისტიანობით დამამტკიცეთო, სხვაფრივ თქვენ დაიმედებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენ თქვენი ერთგულნი ვიქნებითო. სულთანმა კი არ შეისმინა ასეთი ჭკვიანი წინადადება, ათაბაგი კი ათაბაგობდა და სამცხეს ამაგრებდა, ქართველთ სასტიკათ უკრძალავდა სჯულიდან გადასვლას და გათათრებას. მანუჩარს, როგორც თანამგრძნობელნი ჰყვანდენ და ყოველს

საქმეში დახმარებას აძლევდენ, ისე მტრებიც ჰყვანდენ, რომ ლებიც სასტიკათ ვნებდენ მას და მის მოქმედებასაც ღალატობდენ. ამათ მრავალ გზით დააბეზღეს ათაბაგი სულთნის წინაშე. სულთანს ბევრს მტრობას ასმენდენ ათაბაგისას. მოღალატეებმა საქმე იქამდის მიიყვანეს, რომ სულთანი ათაბაგის წინააღმდეგ აღბორგეს და 1596 წ. სულთანის ბრძანებით ხელმეორეთ წამოვიდა ლალა ფაშა საქართველოში გასალაშქრებლათ. ლალა ფაშა დიდის ჯარით მოვიდა აჭარაში. სამცხელთათვის დადგა განკითხვის დღე, დადგა დიდი საგრძნობელი და სატირალი წუთები, ამ დღეს უნდა გადაწყვეტილიყო და სავლეთ საქართველოს ქართველთ არსებობის საქმე.

მალე ქართველთა და ოსმალთ ომი დაიწყეს, ქართველთ სძლიეს ოსმალნი. ოსმალნი მთლათ განდევნეს სამცხიდან. განდევნილთ ოსმალთა ლალა ფაშამ ყოველისფერი სულთანს აცნობა. სულთანი ამბის შეტყობის შემდეგ ერთობ გაცეცხლდა. მალე ოსმალეთიდან ახალი ჯარი მოვიდა და ლალა ფაშის ჯარს მოემატენ. ესენი ხელახლა მოევლინენ ქართველთ და პირველათ ქაჯის ციხეს მოადგენ, სადაც გაიმართა დიდი ომი. აქაც მოხდა ისე, რომ ოსმალნი იძლიენ. იძლიენ ისე რომ ლაშქრის ნახევარზე მეტი მოისპო თურმე. ოსმალთ ძრიელ შეეშინდათ. ესენი უკან დაბრუნდენ და სამცხის მთლათ დატოვებას ფიქრობდენ. ამ დროს ჩვენდა სამარცხვინოთ და სავალალოთ ქართველებში გამოჩნდა ერთი მტერთაგანი, თავადის შვილი, სახელდობრ ქოია ამილახორი, რომელსაც სიხარბემ დაუბრმავა თვალები, სიძუნწემ გაუქვავა გული და გრძნობა, ქართველთა სისხლში ხელის დაბანვა ისურვა, სამშობლოს და ერის გაცემა, ღალატი. ეს მივიდა ოსმალებთან და უთხრა:

მოიცადეთ, სად მიხვალთ, ქართველნიც მოისპენ, ეხლა მათაც აღარაფრის ძალა აქვსთ, ჩვენ მათ ყოველ საიდუმლოებას გასწავლით და გაჩვენებთ, მას შემდეგ თქვენ ყველაფერს ადვილათ აიღებთ.

ამ პირმა დააიმედა მტერი, დაიმედებული მტერი უკან დაბრუნდა, წინ ამილახორი მოუძღოდა და ყოველ ნაირ ძნელ ციხეთა და სიმაგრეთა გზასა და კვალს ასწავლიდა. ამან ლალა ფაშა არტაანს (არდაგანი) გაამაგრა. მერე ესენი აქედან ახლად მოედვენ სამცხეს, ახლა კი ამათ დაიმორჩილეს სამცხე და დაიმორჩილეს ისე, რომ ქართველთ აღარაფრის სასოება აღარ შერჩათ. საქმე მეტათ გაძნელდა. ათაბაგმა ფაშას მონებისთვის თავი დაუკრა, მუხლი მოიდრიკა, სამუდამოთ მონება აღიარა, მონება დაურღვეველი და ერთეული. ოსმალთ ესიამოვნათ. ათაბაგს მოწყალების თვალით შეხედეს და ნიშნათ პატივის ცემისა მას მიუბოძეს თმოგვის მხარე, შენ წადი და იქ მართე საქმეო. ლალა ფაშა აჭარას მოედო. აქ გაიმაგრა მან ფეხი. აქედან აძრიელებდა ეს ოსმალთ გავლენას სხვა და სხვა ადგილებზე. ლალა ფაშა კლარჯეთში დიდხანს დარჩა, მან ხელ ახლავ ააღორძინა გათათრების საქმე ქართველებში, თავად-აზნაურებას თვისკენ მიბირება უწყო. მალე ლალა ფაშამ განიზრახა ქართლზე გალაშქრება, ამან წინ ვამოიმძღვარა მოღალატე ქართველი თავადისშვილები, ახალციხით აწყვერზე ჩამოიარეს და ქართლს შეესივნენ. მთელი ქართლი აიკლეს. მაგრამ მაინც ვერ დაიმორჩილეს, რადგანაც მაშინდელი ქართლის ზოგ ვაჟკაცნიც ბამაცურათ იბრძოდენ. ამათ ოსმალის ჯარის უმეტესი ნაწილი გაწყვიტეს, მთელი ქართლის მინდვრები სავსე იყო ამათის მკვდრების მძორებით.

დამარცხებული ფაშა უკან დაბრუნდა, ამან გზათ თმოგვში ათაბაგისკენ გაიარა, ათაბაგი გაუმასპინძლდა. ფაშას ძრიელ ესიამოვნა. შემდეგ ფაშამ ათაბაგი თან გაიყოლა და ოლთისამდის მას ჩააბარა ოლთისი მაშინ უკვე გათათრებული იყო და ერთ სანჯაყათ იყო გადაქცეული. ოსმალთ სხვაც ბევრი პატივი მისცეს ათაბაგს, რადგანაც ათაბაგი მათ მეტათ ოსტატურათ ექცეოდა და ერთგულებას უმტკიცებდა. ქართლში დახოცილ ოსმალის და ქართველთ ლეშთა მეოხებით 1596 წ. გაჩნდა საშინელი დიდი ჭირი. ათაბაგი ისე ოსტატურათ განაგებდა, რომ ეს ოსმალთა საჩვენებლათ მაჰმადიანობასაც

პატივს სცემდა. ამის პატივის ცემა მოტყუილებით არ იყო კარგი ბოლოს ამ ნაკლს თავი გაანება.

ნათქვამია ,,ძალა ალმართს ხნავსო'', საბრალო ქართველნი და ათაბაგნიც ხან ოსმალთ სჯულს ეკედლებოდენ და თავიანთისას ცხარე ცრემლებით ეთხოვებოდენ და ხან ისევ უკან უბრუნდებოდენ და მამა პაპის სარწმუნოებას ეთვისებოდენ. ასეთი ვადასვლ-გადმოსვლა მრავალთ სწყინდა, ნამეტურ ათაბაგს. მხნე და ახოვანი ყვარყვარე ათაბაგიც ბევრჯერ იქმნა გმობილი და გაკიცხული სჯულის გამო. ეს პირი იყო დიდი მხედარ-მთავარი ქართველთა. ბევრჯერ თვით ეს პირიც კი შეება თავის მხედრობით თავისავე მოძმე ქართველთ, მაგრამ ეს მას ნებით კი არ სდომია, არამედ ოსმალთ ბრძანებით მან ბევრ ჯერ დაუმტკიცა ოსმალთ, რომ ჩვენ შეიძლება ქრისტიანები ვიყვეთ და თქვენი ერთგულიო. ამ დროის ქართლის გიორგი მეფე ფხიზლათ გრძნობდა საქართველოს ცუდს მდგომარეობას და განსაკუთრებით სამცხის განსაკდელს. გიორგიმ განიძრახა სამცხის დამორჩილება და მით ოსმალთაგან სამუდამოთ დახსნა. ამან მიმართა კახაბერ გურიელს და დახმარება სთხოვა. ათაბაგს შევებათ და თუ გავიმარჯვებთ, მაშინ ჭანეთსა და აჭარას შენ შეგიერთებ და აქეთა მხარეს არტაანს ანუ ზემო ქართლს — ქვემო ქართლსაო. ესენი დასთანხმდენ, მალე ათაბაგს შეებნენ და სძლიეს კიდეც. პიროობისამებრ კახაბერს ჭანეთი, ლივანა, აჭარა და სხვანი მიჰკერძეს, მაგრამ ეს მიკერძება დიდის ხნით არ იქმნა. რამდენიმე ხნის შემდეგ ოსმალოს ჯარი კვალად მოვიდა, ათაბაგი დაეცა ქართველთ და მთლათ ამოსწყვიტა, აჭარა და ჭანეთი კახაბერ გურიელს წაართვეს და დროებით როსტომ გურიელს ჩაბარეს, რომელიც უფრო ერთგული იყო ათაბაგის და ოსმალეთის. ასე ღვრიდა ძმაძმის სისხლს. ვაი ჩვენო წარსულო!

ამ ომის შემდეგ ოსმალთაგან ათაბაგს პირდაპირ გამოეცხადა გათათრების საქმე. ოსმალთ აცნობეს, რომ ჩვენ თქვენთან ბრძოლას მოვბეზრდით, ვიდრე არ გათათრდებით,

მინამდის თქვენში ეს ვაი ვაგლახები არ მოისპობაო, ყოველთვის ჩვენი წინააღმდეგი იქნებითო. და ხანდისხან თვით თქვენც აიშლებით ერთმანერთშიო, ამის მოსასპობლათ ჩვენ გათათრება დავინახეთ საჭიროთო. ათაბაგმა ამაზე რიგიანი პასუხი მისცა და მოახსენა, რომ თქვენ ჩვენს სჯულს ნუ ეხებით, თქვენ მხოლოდ ერთობისთვის ძალა მოგვეცით, რომ ჩვენ მტკიცე ერთობა დავამყაროთ, თორემ სხვაფრივ ჩვენი შიშა ნუ გაქვსთ, ჩვენი სჯული თქვენ არაფერს დაგიშლით, ჩვენ ყოველთვის თქვენი ერთგულნი ვიქნებითო.

ასეთ მოახსენების გამო ეს მალე დაიბარეს სტამბოლში, წავიდა საჩქაროთ და წარსდგა სულთნის წინაშე და ყოველივე მოახსენა: აუწყა საქმის გარემოება. აქ ამან ისეთი ნიჭი და ოსტატობა გამოიჩინა, რომ სულთანი ამის გამჭრიახობას და შორს მხედველობისაგან აღტაცებული დაიბნა, საარწმუნოებაზე ლაპარაკს თავი გაანება, ყვარყვარე ქრისტიანობის საარწმუნოებით დაამტკიცა ათაბაგათ და ისე გამოისტუმრა საქართველოში. ათაბაგი მალე მოვიდა კლარჯეთში, ამ დროს მთელი კლარჯეთი სანჯაყებათ იყო დაყოფილი. ათაბაგმა ყველა ესენი შეიერთა და დაიმორჩილა. ყარსი, ოლთისი, ტაოს კარი და ჭანეთი სულ ამის სამთავროდ გახდა, ამის ბრძანებას ემორჩილებოდენ. ათაბაგმა დაიწყო რიგიანათ გამგეობა, სჯულიდან ხელ აღებულებს დარიგებას აძლევდა. ბევრს მუქარებსაც უთვლიდა, რა რიგია სჯულიდან გადადგომ გადმოდგომაო, სულთანმა ჩვენი თხოვნა შეიწყნარა, ჩვენ ჩვენის სჯულით უნდა დავშთეთო, მხოლოდ მის ერთგულებაში კი უნდა ვიქმნეთო. ამ დროს სამცხეში აქა იქ გაყიდულ გამცემ ქართველთა იწყეს გავრცელება და ესენი არევ-დარევის საქმესაც ხელს უწყობდენ. მფარველობას უწევდენ ყველას. კლარჯეთში ქართველთ მქადაგებელთ რიცხვი მცირდებოდა. ამის გამო ყვარყვარემ საიდუმლოთ მხნე სვიმონ მეფეს მიმართა და დახმარება სთხოვა მქადაგებელ ბერების გაგზავნით და ქართული წიგნებით. სვიმონ მეფემ თხოვნა სიამოვნებით აღუსრულა, ამათში საკმარისი ერთობაც ჩამოვარდა.

სამცხემაც იწყო გამრავლება, გამაგრება და მოშენება. ამ შშვიდობიან დროს აქა იქ გაჩნდენ ათაბაგის მტრები, ამათ დაიწყეს ჯაშუშობა სულთნის წინაშე, რომ ყვარყვარე გლალატობთ თქვენო. გათათრების საქმეს აბრკოლებს, ნებას არავის აძლევს, რომ თავის სურვილისამებრ გათათრდესო. გარდა ამისა იგი სვიმონ მეფეს ეკედლება და ემეგობრებაო. თუ ამას უფლება არ წაართვით და ფრთები არ შეაკვეცეთ, მაშინ შესაძლებელი იქნება, რომ ერთს დღეს ეს ოსმალეთს მოსცილდება და საქართველოს მეფეს ჩაბარდებაო. ამის მეოხებით ოსმალეთმა საქართველოში გამოგზავნა სინან ფაშა, რადგანაც ეს წინეთაც იყო საქართველოში და ამას ებძანა, რომ ათაბეგი მორჩილ ექმნა, ზოგიერთი უფლებები წაერთო, ქართლიც აეოხრებინა და სვიმონ მეფეც პატიმარ ეყო. ფაშა მალე მოვიდი სამცხეში, ათაბაგის მორჩილება ჰყო და მერე ქართლზე გამოემართა. მალე თფილისს მოადგა და ომი გაიმართა. ომში ქართველთ გაიმარჯვეს, რადგანაც ქართველნი მხნეთ ებრძოდენ, მტერი მალე უკუ აქციეს. ყვარყვარემაც რიგიანათ და ოსტატურათ აგო სულთანს პასუხი. ხელახლავ დაუმტკიცა ერთგულება და ამით დაამარცხა თვის მტრები და საქართველოს გამცემ მოღალატენი, მაგრამ არ გავიდა დიდი ხანი და ეს მოღვაწე პირი გახდა ავათ და გარდაიცვალა 1583 წ. ამის შემდეგ გამთავრდა მანუჩარ II-რე.

გურიელს ძრიელ აშინებდა ოსმალთაგან ქართველთ დევნა და გათათრება. 1609 წ. აჭარაში მივიდა მამია გურიელი. ოსმალთ ომი გაუმართა მთელი სამცხე აიღო. ათაბაგს გურიელის ასეთი საქციელი ერთის მხრით ადარდებდა. ვაი თუ ბოლოს ჩემი ტახტიც მან დაიჭიროსო. გურიელმა იმედი მისცა, რომ მე ამას არ ვიზამო. მე მინდა რომ სამცხე პირველ ყოფილ რიგზე მოვიდეს, გამგეთ ისევ შენ იქმნეო. ასეც ქმნა, ამან ოსმალი ალაგმა, გათათრებულებს დარიგება მისცა. ათაბაგი ალადგინა გაამაგრა თვითონ კი გურიაში დაბრუნდა.

მანუჩარ ათაბაგს ოსმალთა რაღაც უნდოს თვალით შე-

ხედეს. ბოლოს მოყვრობა დაუწყეს. ესეც კანონიერათ განაგებდა და ოსმალთ ემორჩილებოდა ისე, როგორც რიგი და წესი იყო, ეს მორჩილება არც ქართველთათვის იყო სავნო. მანუჩარ ათაბაგმა ყვარყვარეზე არა ნაკლები ნიჭი გამოიჩინა საქმეების მართვაში. ეს რიგიანათ იყო გამოწურთნული. ამის დროს ოსმალთ თავიანთ მქადაგებელთ გამრავლება იწყეს სამცხეში, მაგრამ მანუჩარმა არ გაუშვა, შეაჩერა და ასე შეუთვალა სულთანს:

ჩვენ თქვენი ერთგული ქვეშევრდომები ვართ, თქვენს ბრძანებას ყოველთვის ერთგულათ ვასრულებთ, ერთგულათ ვიხდით ჩვენს ხარკს, ყველაფერში პატივისცემით და რიგიანათ გიყურებთ და თქვენ რაღას გვემართლებით, განა ჩვენი ერთგულების და სიყვარულის მაგიერ ასე უნდა დაგვიწყოთ დევნა. განა მართლ მორწმუნეთ შეეფერებათ სჯულის დევნა. გთხოვთ და გავალებთ, რომ ჩვენ დაგვტოვოთ ჩვენის სჯულით, ჩვენის ზნე ჩვეულებით და ენით, სხვაფრივ რაც გენებოთ და ისურვოთ ის გვიბრძანეთ, ჩვენც თქვენს ბრძანებას მაშინათვე აღვასრულებთ.

ოსმალნი მაინც არ იწმენდავდენ გულს და ყოველთვის მრისხანებით უმზერდენ. უთვლიდენ სჯული უნდა გამოიცვალოთ და ხალხსაც უნდა გამოაცვლევინოთ. არ იქმნა, ოსმალთ საქმე ვერ მოუხერხდათ. ამათ გადასწყვიტეს საქართველოში დიდძალი ჯარის გამოგზავნა და ამათის საშუალებით ქართველთ დამონება და ძალდატანებით გათათრება. ამ დროს ოსმალთ არამც თუ მარტო სამცხის გათათრება გადასწყვიტეს, არამედ მთელი საქართველოს დამორჩილება და მერე მათი გათათრებაც. ეს ამბები მანუჩარ ათაბაგმაც მალე შეიტყო. ამიტომ მან მეცადინეობა დაიწყო. ეს დამეგობრებული იყო იმერთ ბატონთან და ქართლის მეფესთან. ამათ დახმარება სთხოვა, ათაბაგი ფიქრობდა, რომ ქართლისა და იმერეთის დახმარებით ოსმალთ სულ მუსრს გავადენო, აქედან მთლათ გავრეკავ და სამცხესაც გავანთავისუფლებ სამუ-

დამოთ და ამოდონი ომი და ოდიგრებიც მოისპობაო. ქართლის მეფე და იმერთ ბატონი დახმარებას დაჰპირდენ. ათაბაგმა მთელს საქართველოს ერს მიმართა, ნამეტურ გამოჩენილ მხედრებს და დახმარება სთხოვა.

ამ დროს სპარსეთიდან წამოვიდა ტირან დესპოტ შაჰაბაზი, რომელსაც ერევნის აღება სურდა. მან მალე აიღო ერევანი. ამ დროს შაჰაბაზს ეევედრა ათაბაგი და ოსმალთ წინააღმდეგ დახმარება სთხოვა, რისთვისაც თავის ერთგულება შეჰპირდა, ნიშნათ ამას თავისი ძე მანუჩარი და რამდენიმე სხვა დიდებულთ შვილები გაუგზავნა. ყველა ესენი შაჰაბაზმა მიიღო. ათაბაგს პასუხი მისცა. მალე სპარსეთში დაბრუნდა და ათაბაგის შვილი მანუჩარი ერევნის ბეგლარ ბეგ ამირგუარიხანს დაუტოვა, ეს ამასთან იზრდებოდა, ქრისტიანობის სჯულით და სპარსთა ზნე ხასიათის ჩვეულებით. ოსმალთ შემოსევის ამბავი შაჰაბაზმა კარგათ იცოდა და გონი ეს მიტომ წავიდა ერევნიდან სპარსეთში. აბა იგი ქართველს რათ უშვყლიდა. მიტომ მოარიდა პირი თათარმა თათარს.

საქართველოს საუკეთესო ვაჟკაცობამ ათაბაგთან მოიყარეს თავი, მთელი იმერეთის, გურიის და ქართლის გმირები სულ ჯქ იყვენ. ამათ ემატებოდენ კლარჯელნიც, ამ პირებში რეულან ბევრნი მალალ გვარის კაცნიც, ბევრნი მღვდელნი, ბერნი და ქალებიც კი მამაკაცურათ ჩაცმულნი. ყველა ესენი შეგროვდენ ბორჯომში, ერთ დღეს თათბირი ჰქმნეს და მხედარ მთავრათ ათაბაგი ამოარჩიეს. ომის თავდარიგი დააწყეს. შემდეგ ამისა დაუწყეს მტერს ცდა. მტრის ხმა მალე გაისმა, ამათ გამოვლეს მთელი კლარჯეთი, გამოვლეს, მოვიდენ ახალციხეს და გაჩერდენ. ამ დრომდის ამათ არ იცოდენ, თუ მანუჩარ საქართველოს მეფის საბრძანებელ მიწაზე იქმნებოდა ქართველთ ჯართან, ამათ ეგონით, რომ ათაბაგი მათ ახალციხეში დახვღებოდა, ამას ადვილათ დაიმორჩილებდენ და მერე ქართლზე გაითარეშებდენ, ის კი არა და საქმე წანააღმღეგ ოეწკოდ ესენი დიდის ჯავრით აღივსნენ, მაგრამ რალას

იზამდენ, ომი შალე უნდა დაწყებულიყო. ესენი დაიმედებულ-ლი იყვენ, რომ მთელ საქართველოს დავიმორჩილებთ, ათაბაგის ღალატი ჩვენ არას გვავნებსო.

ომის დაწყების დრო მოვიდა, ესენი ნელა ნელა გამოემართენ ახალციხიდან და აწყვერზე წამოვიდენ, რადგანაც ოსმალთ სამზღვარი მაშინ იქ იყო. მინამ ესენი მოვიდოდენ, ათაბაგმა ქართველთ უთხრა:

დღეს უნდა გადასწყდეს ჩვენი საქმე, ეს დღე ჩვენი განკითხვის დღეა, თუ გაჭირდა საქმე, მტერს გმირულათ უნდა შევებათ და ჩვენი ქვეყნის ერთი ბეწო ადგილიც არ დაუთმოთ. ქვეყანასა და ერთობას ნუ წავახდენთ. ჩვენი ქვეყანა მოვრწყათ ჩვენის სისხლით და მათგან კი ნუ ვიძლევით.

მეორე დღეს დაიწყეს ომი, ომი მეტათ ფიცხელი, საზარელი, ასეთი ომი ქართველობას დიდი ხნის განმავლობაში ალარ ენახათ. მთელ საუკეთესო ქართველთ ვაჟკაცობამ აქ დასდვეს თავი მამულისათვის და მათ მოწამეობის გვირგვინი მიიღეს. დიდის გმიროობით იბრძოდენ ქართველნი. ამ თავგადადებულის გმიროობით დასძლიეს ოსმალნი. ოსმალთ დაეხოცათ დიდძალი ლაშქარი, ურიცხვი აფიცრები, ათი ფაშა ტყვეთ იპყრეს და დასარჩენი ჯარი გარეკეს ახალციხეზე. მერე საოცარი გმიროობა გამოიჩინეს ქართველებმა, აქედან არდანუჯამდე მიიყვანეს, აქ საქმე შეჩერდა და ოსმალთ მორიგება ითხოვეს. ათაბაგი მოურიგდა. 1611 წ. ოსმალთ თავიანთი ჯარი გაიყვანეს და ათაბაგათ ისევ მანუჩარი დასვეს. მანუჩარმა იწყო მართვა ქვეყნისა, ამაგრებდა ზეგანს, აჭარას, ლივანას და სხვა ადგილებს. ამის ხელში ყველაფერმა იწყო აყვავება. რამეტურ ახალციხეში ფეხი გაიმაგრეს ქართველ კათოლიკებმა. მაგრამ გავიდა მცირე დრო. ათაბაგი გახდა ავათ და 1614 წ. ჯარდაიცვალა, როშლის გარდაცვალებამ დაღონებულ ჰყო მთელი ქართველობა. მესხთა მაშინათვე ერევნის ბეგებს მიმართეს და ათაბაგათ მანუჩარის-ძე სოხოვეს, ათაბაგი ერევნიდამ მალე მოვიდა სამცხეს, ხვანთქრის ნებართვით და დაჯდა ათაბაგათ.

მანუჩარ III-ეც მამის მსგავსად ვამოცდილ იყო. იცოდა ბევრი სხვა და სხვა ენები და მასთანვე ქართველი მწიგნობარიც გახლდათ. მწიგნობრობასთან მოსამართლე და მოწყალეც იყო. თუ რამ საკუთრება ჰქონდა, მას სულ საწყლების სასარგებლოთ მიაჩნდა. პატივს სცემდა ყველას და ყველგან საყოველთაოდ. დიდათ მეცადინეობდა სამცხის გამაგრებაზე და გაძალუანებაზე. დიდათ შრომობდა ქართველთ სასარგებლოთ, ეს ფხიზლათ ადევნებდა ოთხსავ კუთხით თვალს და ძრიელ ფხიზლათ სძებნიდა იმ ქართველთ, ვინც თავიანთ ნებით თათრდებოდენ, რომ ამით რამე საჩუქარი მიეღოთ ოსმალთაგან. მანუჩარი მთელს თავის სამთავროში მოგზაურობდა, ყველას დარიგებას აძლევდა, რომ მაგრათ იყავით, გმირულს სულს ნუ დაკარგავთ, ნურავის შეუშინდებით, სჯულს ნუ გამოიცვლით. სჯულის გამოცვლა რიგი არ არის, ჩვენ ქართველნი ვართ, ჩვენი ენა ქართული ენა არის. ჩვენი ქვეყანაც საქართველოა. წინაპართა წესს ნუ დავსტოვებთ, ნუ დავკარგავთ ჩვენს მამაპაპის საქმეს, ვიყვნეთ ერთგულათ და ქვეყნისთვის თავ-დადებულათ. ოსმალს ჩვენ ნუ შეუშინდებით. იგინი ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებენო.

ამავე ათაბაგმან განამაგრა ზოვიერთი მონასტრები, მასში განავრცო ქართველთ მქადაგებლები. ნამეტურ პატრონობდა და მფარველობას უწევდა არტანუჯს, არტაანს ყარს, ოლთისს და სხვა ასეთ შორეულს ადგილებს, აქ ამან მქადაგებლებიც განავრცო, რომლებიც ხალხში დადიოდენ და ქვეყნისა და სჯულის ერთგულებას ჰქადაგებდენ. ოსმალნი ათაბაგის მოქმედებას თვალყურს ადევნებდენ, მზვერავად ყვანდათ დაყენებულნი შინად გამცემნი ქართველნი. ათაბაგის ჭკვიან მოქმედების გამო ოსმალთ ჯავრიც მოსდიოდათ მაგრამ პირობის ძალით ხმას ვერ სცემდენ. უკანასკნელ ისევ სჯულის საქმეებით დაიწყეს მოქმედება. და სურდათ რომ ათაბაგისთვის ომი აეტეხათ.

ოსმალთა ბრძანებით ქართველებში გამოცხადდა შემდეგ

გი აზრი: რომელი ქართველიც მუჰხამედს ირწმუნებს და გა-
თათრდება, ის ამით დაამტკიცებს რომ მას სულთანი ულოფრო
უყვარს და მისი ერთგულია, ასეთ პირს რასაკვირველია სულ-
თანიც პატივს აგებს და დახმარებას მისცემს. ვინც ამას არ
ისურვებს, ვინც მუჰხამედის წმინდა სჯულს არ მიიღებს, გა-
მოსჩნდება რომ ის არც სულთანის მოამხრე იქნება. ამით
ძრიელ ბევრი თავადი და აზნაური შეაშინეს ოსმალთ და სჯუ-
ლი გამოაცვლევინეს. ამ პირებს აქა იქ გლეხებიც ბაძავდენ.
ქართველთ ესეთი საქციელი ათაბაგს ძრიელ სწყინდა. ამან
ქართველებს საქვეყნოთ გამოუცხადა შემდეგი:

ვინც მამა პაპის სჯულზე ხელს აიღებს, ის მამაპაპის მა-
მულსაც გამოეთხოვოს. მე ასეთ თავ-გასულებს სასტკათ დავ-
სჯი, მე არც ოსმალთ შეუშინდები ამისთვის და არც ქართ
ველთ ვაპატიებ, ნურავინ სტყუვდებით, თორემ ვისაც შეუტ-
ყობ, იმას მე ტყავს გავაძრობ, ცხენის კუდს მოვაბამ და ვა-
თრევინებო.

ბევრ გზის შეაჩვენებინა ასეთი პირები მღვდელ მთა-
ვრებს ათაბაგმა. სამღვდელეობა ასეთ პირების შესახებ ეკ-
სიაში ქადაგებდენ და სწუხდენ ქართველთა ღალატს და
სჯულის გამოცვლას.

მანუჩარ ათაბაგი ქართლსა და იმერეთის მეფეებს უა-
ხლოვდებოდა, ამას სურდა რომ ამ მეფეთა მეოხებით სამცხე
ოსმალთა ხარკისაგან სამუდამოთ გაეთავისუფლებინა. ამ აზ
რით მანუჩარმა ოლთისს მიაქცია ყურადღება, უმეტეს ნა-
წილს იქ სცხოვრებდა, თეიმურაზ I რომ სტამბოლში წავიდა
გზათ ამან ათაბაგთან გაიარა და ოლთისში ისადგურა. ათა-
ბაგმა ბევრნაირი დარიგება მისცა თეიმურაზს ოლთისი, ყარ-
სი და სხვა ასეთი შორეული ადგილნი საქართველოსანი ამ
დროსაც კი ქართველებით იყო სავსე. აქ ამ დროიდან ყო-
ველ სოფელს სახელი ქართულათ იხმარებოდა, მთისა, ბარი,
წყლისა და სხვების, ქართველთა ნახევარზე მეტიც ქრისტია-
ნები იყვნენ. ორივე სჯულის მაღიარებელნი კი ქარ ელ ს

ენაზე მოსაუბრენი. ამიტომ ამ ადგილებს ათაბაგი უფრო დიდს ყურადღებას აქცევდა და იქ ქართველებს ამაგრებდა.

რაც ხანი გადიოდა მით ოსმალნიც ძალას მატულობდენ და სჯულიდან გადამდგარნიც მრავლდებოდენ. მანუჩარ ათაბაგიც ასეთ პირების წინააღმდეგ მოქმედებდა, ბევრს ალაგას შეება სჯულიდან გასულებს, ბევრი დასცა, ბევრი აანიავა, ბევრს ბევრნაირი სასჯელი მიაყენა, მაგრამ მაინც ვერა გააწყო რა. ასეთ მუსულმანთ ძალა დიდი იყო. ახალ მუსულმანებმა ჩაივლეს არზრუმის ფაშასთან, რომ ათაბაგი თათრის სჯულს სასტიკათ სდევნისო, ვინც ისლამს იღებს იმას მოსვენებას აღარ აძლევს და სჯის სასტიკათო. ქრისტიანებს კი მფარველობას უწევს და წყალობას აძლევსო. არზრუმის ფაშამ სულთანს გაუგზავნა ყველაფერი და აუწყა. სულთანის ბრძანებით ათაბაგს მუქარი მოუვიდა. ათაბაგმა შეუთვალა:

ბატონო, თქვენ რათ გინდათ რომ ჩვენში სჯულიდან ვასვლა გამოსვლა დაიწყოს ხალხმა, ჩვენ თქვენი ერთგულნი გახლავართ და სხვაფერ რა გინდათ ჩვენგან, რას გვემართლებით, რათ გინდათ ჩვენი წახდენა და შფოთის ატეხა. არ იქნა, საქმე არ დაწყნარდა, ათაბაგმა ველარ დაადინჯა არზრუმის ფაშის და სულთნის გული.

ათაბაგს მალე სულთანის რისხვა გამოეცხადა და მუქარა აუწყეს, რომ ოსმალიდან დიდ ძალი ჯარი მოდისო, თან თოფ ზარბაზნებიც წამოიღეს და შენ მთლად გაგაქრობენ და მასთან მთელ საქართველოსაც აიკლებენო. ათაბაგიც მიეცა სამზადის და მეტის გამჭრიახობით ამაგრებდა ციხე-კოშკებს და ლაშქარსაც აგროვებდა. ხალხს დიდის ძმურის სიყვარულით და სასოებით ამხნევებდა. ოსმალოს ჯარიც მალე გაჩნდა სამცხეში. ჟლეტაც დაიწყეს. ქართველნი ნამეტურ აჭარელნი და მაჭახელელნი იბრძოდენ მეტათ გმირულათ. ამათ მუსრი გაავლეს ოსმალთ. ჯარი გაუნახევრეს, საქმე გაუჭირდათ, ვერც ერთი სიმაგრე ათაბაგისა მათ ვერ აიღეს. ხალხის გაწყვეტის შემდეგ ოსმალთ მორიგებაზე ლაპარაკი ჩამოაგდეს, ქართველ-

თაც ისურვეს მორიგება, რადგანაც ამათის მხრიდანაც დიდ-ძალი ხალხი გამწყდარიყო. ქართველნი მოღალულიყვენ. ერთობ შემცირებულიყვენ ათაბაგიც ძრიელ სწუხდა ქართველთა ამდენ უბედურებაზე. მორიგების შესახებ ლაპარაკი მალე იქ-მნა და მორიგებაც სწრაფათ მოხდა. ორსავ მხარეს პირობა დადეს, ომს თავი გაანებეს.

ათაბაგმა მორიგების პირობისთვის სტამბოლში წასვლის ნებართვა ითხოვა და იქ იქნება პირობა დადებული, პირობა მტკიცე და შეურყეველ დაურღვეველი, რომ მისი ძალით ომი, ხალხის ხოცვა, ცარცვა და სჯულიდან გასვლა მოისპოსო. მას ნება მისცეს სტამბოლში წასვლის. ეს მალეც წავიდა, თან გაიყოლა დიდი ძალი ამალა ქართველთ. მალე წარსდგა სულთანის წინაშე, აღიარა მისი ერთგული ქვეშევრდომობა, მას დაუმტკიცა თავისი ერთგულება და მასთანვე აუწყა ისიც, რომ სჯულიდან გადასულებს მფარველობას ნუ აძლევთ, თორემ ყოველი ყაჩაღი სჯულს იცვლის და მისგამო თქვენგან მოწყალებასაც იღებს, პატიმრობისგანაცა თავისუფლდება და აღარც ცუდკაცობას სტოვებსო.

მე ვითხოვ, რომ ქართველი ხალხი თავისი სჯულით დაშთენ თქვენ ხელში, ჩვენ ათაბაგებიც ჩვენის სჯულით დაგვამტკიცეთ და მას შემდეგ თქვენ თუ ჩვენ რამე ღალატი შეგვნიშნოთ, მაშინ თუნდ ყველას თავები დაგვჭერითო. სულთანს ამის რჩევა დადათ მოეწონა. განსაკუთრებით ამის შორს მხედველობამ და საქმის ცოდნამ გააკვირვა იგი. სულ-თანმა პატივი აგო, ყველაფერი თხოვნა შეისმინა, შეიწყნა-რა რაც სთხოვეს, ამისთვის ხელშეკრულობის პირობაც დას-დეს. სულთანმა ათაბაგი დაამტკიცა ათაბაგათ, პირობით ის წესი დაადგინეს, რომ საქართველოში მოისპოს ხალხის გა-თათრება. ათაბაგნიც ყოველთვის ქრისტიანობის სჯულის მე-ქონი უნდა მტკიცდებოდესო. მე ვამტკიცებ ათაბაგათ ქრი-სტიანის სჯულის მექონ ათაბაგს მანუჩარსაო და დღეის შემ-დეგ ყველაფერი ასე უნდა იქმნეს აღსრულებულიო.

მორიგება და ათაბაგის დამტკიცება ქართველთ ძრიელ ახარებდა. ათაბაგი მალე გამოემგზავრა საქართველოში, ესენი უკვე ზღვით მოადგენ საქართველოს საზღვარს. საზღვრიდა მოგზაურობა ერუშეთისაკენ მოუხდა, სადაც სახლობდა ამისი ბიძა ბექა ათაბაგი, ზემოთ რომ ვახსენეთ, დედის იმედის ნაშობი. ბექა ათაბაგმა ისტუმრა მანუჩარ ათაბაგი. დიდი სიხარული აღმოუჩინა, კარგათ გაუმასპინძლდა. საღამოზე მანუჩარმა ყოველისფერი უამბო თავის ბიძას, აცნობა, რომ დღეის შემდეგ ჩვენში გათათრების საქმე შეჩერდებაო, ათაბაგებსაც ქრისტიანობის სჯულით დაამტკიცებენო. ქართველთ აღარაფრის ფიქრი აღარ უნდა გვქონდესო, იმედია, რომ დღეის შემდეგ ჩვენი ქვეყანა გამაგრებას და მოშენებას იწყებსო. საუბრის შემდეგ ვახშამი გამართეს, რასაკვირველია კარგი და შესაფერი. საჭმელში მანუჩარ ათაბაგს ბექა ათაბაგმა სამსალი წამალი შეაპარა. ვახშმის შემდეგ ლოგინში ჩაწოლის დროს საწამლავი მოერია და რამდენიმე წუთის შემდეგ ათაბაგი გარდაიცვალა ეს იყო 1624 წელს. ასეთის რისხვით და ძმის ღალატით მოისპო ეს საგლოველი ქართველი, კაცი ქვეყნის ერთგული, მოსამართლე, ღარიბთა მფარველი, გლახაკთა გამკითხი, უპატრონოების პატრონი და მოგზაურთა მფარველი. მეორე დღეს ეს ჩინებული პირი ახალციხისაკენ წამოასვენეს და რამდენიმე დღის შემდეგ საფარას დაასაფლავეს დიდის მწუხარებით. ამის შემდეგ ათაბაგობა მიიღო ბექა ათაბაგმა, რომელმაც მოწამლა მანუჩარ ათაბაგი, ათაბაგობა მემკვიდრეობით საკუთრებას შეადგენდა, მანუჩარის შემდეგ ამის შვილს უნდა მიეღო ათაბაგობა, თუ შვილი არ იქნებოდა, მაშინ ძმა მიიღებდა და თუ არც ძმა იქმნებოდა, მაშინ სხვა ვინმე ახლო ნათესავი ათაბაგისა. თუ რაფერ და რაის მეოხებით მიიღო მანუჩარის არა მემკვიდრემ ათაბაგობა, ეს საცნაურ ჰყოს შემდეგმა.

## ბექა ათაბეგი საფარ ფაშა ჯაყელი.

ბექა ათაბაგი ივო ძე ქაიხოსრო ათაბაგისა, ქაიხოსრო ათაბაგი ჩვენს ისტორიაში შესანიშნავი პირია. იგი თავის

დროს რიგიანათ განაგებდა. ერთ დროს ოსმალთა ამას საქმე გაუჭირეს, მიტომ მან სპარსეთის ძრიელ შაჰთამზს მიმართა დახმარების სათხოვნელად, რადგანაც შაჰთამაზს ქართველი ქალი ჰყავდა ცოლად, სამცხელის თავადის შალიკაშვილის ასული. ქაიხოსრო ათაბაგი სპარსეთში წავიდა, შაჰ-თამაზთან მალე ჩავიდა, დახმარება სთხოვა, ყეინმაც აღუოქვა დახმარება და მალე საქართველოში გამოისტუმრა. მგზავრობა ყაზმინზე მიუხდა, იქ რაღაც სენით გახდა ავათ და ყაზმინშივე მიიცვალა. დედა, ბექა ათაბაგისა იყო დედის იმედი, გამოჩენილი მანდილოსანი საქართველოს ისტორიაში. ამ ქალმა ოთარ ჩოლაყაშვილს მოაკვლევინა ვარაზა შალიკაშვილი, ცოლის ძმა შაჰ-თამაზისა. ამის გამო, საქართველოს ბედმა უმტყუნა, გამცემ შალიკაშვილის მოკვლის გამო შაჰ-თამაზმა მთელი საქართველო აიკლო. თუმცა ბექა ათაბაგის მშობლები არ იყვნენ შესანიშნავი პირნი და ივინი ხშირათ თავიანთ შეცდომებით საქართველოსაც ღუპავდენ, მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ ერთსიცა და მეორესაც ბევრი ისეთი საქმეებიც უკეთებიათ, რაც მათს მეამიტურს შეცდომებს მთლათ ჰფარავს და აქარწყლებს მათივე საქმენი.

აი ამათ ოჯახში გაიზარდა ბექა ათაბაგი, ეს იყო ქაიხოსროს მეოთხე შვილი. ბექას პატარაობიდან მეტად ლაღათ ზრდიდენ. დედას ზედმეტათ უყვარდა, როგორც უმცროსი შვილი. ჩვენში ხომ ეს დღესაც ისევეა და ყველგან მშობლებს უმცროსი შვილები უფრო უყვართ. მშობლებს გარდა პატარა ბექა ჯაყელს გამდლებიც ხშირათ ატარებდნენ ხელით, პატარაობიდანვე შეაჩვიეს ცხენზე ჯდომას, ჯირითობას, იარაღის ხმარებას, ლხინს, თამაშს, ცეკვას და სხვა და სხვა შესაქცევს ლხინებს და მეჯლისებს. პატარაობიდამვე ეს მეტად კოხტად ჩაცმა დახურვას მიეჩვია, სარკეში ცქერას, გალამაზებას და თავის ვარცხნას. ქალების ტრფიალსაც ერთობ ადრე მოეწყო. უზომო ტრფიალებამ სასტიკათ გაიტაცა ახალგაზდა ათაბაგი, სადაც კი წავიდოდა იგი, ყველგან მასპინ-

ძლობას უმართავდენ, ქეიფს, ნარდის თამაშს და სხვა და სხვა შესაქცევარ დროს გასატარებელ ლხინებს. თვით ამათ ოჯახ-შიაც ხშირათ იცოდენ ლხინი და ხალხის მიწვევა, ნადიმი ცეკვა, ნარდი და ასეთი პურ-მარილი.

ქეიფებს გარდა ათაბაგი პატარაობიდანვე დიდი მონატრე იყო დიდის დიდებისა და სახელოვნების. მაგალითად: მას გული ძლიერ ეთანაღრებოდა, რომ მის მამის სიკვდილის შემ-დეგ, ათაბაგობა პირველს შვილს უნდა რგებიყო და იგი-კი სამუდამოთ უნდა გამოსთხოვებოდა ასეთს ხვედრს. ამის მეო-ხებით ბექამ თავის ძმებში შფოთი და განხეთქილება ადრიდ-განვე ჩამოაგდო და დათესა. მამა ცოცხალი ჰყვანდათ, რო-ცა ამან ძმების წინააღადეგ ღალატით დაიწყო მოქმედება, დღე და ღამ მხოლოდ ძმების საგნოთ მოქმედებდა. ამათი დედა ბევრს მეცადინეობდა, რომ შვილებში მტკიცე სიყვარუ-ლი ყოფილიყო დაცული, მაგრამ არ იქმნა, ეს მან ვერ მოა-ხერხა და ძმები ისე აირივნენ ბექას მეოხებით, რომ უკანას-კნელ მათ გადასწყვიტეს გაყრა, ოჯახის დანაწილება დი ცალკ ცალკე ცხოვრება. ბექა ათაბაგს ერგო წილათ ის მამულები, რაც ერუშეთში და ლივანაში იყო და ამას იქ უნდა ეცხოვ-რა. გაყოფის შემდეგ იგი დასახლდა ართვინის ახლოს, სოფელ სვეტში, და იქ დაიწყო თავის მამულების გამგეობა. ამის დე-დას, დედის იმედს ძრიელ შესტკიოდა გული, არ იცოდა რა ექმნა, იგი მხოლოთ იმასღა მეცადინეობდა, რომ შეილებში სიყვარული ჩაეთესა, როგორმე მოერიგებინა და მათში ერ-თობა დაემყარებინა.

ბექაც მეტის მეტ პატიოსნათ ეპყრობოდა დედის იმედს. ბევრის მეცადინეობით დედის იმედმა შვილებში მშვიდობა ჩა-მოაგდო და ამის შემდეგ აჭარაში მიიცვალა. ამან თავის შვი-ლებს ანდერძათ დაუდო, რომ ერთმანერთში მტკიცე ძმობა და ერთობა გქონდესთო, თორემ მტერი აგიკლებთ, ქვეყანას წაგიხდენთ და ხალხსაც გაგიორგულებთო, ბევრი კიდევ სხვა ამ გვარები აუწყა.

დედის ანდერძი შვილებმა მცირე ხანს შეინახეს, უკანასკნელ-კი, მანუჩარ ათაბაგის გამგეობის დროს, ბექა ათაბაგმა დარღვევა დაუწყო და საიდუმლოთ ღალატი. ამან საიდუმლოთ დაიწყო მეცადინეობა წინააღმდეგ თავის ძმის მანუჩარ ათაბაგის ოსმალთა მეოხებით ეს ახალ გათათრებულ ქართველებს მფარველობას უწევდა, ამის ამბები ხშირად ოსმალეთის სულთანსაც მოხსენდებოდა, რომ ბექა ათაბაგი თათრობის მომხრეაო. მაგრამ პირობის ძალით მანუჩარ ათაბაგს ვერას აკლებდენ და ბექას კი პატივს აძლევდენ. მანუჩარ ათაბაგმა ბექას ყოველივე საიდუმლოება და ღალატი შეიტყო. ერთ დღეს შეიყარენ ორთვინს და თათბარი ჰქმნეს სხვათა თანა დასწრებით სოფ. სვეტს მანუჩარმა უთხრა ასე:

— ვაჟო, რად ჩადიხარ ასეთ საქმეებს, რაც სამტროა სჯულისა და ქვეყნის, რათ მოქმედებ ჩუმათ, მელურათ და რათ გინდა ქვეყნის ღალატი, სჯულის გამოცვლა და ხალხის არევ დარევა. დაგარწმუნებ, რომ სჯულიდან გასულების დაფარვა შენ არაფერს შეგმატებს. გარდა ამისა, ეს იქნება უარყოფა მამა პაპათა სიწმიდისა. მე მოგითხრობ და გაფრთხილებ, რომ ასეთ მტეროობას თავი დაანებო, შენთვის იცხოვრო მშვიდობით და ემსახურო შენს ქვეყანას. ქართველ კაცს არ შეჰფერის საქართველოს მტროობა, სჯულის გამოცვლა, ენის დაკარგვა, მწიგნობროობის დავიწყება და სხ. ბექამ უარი მიუგო და თავი იმართლა ასე:

— რასაც ბრძანებთ, ეგ ყველაფერი ცილის წამება არის. მე ფიცს მოგცემთ, რომ მაგ გვარი საქმენი ჩემში არა ყოფილა რა და არც იქნება. დიდი უდიეროობა უნდა იქმნეს, რომ ქართველმა კაცმა საქართველოს უღალატოს, თავის მოსისხლე მტერს მიემხროს, დაივიწყოს თავისი სჯული, ენა, მწიგნობრობა, ქვეყანა, ხალხი და სხვებზედ გაცვალოს. ასეთი კაცი ღირსია გმობის. შეჩიენების და ძაგების, მე თუ ასეთი ვიქმნე, მაშინ მრისხოს ღმერთმა.

— კეთილი.

— უბრძანა მანუჩარ ათაბაგმა.

— ფიცი მტკიცე უნდა იყოს, ვაჟკაცური, ქართული, სწორე და მართალი.

— ჭეშმარიტად.— მიუგო ბექამ.

მალე ფიცი დადეს წინაშე ერის, თავადების და სამღვდელოების. რამდენიმე ხანი ამათ ფიცი მტკიცეთ დაიცეს, უკანასკნელ ბექამ კი ტრაპიზონის და არზრუმის ფაშებთან მიწერ-მოწერა დაიწყო, ღალატით მოქმედება. ფიცი დაარღვია. მანუჩარმა მალე შეიტყო ღალატის ამბები. ეს პირდაპირ მივიდა ბექა ათაბაგთან სოფელში და გამოუცხადა.

— შენ დაარღვიე დედი ჩვენის ანდერძი, შენვე დაარღვიე ის ფიცი, რაც წინედ საქვეყნოთ მიიღე, მე გიცხადებ შენ, როგორც ჩემს ძმას, რომ ქვეყნის და ერის ღალატს თავი გაანებო, ოსმალის ფაშებთან ჩუმი მიწერ-მოწერა მოსპო, თორემ იცოდე რომ დედამიწიდან აღგგვი. ქვეყნის მოღალატეებს მე ვერ შევიფერებ ჩემს ქვეყანაში, ან გინდ ძმა იყოს, გინდ მამა და დედა.

ათაბაგი სასტიკათ მრისხანებდა, ბექა სდუმდა. მცირე ხნის შემდეგ ამათში საუბარი ასტყდა, საუბარი ფიცხელი, შფოთის დამბადებელი და მეტათ საზარალო ქართველთათვის. ძმა ძმას ემუქრებოდა სიკვდილს და ქვეყნის სისხლში ხელის დაბანვას. მაგრამ აქაც გაჩდენ ერთგული პირები და ძმები დააშოშმინეს. ბექა ათაბაგს ამხილეს და ამცნეს შეცდომები, ქვეყნის დაღუპვის დასაწყი კარს გვადგია და დიდი უბედურებაო. ბექა სინიდისის მხილებაში შევიდა, ხელახლავ დაიფიცა ერთგულებაზე და ამ დღიდან ღალატს განშორდა, ძმებსა და ძმის წულებს ემხრობოდა და ქართველთადმი ღვთიურს მოვალეობას და სამსახურს იჩენდა. ბექას ასეთ საქციელზე მანუჩარ ათაბაგიც დარწმუნდა. ამათში მისვლა-მოსვლაც გაიმართა, ხშირად საუბარიც ქართველობის შესახებ. მთელი ლივანა, აჭარა და სხვათა მხრის ქართველნი უეჭვოთ დარწმუნდენ მასზე, რომ ათაბაგმა საიდუმლოთ ქვეყნის ღალატს თავი გაანებაო.

ამ დროს მოხდა ქართველთა და ოსმალთ ზავი. ბევრი ბრძოლის შემდეგ, მორიგებაზედ ჩამოაგდეს ლაპარაკი. მალე მორიგებაც მოხდა. მორიგების პირობის დასადებად ათაბაგი სტამბოლს წავიდა, იქ სულთანს მოურიგდა ასე: საათაბაგო ოსმალეთის ქვეშევრდომათვე შთება, ის როგორც აქამდის იყო. ოსმალნი ათაბაგებს ყოველთვის ქრისტიანობით დაამტკიცებენ, ქართველთ ტყვეების სყიდვა უნდა მოისპოს, -ან ტყვეებით ოსმალთ სახელმწიფო ხარჯის გადახდა, როგორც ის აქამდის იყო, რომ ხშირად ქართველ ყმაწვილებით უხდიდენ ხარკს. ქართველთ ოსმალთათვის წლიური ხარჯი უნდა ეძლიათ მით, რითაც და როგორც შეიძლებდენ. დაიდო ხარჯის გადახდის წესიც ასე: ხარჯში უნდა ეძლიათ მატყლი, ბამბა, ყაჭი, სიმინდი, ღომი, ქერი, პური, ყველი, ერბო და სხვაც ბევრი ამ გვარი. ყველა ეს მცხოვრებთ უნდა ბათუმში ჩაეტანათ და მერე იქიდან ამაებს გემებით ზიდავდენ სხვა და სხვა ოსმალთა სახელმწიფო ქალაქებში.

პირობა ასე მოეწყო. ეს რასაკვირველია კაი იქმნებოდა და ქართველნი ჭირნახულით ყოველთვის ადვილათ გადიხდიდენ სახელმწიფო ხარჯს. ეს ყველასთვის სასიამოვნო იყო. მანუჩარ ათაბაგსაც აუსრულდა გულის წადილი. რაკი სულთანთან მტკიცედ ხელშეკრულებაც დადო, მის შემდეგ, დაიმედებული საქართველოსაკენ გამოეშურა. იგი მალე მოვიდა საქართველოში შავის ზღვით, მგზავრობის დროს ძმასთან ართვინის ახლოს, სოფ, სვეტში. ათაბაგი ბიძასთან მით უფრო მივიდა სახლში, რადგანაც დროებით ათაბაგობის მართვა მას მიანდო. ბიძა გაუმასპინძლდა, როგორც ზემოთ ვახსენეთ, მანუჩარ ათაბაგი მოწამლით გარდაიცვალა ამ ღამეს. მიცვალებული თანამხლებლებმა ახალციხეს წამოასვენეს. ამის შემდეგ ბექა ათაბაგი მალე წავიდა სტამბოლს, წარსდგა სულთანის წინაშე, აუწყა მანუჩარის სიკვდილი და ქვეყნის ვითარება და სხვა და სხვაცნობები.

სულთანმა ყოველივე მოისმინა და მერე ნასიამოვნებმა ჰკითხა:

— ახლა თქვენ რას ითხოვთ ჩემგან, რას მავალებთ, რომ გიბოძოთ?

ათაბაგმა მოწონებით მიუგო, თან აღუთქვა თვისი ერთგულება და თხოვნა ასე:

— დიდებულო მბრძანებელო და მზისა და მთვარისბადალო და წონავ, მე ვარ თქვენი ერთგული და ფეხთა მტვერი და მიწა. მე გადიდებთ თქვენ და ვადიდებთ თქვენს მეფობას, კეთილო მბრძანებელო. მე მსურს, რომ ათაბაგობა მიბოძოთ, მე მაკუთნოთ ეს ღირსება და ამის ნიშნად, რომ მე თქვენი ერთგული და მიწა მტვერი ვარ, ვტოებ ჩვენს სჯულს და ვიწამებ ისლამს, მუჰამედს და მივიღებ თქვენსას. ვიქნები თქვენი უერთგულესი და ორგული საქართველოსი, ქართველების და ქრისტიანობის, მხოლოდ მე მიბოძეთ ათაბაგობა.

სულთანს ესიამოვნა ათაბაგის მოხსენება, ხოლო ცოტა ეჭვში შევიდა. ათაბაგნი მოტყუილებას დაჩვეულები არიან და ვაი თუ ესეც მატყუილებს მეო. ასევე უთხრა ბექას. ბექამ რა შეიტყო სულთანის ეჭვი, ამიტომ მიუგო ახალი სიტყვა და ყოველივე ეჭვი სულთანს დაურღვია, ნიშნად თვისის ერთგულების ისიც აღიარა და დაასახელა, თუ ის წინეთ როგორ ეკამათებოდა სულთანის ორგულებს და მით რა სამსახურს უწევდა ოსმალოს და ისლამს. სულთანი ამაზედ დარწმუნდა, ამიტომ ამან მიუგო:

— კეთილი, შენის ლაპარაკიდან მწამს შენი ჩვენდამი ერთგულება. შენ გიბოძემ ათაბაგობას და შენს მომდევართ ვაკუთვნებ მას. მაგრამ მე თქვენი გვარის კაცების ეჭვი მაქვს, თქვენ თუ ჩემი ერთგული ხართ მაშინ ჯერეთ მუჰმედი და ისლამი იწამეთ და მეც მზათ ვარ, რომ თქვენც მის შემდეგ დაგამტკიცოთ ათაბაგათ და გაგისტუმროთ შინ. ბექა ათაბაგმა მოახსენა,

— მიმიღეთ ბატონო, შემიერთეთ, მე მზათა ვარ, რომ ისე მოვიქცე, როგორც თქვენ გვიბრძანებთ.

სულთანს ესიამოვნა, მაშინათვე დაიბარა თავის კაცები,

სჯულის მეთაურნი, შეიხულ ისლამი და გამოუცხადა მათ ათაბაგის ჰაზრი. ეს ცნობა ყველას ესიამოვნათ. მის მერე ათაბაგს შეიხულ ისლამმა მცირე რამ ლოცვები ასწავლა, რამდენიმე ხნის შემდეგ ისლამის ერთგულებისათვის ფიცი ჩამოართვეს და მის მერე, ერთ დღეს, სტამბოლში, ბექა ათაბაგი საქვეყნოთ შეუერთდა ისლამს. ამ დროს მას, ბექას მაგიერ საფარა უწოდეს.

ისლამთან დაკავშირების შემდეგ, ბექა ათაბაგს სულთანმა აუწყა შემდეგი:

— შენ დღეის შემდეგ მუსულმანი ხარ, ჩვენი ძმა, თქვენი გვარიდან ეს პირველი მაგალითი არის, თქვენ პირველი ხართ, ამიტომ მოგიწოდებთ, რომ როგორც სჯულით, ისევე საქმით და თანამდებობითაც თქვენ პირველი უნდა იყოთ. ამიტომ ჩვენ გვსურს, რომ ეგ თქვენებური ათაბაგობა იქით გადავდოთ, ვინაიდან იგი ქართული არის და ჩვენ ჩვენებური თანამდებობა მოგცეთ, ესე იგი ფაშობა გიბოძოთ და დაგამტკიცოთ ახალციხის ფაშათ. ჩვენი კაცი თუ ხარ, ბარემ საქმითაც ჩვენი იყავი.

ბექას, ანუ საფარ ფაშას, ათაბაგობის ღირსების მოცილება ერთის მხრით ემძიმა, მაგრამ წინადადება ისეთის კილოთი იყო განცხადებული, რომ უარს ვერ ეტყოდა და ვერც უთხრა. თანახმა გახდა და მიუგო:

— თქვენს ბრძანებას ყოველთვის აღვასრულებ, ყოველივეს მივიღებ, ხოლო იმას კი ვითხოვ, რომ ჩემ შემდეგ ფაშობა ჩემს შვილებზედ გადავიდეს და ეს ღირსება დაშთეს ჩემი გვარის და შვილის შვილების საკუთრებათ, შვილიდამ-შვილზედ გადადიოდეს.

სულთანმა ამის პირობა მისცა, ამის შემდეგ ივი დაამტკიცეს ახალციხის ფაშათ, მას დაუმორჩილეს მთელი სამცხე-საათაბაგოს ფაშები, ბეგები, ალიბ-ბეგები, სანჯაყ ბეგები და თვით კი ეს ახალციხის ფაშა დაუქვემდებარეს არზრუმის სერასკერს, ანუ სამხედრო გუბერნატორს.

ბექა ათაბაგის გათათრება მოხდა 15 ივლისს, 1625 წ. ისლამთან დაკავშირების წინეთ, ფითქმის იმავ დღეს ბექა ათაბაგმა სულთანს და რჯულის თავკაცებს ასეთი პირობაც მისცა ფიცით:

— ჯერეთ მე შეუერთდები ისლამს, მის მერე შეუერთებ მთელს თქვენს საბრძანებელს სამცხე-საათაბაგოს ქართველთ და ბოლოს, ვეცდები რომ მთელი საქართველოც დაგიმორჩილოთ და მასთან მათ ისლამიც მივალებინო, თქვენი ერთგულები გავხადო. ეს წინადადებაც დიდათ ესიამოვნათ. ამიტომ მას მისცეს კარგი საჩუქრები, მალე დაამტკიცეს ახალციხის ფაშათ და ბამოისტრმრეს საქართველოში დიდის დიდებით, და სხვა და სხვა ფირმანებით, ჯარის კაცებით, საომარის იარაღით, ზარბაზნებით და სხვაც ასეთის საჭიროებითა. მასთანვე მოსწერა ტრაპიზონის და არზრუმის ფაშებს, როთქვენ ამ საფარ ფაშას ახალციხეში გაფაშებისათვის დახმარება გაუწიეთ და ჯარით დაეხმარეთო. მგზავრობის დროს, სტამბოლიდან გამოყოლებულ ჯარის კაცთ გზაში ემატებოდენ სხვა ჯარის კაცნიც, ვიდრე ეს ახალციხეში მოვიდა, მინამდის მას დიდი ძალი ჯარის კაცნი მოუგროვდენ მცველად.

ბექას სჯულის გამოცვლის ამბავი ახალციხეში ქართველებმა წინათვე იცოდენ. ახალციხეში მისვლის დროს, მაინც ქართველები გზაში მიეგებენ და პატივი სცეს. სიტყვით კი არაფერი უთხრეს. აქვე ერივნენ ახალციხის ქართველ სამღვდელონი. ათაბაგი თავის წინაპართა მსგავსათ ჯერეთ საფარაში უნდა წასულიყო, ელოცნა და მერე უნდა მოსულიყო თავის სამთავრო სახლში, მაგრამ მან ეს არ ქმნა, რადგანაც იგი მუსულმანი იყო. ამაზედ ხალხი უკმაყოფილო დაურჩა, მაგრამ წინააღმდეგობას ვერ უწევდენ და არას უეხადებდენ.

ათაბაგის მოსვლის დღესვე ახალციხე აივსო ოსმალოს ჯარის კაცებით, თოფ-ზარბაზნებით და საომარის იარაღით. ამასვე თან მოჰყვნენ სჯულის თავკაცები, ხოჯები და მოლე-

ბი. მოსვლის მეორე დღეს ფაშამ მიიხმო მთელი ახალციხის ქართველობა და გაუცხადა ეს:

— მე ისლამს შევუერთდი, დღეიდან მუსულმანი ვარ და ასეც მიგულეთ. მე მუსულმანი ვარ, მაგრამ მაინც არც თქვენ მოგაკლებთ პატივს. მე ვიქნები თქვენი პატივის მცემელი და სულთანის ერთგული, ამით არა დაშავდება რა. ღმერთმა ასე ინება, ასე მოაწყო საქმე და მეც მიტომ შევუერთდი მას. ბძანება არის მოცემული, რომ დღეის შემდეგ, მთელს ჩემს საბძანებელში ვინცკი სცხოვრებენ ქართველნი ყველამ ისლამი უნდა იწამოს. ჩვენი ხელმწიფის ნატვრა ეს არის. მეც ამას ვემსახურები დღეს. თქვენც გატყობინებთ მას.

ამის ასეთი განცხადება ბევრს ეწყინა. ამათ ქართლს, კახეთს და იმერეთს ათაბაგის ცნობები მალე გაგზავნეს და აცნობეს. საფარ ფაშას მრავალთაგან საყვედურის წერილები და ცნობებიც მოსდიოდა, მაგრამ იგი ამით არ შინდებოდა, ყველას პასუხს აძლევდა. ცნობა გვაქვს, რომ საფარ ფაშამ ქართული წერა-კითხვაც კარგად იცოდა, ამისაგან ხელ-მოწერილი, სიგელ-გუჯრებიც არის დაშთენილი. ჩვენ ისიც ვიცით, რომ ამ პირს ისიც კი უთქვამს, რომ მე ვიქნები სჯულით მუსულმანი, თათარი ხოლო ტომით, ენით და სისხლით ქართველი, ქართველთ ოჯახის ფაშაო.

შეიძლება აქ საქმე ასეც ყოფილიყო, ვინ იცის, იქნება ამ ისლამთან დაკავშირებით უფრო მეტი სიკეთე მოეტანა თავის სამშობლო საქართველოსთვის. ვინც არ გათათრდა და ქრისტიანობაზედ მტკიცეთ დაშთენ, იმათ რა მოიგეს, რითი უშველეს თავიანთ თავს? არაფრით, უბრალოდ ეწამენ ამისათვის მრავალნი. რასაკვირველია სჯულის გამოცვლა კარგი არ არის, მაგრამ თუ ეს ცვლილება რამე საქვეყნო პირობებს მოაქვს, მაშინ მეტი რა გზა არის, უნდა მას დაეთმოს უპირატესობა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ხოსრო მირზა ისლამს დაუკავშირდა, ასევე ირაკლი პირველი და სხვანიც ბევრნი, მაგრამ ამით საქმე არ წახდენიათ. ნაცვლად ამის მათ დიდი

ნდობა მოუპოვებიათ და მით თავიანთის ქვეყნისათვისაც უფრო დიდათ უსარგებლებიათ. ვინ იცის იქნება ამ პირსაც ასევე სურდა. ყველაფერი შეიძლება.

ხოლო ამის სჯულის გამოცვლის შემდეგ ბევრი აღარ აცალეს, აუტყდენ მრავალნი, დაუწყეს კიცხვა-გმობა, ძრახვა, ზოგი გამსყიდველს უწოდებდა, ზოგი მოღალატეს, ზოგი იუდას, ზოგი ვინ იცის რას არა, აგინებდენ, სწყევლიდენ და ვინ იცის რას არ უძღვნიდენ, ამით ეს პირი დიდათ გააბოროტეს, ბოროტებას ბოროტება მოჰყვა და უკანასკნელ ესეც გადაეკიდა მათ. ჯიბრმა ჯიბრი გამოიწვია, მტრობამ-მტრობა და ამატომ, თუ ქართველნი ამას ჰკიცხავდენ და მტრობდენ, ამიტომ მანაც მძლავრი მახვილი აიღო ხელში და დაუწყო ქართველებს ბრძოლა და ამით მორევაც.

ერთხელ გაჯავრებული იყო საფარ ფაშა. ამ დროს მან მთელი სამცხის დიდებულნი შეჰყარა ახალციხეში. აქ იყვენ თითქმის ყველა გვარის დიდებულთაგანი და მათ საჯაროთ და აშკარათ განუცხადა თავის ეს წინადადება.

მე თათარი ვარ, გავთათრდი, ვინც ოსმალის ხელში არიან, ისინი სულ თათრები უნდა იყვენ, ამიტომ, მე გიცხადებთ, რომ ჩემს კიცხვას თავი გაანებოთ და მასთან გიბრძანებთ იმასაც, რომ თქვენც ისლამი მიიღოთ, მაჰმადს შეუერთდეთ. ასე გირჩევთ, თორემ არა გამოვა რა თქვენის უარით. მაინც ჩვენი ხელმწიფე არ დაგტოვებთ უიმისოდ.

ხალხში საშინელი ჩოჩქოლი და ყაყანი გაისმა. ჩუმად ამბობდენ მსმენელნი:

— თითონ ღმერთმა მშვიდობა მისცეს, ხომ გათათრდა, ჩვენ რაღას ჩამოგვკიდებია, ჩვენ ჩვენი საქმის ვიცით.

ეს სიტყვებიც კარგად შეიტყო საფარ ფაშამ, ამან მიუგო მათ დარიგებით:

— მე კი არ გატანთ ძალას რომ გათათრდეთ, ამას ჩვენი ხელმწიფე გვავალებს, ქართველთ ვინც ჩემს ხელში იქნება, უსათუოდ ჩემი სჯულის უნდა იყოსო. საქმე ამაში გახლავსთ,

არ გინდათ, არ ემორჩილებით ბრძანებას, მაშინ აიყარენით და წადით იქით, საითაც თქვენი სჯულის ხალხია, ამასთ ქვენ არავინ დაგიშლით.

ხალხმა კიდევ უარი უთხრა. საქმე სახუმრო აღარ იყო. ამიტომ ქართველთ ორში ერთი ელოდათ, ან ისლამი და ან აქედან წასვლა, გადასახლება. ესენი კი არც ერთს არ შვრებოდენ. მაშინ საფარ ფაშამ ოსმალოს ჯარი მოიხმო და მათის მეოხებით უძლურ ჰყო უჯიათი მოთავენი და დაიმორჩილა. დამორჩილების დროსვე დარიგება მისცა, აუწყა, რომ უარით არა გამოვა რა, ქვეყანა შლილობაში იქნება ყოველთვისაო და ამიტომ გირჩევთ, რომ ერთხელა და სამუდამოთ მორჩეთ ამ აურ-ზაურს და მიიღოთ ისლამი, ამით მოისვენებთ თქვენც. მოისვენებს ქვეყანაც, და ყოველივე დაწყნარდებაო. მარა მაინც უარი განაცხადეს. ფაშა გაცეცხლდა ამაზედ და კრება დაიშალა. მეორე დღეს კვალად მიიხმო მან ხსენებულნი პირნი და განაცხადა მრისხანებით შემდეგი ბრძანება:

— ვინც გათათრდება ხომ კაი, ვინც არადა ის აქ არ დარჩება, თუ დარჩა და უჯიათობა გასწია, მაშინ მას თავი მოეკვეთება.

საფარ ფაშა მრისხანებით აცხადებდა თავის ბრძანებას. ქართველთათვის კი ეს მეხის ტეხა იყო. ამ ამბავს მოყვა დიდი უბედურება, ხალხის შლილობა, ღალატი და ჯაშუშობა. საქმე გაჭირდა, ორში ერთი უნდა აღესრულებინათ. თავადაზნაურთა ოჯახების ზოგი გადმოსახლებულ იქმნენ გურიაში, იმერეთში და ქართლში, ზოგნი იქ დარჩენ და წამებულ იქმნენ სიკვდილით, ზოგნი კი იქ დაშთენ და გათათრდენ. პირველ დღეს ცოტანი გათათრდენ, შემდეგ და შემდეგ კი ემატებოდენ, ბევრნი საიდუმლოთ ქრისტიანობასაც ინახავდენ. ნახევარზე მეტი კი ქართლ-კახეთში იქმენ გადმოსული და ქართლ-კახეთის და იმერთ ბატონიშვილებისაგან მიღებული იმავ წოდებით, როგორც საათაბაგოში იყვენ. აი ესეც არის ერთი იმის მიზეზთაგანი, რომ ქართლ-კახეთში და ნამეტურ

იმერეთში ასე მრავალია თავად აზნაურთა გვარები. პირველ გათათრების გამოცხადების შემდეგ ქართველთ თავად აზნაურებმა თხოვნა გაუგზავნეს სულთანს და სთხვეს, რომ ჩვენ სჯულზე დაგვტოვეთ და ისე გვიმსახურეთო. უარი მოუვიდათ. არ შეიძლება, მაგ საქმის ვითარება საფარ ფაშამ იცისო. ქართლში და იმერეთში გადმოსულ თავად-აზნაურების მამულებს საფარ ფაშა იძენდა და მერე ამაებს ჰმატებდა იმ აზნაურებს, თავადებს და გლეხებს, რომლებიც ისლამს ადვილათ უერთდებოდენ.

ყველაზე ადვილათ ჯავახეთის თავად აზნაურებმა იწყეს გათათრება, ყველაზე ადვილათ გათათრების საფუძველი ახალციხეში და მის მიდამოებში დამტკიცდა. ახალციხის მიდამოების თავად აზნაურები ამით გამოჩენილნი არიან, მაგალითად ათაბაგნი ხიმშიაშვილები, ფალავანდისშვილები, ერისთვისშვილები, ხერხეულიძები, ვაჩნიძეები, დიასამიძეები, ციციშვილები და სხვანი. აზნაურთაგან უფრო მრავალნი იქმენ შეკავშირებულნი თათრობასთან. ახალციხეში თავისუფლათ მოიფინენ მოლები და ხოჯები, აქ ამავ დროს დამტკიცდა მუფთი და მისი მეჯლიში ყადებითურთ. დააფუძნეს პატარა საერო საშრევლო მედრეესები და ახალციხეში სასულიერო სასწავლებელი-მოლების. აქ უნდა გამოეზარდათ ქართველი მოლები და ხოჯები. ახალციხის იქითა მხარეს კი, უფრო შორს და ოსმალთათვის უფრო საჭირო ადგილებში ეს ასე ადვილათ ვერ იქმნა სისრულეში მოყვანილი. იქ სჯულის გამო დიდი ომი გამართეს და ნამეტურ აჭარაში, მაჭახელში, პარხალს, ოლთის, ერუშეთს, შავშეთს, ლივანას და სხვა ადგილებში.

საფარ ფაშამ რაკი თავად აზნაურებში მოახერხა და შეიტანა ისლამი, მის შემდეგ მას იმედი მიეცა, რომ ახლა კი შეიძლება რამე მოვახერხო და ხალხი და სამღვდელეობაც ადვილათ დავიყოლიო და მოვრჩე ამათ დავიდარაბასაო. რამდენიმე ხნის შემდეგ საფარ ფაშამ სამღვდელობას დაუწყო ლაპარაკი და დარიგება, რომ ჩვენ ველარას გავაწყობთ და სჯული სჯუ-

ლი არის ხომა და ამიტომ ნუ ვიზამთ ქვეყნის ავსა და ნუ ავიშლებით, მივიღოთ ისლამი და ვადიდოთ ღმერთიო.

მღდელთაგან ამან დიდი უარი მიიღო. მერე ასეთი დარიგება მისცა.

— დღეიდან თქვენ მე გამაავკაცებთ, ჩემში ჩაინერგება კერპების მტრობა და ამას ნუ იზამთ.

მათ ისევ უარი მიუგეს, რაც გენებოს ის ქენით და ჩვენ კი ვერ დაგვიმირჩილებ, ნაცვლად მორჩილების ვიქმნებით ყოველთვის თქვენი განძრახვის მტრებიო. საფარ ფაშა ამაზედ დაემდურა დიდათ და უთხრა პასუხი ასე:

— კარგი, ნება თქვენი იყოს, ქენით რაც გენებოთ და იცოდეთ, რომ ყოველი შრომა თქვენი ამაო აქნება, მე ჩემსას გავიტანო.

ამ დღიდან საფარ ფაშა გაგულისდა დიდათ, გადაეკიდა არა მარტო სამღვდელოებას, არამედ ყველას, ვინც კი წინამღდეგი აყო. სამღვდელოებაც უარესად ამხედრდა, ხსნა აღარსად იყო, მაგრამ ესენი მაინც თავიანთს არ იშლიდენ და ხალხში დადიოდენ და ლაპარაკობდენ ქადაგების კილოთი ასე:

რაკი ჩვენ ძალა აღარ გვაქვს და მოუძლურდით, ვიქმნეთ ოსმალთ ხელში, ხოლო მამაპაპის სჯულს ნუ დავსტოვებთ.

ასევე უქადაგებდენ საფარ ფაშას და ნამეტურ მის სახლობას, სწორეთ ასეთ საქმეთა მეოხება იყო, რომ საფარ ფაშის წყალობით გათათრებულ იქმნენ მრავლად ქართველნი, და საფარ ფაშის სახლობა კი თავს ინახავდა ქრისტიანობით. საფარ ფაშას თავის ოჯახის გათათრების საქმე ისე გაუძნელდა, ისე გაუჭირდა შინაურ წევრთ გადაყვანა, რომ უკანასკნელ იძულებულმა სასტიკი ზომები იხმარა და ისე შეიტანა თავის ოჯახში ისლამი. როგორც მის ოჯახში, ისევე სხვის ოჯახებშიაც ისევე იყო ისლამის საქმე დაყენებული.

საფარ ფაშამ აშკარათ ნახა სამღვდელოების მეცადინეობა, ამიტომ მან ერთ დღეს დაიბარა მთელი სამღვდელოება და გამოუცხადა ასე:

— გიცხადებთ ყველას საქვეყნოთ, რომ მე გავთათრდი, ერთ-

გული გავხდი ოსმალის, ჩემი სურვილი ასე იყო, ოსმალთა მე ამისათვის ამამაღლეს, უძლიერესის დიდებით შემმოსეს. მთელი სამცხე-საათაბაგო ჩემს საბრძანებლად დანიშნეს, თქვენც ჩემს მონებათ, ეხლა მე სრული ბატონი ვარ თქვენი, ჩემს ხელთ არის თქვენი თავი, მე ჩემს საბრძანებელში ქართველთ ველარ დავაყენებ, თუ იმათ თათრის სჯული არ მიიღესო. ამდენი მონასტერ-ეკლესიებიც საჭირო არ არის, კმარა სამი-ოთხი ეკლესია მთელს მხარეში და ორი-სამი ბერი, დანარჩენი წადით აქედან, თუ აქ დარჩებით, მაშინ თქვენ უნდა გათათრდეთ, თქვენი გაუთათრებლობა შეუძლებელია.

ქართველთ სამღვდელოება დიდათ ეწინააღმდეგა, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს, საფარ ფაშამ თავისი ბრძანება და წადილი სისრულეში მოიყვანა, მთავროობის ბრძანებაც ასეთი იყო.

ერთ დღეს დაკეტილ იქმნა ამის ბრძანებით მთელი საათაბაგოს ეკლესიები, მღვდლებს აღეკრძალათ შიგ შესვლა და წირვა ლოცვის აღსრულება. რამდენიმე ხნის შემდეგ ეკლესიებს დაუწყეს ჩხრეკა, საცა კი რამ ხატები იყო, ზარები და ან სხვა რამ ნივთები ყველა ამაებს ერთ ალაგას აგროვებდენ. ასე და ამ გვარათ მთელს სამცხეში 5000 ეკლესიაზე მეტი იქმნა გაუქმებულ-მოსპობილი, რაც მასში საეკლესიო ნივთები იყო, ესენიც საფარ ფაშის ბრძანებით ერთ სახლში შეკრიბეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ყველა ეს შეკრებილი საეკლესიო ნივთებიც საფარ ფაშის ბრძანებით არზრუმს და სტამბოლს გაიგზავნა, მთავროობას გადასცეს, მერე იგი დაყიდეს. ბევრს ალაგას კი სამღვდელობას მოუსწრიათ, ფაშის კაცებისაგან დაკეტილი ეკლესიის კარები გაუღიათ, საეკლესიო ნივთები გამოუტანიათ აქა იქ დაუმალავთ, რაც მძიმე ყოფილა მაგალითად ზარები და სხვა ასეთი ნივთები კი იქვე მიწაში დაუმარხავთ, იმ დროებში მიწაში დაფლულ ძვირფას ნივთების დღესაც სჩნდება ხშირად.

საეკლესიო ნივთების შეკრების შემდეგ საფარ ფაშამ სამღვდელოებას მიჰყო ხელი. უკანასკნელ საქმე ძალადობაზე მი-

ვიდა. საფარ ფაშამ ბრძოლა დაუწყო მათ, სამღვდელოება შეებრძოლა, მაგრამ უბრალოთ, ველარა მოახერხეს რა. უკანასკნელ სასტიკ დევნასაც მიეცენ. ხალხსაც შიში და გაფრთხილება გამოუცხადეს, რომ ვინც სამღვდელოებას დაეხმარება, იმას თათრის სჯულის წესით სასტიკათ დავსჯითო. ამგვარათ საფარ ფაშა მალე მოესწრა მთავრობის წადილის განხორციელებას. ჯავახეთში სამღვდელოება შემცირდა და მათ მაგიერ მოლა, ხოჯებმა იწყეს გამრავლება, ეკლესიების მაგიერ ჯამეების შენება იწყეს, ვინც გათათრდა ხომ კაი და ვინც არა მათი ფიქრი აღარ ჰქონდათ, ესენიც დღეს თუ ხვალ გათათრდებიანო. საქმე სხვა ადგილების ქართველთ გათათრება იყო, რომელთა შიშიც საფარ ფაშას სასტიკათ აფიქრებდა.

ჯავახეთი და მესხეთის დადინჯების შემდეგ საფარ ფაშა წავიდა აჭარაში, შეყარა სხვა და სხვა კუთხის ხალხი და ყველას საერთოთ გამოუცხადა გათათრება. ხალხი აღელდა, ბრძანებაზე უარი ჰყვეს და ბრძოლა გამოუცხადეს. ბრძოლა მალე გაიმართა. ოსმალთ წინააღმდეგ აჭარელნი ,,მოდი ნახე''-ს ციხიდან იბრძოდენ: ციხეს მფარველობდენ და მამაცურად იბრძოდენ ძველი თავადის გვარის პირფარეშის ძენი, დღეს ბეჟანიძეები. (ბეჟან-ოღლები). ეს ციხე ხსენებულ დროს იქმნა დაქცეული. ქართველნი გამეტებით იბრძოდენ და ქედს არ იხრიდენ, მაგრამ საბოლოოთ კი წახდა საქმე. აქ დაეცა ქართველობა. ბევრმა წვალებამ მოაბეზრა, ქართველთ იწყეს გათათრება. მაგრამ მცირეთ. ვინც გათათრდებოდა მათაც სასტიკათ სდევნიდენ ქრისტიან ქართველნი. აჭარელთ ისე გაუჭირეს საფარ ფაშას საქმე, რომ მან დროებით მათი გათათრება შეაჩერა. შეაჩერა მით უფრო, რადგანაც მთელს მის სიცოცხლეში აჭარელნი მოუსვენრათ იბრძოდენ. აჭარამ, მაჭახელამ, ზეგანმა და ლივანამ სჯულის გამო 100 წელზე მეტი იომა. 1630—1740 წლებამდე ესენი დაუცხრომლათ იბრძოდენ და 1740 წლებიდან კი იწყეს მათაც აშკარათ ისლამზედ გადასვლა, მაგრამ იყვენ ისეთნიც, რომლებიც მამაპაპის სჯულით და რწმე-

ნით 1800 წლებამდის დაშთენ. აჭარაში დღესაც ლაპარაკობენ, რომ სჯულის გამო ას წელიწადზე მეტი უბრძოლიათ აჭარლებსაო.

აჭარის შემდეგ საფარ ფაშა გაემართა ოლთისის და ყარსისაკენ. იქაური ქართველნიც სრულიად მაჰმადიან ჰყო, ეკლესიები მოსპო, უმეტეს ოლთისს და ყოველივე გააუქმა, ყველაფერი ოსმალებრ, თათრულათ დაამყარა-დააფუძნა. აქედან ჭანეთს მიმართა, ჭანეთში გათათრების საქმე ბრწყინვალეთ მიდიოდა. ჭანეთიდან ისევ ახალციხეში მოვიდა და რამდენიმე ხნის შემდეგ გლეხკაცობა იხმო თვისთან და გამოუცხადა:

— დღეს საათაბაგო თათრის საბატონოა, თათრის ხელში ქართველი კაცის დაშთენა არ შეიძლება, ამიტომ ბრძანება არის სულთანისაგან, რომ თქვენ ყველანი უნდა გათათრდეთ. თუ არ გათათრდებით, მაშინ დახოცვა მოგელით თქვენა და დევნა, ორში ერთი უნდა ამოირჩიოთ, ან უნდა გათათრდეთ და აქ დარჩეთ და ან აქედან უნდა სხვაგან გადასახლდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში დაიხოცებითო.

გლეხებმა უარი უთხრეს, ამაზე დიდი შლილობა მოხდა. დიდი დაჯიდარაბა და ჩხუბები. ესენი უარს ეტყოდენ და თან დასძენდენ.

— ვინც გათათრდა იმან რა შეიმატა, ჩვენ ჩვენს ხარჯს გაძლევთ, სხვა რა გინდათ. ჩვენ მაგას ვერ ვიზამთ.

ათაბაგმა აუწყა მათ:

— თქვენ რომ გათათრდებით მაშინ ბატონებისგანაც განთავისუფლდებით, ბატონი გაყიდვას, დაწიოკებას და დაჩაგვრას ველარ შეიძლებს, მუჰხამედის წინაშე ყველა თანაბარია, თათრის გაყიდვა არ შეიძლება.

თუმცალა სამცხე-საათაბაგოში ბატონყმობის წეს-წყობილება ისეთი სასტიკი ხასიათების მქონი არ იყო, როგორც ქართლსა და იმერეთში. საათაბაგოს გლეხნი უფრო თავისუფალ იყვენ მონებისაგან, მაგრამ მათში ზოგმა მალე იწყო გათათრება, რადგანაც ძრიელ ეხართებოდა ის ცნობა, რომ გა-

თათრების შემდეგ ყმობიდანაც განვთავისუფლდებითო. ეს ასეც იყო და ვინც თათრდებოდა იმას საფარ ფაშა მაშინათვე ათავისუფლებდა ყმობისაგან. მაინც ამ დროს საათაბაგოს გლეხკაცობის უმეტესი ნაწილი ბატონებს აღარ ემორჩილებოდენ, რადგანაც ამის დრო აღარ იყო, სჯულის გამო დიდი შლილობა გახლდათ და მრავალი თავად აზნაურებიც ქართლში მორბოდენ საცხოვრებლად და თავიანთ ყმებს და მამულებს საათაბაგოში სტოვებდენ. ამის მოდავე აღარავინ ჩნდებოდა.

საფარ ფაშა ჯაყელმა ბევრის დარიგების შემდეგ გლეხებშიაც გაიჩინა ისლამის მტკიცეთ მაღიარებელნი. ასეთ ოჯახებს მფარველობდა საფარ ფაშა და მისი ლაშქარი. ქრისტიანთ გლეხთ კი ისლამის სასარგებლოთ კაი დარიგებას აძლევდა ნამეტურ ნათესავებს. ამათში სჯულის გამოცვლის გამო დიდი ალიაქოთი და შლილობა გაიმართა. ერთმანერთის სიძულვილი და მტრობა. საფარ ფაშა თათარ-ქართველთ მტრების, მრავალი პატიმარ ჰყო, ბევრი დააშოშმინა. ახალ გათათრებულ ქართველთათვის საფარ ფაშამ მოლა და ხოჯები მოიხმო ტრაპიზონიდან და გათათრებულნი ჩააბარა. ამ მოლებმა დაიწყეს ქართული ენის შესწავლა და ხალხში ქადაგება მეტათ ადვილის კილოთი და მდაბიო ერის გასაგონათ. ამათი ქადაგება ისე არსად გავრცელდა, როგორც ჯავახეთში. ახალციხის და ახალ ქალაქის მიდამოებში, მათ ფესვი განიდგეს. პირველ ხანებში მარტოთ მამაკაცებს ათათრებდენ. დედა კაცობა ცრემლით მზერდა ასეთ საქმეებს. საფარ ფაშის დარიგებით დედაკაცობამ გათათრება შემდეგ იწყო, ასე რომ თვითონ საფარ ფაშაც მოესწრო ამას. ეს სულ ათი წლის განმავლობაში მოხდა.

საფარ ფაშა თუმც მეცადინეობდა ისლამის გავრცელებისთვის, მაკრამ მაინც სწრაფათ ვერას აწყობდა, თავადაზნაურებში ბევრნი დარჩენ გაუთათრებლები და მეორე ამათის მიბაძვით არც მათი მოყმე გლეხები თათრდებოდენ. ზოგი ყმები მებატონეს თან მისდევდენ ქართლსა და იმერეთში.

ზოგნი მებატონეთა დარიგების მეოხებით არ თათრდებოდენ და ამისთვის იბრძოდენ. სასტიკ სიკვდილსაც კი ეგებებოდენ. საფარ ფაშამ განიძრახა გლეხებში უბრალოდ ბრძოლის მოსპობა. ამათი მომადლიერება. ერთ დღეს დაიბარეს მთელი საათაბაგოს თავად-აზნაურები და ამათ გამოუცხადეს უმაღლესი ბრძანება, რომ დღეის შემდეგ ოსმალოს საბძანებელში თავად-აზნაურობა უნდა მოისპოსო. თავადებს ბეგობა მიეცემათ და ეწოდებათო და აზნაურებს აღიობა და. აღიებათ იქნებიან წოდებულიო, ვინც ამის წინააღმდეგი იქნება, იმას ვსთხოვ, როშ ეს პირდაპირ აღიაროსო.

ბევრნი წინააღმდეგნი გახდენ ამის, ამათ დარიგება მიიღეს, ბევრნი გამოსდევნეს ქართლსა და იმერეთში. ვინც თანახმანი იყვენ იმათ ეწოდენ საფარ ფაშის ბრძანებისამებრ. ამათ საფარ ფაშა საჩუქრებსაც აძლევდა. საჩუქრებით ძრიელ იმადრიელებდენ თავად აზნაურებს. ასე და ამ გვარად მოისპო თავადობა და განწესდა ბეგიობა, მოისპო აზნაურობა და განწესდა აღიობა. შემდეგ ამისა ესენი ასე იქმენ წოდებულნი. ადგილ მდებარეობის გამგეობის საქმეებიც ოსმალურებ დაწესდა. ადგილები დაიყო სანჯაყებათ და თითო სანჯაყის, ანუ თითო უეზდის გამგეობა ჩაბარდა ერთს ბეგთაგანს და ეს ბეგი იწოდა სანჯაყბეგათ. ასეთი სანჯაყები და სანჯაყ ბეგები მრავალ იქმნა დასავლეთ საქართველოში. ყველა ამ სანჯაყ ბეგების მეუფროსეთ ახალციხის ფაშა ითვლებოდა. ახალციხის გარდა ფაშები დასმულ იქმნენ კოლას და წოდებულ კოლას ფაშა, ყარსის ფაშა, არტაანის ფაშა, და ართვინის. ასეთ წესწყობილების შემოტანამ ცოტათ ხელი შეუწყო გათათრების საქმეს, მაგრამ გლეხ-კაცები მაინც უკმაყოფილოთ იყვენ ამაზე და ბევრნი თავიანთ მებატონეებს შიშსა და მუქარას აძლევდენ, ისლამის გამო სულ ამოგწყვიტავთო. საქმე იქამდის მივიდა, რომ ახალ გათათრებულ თავად-აზნაურებისათვის დადგა საშიში დრო.

საფარ ფაშა კი ამაზედ დიდათ ნაღვლობდა, რადგანაც ქარ-

თველთ გათათრების საქმე ერთობ გვიანდებოდა. გარდა ამისა ხალხში ზიზღი და მტრობაც იმართებოდა. ხალხის ჟლეტა, წყეტამ საფარ ფაშა მოაბეზრა, მობეზრებული ჯაყელი უკანასკვნელ იმ ჰაზრზე დადგა, რომ ჯანდაბას ამათი თავი, ნუ გათათრდებიან, ოღონდ დაწყნარდენ და გათათრებას შემდეგ მოახერხებენო. როგორც იქნა ამან ხალხი დააწყნარა, დაამშვიდა. დაწყნარების შემდეგ მან მოიხმო ყველა ბეგიები, აღიები, გლეხები და გამოუცხადა შემდეგი: ბეგები და აღიები დღეს მუჰამედის სჯულს ეკუთვნიან, იგინი თათრები არიან, მეც თათარი ვარ, ისლამის სჯულის ძალით მე გიბრძანებთ თქვენ, რომ დღეის შემდეგ ჩემს საბრძანებელში ბატონყმობა აღარ იქნება, გლეხები უნდა გათავისუფლდენ, ბატონს მათზე არაფერი ძალა აღარ ექნება, ბეგები და აღიები სამაგიეროს სულთანისაგან მიიღებენ. ბატონებისაგან გასულ გლეხებთაგანთუ ისურვებენ და თათრობას შეუერთდებიან, მაშინ ისინიც პატივცემულნი იქნებიან და დაჯილდოვებული სხვა და სხვა საჩუქრებით. ბევრს გლეხთაგანს გაეხარდა ამ ამბის გაგება და იგი მალე შეუერთდა ისლამს, უმეტეს ნაწილი კი დარჩა ქრისტიანათ, მაგრამ საფარ ფაშა არ დარდობდა, ოღონდ ესენი დინჯათ იყვენ და ამათ შემდეგ გავათათრებთო. ბეგიებსა და აღიებსაც დიდათ ეწყინათ ესეთი წეს-წყობილების შემოტანა, მაგრამ რას იზამდენ, ველარაფერი გაბედეს, სიტყვის თქმა მლვთისა და სჯულის წინაღმდეგი იქნებოდა, ამათ ხმა გაიკმინდეს და თათრობის ზნე ჩვეულების შეთვისებას მიეცენ. საფარ ფაშამ ყოველივე თავის ნათქვამი აღასრულა, სულთანს ერთგულება დაუმტკიცა, თუმც მთელი საათაბაგო ვერ გააათათრა, მაგრამ აქა იქ მაინც გააჩინა ისლამის სჯულის ქართველები, მათში მოსპო ბევრი რამ ისლამის წინამდეგი წესები, ამისაგან ესეც დიდი საქმე იყო. ოსმალნიც დიდათ უმადლიდენ. ამ დროებამდის საფარ ფაშის მეუღლე კი ქრისტიანათ იყო დაშთენილი, უკანასკნელ საფარ ფაშამ თავის ოჯახს მიმართა და ერთ დღეს ცოლს გათათრება ასე განუცხადა:

— მე თათარი ვარ, დღეის შემდეგაც თათრათ დავრჩები, ამიტომ გთხოვ რომ შენც გათათრდე. ჩვენი სულთანის ბრძანებაც ასეა.

— მე, ვერ გავთათრდები, მე მაგას ვერ ვიზამ, გინდა თავი მომჭერი, გაგეყრები, გაგეცლები და ამას არ ვიქ-მიუგო მეუღლემ.

— მე მაშ თათრული წესით მეორე ცოლს მოვიყვან, თათრის ქალს და შენ ნუ გეწყინება.

— როგორც გერჩიოს ისე ქენი, თუ კი მამა პაპის სჯული გამოიცვალე, მაგას ვიღა დაგიშლისო. მიუგო ცოლმა. ამათში მოხდა დიდი შფოთი და ალიაქოთი. შვილები დედას ემხრობოდენ. მამა სძულდათ, მალე ცოლმა ქართლის მეფეს და იმერთ ბატონებს დაავალა და ქმრის წინაშე მოციქულათ ჰყო, მაგრამ ამათ ვერაფერი გააწყვეს. საფარ ფაშა ყველას იმას ეუბნებოდა, რომ მე თათარი ვარ, ოსმალოს კაცი, და ჩემი ცოლიც თათარი უნდა იქმნესო. ჩვენი მთავრობაც ამას ითხოვსო.

ცოლმა მაინც არ ქმნა. ქმარს სასტიკათ ეჩხუბებოდა და არცხვენდა. საფარ ფაშამ დიარბეკირიდან ქურთის ქალები მოიყვანა და ცოლებათ დაისხა. ვიდრე ამას მოახერხებდა, მინამდის საფარ ფაშის მეუღლემ იმეცადინა და თავის შვილს უსუფს ქართველი ქალი შერთო ცოლათ, ეკლესიის წესით. ეს ქალი იმედოვნებდა, რომ იქნება ჩემი შვილი მაინც დარჩეს ჩვენის სჯულის ერთგულიო, ამას მაინც დავიფარავო. დედამ უსუფ ათაბაგი ქართლის მეფეს დაუახლოვა, ნამეტურ იმერთ ბატონიშვილებთან და ამათთან მისვლა მოსვლა დაიწყო, ქართული წიგნების კითხვა, საეკლესიო წესები შეისწავლა, სიბრძნის მოყარეობა და ქვეყნის მართვა. საფარ ფაშას შვილის ქორწინების გამო ჯავრი მოუვიდა, ცოლს წაეჩხუბა, მაგრამ ვეღარა გააწყო რა, ამან რაკი ქურთის ქალები მოიყვანა ცოლებათ, მაშინ უსუფ ათაბაგის დედამ იუკადრისა, ინალვლა ამისაგან. ეს გახდა ავათ და გარდაიცვალა.

ამის შემდეგ საფარ ფაშამ დაარიგა უსუფ ათაბაგი და ამასაც დაუწყო გათათრება, მაგრამ ეს მალე ვერ მოხდა, რამ-დენიმე ხნის ბრძოლის და მეცადინეობის შემდეგ გაათათრეს უსუფ ათაბაგიც, ამის ცოლი კი ქრისტიანათ დასტოვეს. რაკი საფარ ფაშა თავის შვილის უსუფის გათათრებასაც მოესწრა, მერე კი დაიმედდა და დარწმუნდა მასზე, რომ დღეის შემდეგ ფაშობა ჩემს სახლიშვილთ ხელიდან არ წაუვათო და იქმნება ერთ დროს ესენი მთელი საქართველოს მბრძანებელნიც გა-ხდენო. ჩვენი ვვარის კაცნი ერთხელაც ყოფილან საქართვე-ლოს მბრძანებლათაო. აი რისთვის და უფრო რა მიზეზებით გათათრებულა ბექა ჯაყელი. ბექა ჯაყელმა თავის შვილს ქრისტიანობის ყველაფერი დაავიწყა, ქართველობა სასტიკათ შეაძულა, მათ მოწინააღმდეგეთ გადააქცია, თან ასმენ-და შვილს, რომ შენ თუ ქართველთ ასე მოექცევი, მა-შინ სულთანი შენ აგამაღლებსო. შვილსაც ეს უნდოდა, ოღონდ კი ფაშობა მე მომცეს და ვეცდები, რომ მთელი ქართვე-ლობა გავათათროვო. ბექა ჯაყელსაც ეს ენატრებოდა, ბევრნაირ დარიგებას აძლევდა შვილებს. უსუფთან სხვა შვილებიც გა-ათათრა, ახალციხის ჩინებული ქართველთ ეკლესიაც ჯამეთ გადააკეთა. 1636 წ. გახდა ავათ და გარდაიცვალა. დაასაფლა-ვეს ახალციხის ჯამეში. საფარ ფაშა მარტოთ ქართველებს სდევნიდა და ათათრებდა, ფრანგებს და სომხებს ხმას არა სცემდა. ,,ქართლის ცხოვრების'' თქმით საფარ ფაშის კაი მეგობარი ყოფილა დიდი მოურავი ვიორგი საკაძე. ერთ-ხელ ამ ფაშას მისთვის ჯარიც მიუშველებია სპარსთა თუ სხვათა საწინააღმდეგოთ. მოურავი ამ ჯაყელ ფაშის დარიგე-ბით წასულა ოსმალეთში. ხოლო მათი მეგობრობა მოკლე დროის ყოფილა, მოურავი მოკლეს 1633 წ. საფარ ფაშა ჯაყელი მოკვდა 1636 წ.

საფარ ფაშას სიკვდილის შემდეგ 1636 წ. სტამბოლში წა-ვიდა ამის ძე უსუფ ჯაყელი. თან წაიღო დიდ ძალი ძველი ოქროს და ვერცხლის ნივთები, რომელი ნავთებიც მის მამას

სხ. და სხ. ქართველთ ეკკლესიებიდან მოეგროვებინა. გარდა ამისა თან გაიყოლა ასამდე სახიერი გოგო ბიჭები, რომლებიც აჭარაში და ლივანაში შეეკრიბა. ბევრი კი დევ სხვა განძიც წაიღო თანა. ეს მალე ჩავიდა სტამბოლში, ერთ დღეს წარსდგა სულთანის წინაშე და მიართვა ყველა ის სახიერი ყმაწვილები, რომლებიც აჭარაში და ლივანაში შეკრიბა. გარდა ამისა მიართვა ყველა ის ძველი ძვირფასი ნივთები, რაც სხვა და სხვა დროს ძველის ეკკლესიებიდან ეგროვებინათ. ამასთანავე აუწყა თავის თათრობა, სთქვა „სელავათი“ და მასთანვე სთხოვა ფაშობა, ფაშობა მამის ალაგის პიროობის ძალით. სულთანმა შეისმინა თხოვნა. რადგანაც ეს ცნობილ იქმნა, როგორც ერთგული ოსმალის და ისლამის სჯულის მაღიარაბელი. ფაშათ დაამტკიცეს და გამოისტუმრეს. უსუფ ფაშა მალე მოვიდა საქართველოში, ამანაც მამის კვალათ დაიწყო მოქმედება, ქრისტიან ქართველებს დარიგებას აძლევდა, თათარ ქართველებს პატივს სცემდა და მფარველობას უწევდა, ეს იყო შის მამის საფარ ფაშის სწავლა და ანდერძი, რომელმაც ასწავლა შვილს ყველას სიყვარული.

თუ გინდა, რომ შენ ამაღლდე და დიდ კაცათ გახდე, მაშინ ეცადე, რომ ქართველები ისე მოამზადო და დაიყოლიო, რომ იგინი უსისხლოთ გაათათრო, ამას ოსმალნი შეგიტყობენ და მაშინ ფიქრი ნულარ გაქვს, იგინი სჯულის შრომის გამო მალე გაგადიდკაცებენ.

შვილი მამის სწავლას მტკიცეთ ასრულებდა. ამანაც გაათათრა აქა იქ ქართველნი. ზოგი სიყვარულით და ზოგი შიშით. ამას ჰყვანდა მეუღლე და შვილი, მეუღლეს და შვილებს კი ვერ მოუხერხა გათათრება. ამის მეუღლემ იმეცადინა და თავის შვილს როსტომ ათაბაგს ქალი შერთო ცოლათ, ქრისტიანის წესით. როსტომი ქრისტიანი იყო და ეს დაბადებულ მონათლულ იყო იმ დროს, როცა ამის პაპა ბექა ათაბაგი გათათრდა და მერე თავისი შვილი უსუფიც გაათათრა. უსუფის მეუღლე თავის შვილს როსტომს კარგათ ზდი-

და, ხშირად გზავნიდა ქართლში და იმერეთში ქართველ ბატონიშვილებთან, სადაც უახლოვდებოდა ქართველთ. ეს დიდი მეგობარი იყო ქართლის მეფის და იმერთ ბატონის და მთავრების. მამა ბევრს სცდილობდა ამის გათათრებაზე, მაგრამ არ იქმნა, ეს ვერ მოახერხა. უსუფ ფაშა გარდაიცვალა 1657 წ. ამის შემდეგ ფაშათ იქმნა ძე უსუფ ფაშისა როსტომ ათაბაგი, ანუ შემდეგ როსტომ ფაშა.

უსუფ ფაშის გარდაცვალების შემდეგ როსტომ ათაბაგი სტამბოლში წავიდა, სულთანს და მის დიდრონს ვეზირებს სახიერი ყმაწვილები წაუყვანა, ეს რიგორც წესად ჰყო საფარ ფაშამ. წაიღო აგრეთვე ბევრი ძვირფასი ძველი ნივთები. წარსდგა სულთანის წინაშე, ყველა ესენი მიართო და აუწყა თავის მამის გარდაცვალება და ქვეყნის ამბავი. ამან თათრათ აღიარა აქ თავის თავი და თათრულ ლოცვის წესებსაც ასრულებდა. სულთანმა ისმინა ამის აჯა, დაამტკიცა ფაშათ, მისცა სხვა და სხვა საჩუქრები, დარიგება, ერთგულებისათვის დიდ წყალობას შეპირდა და მალე გამოისტუმრა. როსტომი მალე მოვიდა საქართველოში და დაიწყო საქმეების მართვა, მაგრამ ის იქამდის კადნიერი იყო, რომ პირველ ხანებში ქრისტიან ქართველებს სულ არ სდევნიდა, მისი მეუღლე მარიამიც ქრისტიანი ქალი იყო და ეს აშკარათ ქრისტიანობდა. ქმარსა და მას გვარიანი განწყობილება ქონდათ. როსტომ ათაბაგმა ქართლის მეფესთან მეგობრობა არ მოსპო, ასევე იმერთ ბატონიშვილთან და სხვა და სხვა მთავრებთან. ერთის მხრით როსტომს ძალიან სურდა, რომ საათაბაგო საქართველოს შეერთებოდა, მაგრამ ეს მეტად ძნელი საქმე იყო. ოსმალთ საზღვრები სასტიკათ ჰქონდათ გამაგრებული, ქართველების ერთმანეთში მისვლა მოსვლაც სასტიკათ აღკრძალეს. საათაბაგოს ქართველებში გაჩნდენ ისეთი ქართველები, რომელთაც, აცნობეს სულთანს, რომ როსტომ ფაშა ცხადათ ქართველია და საიდუმლოთ კი ქრისტიანიო. დღევანდლამდე მისი ცოლიც ქრისტიანათ არის დაშთენილი და ასევე ამისი შვილებიო. ამას

გარდა როსტომ ფაშა საქართველოს ბატონიშვილებს ემხრობა და თქვენს საბრძანებელს დღეს თუ ხვალ ოსმალეთს მოგლეჯს და საქართველოს შეუერთებსო.

როსტომ ფაშას მალე მოუვიდა სულთანის მდურვა და დარიგება ასე:

შენ ქართველთ ბატონიშვილებთან მისვლა მოსვლა ნუ გაქვს, მათთან მეგობრობა მოშალე, ამას გარდა შენი ცოლი და შვილებიც გაათათრე, თორემ მალე ჩვენ მოვალთ მანდა, ფაშობას ჩამოგართმევთ და ღალატის გამო სიკვდილით გაგიკითხავთ, ნუ გინდა ეს, მოერიდე ამას.

ამის გაგების შემდეგ ათაბაგი შეკრთა, ძრიელ შეშინდა ეს მალე წავიდა სტამბოლში წაიღო ძრიელ ბევრი ძველებური ოქრო, ვერცხლის სხვა და სხვა ნივთები, წარსდგა სულთანის წინაშე და მიართო ყველა ესენი. ხელმეორეთ, დიდის ერთგულებით აღიარა ,,სელავათი'' ბოდიში მოიხადა, ერთგულებაზე ფიცი მისცა. სულთანმა ყოველივე ამის ნათქვამი ირწმუნა და ყოველივე აპატია. როსტომ ათაბაგი საქართველოში მოვიდა, მოსვლისთანავე ეს ნამდვილ თათრათ აღმოსჩნდა, ქრისტიანთ ქართველებს დევნა არ დაუწყო, თათარ ქართველებს კი მფარველობას უწევდა.

მთელს ქვეყანას ამცნია თავის გათათრება და სულთანის ერთგულება. ერთ დღეს თავის მეუღლეს მიმართა დარიგებით ასე:

— სულთანის ბრძანება არის, რომ შენ უნდა გათათრდე.

— არა, მე ვერ გავთათრდები, რაც გინდათ ის ქენით. მე ეს არ შემიძლიან.—მიუგო მეუღლემ.

— საქმე ცუდათ იქმნება, შენი გაუთათრებლობისთვის მე წამახდენენ, ორივ ერთია, სჯული-სჯულია.

— როგორც უნდა მოხდეს და რაც უნდა იყოს მე მაგას ვერ ვიზამ, გადაწყვეტით გეუბნები, მიუგო ცოლმა.

ცოლ-ქმარს ამის გამო უსიამოვნება მოუხდათ. ცოლმა თავის მოკლა ისურვა, მაგრამ ეს განზრახვა ქმარმა შეუტყო და არ გაუშო. ერთ დღეს ეს ქალი სახლიდან გაიქცა და

კლდიდან აპირებდა გადავარდნას და სიკვდილს, მაგრამ ათაბაგმა სწრაფათ კაცები გამოუყენა, გზაში დაიჭირეს, შინ მიიყვანეს და მერე დააპატიმრეს. პატიმრობის დროს ხოჯები და მოლები მიუგზავნეს და გათათრებას უქადაგებდენ, მაგრამ არც აქ ისურვა იმან გათათრება. თავი მოიმშია, საჭმელს აღარ სჭამდა, ამით სურდა თავის დაოსება და მერე იქნება მოვკვდეო. მაგრამ ესეც შეუტყვეს და ძალათ აჭამეს პური. პატიმრობაში ეს ქალი დიდხანს დაშთა, ძალა გამოილია, სიკვდილს იმედოვნებდა და სჯულის გამოცვლას კი არა, უკანასკნელ ეს ძრიელ დასუსტდა, თითქმის მიიხრწნა, ძალი აღარ ჰქონდა. ამ დროს იგი ქმარმა დაიყოლია და როგორც იქმნა გააბედვინა გათათრებაზე თანხმობის გამოცხადება. თანხმობა განუცხადა, მაგრამ აი როგორ და რა უთხრა თავის ქმარს:

— მე სასტიკათ მიმძიმს სჯულის გამოცვლა, მე ამას ვერ გავბედავ ადვილათ, თუ რამ ძალა გაქვთ თქვენა, ჯერეთ სხვა ქართველთ დიდკაცის ცოლები და ქალები გაათათრეთ და რაკი ვნახავ მათს გათათრებას, მაშინ მეც ადვილათ გავთათრდები. თუ არა და მე ამას ვერ გავბედავ, ისევ სიკვდილს ვირჩევ, რომ ქრისტიანათ მოვკვდე, ჩემს მამა პაპის სჯულზე.

— კეთილი! მიუგო ათაბაგმა და ამან მალე მოახდინა განკარგულება, რომ ამა და ამ კაცის ცოლები უნდა გათათრდესო. ეს ამბავი ხსენებულ ქალებს მალე გამოეცხადათ, ამათ ბევრი იუარეს, ბევრი იტირეს, სულ ცხარე ცრემლებს ღვრიდენ, მაგრამ ბოლოს მაინც ბრძანებამ დასძლია და ერთ ალაგას შეკრებილ იქმნენ და გათათრებულნი. რაკი ამ ქალების გათათრება ნახა ათაბაგის მეუღლემ, მეტი გზა არ ჰქონდა მიშინ ესეც გათათრდა, მაგრამ დიდის მწუხარებით და ტირილ გოდებით. გათათრების შემდეგ ამან დიდხანს ველარ იცოცხლა. ამ დროს ოსმალოს ბრძანებით სასტიკათ აღეკრძალათ ქართველ თავად აზნაურებს თავიანთ წოდების ტარება, უეკველათ თავადმა ბეგის სახელი ატაროს და აზნაურმა აღისაო.

ამის ბრძანება მიტომ განაცხადეს, რადგანაც ამ დრომდეც კი, ქართველ თავად აზნაურები ქართვლის წოდებათა სახელ-წოდებით იწოდებოდენ და არა ოსმალურად, ამ ბრძანების შემდეგ კი ბეგი, ალია ბეგი, სანჯაყ ბეგი და აღიობა მტკიცეთ განმტკიცდა. საქმე ისე მოიმართა, რომ ქართველნი თვით ნატრობდენ ბეგი-აღიობას. უკანასკნელ როსტომ ფაშა პატიოსან თათრად აღმოსჩნდა, ქართლის მეფესთან იმერთ ბატონიშვილთან და მთავრებთანაც აქვნდა კავშირი და ოსმალთა სასარგებლოთ დაიწყო მოღვაწეობა. შვილები ადრიდანვე გაათათრა. ეს გარდაიცვალა 1661 წ. ამის შემდეგ კი მათს ოჯახში მკვიდრად დამტკიცდა თათრის სჯულის მაღიარებლობის პატივის ცემა, მტკიცე ნიადაგი და სიყვარული.

როსტომ ფაშის სიკვდილის შემდეგ სტამბოლში წავიდა ძე მისი ასლან ათაბაგი, თან წაიღო ოქრო, ვერცხლი, სხვა და სხვა ძველი ნივთები, რომლებსაც ესენი საქართველოს სხვა და სხვა ოჯახებიდამ აგროვებდენ. ამას გარდა, თან წაიყვანა გარდასახადში სახიერი ყმაწვილები, შეკრებილნი უმეტეს აჭარაში. ჩავიდა სტამბოლში, წარსდგა სულთანის წინაშე. მიართო ყოველივე თავის წანაღები, აუწყა მამის სიკვდილი და სთხოვა ფაშობა პირობისამებრ მათ მამაპაპათა. სულთანმა დაამტკიცა ფაშათ, წყალობა მოსცა და ეს მალე დაბრუნდა საქართველოში. მოვიდა ახალციხეში და დაიწყო საქმეების მართვა ეს მამაზე ბევრათ უფრო ერთგული იყო ოსმალოსი და თათრობის გავრცელების. ამან ამით ყველა თავის წინაპრებს გადააჭარბა. უფრო წინ წასწია ოსმალთა საქმე, გათათრების ჰაზრები და პატივის ცემა ქართველებში ფეხზედ დააყენა, არც ქართველ ქრისტიანებს აკლებდა პატივს. ამან გააუქმა ჭირზმა, გააუქმა საფარა, გააუქმა სხვა ტაძრები, ამ ტაძრების ჯამეთ გადაკეთება სურდა და მით ტაფარვა უ ენებლად, მაგრამ ეს ვერ მოახერხა, რომ მოეხერხებინა კი კაი იქნებოდა, ჯამეებს პატრონობას გაუწევდენ, ორავინ დააკლეცდა მაგრამ ეს ასე ჯრ მოხდა. რამდენიმ

ხნის შემდეგ ქართველებს ნება დართო ეკკლესიების დახსნის და შიგ წირვა ლოცვის დაწყების. ქრისტიან ქარ-ველებს კაი დარიგებას. აძლევდა, ამითი მან ბევრნიც გაათათრა, ბევრნი წინააღმდეგი იყვენ მის და ამიტომ ესენიც არ ემორჩილებოდენ ფაშის ბრძანებას, გარდა ამისა ამათ მიმართეს ქართლის მეფეს დახმარების სათხოვნელათ. შაუმდგომლობა დაავალეს ფაშასთან. მეფემ შეისმინა თხოვნა და ფაშას ახალციხეში მოციქულათ იოსებ თბილელი მიტრრპოლიტი გაუგზავნა, რადგანაც ფაშას ეს დედით ენათესავებოდა მცირეთ. ტფილელთან სხვა სამღვდელონიც იყვნენ. ესენი მისრულნი ახალციხეს ფაშისაგან მიღებულ იქმნენ და მიტროპოლიტ ცნობილ იქმნა და პატივცემულ. რამდენიმე დღის შემდეგ მიტროპოლიტმა მუდარება და თხოვნა დაუწყო, რომ ქრისტიან ქართველთ ნუ სდევნითო, მღვთის საწყენიაო. ამაებს დასძინა ისიც, რომ კარგი იქნება, რომ როგორც ძველათვე ვიყავით ისევე ვიქმნეთ ერთი და შეერთდეთო. ფაშამ პასუხი მისცა ასე:

— მე თქვენს სჯულსაც ისე ვადიდებ, როგორც ისლამს, მე ყველას პატივს ვსცემ, ჩემთვის ორივ ერთი გახლავსთ, ხოლო ჩვენი სულთანის ბრძანება ასეთი გახლავს და ჩვენც მის ბრძანებას ვემორჩილებით და ვასრულეით.

მღვდელ მთავარი აქ დიდხანს აღარ დარჩა, ეს და მის თანამხლებელნი მაშინათვე წამოვიდენ თფილისში და ათაბაგმა კიდევ თავისი ზომები განავრცო ქრისტიან ქართველებზე. რომ მათ მოციქულები არ მიეგზავნათ მისთვის მასზედ, რომ ნუ გვაწუხებ, ნუ გვათათრებ, ჩვენ სჯულზე დაგვტოვეთ და თქვენს ერთგულ მონათ გვიგულეთო. სამწუხაროდ ეს ფაშა მეტად ძუნწი ყოფილა. საწყალ კაცს ხარჯის გამო სიცოცხლეს უმწარებდა. ამისაგან ხსნა აღარ იყო. საწყალი ხალხი აიკლო მთლად და ნამეტურ გათათრებულნიც. ამის სახლი გაივსო სხვა და სხვა ი"შვიათ ნივთებით, რომლებსაც საწყლებს ქრთამში ართმევდა. ეს თავის მოქრთამეობით ისე წახდა, რომ ამან ქართლის მეფესაც კი დაუწყო ქრთამების თხოვნა. ქრთამების მეოხებით

ამან ბევრ გზის აშალა იმერთა ბატონი და მთავარნი ერთმანერთის წინააღმდეგ. თვითონ კი მიემხრობოდა ხოლმე იმ მთავარს ან ბატონიშვილს, რომლისაგანაც უფრო მეტ ქრთამს აიღებდა. სულთანს კიდევ მოტყუილებით სწერდა წერილებს, რომ ესა და ეს მთავარი ამა და ამ მთავარს აეშალა და მე კიდევ ამა და ამ მთავარს მივეშხარ და უშველე, რადგანაც იგი თქვენი ერთგულიაო, ვინც ამას ებრძოდა ის კიდევ თქვენი წინააღმდეგი არისო. ასე შეარცხვინა ამ ფაშამ ათაბაგთა გვარი.

ასლან ფაშის ქრთამით გამეფდა იმერეთში არჩილ ბატონიშვილი. არჩილის გამეფება სულთანმა იცნა და არად ესიამოვნა, ამან გინიძრახა იმერეთზე გალაშქრება. არჩილს მოსწერა: ჩემს ნება დაურთველათ იმერეთში რათ გამეფდიო. არჩილმა შიკრიკი გაგზავნა და აცნობა, რომ ასლან ფაშამ მე ამდენ-ამდენი ქრთამი გამომართოვო და მის ნებართვით ვავ მეფდიო. ოსმალნი გაგულისდენ, იმერეთში შემოვიდენ და 1667 წ. ქუთაისი მოსწვეს. საქმე თავიანთ რიგობაზე დაჰყარეს ასლან ფაშასაც დიდს საჩუქრებს დაჰპირდენ, ოღონდ შენ ჩვენი ერთგული იყავიო, ნამეტურ თათრობისო.

მაგრამ საქმე არ დაწყნარდა. ასლან ფაშამ ქრთამებს თავი არ გაანება, ხალხი ძრიელ შეაწუხა, ხალხმა სულთანთან იჩივლა, ასლან ფაშის მოქმედება აუწყეს და აუწყეს ისიც, რომ იგი ისეთი ძუნწია, რომ მას ქართველები შეუსყიდია და თქვენი საბრძანებელი საქართველოც ისევ საქართველოს შეუერთდებაო. ამის გამო სულთანმა არზრუმის ფაშას რისხვა მოსწერა და აცნობა, რომ ასლან ფაშას თავი მოსჭერიო და ფაშობა შენ დაიკავეო. არზრუმის ფაშა ასლან ფაშა სხვა და სხვა საქმეების გამო არზრუმში იხმო. ასლან ფაშა მალე წავიდა არზრუმს და ნახა ფაშა. ფაშამ ის დააპატიმრა და 1678 წ. საქვეყნოთ თავი მოსჭრა არზრუმში

ასლან ფაშას საკმარისი შეძლება დარჩა, ოქრო, ვერცლი, თვალმარგალიტი და სხვანი. ქრთამებით შებოჭვილი. ამ

ნიმდიდრით ისარგებლა ასლან ფაშის შვილმა, ამან ქრთამი
მისცა არზრუმის ფაშას და ამისავე რჩევით ეს მალე სტამ-
ბოლში წავიდა, და თან წაიღო დიდ ძალი ოქრო-ვერცხლი და
ოვალ-მარგალიტი. თანვე წაიყვანა მრავლად მშვენიერნი
ალ ვაჟნი, დროით მივიდა სტამბოლს, მალე წარსდგა სულ-
თანის წინაშე, ყველა ესენი მიართვა, ერთგულებაზე შეჰფიცა,
ყოველდრა მამა თვისი, სულთანს ასიამოვნა, ერგულებაზე და-
არწმუნა. სულთანმა მოსცა ფაშობა და დაამტკიცა ახალცი-
ხის ფაშად, ეს მალე დაბრუნდა საქართველოში. მიიღო მა-
ის ალაგი და დაიწყო მოქმედება. თუმც დასავლეთ საქარ-
ველოში ფაშობა ადრიდანვე განწესდა, მაგრამ ამ დრომ-
ის აქ არ ისხდენ ფაშები, არამედ საფაშოთ ითვლებოდა და
ეგები განაგებდენ.

ასლან ფაშას შვილზე მეტათ ცუდათ ემოქმედნა. მამას
შვილი უფრო უარესის თვისებით გამოეზარდა. ამას შეაყვა-
ა ქრთამები, სალხის უბრალოდ დარბევა, ტაციობა და სხვანი.
ყარდა ამისა მან იცოდა ქრისტიანთ ქართველთ დევნა და შეწუ-
ება. ყველა ესენი ქრთამებით იზომებოდა, ქრთამის საქმე ერთობ
ენ წავიდა და ამის მეოხებით სულთანის სახლ-კარიც აივსო
ქართველთაგან მიტანილ ნივთებით, რადგანაც ამ ფაშის
დროს ბეგებში და აღიებში ერთმანერთზე ჩივილი და დავი-
დარაბები ერთობ გახშირდა და ესენი ხშირათ მისცემდენ
ბოლმე ქრთამს სულთანს და მით გაითავისუფლებდენ თავს.
თვით სულთანი და მისი დიდრონი ვეზირებიც უხვათ დაეჩვი-
ენ ქართველთაგან ქრთამის აღებას, ესენი ქართველ კაცს
ეხარულით მიიღებდენ და უმზერდენ, რადგანაც კაი ქრთა-
ებს მოგვიტანსო.

საქმე ისე გაურიგოვდა და წახდა, რომ ქართველებში
ყოველი პირი ქრთამით ფიქრობდა სამართლის ყიდვას, ბე-
გობის შოვნას, აღიობას, თვით ფაშობას და სხვა და სხვა
ასეთებს. მაგალითად ერთმა მღვდელმა გურიელი გაეჯავრა,
უკანასკნელ ეს მღვდელი გურიელმა ახალციხეში თათრებზე

გაყიდა, გაჯავრებულმა მღვდელმა მალე თათრობა მიიღო, ამით იშოვნა დიდ ძალი ფული. უკანასკნელს დროებში ეს წავიდა სტამბოლში, ნახა შეიხ ისლამი, მერე სულთანი, სულთანს მისცა ქრთამი, ამით იშოვა ფაშობა და ჯავახეთში იქმნა განწესებული ფაშათ. ბევრი სხვა მაგალითებია ასეთი. ყველას ვერ მოსთვლის კაცი. უსუფ ფაშის მეოხებით ვინ იცის რა არ მოხდა აქეთ, ქართველთ ქრისტიანების გარდა მან დევნა მაშინდელ ფრანგის მოძღვრებასაც კი დაუწყო, რომელნიც ახალციხეში ცხოვრებდენ და თავიანთ მრევლს ჰპატრონობდენ. პატრებმა ბრალდება თავიდან იხსნეს, უკანასკნელ ქრთამი მისცეს, თავი იმართლეს. ეს ფაშა ბევრს ბოროტებას ჩაიდენდა, მაგრამ მას აღარ დასცალდა, **1691** წ. გარდაიცვალა და მით მოისვენა ქვეყანამ.

ამ დროს ოსმალთა აჭარიდან ჯახაბერში იწყეს ნავარდობა და გასვლა. ამათ მალე აიღეს ბათუმი და დაიჭირეს მაგრაშ პირველად ბათუმი ოსმალთ **1564** წ. წაართვეს როსტომ გურიელს და დაიჭირეს. ბათუმში ამათ დიდი ძალა დაარსეს და საზღვარი აქ დადეს ოსმალთ და საქართველოს ქართველთა. მცირე ხნის შემდეგ გურულთა სცადეს ომი და ბათუმის წართმევა, მაგრამ ეს ვეღარ იქმნა. ბათუმი მაგრა შებოჭეს, თვით ზღვაშიაც შეიტანეს ოსმალოს ძალა, და ბათუმი აჭარის საფაშალიკოთ იქმნა დანიშნული. აჭარის გამგეობა დროებით ბათუმის ბეგებს ჩაბარდათ და მერე ფაშაც იქმნა ბათუმს დანიშნული. ამ დროამდის ჯახაბერი გურიელთ ეკუთვნოდათ. ჯახაბრის გათათრებაც ამ დროიდან იწყება. ბათუმში მაშინ ქართველების სამი ეკკლესია იყო და ბათუმი ქართველების ნავთ საყუდარ ქალაქი იყო, მთელი ბათუმი ქართველი ერით იყო სავსე. ქართველთ გათათრების შემდეგ ბათუმში პირველად ჯამე გააკეთეს **1690** წ.

უსუფ ფაშას შემდეგ ფაშობა მიიღო მისმა ძმამ სალიმ ჯაყელმა, რადგანაც უსუფ ფაშის შვილი მცირე წლოვანი იყო, ფაშობას ვერ მიიღებდა. სალიმ ჯაყელი მალე წავიდა სტამბოლ-

ში, თან წაიღო დიდ ძალი ადრიდგანვე მოგროვილი ოვალ-მაგრალიტი, ოქრო,ვერცხლი, მრავლად სხვა და სხვა ყმაწვილები,მალე წარსდგა სულთანის წინაშე, აცნობა ათაბაგის მიცვალება. შვილების უმცროსობა, მიართვა თვალ-მარგალიტი, ოქრო-ვერცხლი, ქართველთ ყმაწვილები და მერე ითხოვა ფაშობა. სულთანმა ეს მალე დაამტკიცა ფაშათ და გამოისტუმრა შინ. ეს მალე მოვიდა ახალ ციხეში და დაიწყო მოქმედება. ეს პირი ძმაზე უარესი მტერი იყო საქართველოსი. რაც ფაშობა მიიღო, მის შემდეგ ხომ უფრო სასტიკათ დაუწყო ქართველთ დევნა. ერთ დროს ამან ქართლის მეფესთან მისვლა-მოსვლაც გამართა, მაგრამ განგებ, უფრო მოსატყუებლათ, შინაური საქმეების გასაცნობათ, ვიდრე ეშვიდობიანი კავშირის ჩამოსაგდებლათ. ამ პირმა თავისი ცბიერება მალე დაამტკიცა. ამან ოსმალოს ჯარით გაილაშქრა იმერეთზე და იმერეთი მთლათ მოსწვა, იმერეთში ამან მრავალი ეკკლესიებიც დააქცია და გაქურდა, ნაქურდალ ოქრო-ვერცხლს ეს საშინლათ ბოჭავდა, გურიაშიაც მრავალი ეკკლესები დაქურდა. ამ დრომდე ჯავახეთ-მესხეთში და მთელ სამცხეში თითო ოროლა ეკკლესიები კიდევ იყო, სადაც წირვა ლოცვას ასრულებდენ ქრისტიან ქართველთათვის. ამაებსაც დაუწყო ცარცვა, გლეჯა და თითქმის სულ დააცარიელა.

ჯაყელთ საგვარეულოში ამ დრომდის ძველი ხატები, ძვირფასი ნივთები და წიგნებიც ინახებოდა, ამაებსაც დაუწყო დევნა, ხატებს თვით იჩემებდა და შემდეგ ჰყიდდა და წიგნებს სწვამდა. ეს ფაშა სრულიად წამხდარის ზნითა და ჩვეულებით აღმოჩნდა, ყალბი მუსულმანი იყო, მით მუჰამედის მცნებასაც არღვევდა, თათარი გახდა, მაგრამ ქრთამების წყალობით ისლამს კი ღალატობდა. ამან ოსმალთა წინაშე დიდათ ისახელა თავი, ოსტატურათ მოიწყო საქმე. ოსმალნი ამის დიდი მადლობელნი იყვენ, საქმე ისე მომართა, რომ ამის სიკვდილის შემდეგ ფაშობას უსათუოდ მის შვილს მისცემდენ და პირდაპირ ეს ღირსება მის შთამომავლობაზე დაამტკიცდებოდა, მაგრამ

ეს ვეღარ მოხდა. შვილების აღზრდას ვეღარ მოესწრო, ავათ გახდა და 1701 წ. გარდაიცვალა. თუმც ეს სრული მონა იყო ოსმალთა და ერთგული მოღვაწე თათრობის, რაისა გამო ქრისტიან ქართველებსაც სტანჯავდა, მაგრამ თვით ამათსავე გვარში იყვენ ისეთი თათრებიც, რომელნიც ამის მოქმედებას ზიზღით უმზერდენ და ესენი დახმარებას და მფარველობას უწევდენ იმ ქართველთ, რომლებიც სალიმ ფაშისაგან იდევნებოდენ, ერთ ასეთ მფარველ პირათ ირიცხება თვით ამ სალიმ ფაშის ძმის წული, ძე უსუფ ფაშისა, მემკვიდრე ფაშობისა.

ამ ფაშის სიკვდილის შემდეგ, ისაკ ათაბაგი სტამბოლში წასასვლელად მოემზდა. ამიტომ მან შეკრიბა კარგა ფასის ოქრო, ვერცხლი, უმეტეს ძველი ნივთები, საგვარეულო აზარფეშებიძველთაგან დაცულნი მათს ოჯახებში და მეფეებთაგან ბოძები ბუღი მეტად ძვირფასი ნივთები. ამანვე შეკრიბა სახიერ. ქალ-ვაჟნი ქართველთა და ერთ დღეს გაემგზავრა სტამბოლს მალე ჩავიდა სტამბოლში, წარსდგა სულთანის წინაშე, მიართო ყოველივე წანაღები, აუწყა ბიძის სიკვდილი, თავის ვინაობა და მასთანვე სთხოვა ფაშობა, სულთანმა თხოვნა შეიწყნარა, სელავათი ათქმევინა. ამის შემდეგ მისცა ფაშობა. მცირე წყალობა და მის მერეთ იგი საქართველოში წამოვიდა. ისაკ ფაშა გახარებული მოვიდა საქართველოში და დაიწყო გამგეობა, მოსვლისათანავე ჰაზრებიც გამოიცვალა და გუშინ წინ თვითონ რომ მფარველობას უწევდა ქართველთ, იმათ დღეს დევნა დაუწყო ნამდვილ და ერთგულ ოსმალის მოხელეთ გამოცხადდა. ყველას სასტიკის ქრთამებით ამცნია თავი.

აჭარლებს თურმე ბიძის ჯიბრით მფარველობდა, ამას იმ ჰაზრითაც, რომ აჭარელნი მერე მის დამხმარეთ გამხდარიყვენ და ფაშობის მიღებისთვის ძალა მიეცათ. ამას სურდა, რომ ბიძის სიცოცხლეშივე მიელო ფაშობა. ჩვეულებისამებრ ფაშების, ესეც მალე გადაეკიდა ქართლის მეფეს, იმერთ ბა-

ტონიშვილს და სხვა და სხვა მთავრებს. მალე ხონთქარს დაბეზღება და საჩივრებიც გაუგზავნა ამაზე, რომ ეს მეფენი ამაგრებენ მის საბრძანებელში ქრისტიანებს და ქრისტიანობასაო, მინამ ამ ადგილებსაც არ დავიმორჩილებთ, მინამ აქაურ ქართველთ ისლამთან სულიერად მიკედლება ვერ მოხდებაო. ეს შეუძლებელიაო.

სულთანი მადლობას უთვლიდა. იმერეთის დაჭერის შემღეგ ეს შვიდ წელიწადს თხოულობდა ვადათ, ამ ხნის განმავლობაში მთელს იმერეთს გავათათრებ, ეკკლესიებსაც დავანგრ დავაქცევო, მალე მან ომიც დაუწყო იმერეთს, ომში მონაწილეობას იღებდენ მთელი დასავლეთ საქართველოს ფაშები. რომელთაც დიდი ძალი ჯარი ახლდათ თანა. იმერთ გმირულათ იომეს და ოსმალნი დასცეს, მოკლეს კოლას ფაშა, თვით ისაკ ფაშა ტყვეთ შეიპყრეს და მრავალი სხვა ფაშები და ჯარი დახოცეს. ოსმალნი უკან დიბრუნდენ, მალე ისაკ ფაშაც გაათავისუფლეს, კოლას სხვა ფაშა დაჯდა. ისაკ ფაშამ დაიწყო ბოროტათ მოქმედება და გამგეობა. ზეგანში ამან რამდენიმე ეკკლესია დააქცია. დიდი შეწუხება მიაყენა საფარას, ზარზმას, თისელს, აწყვერს, დაუწყო დავა და ცარცვა. ამაებსაც არ დასჯერდა, ქართველ მაჰმადიანებს მისწვდა, ძმა-ძმას გადაჰკიდა, მეზობელი მეზობელს, ქართველ მაჰმადიანებს ქართველ ქრისტიანებს აძულებდა. ქვეყანა დიდს შლილობას მიეცა. საქმე გაჭირდა. კოლას ასან ფაშამ მალე ხონთქარს საჩივარი გაუგზავნა ისაკ ფაშაზე და ყოველისფერი აუწყა. მის გამო ხონთქრის რისხვა მალე მოვიდა და ისაკ ფაშისთვისათავი უნდა მოეჭრათ, მაგრამ ამან თავს უშველა, თავის მოჭრამდის სტამბოლში გაიქცა, სულთანის წინაშე აპირებდა წარდგომას და თავის გამართლებას, ეს ველარ გაბედა და იქეთ აქეთ იმალებოდა.

ისაკ ფაშის გაქცევის უმალვე სტამბოლს წავიდა სალიმ ჯაყელი, ისაკ ფაშის ბიძის ძე. ეს ფაშაც მოხერხებული ფაშა იყო. ამან იცოდა, რომ რამდენსაც უფრო სისტიკათ

შოვექცევი მესხ-ჯავახელებსაო. იმდენი მე უფრო ავმაღ-ლდები და სულთანის წინაშეც კარგათ გამოვსჩნდებიო. ამიტომ ამან ქართველთ ქრისტიანებს სასტიკათ დაუწყო დევ-ნა, ამან დაუშალა თვის ქვეშევრდომთ ქართლ-იმერეთში გადასვლ-გადმსვლა. ამან აკრძალა ქართველებში დიდ დღესას-წაულ დღეებში ლხინები, ცეკვა და თამაში, მოსპო აღდგო-მის ლიტანია, მოსპო ზარების რეკვა, ყველა ეკკლესიებიდან ზარებს ახსნევინებდა და იქიდან ზარბაზნებს ასხმევინებდა. ქართ-ლიდან და იმერეთიდან მქადაგებელ ბერებს და მღვდლებს აუკრძალა გადმოსვლა და ქადაგება. ჯავახელნი იძუ-ლებულ ჰყო გათათრებას და მრავალნიც გაათათრა. ქარ-თველთ ბეგებში მოსპო ქართულს ენაზე ლაპარაკი და წესათ შეიტანა მათში თათრულს ენაზე საუბარი, მათში მოსპო ვე-ნახები, ღვინის დაწურვა და მისი ხმარება.

დღე და ღამე ეს პირი ქართველთ დამდაბლების საქ-მეს უნდებოდა და სასტიკათ ებრძოდა ამათ, მაგრამ მაინც ვე-რას აწყობდა. გაჯავრებულ ქართველთა უმეტესი ნაწილი ზოგი ფრანგათ აღიარებდა და მით იუარავდა თავს, ამავ დროს ამ სარწმუნოებასაც უერთდებოდენ, ზოგი სომხათ ირჩენდენ თავს და ზოგნიც სასტიკათ ებრძოდენ ასლან ფა-შას. ფაშას მობეზრდა ბრძოლა და ამიტომ ქართველთ თავი დაანება, ქრისტიან ქართველთ იწყეს წელის გამაგრება, ეკ-კლესიებში ზარების რეკა, დღესასწაულ დღეებს ლხინი, თამა-ში და დღეობების გამართვა. ამ ფაშამ ხარჯის მომატებას დასდო ხელი, ქართველ ქრისტიანებს ხარჯსღა უმატებდა, რადგანაც თათრობისთვის ვერა გააწყო რა, ხარჯის გადახდას ქართველთ ქრისტიანები არ უშინდებოდენ და ფაშას ერთი ორათ უხდიდენ. ეს ამბები შეიტყეს იმ დევნულ ქართველ-თაც, რომელნიც სჯულის გამო ქართლ-იმერეთში გადმოსუ-ლიყვენ. ამათაც იწყეს თავიანთ მამულებში დაბრუნება, დამ-კვიდრება და ცხოვრება, ოღონდ ჩვენ სჯულზე კი ვიქმნეთ და ხარჯს ერთი სამათ გადვიხდითო. ოვებს მობეზრებულ ფა-

შასაც ეს უნდოდა. ყველა ამ საქმეებს ისაკ ფაშა შორიდამ ეზერდა, ყველა ამბავს უფროსს ასმენდა, ასმენდა იმასაც, რომ ასლან ფაშის მეოხებით ქრისტიანობა დაცემის მაგიერ აჰყვავდებაო. ბოლოს უფროს ვეზირს მისცა დიდი ქრთამი. ამის დახმარებით მიიღო ისევ ფაშობა და გამოგზავნილ იქმნა საქართველოში ფაშათ 1709 წ. ასლან ფაშა კი სტამბოლს მიიხმეს.

ღალატმა ფესვი მოიდგა. ჯაყელნი მხოლოდ ღალატის წარმომადგენათ გახდენ. ასლან ფაშა მალე ჩავიდა სტამბოლში, სულთნისა და უფროს ვეზირისთვის დიდი ქრთამები წაიღო. ნამეტურ გოგო-ბიჭები. ყველა ესენი მიართვა მათ. გაიმართლა თავი, ფაშობა ამასვე დაუბრუნეს და დააბრუნეს საქართველოში. ეს მალე მოვიდა ახალციხეში, ისაკ ფაშას გამგეობა ჩამოართვა და თვით ღაიწყო მოქმედება. 1711 წ ისაკ ფაშა სტამბოლს წავიდა საქმის შესატყობლათ. თან წაიღო დიდ ძალი ოქრო ვერცხლი და ძვირფასი თვალ მარგალიტი. ამის წასვლის შემდეგ სალიმ ფაშა იმერეთ დაუმეგობრდა, იმერთ ლაშქარი გამოსთხოვა და ამათის შეცადინეობით დაამდაბლა ისაკ ფაშის მომხრენი და აამაღლა თვისი ერთგულნი. ისაკ ფაშა სტამბოლში მალე მივიდა, წარსდგა სულთანის წინაშე, მიართვა დიდი ძღვენი, ღალატით აუწყა საქმის ვითარება და ნამეტურ ეს ამბავი, რომ ასლან ფაშა იმერეთს მიემხრო, გიაურთ ჯარი გამოსთხოვა და ჩემი მომხრე ნამდვილი თათრები დაამხოვო, ამიტომ ძალიან ადვილათ შეიძლება, რომ ერთ ხელ თქვენც გადაგიდგეს და გიღალატოსო. ამიტომ შიში გმართებთ თქვენაო. ამანვე დიდი ქრთამი მისცა უფროს ვეზირს და ამისავე მეოხებით ხელ ახლა მიიღო ფაშობა და 1712 წ. საქართველოში დაბრუნდა. ახალ ციხეში მალე მოვიდა, ძალათ წაართო ფაშობა და თვით დაჯდა ფაშათ. ამან კარგა ხანს იფაშა, ასლან ფაშამ ველარაფერი გააწყო.

ამ დროდან კი იწყება ქართველ ქრისტიანეთ მეტათ შავი დღეები დასავლეთ საქართველოში. იგინი მთლათ

ეძლევიან მოსპობას, ქრისტიან ქართველები სჯულის გამო ასობით სწყდებიან, ნამეტურ ქალები. ამ დრომდის დასავლეთ საქართველოს ქართველთ ოჯახებში ხატებს აშკარათ ინახავდენ, თვით ახალ გათათრებულ ქართველებშიაც კი, რადგანაც დედაკაცები პატივს სცემდენ სახარებას და დავითნსაც ხშირათ შეხვდებოდა კაცი თვით გათათრებულ ქართველებში. თუმც თათროობდენ მრავალნი, მაგრამ ყველა ამაებს კი პატივს სცემდენ, გმობას და კიცხვას ქართველი დედანი ადვილათ ვერ ბედავდენ, ხანდისხან ჩუმათ ეკკლესიებშიაც დადიოდენ და ილოცავდენ. ყველა ამაებს ისაკ ფაშა მრისხანებით მოევლინა და თავს მეხი დაარტყა. მრავალ ეკკლესიათა ჯამეებათ გადაკეთება დაიწყო, ოსმალოდან გამოიწერა ძრიელ ბევრი ხოჯა-მოლები, ახალციხეში, აჭარაში და სხვაგან მედრესეები დახსნა, სადაც ქართაელთ შვილებს არაბულს ენაზე დააწყებინეს სწავლება და მოლა-ხოჯებათ მომზადება. დიდის მრისხანებით შეება ეს იქაურ ქართველთ ქრისტიან სამღვდელოებას, აქ, ამ დროს სამღვდელოება აღარ იყო, მარტოთ ბერები ღა სცხოვრობდენ და დიდრონ ეკკლესიებთა არქიმანდრიტ წიმამძღვარნი. ესენი ეეედრებოდენ ფაშას ხალხის არ შეწუხებას და მოსვენებას, ფაშა არ ისმენდა. არქიმანდრიტნი ხშირათ სიტყვასაც ჰკადრებდენ, ფაშა რისხდებოდა ამაზე.

უკანასკნელ ამან სასტიკი ზომები იხმარა ხალხის წინააღმდეგ, დაუწყო ქრისტიანებს მთლათ მოსპობა, ხოცვა დახრჩობა და წამება. ქართველნი მაინც არ უშინდნებოდენ, მაინც გმირულად ებრძოდენ. ფაშამ ხალხის გმირობის ძალათ ბერნი და არქიმანდრიტები დაინახა. ამიტომ იმან მალე შეკრიბა ზოგიერთ ეკკლესიათა ბერნი და არქიმანდრიტნი და 1716 წ. ახალციხეში საქვეყნოთ დაახრჩო ელისე არქიმანდრიტი საფარის და მასთან ექვსიც სხვა ბერი იქმნა სიკვდილი დასჯილი, რომელნიც შეწამებულ იქმნენ სამტრო ქადაგებაში, რომ ვითომც ესენი ქართველთ ქრისტიან გარდა

არცხვენდენ ქართველ თათრებს, სჯულიდან გადადგომას დიდ ცოდვათ უთვლიდენ, ვითომც ამათ ბევრი ქართველ თათარი მოაბრუნეს მამა პაპის სჯულზე. ასევე დასჯილ იქმნა სიკვდილით ზარზმის არქიმანდრიტი დიონოსე, დიდი თავზარ დაცემა იყო ეს ქართველთათვის, დიდი უბედურება, ამოდენა სამღვდელოების ასე უბედურათ დახრჩობა არავის მოსწონდა ფაშის ასეთი საქციელს სწყევლიდენ თვით ახალი გათათრებული ქართველნი და ამათი ცოლები და ქალები.

მაგრამ ვინ რას იზამდა. ფაშამ ახალციხის ერთი ეკკლესია დააქცია და თავის აბანო გააკეთებინა. 1901 წ, ახალციხის ერთს აბანოში მე ვნახე იატაკზედ დაკრული თეთრ მოყვითლო მარმალილოს დიდრონი ქვები, რომელთაც კარგათ ეტყობოდა IX და X საუკ. ქართულ ხუცურ ასო მთავრული ასოები, ხოლო მიმქრალნი ცხელის წყლისაგან. ასეთის ძვირფასის მარმარილოს ქვებით სავსე იყო აბანო. ეკკლესიების უმეტესი ნაწილი მთლათ დააკეტინა. სამღვდელეობა სულ გამოსდევნა, ვინც არ წავიდოდენ იმათაგანი ბევრი მოსპო ახალციხეში და ბევრი კი გაათათრა. ართვინი მთლათ დასცა, ასევე არდანუჯი და შავშეთი. აქ გაუთათრებელს აღარავის სტოვებდა, მაჭახელშიაც შეიპარა გათათრება. ხერთვისის ეკკლესია ამან შეარყია, მაჭახლელთ ცხარე ბრძოლა გაუწია. ამ დრომდის აქა სამღვდელონი იყვნენ. ესენიც გამოსდევნა, ეკკლესიები დაკეტა, მოლა ხოჯები გაუგზავნა და ესენი გააწესა, მაგრამ მაინც მთლათ ვერ მოსპო ქრისტიანობა. ამან განიზრახა იმერეთის აკლება და გათათრება. მაგრამ ჯერეთ ქართლში წამოვიდა ოსმალის ჯარით, გორი აიღო და მერე თფილს მოადგა, მაგრამ 1723 წ. ქართველნი გმირულათ შეებენ, ქართველთ სარდლობდა ვახტანგის შვილი ბაქარი, იმან დასცა ოსმალნი და უკუ აბრუნა ყველა, მთელი ქართლი გაანთავისუფლეს, ოსმალნი უკან დაბრუნდენ და ფაშა ახალციხეს დამკვიდრდა. ქართლში დაჯაბნილმა ფაშამ დიდი ჯავრი ჩაიყოლა გულში, ეს ქართულ ენაზე მოლაპარაკე კაცი, ეს

ქართული ენისა და სისხლის მექონი ხელახლა ამხედრდა თავის ქვეშვრდომ ქართველ ქრისტიანებზე და მათ დაუწყო ამან ულვთოთ ხოცვა და წყვეტა. 1733 წ. ეს იმერეთს დაეცა და უძლურ ჰყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ იმერეთიდან აფხაზეთისკენ გაეგმართა და ალექსანდრე იმერთ ბატონიშვილი თან წაიყვანა, მაგრამ ბატონიშვილი გზიდან გამოეპარა, არ მიჰყვა აფხაზეთში, აფხაზეთში შევიდა და დაიმორჩილა სასტიკათ: ხალხს გათათრება დაუწყო და მალეც გაათათრა. სამი წლის განმავლობაში ნახევარ აფხაზეთი თათრად ჰყო, მრავალ ალაგას ძველი ეკკლესიები დაკეტა, სამღვდელოება გამოსდევნა. მოლა ხოჯები განამრავლა. აფხაზნი უფრო ადვილათ თათრდებოდენ, ამიტომ ესენი ხარჯისაგან თავისუფალ ჰყო, რამაც უფრო წინ წასწია გათათრების საქმე აფხაზეთში. აფხაზეთიდან დაბრუნებული აჭარლებს დაეცა და დაუწყო რბევა სჯულის გამო. ქედის ეკკლესია დააქცევინა, სახრჩობელა და თავ საკვეთი აღმართა. აჭარელთ სასტიკათ იბძოლეს სჯულის გამო დიდი სისხლი დაღვარეს. საქმე გაჭირდა. აჭარელთ სტამბოლში საჩივარი გაგზავნეს ისაკ ფაშაზე, საჩივარის შემდეგ ეს მალე მიიხმეს სტამბოლში. ისაკ ფაშა მალე წავიდა, თან წაიღო დიდ ძალი ოქრო ვერცხლი და აფხაზეთში მოგროვილი ქალ-ვაჟნი, ამან სულთანის წინაშე თავი გაიმართლა, უფროს ვეზირს მისცა ქრთამები, ფაშობა ისევ შეინარჩუნა, მასთანავე სულთანს პირობა მისცა, რომ მე თქვენ მთელ საქართველოს დაგიმორჩილებთ და მით მთელ საქართველოს დაღისტანთან შეუერთებო, თუ თქვენ ამისთვის დახმარებას მომცემთ მეო. სულთანი შეჰპირდა, რომ შენ თუ მაგას იზამ, ჩვენ დიდ დახმარებას მოგცემთო. ეს მალე დაბრუნდა თავის ბინაზე და მოსვლისათანავე ცბიერებით იმერეთ ბატონიშვილს სხვა და სხვა მთავრებს და ქართლის მეფეს მტრობა დაუწყო და სხვა და სხვა ცნობების გამოტყუვნა. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ახალციხიდან ქართლ-

ზე წამოვიდა, აწყვერი აიღო და ყოველივე დაიმონა. ცია. აქედან შეესია ქართლს და ცხარე ომი გაუმართა ქართველთ, მაინც ვერა გააწყო რა, თფილის სამუდამოთ ვერ დაიჭირეს საქმე წაუხდა, ჯარის უმეტესი ნაწილი გაუწყვიტეს და სულაც გასწყვეტდენ, მაგრამ ისაკ ფაშამ თავს უშველა და უკან დაბრუნდა სწრაფათ. ეს მგზავრობის დროს ავათ გახდა და ამიტომ 1741 წ. ფაშობიდან გადადგა.

ამ ფაშამ დიდათ იმეცადინა და თავისი შვილი უსუფი სიცოცხლეშივე დაამტკიცებინა სულთანს ფაშად. 1737 წ. ისაკ ფაშას სიკვდილის შემდეგ უსუფი იქმნა ფაშათ დამტკიცებული. უსუფი მამაზე უარესათ მტრობდა აჭარელთ, ეს აჭარელები მოულოდნელად მთლათ აიკლო, აქ აღარავინ გაუშო დაუშდაბლებელი, მაჭახელშიაც მეტათ წინ წასწია მონობა, ოჯახის შვილები, ქრისტიანობა ძრიელ შეამცირა, თითო სოფელში ორი სამი კომლიღა მოიპოვებოდენ და ისინიც საიდუმლოთ სცხოვრობდენ. აჭარელთ ამაზე საჩივარი გაგზავნეს სტამბოლში, ეს მალე მიიხმეს იქ, თავი გაიმართლა დიდის ქრთამებით და სულთანიც ასიმაოვნა დიდათ. ამან მოახსენა სულთანს, რომ ვინც თათრობის წინააღმდეგნი არიან, ის ქართველნი შუა გულ ოსმალეთში გადაასახლეთ და ამათ მაგიერ იქ ქურთები გადმოასახლეთო.. სულთანმა ეს ჰაზრი შეიწყნარა. უსუფ ფაშა მალე დაბრუნდა, ახალციხეში, მალე ოსმალის ჯარიც მოვიდა ამათ თან მოიყვანეს დიდი ძალი ქურთები, ამ დროს ამთლათ აჰყარეს ფოცხოვის ხეობა, ქვაბლიანი, შავშეთი, ჯავახეთის უმეტესი ნაწილი, ყველა ესენი ოსმალეთში გარეკეს და ამათ ალაგს ამათ სახლებში და სოფლებში ხსენებული ქურთები დაასახლეს. დღევანდელი თათრები ფოცხოვის, ქვაბლიანის, შავშეთის და სხვა ადგილების ამ ქურთების შთამომავალნი არიან, რომელთაც დროის განმავლობის მეოხებით თავიანთი პირვანდელი სახე დაკარგეს და ადგილ მდებარეობის და ჰავის გამო ყოვლისფრით ქართველთ დაემსგავსენ, ნამეტურ მით უფრო, რადგანაც ესენი ხშირად ქართველ მაჰმადიანთ ქალებსაც თხოულობდენ.

დღეს ამათაგნი ხსენებულს ადგილებში ბევრნი სახლობენ. მათში ქართული ენაც ბევრმა იცის. ჩვენში კი ესენი ქართველ ტომის მაჰმადიანებათ მიაჩნიათ, რომელთაც ვის თომც თავიანთი სამშობლო ენა დაკარგეს, მაგრამ ეს არ არისწორე. ქვაბლიანის და ფოცხოვის ქართველთ რომ დაეკარგნათ თავიანთი ენა, მაშინ ზეკანიც დაკარგავდა, თუ არა და ეს როგორ მოხდებოდა, როცა ეს ხეობანი ერთმანერთზე ქრიან მიკრულნი და ერთი ცხოვრებაც აქვსთ. ერთ ხეობის კათთველთ დაკარგეს თავიანთი სამშობლო ენა და მეორეებმა აი ისე როგორ შეინახეს, რომ დღეს თათრული ერთი სიტყვაც არ იციან, ისიც ისეთ ხეობაში, რომელიც 30 ვერსით შორავს მეორეს, ამასვე ვიტყვით შავშეთის ნახევარს ნაწილს მაჰმადიანებზე. ამავე ფაშის მეოხებით დაასახლეს საქართველოს სამზღვრებზე ქურთები და აღკრძალეს სასტიკათ ქართველებში ერთმანერთში მისვლა-მოსვლა. ამისივე მეოხებით გავრცელდა ქართველთ ქრისტიანების ტაციობა და ოსმალეთში დაყიდვა. ყოველივე ამ პირმა ასწავლა ქურთებს, თუ ამათ როგორ უნდა ედევნათ ქრისტიან ქართველები, როგორ უნდა ეჟლიტ-ეწყვიტათ ესენი, ეცარცვათ, საზღვრებიდან ტყვეები ეტაცნათ და სხვაც ბევრი ბოროტებანი.

უსუფ ფაშა მეტათ გაავკაცდა და გაბოროტდა, ხალხის უსამართლო ცარცვა გლეჯას დაჩვეული მეტათ გათამამდა. ამან მაჰმადიან ქართველებსაც სასტიკათ დაუწყო ტყვის ძრობა და შეწუხება. ქვეყანა დაღუპა, მთლათ გააღატაკა ყველა, ბეგებსაც კი დაუწყო მტრობა და ცარცვა. „ქართლის ცხოვრება“ ამაზედ ამბობს: უსუფ ფაშამ აჭარის და სარბევად გაგზავნა მაჰმოდ ბეგ სპითა, ესე დაეცა აჭარას და მოსწყვიტნა სულნი ურიცხვი უბრალოდ. აჭარელთ ამ ჟლეტაში მას შველოდა სიძე ისაკ ფაშის, ჯავახეთის ფაშა ფირალიშვილი. აჭარელთ ვეღარ მოითმინეს ამის საქციელი, ნამეტურ ახალ გათათრებულთ ქართველთ ამის დიდი ჯავრი სჭირდათ. აჭარელთ გამართეს ფაშას წინაღმდეგ ხალხში ქადაგება და 1744

წ. ხალხი აუჯანყეს, უსუფ ფაშას დაეცენ და მოკლეს. მოს. წყვიტეს ამასთან ცოლ-შვილიც. აღარავინ გაუშვეს, სახლკარი დაუწვეს. ამის შემდეგ ჯაყელების გვარს ფაშობის და უფლების ნება აღარ მისცეს. ეს ოსმალოს მთავრობამაც აღარ ინდომა და ასე და ამგვარათ უსუფ მესამეს სიკვდილით მოისპო და დაეცა ის ძლიერი გვარი, რომელიც ერთ დროს დიდის დიდებით ამაღლდა საქართველოში, რომელთაც თავიანთ ქვეყანას ერთ დროს ჩინებული სამსახურიც გოუწიეს და ბევრი დავალებაც დასდეს. მერე კი ისე უღალატეს და ისეთ მტრებათ აღმოჩდენ, რომ ადვილათ უარი ჰყვეს თვის მამა-პაპათ შრომა და ანდერძი, მამულისა და ქვეყნის სიყვარული, ერისა და სარწმუნოების პატივისცემა და ყველაფრის უარყოფა და ფერფლად ქცევა. უსუფ ფაშის შემდეგ, თავის ნებით გაფაშდა მამა მისი ისაკ ფაშა, ხოლო ეს დროებით იყო ფაშათ, გარდაიცვალა 1747 წ. ამით მოისპო ეს გვარი ფაშობის ასპარეზზედ. ესეც ამათ წინაპართ სია:

| | | | |
|---|---|---|---|
| სარგის ათაბაგი | მიიცვალა 1282 | წ. მზედ ჭაბუკ დიდი | 1516 |
| ბექა ათაბაგი | 1308 | ყვარყვარე IV | 1535 |
| ყვარყვარე | 1306 | ქაიხოსრო II | 1545 |
| ბექა II | 1391 | ყვარყვარე V | 1582 |
| ხოანე | 1444 | მანუჩარ II | 1614 |
| აღბუღა | 1451 | მანუჩარ III | 1624 |
| ყვარყვარე II | 1466 | ბექა ანუ საფარ ფაშა | 1635 |
| ბაადურ | 1475 | უსუფ ფაშა | 1647 |
| მანუჩარ I | 1487 | როსტომ ფაშა | 1659 |
| ყვარყვარე III | 1500 | ასლან ფაშა | 1670 |
| ქაიხოსრო | 1504 | უსუფ ფაშა II | 1690 |
| სალიმ ფაშა | 1701 | ისაკ ფაშა | 1747 |
| ასლან ფაშა II | 1716 | უსუფ ფაშა | 1744 |

ოსმალოს მთავრობას სიქართველოს ადგილების დაჭერა მარტოდ მიტომ კი არ უნდოდა, რომ ქართველები დაეჭირა მერე ესენი გაეთათრებინა, საქმე უმთავრესად იქნება ესეც იყო, მაგრამ არა, ამას გარდა სხვაც გახლდათ საქმე, სხვა გარემოებაც იყო, ეს იყო ნივთიერი მხარე, ქონებრივი ძალა და კაი სიმდიდრე, კაი შემოსავალი. რაც სულთანის ჰარამხანას დიდს სახსარს, დიდს შემოსავალს მისცემდა. ეს რომ ასე გახლდათ და ოსმალოს მთავრობა მიტომ ეპოტინებოდა კეკლუც საქართველოს, მიტომ ღვრიდა სისხლს და ქართველობასაც მიწასთან ასწორებდა, ესა სჩანს იმ გარემოებიდანაც, რომ იმ დღიდან რაც სამცხე-საათაბაგოს ათაბაგნი დაიმორჩილეს, სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ ქართველებთაგან რაც შეიძლება მეტი შემოსავალი ჰქონიყოთ, თუმცა ათაბაგების წყალობით წინედ ამას ვერ ისრულებდენ.

როცა ათაბაგობა მოსპეს და ფაშობა განაწესეს, მაშინ კი გაეხსნათ გზა წადილის შესრულების, მათ რაკი ეღირსათ ფაშობის დამტკიცება და ბექა ათაბაგის ისლამთან დაკავშირება, მის მერე კი შეუდგენ საქმის განხორციელებას და ხარჯის ერთი სამად მიმატებას, ნამეტურ ქართველ სახელ ყმაწვილებით ხარკის გადახდას, რაც 1626 წ. წესად დაიდვა და რაც ვიდრე ათაბაგთა გვარის ფაშობა არსებობდა, მინამ ქართველ ყმაწვილების რიცხვი ერთობ მრავლად და უხვად იგზავნებოდენ ოსმალეთში ხარკათ. ამ მიმატების მალამოდ მათ საფარ ფაშას დაავალეს საქმის სისრულეში მოყვანა, მასთანვე ამ სუსრულის მოყვანისათვის მისცეს დარიგება, ასწავლეს ბევრი რამ ოსტატობა, რომ მის საშუალებით შესძლებოდათ მეტის გამორჩენა, ამიტომ მთავრობის დარიგებით საფარ ფაშამ აღაწერინა მთელი სამცხე-საათაბაგო და ყოველივე მოიყვანა ასე სისრულეში.

საფარ ფაშამ 1627 წ. „აღწერა ქვეყანა და ქრისტიანების სულზედ წლიურად დაადეს დრაჰკანი (მანეთ ნახევარი). ძოსაგალზედ შვიდის თავი, ცხვარზედ ორა შაური, ბრალზედ

ბაზა, ცხენსა და კამეჩსედ ექვსი შაური, ხოლო საფაშოდ დრაჰკანის მესამედი, რომელ არს ათი შაური წელიწადსა ოსმალთა“. ასევე დაადეს ხარკი ტყეს, შეშას, წისქვილს, ერთი სატყვით ყოველივეს რაც კი არსებობდა ქართველთ მაჰმადიანებში.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი დროის კვალად ქრისტიანებზედ წელიწადში მანათ ნახევარი დიდი არაფერი ხარჯია, მაგრამ იმ დროის კვალად კი მეტად დიდია, ვინაიდან მაშინდელი მანათი ჩვენებურს 10 მანათს უდრის, ამას გარდა ზოგს ოჯახში იყო 10, 15 სული და მათ რა უნდა ექნათ, სადაც 10 სული იყო, მათ წლიურათ 150 მ. უნდა ეძლიათ, ამის გარდა სხვა და სხვა გადასახადიც თავის კვალად იყო ყოველივე ეს კარგად აჩენს იმ გარემოებას, თუ ქართველნი, როგორ შეწუხებულნი უნდა ყოფილიყვნენ ასეთის ხარჯის გადახდისაგან. უნდა მოვიხსენიოთ, რომ ასე დატვირთულნი ოსმალოს მთავრობას მარტოდ ქართველი ქრისტიანები ჰყვანდა, ამიტომ ესენი წელში წყდებოდენ და მის გამო სჯულსაც ადვილათ იცვლიდენ. მერე კი ხარჯისაგან ცოტა შეღავათი ეძლეოდათ.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ოსმალოს მთავრობისაგან არცა რა კაი დღეში ისლამთან დაკავშირების შემდეგ ვარდებოდენ, მაინც ისლამის სჯულის მექონ ქართველ გლეხებსაც პირში სული სძვრებოდა ხარკის გადახდით, რადგანაც, როგორც ცნობები არის, ძროხას, კამეჩს, ხარს, ცხენს, ვირს, ცხვარს, თხას და ასეთებს გარდა, ხარჯი დაადეს თვით ქათამსა, ბატს, ინდაურს და სხვა ასეთებს, რასაც მცხოვრებნი ფულით კი არ იხდიდენ, არამედ იმავ სულიერის გარდასახადით, მაგალითებრ ოც ქათამში ორი მთავრობის იყო. ფაშას კაიმაკამის, ანუ სოფლის მოხელის და სხვა ასეთების. ასეთ ხარკს, ქრისტიანი და თათარი ერთნაირად იხდიდა.

ყოველივე ეს კი მათ სდრეკდა კისერში და აწვებოდა ლიდს ხარჯად მარტოდ. ეს რომ ყოფილიყო გარდასა-

ხადათ, რასაკვირველია კაი იქნებოდა, მაგრამ მთავრობამ ეს
როდი აკმარა, მან სხვა ხარჯიც დაადვა, ეს ხარჯი იყო სა-
ფაშოს გარდა სამოხელო, საჩინოვნიკო და სხვა ასეთ მოხე-
ლეთათვის საცხოვრებელი, მაგალითებრ, ოსმალოს მთავრო-
ბამ მთელი სამცხე საათაბაგო გაყო ოცდა ოთხ სანჯაყათ ანუ
ოთხ გუბერნიად. გუბერნიას ჰყავდა თავისი გამგე ფაშა და
ფაშების უფროსი ფაშა იყო მუთესარიფი—გუბერნატორი.
გუბერნიის სამაზრო ქალაქებსაც ჰყავდა თავის გამგე კაი-
მაკანი, როგორც ჩვენი დროის კვალად მაზრის უფროსები,
ამის გარდა იყვნენ უჩასტკის უფროსებიც, ასეთ მოხელეთ
გარეშე იყვნენ სხვა და სხვა ქართველი ბეგების გვარის შვი-
ლებიც, რომელნიც რამე ხევის უფროსობას ასრულებდენ,
ანუ ჩვენებურად ერისთავებივით იყვნენ და მთავრობდენ,
რომელთაც ხალხი თავის კვალად ხარჯს უხდიდა.

საზოგადოდ ოსმალოს მთავრობის ხარჯი ქართველ მაჰ-
მადიანებში იყო ოსმალური „ეახშირი“ მამულის ხარჯი, ყო-
ველი კომლი მოსავლის მეათედს იხდიდა, ასეთ ხარჯის სა-
კრებათ სოფელს ჰყვანდა თავის მუხთარი, ანუ მამასახლისი,
მუხთარს ყოველთვის გარს ახლდა „ქათიბი, სოფლის მწერა
ლი, რომელიც მწერლობით აღნიშნავდა ყოველივეს. მეორე
ხარჯი იყო „სალანი“ ამ ხარჯის ფული მიდიოდა სახელმწი-
ფო და სასოფლო მოხელეების ჯამაგირში, მესამენაირი ხარ-
ჯი იყო „რუსუმი“ ე. ი. სულად საქონლის ხარჯი, რაც სა-
ხელმწიფოდ მიდიოდა, მეოთხე იყო სახელმწიფო ქალალდე-
ბის ანუ გერბის გადასახადი. რაც სახელმწიფო ხაზინაში მი
დიოდა, ყოველივე ამის გარეშე უნდა ითქვას ისიც, რომ
ვინც დროზედ ვერ გადიხდიდა ხარჯს, იმას ჯარიმას ართმევ-
დენ. იყო ასეც, რომ ზოგიერთ სოფლის ხარჯს ერთი რო-
მელიმე ფულიანი კაცი იყიდდა, ეს გადიხდიდა ამ სახემწიფო
ხარჯს და მერე ეს მოგებით ახდევინებდა სოფლის ხალხს.
რასაკვირველია მოგებით, რისაგანაც სოფლის ხალხი საკმა-
რისად იჩაგრებოდა. ყოველი გადასახადი, ბეგს თუ ხარჯის
ამკრეფ ვაჭარს მთავრობისათვის ფულად უნდა გადეხადნა, ან

სხვა რამით, ნამეტურ სიმინდით. გადასახადი ხარჯი მთელის სამუსულმანო საქართველოსი, 1737 წ. ბათუმში გროვდებოდა. იყო ისეთი კუთხე და ხეობანი, როგორც მურღულის ხეობა, სადაც ხარჯს სოფლის ხალხი პირდაპირ მთავრობას უხდიდა მურღულის მუფთის დახმარებით. ისინი გადასახადს არავისზედ არ გაჰყიდდენ, როგორმე ერთმანერთში მოაგროვებდენ და მთავრობას მაინც კი წლის თავზედ ბათუმში ჩაუტანდენ და ვადაუხდიდენ. ყოველივე ამის მეთაურობას მურღულის სასულიერო წოდება სწევდა და მუფთი თავის „მეჯლიშით“ და ყადებით.

საზოგადოთ კი უნდა ითქვას, რომ ოსმალოს მთავრობისაგან ხალხი დიდათ იყო ხარკის გამო შეწუხებული. ამ შეწუხებას მათში ის უფრო აფართოვებდა, ვინაიდგან სამცხე-საათაბაგოს ოსმალთაგან დამორჩილების შემდეგ, მეფურ ეობა ძველებურზედ გაცილებით დიდათ დავარდა, დიდათ დაეცა, თითქმის გაველურდა, მაგალითებრ სჯულის გამო შლილობის წყალობით პურის მოყვანა თითქმის სულ დაავიწყდათ, მარტოდ სიმინდის მოყვანას გაჰყვნენ. მევენახეობაც მოისპო, ბაღები და ხეხილის მოვლაც ისე დაავიწყდათ, რომ თვინიერ ბუნების თუ რამ ტყეში ველურად არ მოვიდოდა, უამისოდ მათ აღარაფერი მოჰყვანდათ, ტყეში მოსულს ხილს თუ იშოვიდენ, იმას ჰკრეფდენ და ის გაჰქონდათ ბათუმში, არტაანს და სხვა ქალაქებში გასაყიდათ. ეს იყო მათი ცხოვრების საბსარი. ასევე დავარდა მათში ძველი მეფუტკრეობა, ტყეში სადმე ხეში თუ ნახამდენ თაფლს, თორემ უამისოდ მათ შნო აღარ ჰქონდათ ფუტკრის მოვლა-მოშენების. ასევე მოესპოთ და დაავიწყდათ საქონლის მოვლა-მოშენება და ფრინველთ შენახვა და მისი გამრავლება. ამაებს გარდა თვით ხელოსნობითაც კი დავარდენ. ამ გარემოებით მათ ისევ და ისევ ლაზები სჯობდენ. ის, რაც აქ დავარდა და მოისპო, ლაზებმა იგი ადვილათ ვერ დასთმეს, მათ ყოველივე ძველებურის ცოდნით შეინარჩუნეს და ზედ მეტი ოსმალთაგან ახალიც შეიძინეს.

ასეთ დაცემის შესახებ როცა ქართველ მაჰმადიანებში ლაპარაკი მქონია, მაშინ ამის მიზეზები მათ ასე აუხსნიათ, რასაც სიტყვით-სიტყვას მოვიყვან აქ: ჩვენ, ბატონო, რაკი ისლამს დაუკავშირდით, მის შემდეგ ჩვენ ასე გვეტყოდენ ხოლმე ჩვენი ძველები: ბიჭო. წამოდით აქეთკენ, აგვიყვანდენ ერთს მაღალს მთაზედ და იქ გვეტყოდენ, აბა გადახედეთ აი იმ გურჯისტანსაო, მუშაობისათვის ის გიაურები არიან დანიშნული და ჩვენ ლოცვისთვისა ვართ გაჩენილნაო, ჩვენი საქმე არ არის მეურნეობა, ხელოსნობა და სხვანიო, ჩვენ იგინი უნდა დავიმორჩილოთ, დავიმონოთ მაგრათ. მათ უნდა იმუშაკონ, ჩვენ ხარკი უნდა გვაძლიონ. როგორც წმინდა სჯულის მუსულმანებს და ჩვენ კიდევ ამის სამაგიეროთ უნდა ვილოცოთო. აი ბატონო, ამიტომ დავარდა ჩვენში ყოველივე და მოისპო ისე, რომ დღეს ჩვენ ძველის ხელოვნურ ხელოსნობის აღარა ვიცით რაო.

მაგრამ ქართველ მაჰმადიანებში რა არ დაეცა და მოისპო? თითქმის ყველაფერი და ყოველივე. მოისპო არამც თუ მარტოდ ზემოდ ხსენებული საქმენი, არამედ სულ უბრალო მარტივი ხელობანიც კი, რომელნიც მათის დღიურის ცხოვრებისათვისაც კი დიდს საჭიროებას შეადგენდა, ასეთ საჭირო საქმის კეთების ოსტატობანიც მათში მიტომ დაეცა და მოისპო, რადგან მათ მაგიერ მზა-გაკეთებული სტამბოლიდან შემოჰქონდათ, მაგალითებრ, როგორც სარკეები, სავარცხელი, მაკრატელი, ძაფი, ნემსი და მრავალიც სხვა ამ გვარები. ჩვენ ყველას ვერ ჩამოვსთვლით, ამათ სანაცვლოდ ქართველ მაჰმადიანებმა ისწავლეს ყაჩაღობა, ქართველ ქრისტიანთ ცარცვა-ტაცვა და ჩვენებურ ზნე წამხდარ მებატონეთაგან ყმების შესყიდვა და მერე ოსმალეთში მოგებით გასყიდვა. ოსმალოს შთავრობასაც ეს უნდოდა. ამ გამსყიდველთ სახელად „გოთაულები“ ერქვა.

ამ დავრდომამ ქართველი მაჰმადიანები თითქმის ტყის ხალხათ აქცია, საქმემ იქამდის მიაღწია, რომ ამათში ვაჭარი, სამთლით საძებარი გახდა, მაგალითად, ახალ-ციხეს, სადაც

მათრ ვალი ფაშა იჯდა, იქ ერთ ქართველ მაჰმადიანთ ვაჭარს ვერ ნახავდით, მთელი ახალციხე სავსე იყო ქართველ კათოლიკეთა და ქართველ ებრაელთა ვაჭრებით. მთლად ესენი იყვნენ. ესენი იყვნენ თვით ახალციხის ფაშის სასახლის ვაჭრები, ქართველ მაჰმადიანებმა კი მკვდრათ დაიძინეს, ამ დაძინებას მათი მთავრობაც უწყობდა ხელს.

ქართველ მაჰმადიანთ ასეთ გაველურებამ ისინი განვითარების ტახტიდან ძირს ჩამოაგდო. ველურს გზაზედ დააყენა, მათში ყოველივე ცნება ისე მოსპო, ისე გადააგვარა ესენი, რომ ქართველ მაჰმადიანებს იმის უბრალო ცნებაც კი ამოვარდა გულიდან, რომ იგინი კაცები იყვნენ, ხალხი და ეკუთვნოდენ გურჯისტანს და გურჯის ტომს, ამ გარემოებას ჯერეთ ოსმალებმა შეუწყეს ხელი, გაავრცელეს მკაცრად, ამით მიიბირეს მთელი ქართველობა, ასეთ ცნებათა მტრებათ აღბოგეს ათაბაგები და მის მერე ამავე ბოროტების მეთაურათ ათაბაგ ჯაყელები შეიქმნენ, მერე ესენი ავრცელებდენ ამ ბოროტებას ქართველ მაჰმადიანებში. ოსმალთ ერთი შარცხი ის იყო, რომ მათ ათაბაგი-ჯაყელების გვარის ფაშები 1747 წლიდან მოსპეს. მარა ეს ვერ მოეხდათ კარგად, ამით მათ იზარალეს, მის მერე მთელი გურჯისტანი ველარ აიღეს, მათი საზღვარი აწყვერს და ჩოლოქის ხევში შეჩერდა, აქეთ ველარ წამოვიდა.

მანამდის კი აი რა ღვაწლი დასდეს ოსმალოს მთავრობას ათაბეგებმა: ჯერ ერთი, ჭანეთი თვით ისლამის მაღიარებლობაშიაც კი ეწინააღმდეგებოდა ოსმალოს მთავრობას და ხშირად მოხელეებსაც უხოცავდენ, ზღვის პირები შეკრული ჰქონდათ და მასთან თავიანთ ქვეყნებში ოსმალთაგან არც არავის უშვებდენ და არც არასფერს აძლევდენ ხარჯათ, ოსმალოს მთავრობამ ესენი ვერ დაიმორჩილა, მოხარკეთ ვერ გახადა. 1720 წლებს ათაბაგებმა შეკრიბეს აჭარელთა ჯარი, ესენი ახალციხის ფაშის მეთაურობით გადავიდენ ლაზისტანში, დაეცენ ლაზებს, აიკლეს იგინი, დასწვეს, დადაგეს და მის მერე ესენი ისე დაუმორჩილეს მთავრობას, რომ ლაზებმა

ველარ შესძლეს თავის აწევა, რამის თქმა, ხმის აღოღება.

## ფოთის აღება ოსმალთაგან 1721 წ.

ამათ გარდა ოსმალოს მთავრობამ ვერა ღონის ძიებით ვერ დაიმორჩილა აფხაზები, მეგრელები ხომ ისე სჯობნიდენ ოსმალთ, რომ ფოთის აღება მათ ადვილათ ვერ მოახერხეს. ბოლოს მიიშველიეს ათაბაგნი და ახალციხის ფაშის დახმარებით აიღეს ფოთი 1721 წ. იქიდან ადვილად მოხვიეს ხელი აფხაზეთს და საქმე ისე დააყენეს, რომ 1740 წლებიდან აფხაზებს გათათრებაც დაუწყეს. სხვაფრივათაც მაგრა დაიჭირეს და ფოთსაც ისეთი საძირკველი ჩაუყარეს, რომ მის მერე მეგრელებმა ოსმალნი ფოთიდან ველარ დასძრეს. 1747 წლიდან რომ ათაბაგთ გვარის ფაშები არ მოესპოთ, იქმნება მაშინ მათ მთელი სამეგრელოც აეღოთ მალე, მაგრამ რაკი მათ ეს 1747 წ. მოსპეს, მიტომაც მათი საზღვარი ფოთს და აფხაზეთს შეჩერდა. იმავ დროს, ოსეთშიაც ათაბაგთა წყალობით შედგეს ფეხი და მათის ცდით დაამყარეს ოსებში ისლამი, თორემ არც არას ოსები ემორჩილებოდენ.

ოსებიც ოსმალთ ძრიელ ხშირად უწყვეტავდენ ჯარს და არ აბოგინებდენ ოსეთში. ოსები ოსმალთ ისე ეწინააღმდეგებოდენ, რომ ოსმალოს მთავრობა მათში სულ ვერას აწყობდა, ისლამს ფულით ავრცელებდა, ოსებს არაფერს ხარჯს არ სთხოვდა, პირ იქით ქართლის ქართველთ სოფლების საცარცვავათ 
არალსაც აძლევდა. ურჩევდა დაღესტანთან შეერთებას, ასეთის საერთოს ძალით ქართლისა და კახეთის აკლებას, ამას მათ სხვა არაფერ ხარჯს ადებდა. თუმცა ოსების ერთი ნაწილი ოსმალოს მთავრობის მფარველობის ქვეშ ითვლებოდა, ამათ მთავრობისაგან მხოლოდ სჯულის მეთაურთ კაცნი ენიშნებოდათ, მაგალითებრ მოლები, ხოჯები, ხაფიზნი, ღვთის მეტყველნი, მუფთი და ყადებიც კი. ყველა ამათ ხარჯს ოსმალოს მთავრობა აძლევდა, ამიტომ ესენი ოსებს სამწყსელად ფრაფერს ართმევდენ, მთავრობა ამას მიტომ იხდიდა, რომ ამით სურდა მას დანარჩენი ოსების გათათრება, დაახლოვება,

ყოველივე ამის დაბრკოლებად ჩაითვალა ის გარემოება, რომ 1747 წ. ოსმალეთის საქართველოს მოაკლდა ისეთი მძლავრი დიდი გვარის წარმომადგენ მფარველ და ისლამის მომხრე პარნი, როგორიც იყვნენ ათაბაგ-ჯაყელები. ეს შეცდომა ოსმალოს მთავრობამ კარგა ხნის შემდეგ შეიგნო, მიტომ ჯაყელების გვარის ფაშები ოსმალოს ქალაქებიდან სამსახეროდ ისევ საქართველოში დააბრუნა, აქ მისცა მათ ფაშობა და სხვა თანამდებობა, მაგრამ ეხლა ათაბაგ-ჯაყელთ გვარის ფაშების სულიერი ვითარება სხვა ნაირად აღმოჩნდა, ოსმალთან მათს დამოკიდებულებას უკვე სხვა სახე მიეღო, მათ ცნობიერება მოსვლოდათ, ამიტომ მათში უკვე გაიღვიძა წარსულის მეჭონ დიდების დაკარგვის შურმა და თავიანთ ოჯახის და გვარის მიწაზედ გასწორების ცნებამ, რაც რასაკვირველია მათ აცალკევებდა მკაცრად და აღვიძებდა დაკარგულის დიდების მოსაპოვებლად და ათაბაგობის აღდგენას. ამიტომ ესენი ამ დღიდან უმეტესად თავიანთ სასარგებლოდ შრომობდენ და მოქმედებდენ ყოველთვის და არა ოსმალოს მთავრობისათვის.

ათაბაგის გვარის ფლობა ძალიან უმწეოდ დასრულდა 1747 წ. მე XI საუკუნეში ამაღლებული ჯაყელები უკანასკნელ 1626 წლიდან, ათაბაგების მაგიერ უბრალო ფაშათ გახდენ, ხოლო მათ არც ეს ფაშობა შერჩათ და 1747 წ. უწყალოდ და უჩინრად მოისპენ. მოსპობის მიზეზი გახლდათ თვით ამ გვარის ფაშების გათახსირება, დაწვრილმანება, ერთმანერთის ღალატი, ფაშობის ძიება, ერთმანერთისაგან ამის წართმევა, ამისთვის ცდა, სტამბოლში წასვლა-მოსვლა, დიდი ვეზირის წინაშე ქრთამების ხარჯვა და მით ფაშობის შოვნა. ამ გარემოებამ და მექრთამობამ ქვეყანა შეაწუხა, ხალხი მობეზრდა და ბოლოს გამოვიდა ხალხისაგან ის გამჭრიახობაც, რომ ფაშობა აღარც ერთს მისცეს ჯაყელ ათაბაგთაგანს და აღარც შეორესაო. ისინი ღირსნი არ არიან ფაშობისაო. ხალხმა თავისი გაიტანა და ათაბაგ ჯაყელის გვარის წევრნი მოსპობილ იქმნენ ფაშობის ასპარეზზედ. ათაბაგ-ჯაყელ გვარის უკა-

ნასკნელ ფაშად უსუფ ფაშად იყო უსუფ ფაშა II-რე, რომელიც მოისპო 1747 წ.

ნახეთ რა არის ეს სოფელი და როგორ ათამაშებს ქვეყნის მფლობელთ. დიდის გვარის ათაბაგნი, დიდის ძალის და თანამდებობის მექონნი, დიდის სახელის, თითქმის მეფენი და კანონმდებელნიც კი, როგორც მაგალითად ბექა და აღბუღა, რომელთაც თავიანთ საათაბაგოს ქართველთ კანონთ კრებაც კი დაუწერს და მისცეს სამართლის წიგნად, რომლითაც განაგებდენ თვით ათაბაგნი და მათი შთამომავალნიც მესხთა საქმესა, რომელთაც ვინ იცის რა არ ჰქმნეს და არ შეჰქმნეს ქართველთ და ნამეტურ ქართველთ მაჰმადიანთ ცხოვრებაში, ვინ იფიქრებდა, ვის ეგონა, რომ 1747 წ. ასე უჩინარად და უმნიშვნელოდ დაეცემოდა მათი ფლობა ახალ-ციხეში და მათი საგვარეულო ფლობა და ტახტი მთელს ქართველ მაჰმადიანებში. ასე ყოფილა ეს სოფელი და მიტომ არც უნდა გვიკვირდეს ჩვენ ის გარემოება, რომ ხშირად დღევანდელს ამაღლებულს, მდიდარს, შეძლებულს და მძლავრს, ბოლო ეღება და იგი ისპობა ისე, როგორც მისი მონა, ყმა და ფეხთა მტვერი.

ისტორიულის ცნობებით ვიცით შემდეგი: ესა და ეს გვარი, ესა და ეს მთავარი, გამგე, მეფე, კაროლი ამაღლდა მახვილით, იყო ძლიერი, იყო გმირი, მონათა მეხის დამცემი, თვით ნება, ლაღი, გაუმაძღარი და ხალხის მჩაგვრელი,—შემდეგ ასეთი პირის ხვედრი იყო დაცემა, განადგურება და მოსპობა. ასე ამაღლდენ საქართველოში ერთ დროს ჯაყელ-ათაბაგნი და რითაც ამაღლდენ იმითვე დაეცენ 1747 წ. ისიც უნდა ითქვას, რომ ისინი მოისპენ არა მარტო ოსმალოს სახელმწიფოს მახვილის წყალობით, არამედ თვით ქართველ მაჰმადიანების და ნამეტურ აჭარლების მეოხებით.

ათაბაგ-ჯაყელების გვარის დამხობა ბევრს ქართველ მაჰმადიანს სწყინდა, ბევრი ღონობდა კიდეც, სურვილი ჰქონდა მათი არ მოსპობის, ზოგნი კი ამ გვარის დამდაბლების მომხრენიც იყვნენ, ამიტომ ასეთ პირებში ხშირად კამათიც

იმართებოდა, ხანდისხან მათში კამათი იქამდის მივიდოდა, რომ სისხლიც კი იღვროდა. ხალხის ასეთ აურ-ზაურს ოსმალოს მთავრობა კარგის თვალით არ უმზერდა, ერთის მხრით ამ დავიდარაბის მიზეზებათ ათაბაგებს სთვლიდენ, ამიტომ ოსმალოს მთავრობა ხმაროობდა ისეთ ზომებს, რომ ერთის მხრით თუ ხალხს უსრულებდა თხოვნას და აკმაყოფილებდა სხვა და სხვა შელავათიანის ცხოვრებით, მეორეს მხრით ათაბაგთა გვარის წევრთ სულ მიწაზედ ასწორებდა, მათ ცხოვრების სიმძლავრეს სულ ლახავდა

ამ გაქრობას და მოსპობას აი რა უფრო უწყობდა ხელს: პირველი ესენი ასისინებდენ ქართველ მაჰმადიანთ გლეხებს, როგორც ბეგების წინააღმდეგ, ისევე ერთმანერთზედ, ფიქრობდენ, რომ თუ ესენი არეულები იქნებიან, მაშინ მათ დრო აღარ ექმნებათ ჩვენ წინააღმდეგ წასვლის და მეორე როგორც ახალი თათრები ვერც სჯულიდან გავლენ და თავიანთ ძმებს არ მიემხრობიანო. ამიტომ ათაბაგის მსგავსი ძალა და გამგეობის უფლება მათ ყველა ქართველ ბეგს მიანიჭეს, სადაც ვინ ბეგი იყო, იმ ხეობის თუ ბარის ბეგად, თუ ფაშათ იგი დანიშნეს და მას მიანდეს ყოველივე მართვა, გამგეობის უფლება.

ამიტომ მათ XVII საუკ. დამლევიდან ქობულეთში გაამძლავრეს ბეგი თავდგერიძენი, ბათუმს სანჯაყ ბეგ აბაშიძენი, ქვედა აჭარას ხიმშიაშვილები, ზედა აჭარას ბეჟანიძეები, ასევე შავშეთს: არტაანს, ოლთის და სხვა ადგილებშიაც, ერთის სიტყვით ყოველი ბეგი გახადეს ისეთ გამგეთ, როგორც ჩვენში ერთ დროს ერისთავები იყვნენ. ამ ოსტატობით ოსმალოს მთავრობამ სრულს საწადელს მიაღწია, მისის ცდით ქართველ მაჰმადიანთ ოჯახის საქმეც აირ-დაირია, მათში დაირღვა ძველებური ერთობის ძალა. ამის მეოხებით იგინი ერთმანერთს ისე გადაეკიდენ, რომ მასზედ უმტერესი აღარა იქნებოდა რა.

მთავრობასაც ეს უნდოდა, ამით დაილია ქართველ მაჰმადიანთ ძალა და ოჯახი, ამით მოისპო მათი ყოველივე და

გასწორდა მიწასთან. საქმე ისეთ წავიდა, რომ ქართველი მაჰ-
მადიანები ერთმანეთს სულ უბრალოდ ხოცავდენ, მაგალი-
თებრ ეთრს გაეჯავრებინა ვისთვისმე, ან საცოლოზედ თვალი
დაეჭირა, ანუ გაელანძღა, ადვილი საქმე იყო, ვიხ.ც მათში
დაასწრებდა და იარაღს იხმარდა, ვინც ვის მოკლავდა, აბა
ქებულიც ის იყო. ამის ფეოხებით მათში გაიმართა ს.ისლის
აღებაც და სხვაც მრავალი ასეთნი, რაც ერთის მხრით მთავ-
რობასაც დიდათ ახარებდა. ასეთის მუხთალის მანქანებით კახ-
ვლო ოსმალოს მთავრობამ თვისი დღენი, მათ გააველურეს
ქართველი მაჰმადიანები და გახრწნეს ისე, რომ ამათი შიში
თავის დღეში აღარაფრის უნდა ჰქონოდათ მათ.

ოსმალოს მთავრობის ასეთი მანქანება იწყება 1580 წლი-
დან, იგი დროსა და გარემოების კვალად მოქმედებდა, როცა
რა იყო საჭირო, სად რა, სწორეთ ისეც აწარმოებდა საქმეს,
ასეთის მოქმედებით მათ დასცეს მძლავრ ათაბაგთა ძალა. ამ
დაცემისათვის თვისი მახვილი კი არ იხმარეს, არამედ ოსტა-
ტური მანქანება და თვით ქართველ მაჰმადიანებს მოასპობი-
ნეს იგინი, თვით ამათის გაველურებით მოაწყეს ყოველივე,
თვით ამათის წახდენით ისე გათმამდენ, ისე გაძალუანდენ,
რომ სახელოვან და მძლავრ ათაბაგთ გვარის ფაშობის მოს-
პობის დღიდან, ახალ-ციხის ფაშობა დროებით არზრუმის
ფაშას მიანდეს, ხოლო 1750 წ. კი დანიშნეს ოსმალოდან
ერთი ნამდვილ თათრის ტომის ესაკ ფაშა, რომელიც მალე
მოვიდა ახალ-ციხეს და დაიწყო მართვა გამგეობა. ეს ფაშა
იყო უცნობი კაცი ქართველ მაჰმადიანების, ამან თავის მარ-
თვა გამგეობის დროს, ქართველ მაჰმადიანთ შორის ბევრი
რამ ბოროტება ჩაიდინა, ბევრს უსამართლობას ჩადიოდა.
სტამბოლი შორს იყო, აბა ამას ვინ რას უზამდა, ვინ რას
დააკლებდა, მასზედ ხალხმა საჩივრებიც ბევრჯერ გაგზავნა,
ოსმალეთში და შეატყობინეს მისი ცარცვა-გლეჯის ცნობები.
ხოლო იგი ყოველთვის თავს მართლულობდა და სტამბოლში
უმაღლეს მთავრობას ატყობინებდა, რომ გურჯები ახალ-

მუსულმანები არიან, ამიტომ ეჯავრებათ ჩვენი ტომის კაცი, მეც ჭორებს მიგონებენო. ეს ფაშა მაინც შვიდ წელიწადს დაშთა ფაშად. რაკი არ იქმნა და მთავრობამ არ გამოსცვალა იგი, ამიტომ გაბრაზებულმა ხალხმა ველარ მოიომინა. 1757 წ. გააძევეს იგი.

ამ გარემოებით ოსმალოს მთავრობა მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. მან აღარ იცოდა რა ექმნა, ამიტომ ახალ-ციხის ფაშის მართვა გამგეობა დროებით არტაანის ფაშას მიანდეს, სრულიად მთელი სამცხე-საათაბაგოს საქმე კი არზრუმის სერესკერს დაუქვემდებარეს, ქართველ მაჰმადიანთ შორის მაშინ სულ ხუთი ფაშა იყო, არტაანის ფაშა, კოლის, ყარსის, ჯავახეთის ფაშა და ახალ-ციხის. უკანასკნელი ყველაზედ უფროსი იყო, იგი ითვლებოდა ვალი ფაშად. მაშინ მთელი სამცხე საათაბაგო სულ 24 სანჯაყათ იყო გაყოფილი, ლაზისტანი ორ საფაშალიკოთ იყო, ტრაპიზონის ფაშა სერესკერი იყო, ამასვე ექვემდებარებოდა ფოთის ფაშა 1726 წლიდან. რაკი უცხო ტომის ფაშა ქაროველ მაჰმადიანებმა სასტიკად იუცხოვეს, გურჯ ფაშებს მიჩვეულნი უცხო ფაშას ვერ შეეთვისენ, შეიძლებოდა შესთვისებოდენ, რომ ჰათ მოსვლისთანავე ხელში საცარცვავი ხელობა არ დაეჭირათ. აჭარლები მაშინ ისეთი ქართველი რეოლიუციონერები იყვნენ, რომ იგინი არავის რას უთმობდენ, ეს მათი საქმენი ოსმალოს მთავრობამაც კარგად იცოდა, ამიტომ ~~ამათი~~ მოიწადინეს ამათში გურჯი ფაშის დანიშვნა და გამოგზავნა, ამით აურდათ ქართველ მაჰმადიანთ დალოლიება, თორემ შიშს ჰიეცნენ, ვაი თუ გურჯისტანი ხელიდან წაგვერთვასო. ამათ ალე იპოვნეს ერთი ქართველი ფაშა და 1758 წ. ეს დანიშნეს ახალ-ციხის ვალი ფაშად.

ეს ფაშა გახლდათ ქართველი, [illegible], სულეიმან ნიბაძე. სულეიმანი პატარაობისას წაუყვანიათ ოსმალეთში, იქ დაუავშირდა ის ისლამს თუ საქართველოში, ამის ცნობა არ რის. ხანში შესვლის დროს, იგი ყოფილა ოსმალოს სამხედ-

რო სასწავლებელში და იმ დროის კვალად კარგადაც გაწ-
რთვნილა. მერე სამხედრო სამსახურში ყოფილა და ერთ დროს
აფრიკის ანუ ეგვიპტის ფაშობამდისაც მიუღწევია. ყოფილა
მახვილ გონიერი, დიდი სამხედრო ნიჭის მქონე, მასთან ენე-
ბის მცოდნე და კარგი გამგე, რაისა გამო პატივს სცემდა თურ-
მე თვით სულთან ოთმან მესამეს, სულეიმან ფაშა სიამოვნე-
ბით მოვიდა საქართველოში, ახალციხეს გაფაშდა და დაიწ-
ყო მოქმედება და გამგეობა

სულეიმან ნიბაძე გონიერი კაცი ყოფილა, სცოდნია სხვა
და სხვა ენები და მასთან ქართული წერა კითხვაც. აქედან
ვფიქრობთ, რომ ქართული მას საქართველოშივე ეცოდინე-
ბოდა, თორემ იქ ამას არავინ ასწავლიდა, ისიც იმ დროს,
როცა ოსმალეთი საქართველოს და ნამეტურ ქართველ მაჰმა-
დიანებს ცეცხლში ადუღებდა. ვფიქრობთ, რომ სულეიმანი
პატარა უნდა იყოს საქართველოდან მოტაცებული, გასყიდვა
მისი კი სათუო იქნებოდა, რადგანაც იგი აზნაურიშვილი ყო-
ფილა და აზნაურის შვილებს კი საქართველოდან იშვიათად
ჰყიდიდენ, ერთ თავად ყმათა გლეხის შვილები ისყიდებოდენ.
აზნაურის გაყიდვაც მოხდებოდა, მაგრამ ეს იშვიათი იყო. მა-
ინც სულეიმან ფაშის ამ გარამოებასთან ჩვენ საქმე არა გვაქვს.

როგორც ვიცით, სულეიმან ფაშა ნიბაძე, ოსმალეთის
სამსახურის დროს, ისლამის მაღიარებელი და მასთან სამხედ-
რო პირი, ფაშა, სრულიად არ გადასხვაფერებულა, არ გა-
დასხვატომებულა, არ გადაგვარებულა. ფაშობას იგი არ მო-
უხიბლავს, დიდების მოყვრებას არ დაუბრმავებია, ვერც ისლამს
შეუცელია მას მამა პაპათა მოგონება მეხსიერება. ღრმათ ჰქონია
იგი ყოფილა წმინდა მუსულმანი, მუჰამადის მლოცავი, თაყვანის
მცემელი მარტოდ სჯულის მხრივ, ისლამის, იმის გარეშე იგი
ყოფილა ტომით ქართველი, ენით, სისხლით, ქვეყნით და
ვინაობით ქართველი-გურჯი. ისლამი და მუჰამედის სჯული
მილეთს, დედა ენასა და სისხლს სულ არ უშლის. ასეთი გო-
ნიერი ყოფილა ეს ფაშა.

როგორც სჩანს ამ სულეიმან ნიბაძეს კარგათ ჰყვარებია ისლამი და მუჰამედი, მათი კარგი პატივის მცემელი ყოფილა და მასთან ერთად დიდათ ჰყვარებია თავისი სამშობლო საქართველო, თავის დედა-ენა, სამშობლო ქვეყნის ისტორია და ამ ერისა და ენის დღეგრძელობა. ამიტომ მოსვლისათანავე ეს დამეგობრებია მეფე ერეკლეს, სოლომონ იმერთა მეფეს, სხვა და სხვა მთავრებს და ნამეტურ იმ დროის გურიის მთავარს სვიმონ გურიელს. ყველა ამაებთან სულეიმანს ჰქონდა კარგი კავშირი და განწყობილება და წერილების მიწერ-მოწერა, მან იცოდა, რომ ყველა ესენი ერთი ქვეყნის შვილები არიან, ერთი ენის, ერთი ისტორიის და ამიტომ აქ ამათში უნდა ერთი სიყვარულიც არსებობდესო. სჯულის განსხვავება სულაც არ უშლის რომ ძმათა შორის სიყვარული სუფევდეს.

ფაშა სულეიმან ნიბაძის საკეთილო დიდი მოქმედება იმ დროის ზოგიერთ ქართველ მაჰმადიანებისთვის იყო საწყენი და საშიში. ისინი ამის ასეთ კავშირში ოსმალოს და ისლამის მტროობას ხედავდენ. სულეიმან ფაშამ 1760 წ. მესხეთ ჯავახეთის და აჭარის ბეგებს აუწყა ის გარემოება, რომ მე მუსულმანი ვარ, მიყვარს ისლამი და მასთან მიყვარს ჩემი მამა-პაპის ენა სამშობლო ქვეყანა და ჩემი ძმანიო. შეიძლება სამ ძმაში ერთი მუსულმანი იყოს და ორი კიდევ სხვა და სხვა სჯულისანი, მაგრამ სამივეს კი თავიანთი სამშობლო და დედა ენა უნდა უყვარდესო. ასე გონივრულათ ლაპარაკობდა ეს ფაშა, მაგრამ, როგორც სჩანს, გამგონი ბევრი არ ჰყოლია.

ვიცით კარგათ, რომ ეს ფაშა მოქმედობდა სამართლიერად, მის საფაშოში კანონი, სამართალი ყველასთვის ერთნაირი იყო. ბეგს, ალას, თუ ფუხარეს იგი ერთის კანონით სჯიდა, მის წინაშე ყველა ერთნაირი ღირსების იყო და ვინც მართალი გახლდათ, ის უსათუოდ გამართლდებოდა და ვინც არა და იგი ვისი შვილიც უნდა ყოფილიყო, გინდ ბეგის და გინდ სანჯაყ ბეგის იმისთვის სულ ერთი იყო. ამ სახელით სამართალს ვერ შეიძენდა, ვერ შეისყიდდა. ცოტა არ

იყოს, სამწუხაროდ, ერთი გარემოებაც უძენდა მას სხვა და სხვა დიდ გვარის შთამომავალთა მტრებს.

კანონიერის სიმართლით ეს სულეიმანი ზომიერად მართალი და რიგიანი იყო. მან აქ ისე გამოწვრთნა ქართველი მაჰმადიანები და იგინი ისეთ გზაზედ დააყენა, რაის გამო ქრთამების აღება სასტიკათ აღერკძალა „მეჯლის" და მის წევრთ ყადებსაც კი, ვისაც კი ამას გაუგებდა მას სასტიკათ დასჯიდა. იგი ვინც უნდა ყოფილიყოს, ეს მისთვის სულ ერთი იყო. ამ გარემოებამ მას გადაჰკიდა მთელი ქართველ მაჰმადიანათ ხოჯა-ყადები. რასაკვირველია მხოლოდ ისეთი მოსამართლე პირნი, რომელნიც უცხო ტომის ფაშებისაგან იყვენ წამხდარი და სამართალსაც ფულით ჰყიდდენ. ასეთ უსმარლო პირთაგან უმეტესად კი უფრო საწყალი ხალხი იჩაგრებოდა, თორემ ვისაც შეძლება ჰქონდა ის მეჯლისის ყადების შესყიდვას ყოველთვის მოახერხებდა. ყველა ეს კი სულეიმან ნიბაძემ მკაცრად და სასტიკათ მოსპო.

ამ გარემოებამ მის მტერთა და მაბეზღართა რიცხვი უფრო გაამრავლა. მათ დაუწყეს სულეიმანს დიდი ვეზირის წინაშე ბეზღობა, ღალატის შეწამება და ქრისტიანების მფარველობა და ბევრიც ასეთები, რაც თურმე მუდამ დღე იგზავნებოდა. ასეთი პირნი დაბეზღებას ისეთის ცნობებით ასაბუთებდენ, რაც სულეიმანის და დიდი ვეზირისათვისაც საშიში იყო, ნამეტურ ის გარემოება, რომ ფაშა, სიმონ გურიელს ემეგობრებოდა და მასთან ყიყვარულიც ჰქონდათ. სულთანი თურმე ამ გარემოებამ ძალიან დააფიქრა და იმანაც კი გაუელვა თავში, რომ ვაი თუ გურჯისტანი ხელიდან წამივიდეს სულეიმან ფაშის წყალობითო. ამის შიშს და ცნობებს სხვა და სხვა მტრები და ჯაშუშებიც ასმენდენ სულთანს.

სულთან ოთამან მესამე ვერ მოიქცა კარგათ, აჰყვა მტრის ენას და სასარგებლო კაცისდა ოსმალეთის მთავრობის ერთგული ფაშის სულეიმან ნიბაძის შესახებ, არზრუმის ფაშას მიწერა ბრძანება და აუწყა იმისი სიკვდილით დასჯა, თავის მოკვე-

თა. სულეიმან ფაშას თავი მოკვეთეს ახალციხეს 1761 წ. თავის მოკვეთის მიზეზათ ხალხში განფინეს ის ხმა, რომ ფაშა სიკვდილით დასაჯეს, რადგანაც იგი ქრისტიან სიმონ გურიელს შეგობრობდაო. რომელი მუსულმანიც ასე იზამს და ქართველს დაუმეგობრდება, ჩვენი კანონი იმასაც ასე დასჯის. ამ გარემოებამ საქართველოს ერთი ენისა და ქვეყნის შვილთ შორის დიდი ზიზღი და შური ჩამოაგდო. მას სამურმისოდ მოჰყვა დიდი მტრობაც, მერე თუ ქართველ ბაჰმადიანებმა როგორ შეიძულეს თავიანთი საქართველო, ქართული ენა და მამა პაპის ხსოვნა, ეს ხომ დღესაც ცხადია ყველასათვის.

სულეიმან ფაშის სიკვდილით დასჯის დროსვე, ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა, რომ დღეის შემდეგ, ახალციხეში ფაშებათ უნდა გაიგზავნონ ხოლმე ჩვენი ტომის, თათრის ფაშები და არა ქართველთ შთამომავალნიო. ამის კანონიც დაადგინეს და მალე სულეიმან ფაშის ალაგს გამოგზავნეს ნამდვილი ოსმალის ფაშა. მოდგმით და ტომით ნამდვილი თათარი,— ოსმალი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დროს, მთელი სამცხე საათაბაგო დიდს შევიწროებაში იყო ჩავარდნილი, ხალხი ოსმალოს მთავრობის წყალობით გაველურების ხანაზე იყო დამდგარი, მათში აღარც ქართული წერა-კითხვა ისწავლებოდა, არც ოსმალური აღორძინდა.

სულეიმან ნიბაძის საკვდილის შემდეგ 1762 წ. ახალციხის გამგედ დანიშნეს ისაკ ფაშა. ეს მალე მოვიდა და გაფაშდა, ეს ფაშა ტომით თათარი იყო. მისი მოსვლა არ იყო ქართველთათვის კარგი. ქართველ მაჰმადიანებს მოსვლისათანავე დევნა დაუწყო და ცილის წამება მასზედ, რომ თქვენ გურჯები ხართ. ომი რომ იქნეს, მაშინ თქვენ მათს მხარეს დაიჭერთო. ასეთის ცნობით მან ქართველებს დაბეზღებაც დაუწყო. ამ გარემოებამ მთელი კუთხე აშალა და ნამეტურ აჭარა. აქ ისე აირია ყოველივე, რომ ძალლი პატრონს ველარ იცნობდა. ისეც დავრდომილ მხარეში უგვანი ფაშის წყალობით წინ წავიდა ცარცვა, გლეჯა, ქრთამები და სხვაც

ბევრი ასეთები. ამ ფაშის დროს სამართალს ყადები ფულზე ჰყიდდენ, ანდაზებიც კი შემოიღეს ქრთამიან სამართლის შოვნასა და ჰოვნაზედ. ერთის სიტყვით, მთელი აჭარაც კი გაირყვნა და წახდა. საქმემ იქამდის მიაღწია, რომ ეს ფაშა გადაეკიდა თვით სხვა და სხვა ბეგებს. მაგალითებრ ფალავანდისშვილებს მესხეთში, აჭარის ბეჟანიძეებს, შარვაშიძეებს, თავდგირიძეებს და ვინ იცის რამდენ კიდევ ვის არა.

ყველა მათ მტრობდა, ყველა მათ გიაურათ სთვლიდა და ეუბნებოდა, რომ თქვენ ყველანი ქართველები ხართ და არა ოსმალიო. ასე აბეზღეზდა სტამბოლშიაც. მერე ქართველებს სთხოვდა და თან გამართლებას პირდებოდა სულთანის და დიდი ვეზირის წინაშე. ასეთის ხრიკებით მან დაცარცვა მთელი ქართველი ბეგები, აღები და თუ კი სადმე იყვნენ სანჯაყბეგები და ფაშებიც. საქმე სახუმარო აღარ იყო. ესეც არ აკმარა ქართველ მაჰმადიანებს და დაიახლოვა დაღისტნელნი. მათგან გაიყვანა დიდი ბრბო და ასწავლა არამც თუ მარტოდ ქართლ-კახელთ ცარცვა-გლეჯა, არამედ ისინი სცარცვავდნენ თვით ქართველ მაჰმადიანებსაც. ამ გარემოებამ ქართველი მაჰმადიანები დიდათ გააბრაზა, მაგრამ ვინ რას იზამდა.

ხსენებულმა მართველმა სხვა უბედურებაც ბევრი დაატეხა კუთხეს. მის დრომდე, ქართველ მაჰმადიანთ შორის ზოგიერთ სოფლებში, ქართველთ მოხუცთ კიდევ ახსოვდათ ძველებურად წიგნების პატივისცემა, მათი მოგონება, მან ყოველივე ასეთი ჩვეულება სასტიკათ აკრძალა. აკრძალა აგრეთვე ქართულის ხმარება „მეჯლისში“ და სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში და ამ დროს ქართველ ბეგებმა ოსმალურად იწყეს საუბარი. გარდა ასეთის მტრობისა და ბოროტებისა, სძულდა დიდათ ქართველები და ყოველგან მათს ძვირს და გაუტანლობას ლაპარაკობდა. ასეთმა მტრობამაც არ იქონია კაი შედეგი.

საქმემ იქამდის მიაღწია, რომ ამ ფაშამ გადაკიდა მთელი სამცხე-საათაბაგოს ქართველი მაჰმადიანები და ნამეტურ

ზედა ქვედა აჭარის ბეგები. ამ დროს, ანუ 1765 წლებში, უმეტესათ ეს აჭარაში სცხოვრებდა. ხან ბათუმშიც ჩადიოდა. მაშინ მთელს სახელწიფო ხარჯს ქართველ მაჰმადიანებთაგან აგროვებდენ ბათუმში. ამ ფაშის უსამართლო ხარკისაგან მაშინ ბევრს ქართველ მუსულმანთ ოჯახს მოეღო ბოლო, ბევრი ანიავდა უწყალოდ, უსაბაბოდ. ესეთი შეწუხება ქვეყნისა არ იყო კარგი. ყველა უკმაყოფილო იყო ამ ფაშაზედ, ყველა აჭარელი მზად იყო, რომ ფაშის წინაამღდეგ გამოსულიყო, ხელში მახვილი აეღო და ამ უსამართლო გამგისთვის ბოლო მოეღო. ასე დაირაზმა მის წინააღმდეგ მთელი ქართველი მაჰმადიანობა.

უცხო ფაშისაგან მიყენებული ასე დაბრიყვება ქართველებმა ვერ აიტანეს, ამიტომ ჯერეთ არზრუმის სერესკერს აცნობეს ფაშის უსამართლო გამგეობის ცნობები, მერე სტამბოლში დიდს ვეზირსაც აუწყეს, მასთან სულთანსაც ევედრნენ ამ ფაშის გამოცვლას და მის მაგიერ ისეთი ფაშის დანიშვნას, რომელსაც ცნობა ექმნებოდა ამათი ქვეყნის და ენის, მაგრამ მთავრობა ამას არ ასრულებდა, ყოველ ამათ თხოვნას უყურადღებოთ სტოვებდა. ოსმალოს მთავრობა საქართველოში ქართველ ფაშების დანიშვნას ერთობ ერიდებოდა; გაბრაზებული ქართველი მაჰმადიანები ფაშის წინააღმდეგ ადგნენ, იგი გააძევეს და მაშინათვე სულთანს კაცები გაუგზავნეს და აუწყეს შემდეგი:

თქვენი ფაშა ჩვენი მტერი იყო, მან ჩვენი ქვეყანა ყაჩაღებით გაავსო, იგი სცარცვავდა ყველას და ყველგან, ჩვენ ეს ვერ მოვითმინეთ, და ამიტომ გავაძევეთ ფაშა თავის ყაჩაღებით, ჩვენ ეს ფაშა აღარ გვინდა, დაგვინიშნეთ სხვა ფაშა, უფრო ჩვენი კაცი, ჩვენი ცხოვრების და ადათის მცოდნე. უამისობა არ იქნება, ჩვენ მას აღარ ვაბოგინებეთ აქ. რაც შეეხება ჩვენს კაცობას და ხალხობას ჩვენ ნამდვილი მუსულმანები ვართ, გურჯის მუსულმანები, ჩვენ ყოველთვის მზათ ვართ, რომ თქვენს ერთგულებაში ვიქმნეთ და თუ საჭირო

იქნება, მაშინ სისხლსაც დავღვრით. ოსმალოს მთავრობამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია, ქართველ მაჰმადიანობას აცნობა, რომ ეხლა ჩვენ თქვენის ქვეყნის კაცთაგან კაი ფაშა არა გვყავს, ეხლა ცოტა ხნით ჩვენს კაცს დაგინიშნავთ და მერე კი ვეცდებით, რომ თქვენი გურჯის ფაშა დაგინიშნოთო.

ხალხი ერწმუნა მთავრობის ასეთ დაპირებას. 1766 წ. დანიშნეს ახალ-ციხის გამგეთ სელიმ ფაშა, თათრის ტომის კაცი. ეს ფაშა მოსვლისათანავე დაადგა ბოროტ გზას, თავის წინა მოადგილესაგან დარიგება მიეღო, თუ რამ სხვა ასეთი ცნობიერება, ამან გადააჭარბა ბოროტებით ყველა წინანდელ თავის მოადგილე ფაშებს. ამან მთელი სამცხე უარესად გაავსო ყაჩაღ ლეკებით, ოსმალოდან მორეკილის ქურდებით და სხვა და სხვა ბოროტის კაცებით. ყველა ესენი სცარცვავდენ არა მარტო ქართლსა და იმერეთის ქრისტიანთ სოფლებს, არამედ სცარცვავდენ თვით ქართველ მაჰმადიანთ სოფლებსაც, ამათ გარდა მათვე დიდათ შეაწუხეს ქართველ კათოლიკენი და ქართველ ებრაელნი ახალციხეში. 1766 წლიდან ამათთვის დადგა მეტად მწარე დღეები, ქართველ კათოლიკებმაც იჩივლეს სტამბოლს და რომშიაც ამ ფაშაზედ, მაგრამ დროებით არა იქმნა რა.

ამ ფაშის გამგეობის დროს, უკვე ასპინძის ომის ამბებიც ისმოდა. ქართველი მაჰმადიანები-კი უკმაყოფილონი იყვნენ ამაზედ და იტყოდენ ხოლმე, რომ ამ ვერაგი ფაშის წყალობით ჩვენ გურჯებმა რათ უნდა ვხოცოთ ჩვენივე გურჯებიო. რა გვაქვს ჩვენ იმ ჩვენ ბაბაის ძმებთან და დანებთან საჩხუბარიო. მალე ომიც იქმნა დაწყებული. მართლაც ამ ომის დროს აჭარელთ გაახსენდათ კიდევ თავიანთ ძველი ნათესავობა ქრისტიან ქართველებთან და მიტომ ამ ომში ალმაცერად მიიღეს მონაწილეობა. თორემ ამათ რომ ასე არ ექმნათ, მაშინ ასპინძასთან ერეკლე მეფე ისე დამარცხდებოდა, რომ ოსმალნი ლეკებით მთელ საქარ-

თველოსაც კი აიღებდენ და ყოველივეს დაღისტანს შეუერთებდენ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგანაც აჭარლებმა არამც თუ უშველეს ოსმალთ, არამედ ჩუმათ ერეკლე მეფეს ესენი დახმარებასაც აძლევდენ, მაინც ამათაც და მესხ ჯავახ ქართველ თათრებსაც ერეკლე მეფე დიდათ უყვარდათ, ამიტომაც გაიმარჯვა ერეკლე მეფემ და ასპინძაზედ იმოდენა ოსმალთა ჯარი სულ დაამხო ღა მოსპო. ამავე ომში დიდი დახმარება მისცეს ერეკლე მეფეს ახალციხის და მთლათ ამ თემის ქართველ კათოლიკებმაც, რის მეთაურობაც ცხადათ ეკუთვნოდა იმ დროის ახალციხის იანიჩრების უფროს. ქართველ კათოლიკე ლუკა ისარლოვის (ხურსიძე) წინაპრებს.

ასპინძის ომიც გათავდა. ქართველ მაჰმადიანებმა განაგრძეს ფაშის წინააღმდეგ ამხედრება, მაგრამ ომის შემდეგ მალე ვერ შეუდგებოდენ საქმის აღსრულებას. ხალხის ეს განძრახვა ფაშამაც იცოდა, ამიტომ ესეც მათ წინააღმდეგ მოქმედებდა და თვით ოსმალოს მთავრობასაც არწმუნებდა, რომ ჩვენ ასპინძის ომში გურჯებმა გვიღალატეს და მიტომ დანარჩენი გურჯისტანიც ვერ ავიღეთო. ეს გურჯი მუსულმანები თავიანთ ენის გიაურ გურჯებს შიემხრენო. ამან ამ საქმის მეთაურნიც კი მოსძებნა, მათი სიკვდილით გაკითხვის უფლებაც აიღო, რამდენიმე ხნის შემდეგ, ხელში აიღო მახვილი, ზოგ ალაგას აღმართა თავსაკვეთნი და სახრჩობელანი, ამის საშუალებით ბევრს ისეთ ქართველ მაჰმადიანს მოუღო ბოლო, რომელნიც მხოლოდ ამ ფაშის უსამართლობის წინააღმდეგნი იყვნენ და არა ოსმალოს მთავრობის. ასეთის უფლებით გათამამებულმა ფაშამ თვის საბრძანებელში ყაჩაღები და ქურდი ლეკები უფრო გაიმრავლა, ამათ ცდით ცარცვა, დევნა და დარბევა ქართველ მაჰმადიანებს დაუწყო, რადგანაც იგი ამათში ხედავდა თავის დაუძინებელ მტრებს, ქრისტიანებს კი დიდ ქრთამებს ართმევდა ყველგან.

ამ ფაშის ბოროტებამ ქვეყანა დაამხო, ქართველ მაჰმადიანებმა გადაწყვიტეს ფაშის წინააღმდეგ მოქმედება, ამის-

თვის მათ მახვილიც აიღეს ხელშთ. გააკეთეს ყოველივე სამ-ზადისი. ერთ დღეს შეიკრიბა ერთად არა მარტო ახალ-ციხის საფაშალიკოს ქართველ მაჰმადიანობა, არამედ არტაანის საფაშალიკოდანაც, ოლთისის და ნამეტურ აჭარელ-ქობულეთელნი, ერთ დღეს მძლავრის ძალით დაეცენ ამ ფაშას, მოკლეს იგი, აიკლეს მისი ამხანაგები და მის მერე სტამბოლში გაგზავნეს კაცები და ოსმალოს მთავრობას შეუთვალეს შემდეგი მოხსენება: **ჩვენ, გურჯი მუსულმანები თქვენი ეთგული გახლავართ, ხოლო თქვენი ფაშა კი ჩვენ გვწამებდა ორგულობას, მასთან დალატსაც, რომ ასპინძას ჩვენ მიტომ ვერ გავიმარჯვეთ, რადგანაც თქვენ გვიღალატეთო, ამიტომ მან ბევრს ალაგას გაკეთა თავ საკვეთი და სახრჩობელანი და მით მოუდო ბოლო ბევრს ისეთ გურჯს მუსულმანს, რომელიც მისი უსამართლობის წინააღმდეგნი იყვნენ მხოლოდ და არა თქვენი და ისლამისო. ესეც არ იკმარა მან და ბევრს ალაგას აცემინა ბევრი კაცები და თვით ქალებიცაო, რაც ჩვენ ვერ აგიტანეთ იგი, როგორც ბოროტი ფაშა მოგუსპეთ და მისი თანამოამხრენიც მოლათ აგიკელით და განგდევნეთო. (მ. დ.)**

თქვენც დაპირებული იყავით ჩვენებური ფაშის მოცემის და ეხლა ვითხოვთ, რომ ჩვენებური გურჯი ფაშა დაგვინიშნოთ. თუ ეს არ იქმნება, მაშინ ვითხოვთ თქვენებური ფაშა მოგვეცეს, ხოლო იგი იყოს პატიოსანი და მართალი, ჩვენი დამჩაგრავი, შემწუხებელი და ქრთამების ამღები ნუ იქნება. ოსმალოს მთავრობა ამ გარემოებამ ძრიელ დააფიქრა, ხოლო მათ შიშის ოცნებას კი ის უფანტავდა, რომ ქართველ მაჰმადიანები ითხოვდენ, თუ ჩვენებურ გურჯი ფაშას არ დაგვინიშნავთ, მაშინ იყოს თქვენებური კაცი, ოღონდ იგი იყოს მართალი და პატიოსანი, ხალხის არ შემაწუხებელიო. ამ გარემოებამ მთავრობა დაიმედებულ ჰყო და ფაშის მოკვლის გამოძიებას აღარ შეუშინდა, რადგანაც გურჯები ფაშად ოსმალის კაცსაც ითხოვდნენ, ამიტომ მათ 1770 წ. დანიშნეს ახალციხის გამგეთ, ანუ ვალად უსუფ ფაშა, ოსმალოს

ტომის თათარი. ეს მალე მოვიდა გამგეთ და მასთან მთავრობამ აცნობა ყარსის ფაშას, არტაანის და სხვათაც, რომ ამ უსუფ ფაშას გურჯების დაწყნარება და დამონებაში თქვენც დახმარება მიეცითო.

სამწუხაროდ არც ეს ფაშა აღმოჩნდა რიგიან ვალი ფაშად, მანაც ბოროტებით დაიწყო მოქმედება, ძველებურად გაიმრავლა ლეკის ყაჩაღები, ოსმალეთიდან მორეკა მთელი გუნდი მცარცავ და ქურდი ჯარის კაცები და ყოვილივე ამით მანაც დაუწყო უსამართლოდ ცარცვა გლეჯა და ყველა მაჰმადიანს გურჯსაც ზიზღით უყურებდა, ყველას მოღალატეს ეძახდა, ამიტომ ამან ქართველ მაჰმადიანები უფრო გააბრაზა, ზოგმა დაითმინა მისი ბოროტება, ზოგმა არა, ვინც უფრო ფხიზელი იყო, ის ამის ბოროტებას ვერ ითმენდა, ვინც დაძინებული ისინი კი თავს უკრავდენ, მაგალითებრ ამას მონურად ემორჩილებოდენ მესხეთის და ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანები, ჩილდირის, ფოცხოვის, ქვაბლიანის და სხვა ასეთის კუთხეების, ესე იგი, სადაც კი ტეტია ქართველ მაჰმადიანები სცხოვრობდენ, სადაც კი იმერეთის ერის მსგავსი ქართველ მაჰმადეანები იყვნენ, ესენი კი წინააღმდეგნი გახდენ ამ ფაშის და მას ბრძოლაც დაუწყეს. ესენი იყვნენ აჭარელნი, ქობულეთელნი, მაჭახლელნი და სხვა ასეთნი, რომელნიც ყოველთვის ებრძოდენ თათრის ფაშებს და ოსმალოს მთავრობას მოსვენებას არ აძლევდენ. ესენი სულ ვერ იტანდენ უცხო ფაშების ბოროტებას, ამათ ასეთი სულიერება შერჩათ 1878 წლამდე. ამ დროსაც კი უთხრეს მათ ოსმალოს მთავრობას, რომ ჩვენ გურჯები ვართ და ნუ გვყიდი, ნუ გვცვლი, ჩვენ შენ არ გიყიდნივართო...

ფაშის წინააღმდეგთ შორის სოფლის ხალხის გარდა უმეტესად ქართველი ბეგები და აღები იყვნენ, რადგანაც უსამართლო ქცევით და მოქმედებით ამათაც დიდს შეურაცყოფას აყენებდა ხსენებული ფაშა, ასე რომ ერთის მხრით ამის მკაცრი წინააღმდეგნი იყვნენ თვით მესხეთ ჯავახეთის ქარ-

თველთ ბეგებიც კი მაგალითებრ ავალიშვილები, ფალავანდოვები, ციციშვილები და ასეთნიც სხვანი, ვინც კი სცხოვრებდენ იქ. აჭარა-ქობულეთიდან კი საერთოდ ყველა ბეგები უკმაყოფილონი იყვნენ მასზედ. ესენი მაინ ებრძოდენ კიდეც აშკარად, ასეთ მხნე და სიმართლის მოყვარე ბეგების წინამძღოლი ყოფილა იმ დროის ზეგან აჭარის ბეგი აბდულ ბეგ ხიმშიაშვილი. ხიმშიაშვილნი--ძველადანვე არიან აქეთ განთქმულნი, ისინი ირიცხებოდენ წინედ თავადის შვილებათ. ისლამს დაუკავშირდენ XVII საუკ. გასულს, მერე ოსმალი თავადობის მაგიერ ბეგობა მისცეს. იგინი ძველადანვე სცხოვრებდნენ სხალტის ხეობაზედ, სხალტას მათ აქვთ თავიანთ ძველი საგვარეულო ტაძარიც, სადაც უცხოვრიათ მათ წინაპართ ძველადანვე.

აბდულ ხიმშიაშვილი, როგორც ძველი თავადის შვილი შთამომავალთაგანი, დიდათ იყო განთქმული მთელ ქართველ მაჰმადიანებში და მასთან იგი იყო დიდი შეძლების პატრონიც მას ჰქონდა დიდ ძალი მამულები, სულადი საქონელი მრავლად და ამას გარდა სხვაფრივათაც ქონებით სავსე იყო. ყველივე ამის გარეშე იგი იყო ხალხის მოყვარე, ღარიბების შემბრალე. ამაებს გარდა მასვე კაი მეგობრობა ჰქონდ იმერეთის მეფესთან, გურიის მთავარ სიმონთან, რომელსაც შემდეგ დაენათესავა კიდეც. ასევე მეგობრობდა დადიანს, ნ მეტურ ერეკლე მეფეს. მეგობრობდა ამათ მიტომ რადგან�მან კარგა იცოდა, რომ იგი ტომით, სისხლით და ენი გურჯ ქართველი იყო, ხოლო სჯულით მუსულმანი, რასაც დავა არ ჰქონდა ენასა და ქვეყანასთან. ამიტომ მას გულ თავის მოენე ქართველებისაკენ ჰქონდა მიპყრობილი. ეს გან მოება აჭარლებმაც კარგად იცოდენ.

ამ პირის მეთაურობით აჭარის ბეგებმა ჯერეთ არზრ მის სერესკერს დაუწყეს თხოვნა, რომ ფაშა გამოგვიცვალ თო. მერე ოსმალოს მთავრობასაც მიმართეს, კაცები გაგ ზავნეს და პირადათ სთხოვეს, რომ ფაშა გამოცვალეთ, ეს

ბოროტი არის, ქრთამებს იღებს, სამართალს ფულზედ ჰყიდისო. ასეთის პროტესტებით და კაცების გაგზავნ გამოგზავნით ამათ ოსმალოს მთავრობა მოაბეზრეს, მერე მხნე აჭარის და სხვათა ბეგებმა ასეთი თხოვნაც მისცეს: თქვენ, თუ არ შეისმენთ ჩვენს თხოვნას და სხვა ფაშას არ მოგვცემთ, მაშინ იგი ფაშა დაშთეს ახალ-ციხის ფაშათ და განაგოს იქეთა მხარეო, ხოლო ჩვენ აჭარა-ქობულეთის ბეგები და ხალხი ვითხოვთ, რომ ჩვენი ქვეყნის გამგეთ დანიშნულ იქმნეს აბდულ ბეკ ხიმში ზადეო. მოგახსენებთ, რომ გურჯისტანში თქვენ თუ სულ ასეთ ფაშებს დანიშნავთ, მაშინ შეიძლება, რომ მთელი გურჯისტანიც-კი დაიმორჩილოთო. ესეთი თხოვნები ოსმალოს მთავრობამ საყურადღებოთ დაინახა, მათ 1780 ნ. გამოსცვალეს უსუფ ფაშა და მის მაგიერ გამოგზავნეს ახალ-ციხის ვალ გამგედ სელიმ ფაშა. აჭარის გამგეობა კი მიანდეს აბდულ ბეგ ხიმშიაშვილს. ამას მალე ხალხმა ფაშა უწოდა.

აბდულ ბეგმა მშვიდობით დაიწყო მოქმედება, მან მთელი აჭარა, ქობულეთი, ლივანა, მაჭახელი და სხვანი ადვილად დააწყნარა, ქრთამს არავის ართმევდა, მის დროის მეჯლის და ყადებსაც აეკრძალათ ქრთამის აღება, ამას გარეშე ოსპო ქურდობა, გარეკა ყაჩაღები, ქურდი და მტაცებელი ლეები. სხვაც ბევრი რამ საქმენი შექმნა სანაქებოთ, ამან ავის სინიდისიერის მოქმედებით ახალციხის ფაშას ბევრად აუსწრო წინ. სამწუხაროდ არც ეს სელიმ ფაშა აღმოჩნდა იგიან გამგედ, ესეც მექრთამე და სამართლის ფულზედ გამყიდავი გახლდათ. როგორც ამ ფაშის შესახებ, ისე აბდულ ბეგის გამგეობის ცნობები ოსმალეთის მთავრობასაც ჰირათ მისდიოდა, ისინი ტყობულობდენ ერთის ავის მოქმედების ცნობებს, მეორის კარგს და სიკეთეს ქვეყნის, დაწყნარებას, მშვიდობას და დამორჩილებას. მთავრობამ ისურვა აბდულ ბეგის ფაშად დადგენა, მაგრამ რადგანაც იგი ოსმალეთში ნასწავლი არ იყო, ამიტომ ეს ვერ მისცეს მას და ევ აჭარის გამგეთ დასტოვეს.

ყველამ ვიცით, რომ ამ დროს ქართლ-კახეთი და იმერეთი თავის სამთავროებით, რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ შევიდა, რაც ოსმალეთის მთავრობასაც ეუწყა რუსეთის კარისაგან. ესეთი გარემოება ოსმალეთის მთავრობას დიდათ ეწყინა, როგორ თუ გურია, სამეგრელო და იმერეთი ჩვენის მფარველობიდან ჩვენს დაუკითხავად გავიდენ და რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ შევიდენო. ამიტომ ამათ არზრუმის სერესკერს დიდ ძალი ჯარი გამოუგზავნეს. მასთანვე გურჯისტანის სხვა და სხვა ფაშებს და ბეგებსაც მოსწერეს და სთხოვეს ომის დაწყება იმერეთის სამეფოსთან და უსათუოდ მისი აღება, ასევე დაავალეს მათ აბდულ ბეგ ხიმშიაშვილსაც. რა უნდა ექმნა ამას, ბრძანებას დაემორჩილა, მეტი რა გზა იყო და თავის საბძანებელში ჯარიც შეკრიბა, საომრად მოემზადენ და მალე გურიასაც დაეცენ საომრად. პირველად ოსმალოს ჯარმა გურიაში აიკლო სოფაკეთი, სადაც მოკლეს აბდულ ბეგ ხიმშიაშვილიც 1782 წ. ხიმშიაშვილების გვარში ამბათ იყო დაშთენილი, რომ აბდულ ბეგი ამ ომს უგულოთ ეკიდებოდა. იტყოდა ხოლმეო, რომ იმერლებთან და გურულებთან რა გვაქს ჩვენ სადავო და საოშარიო. ძალიან სწუხდა ამაზედ და მიტომაც მოკლეს ეს საბარგებლო კაცი აჭარლებისაო.

მაინც ამ გალაშქრებით ოსმალოს ჯარმა ვერაფერი გაიწყო, იგინი ძლეულ იქმნენ ყველგან, მხოლოდ ფოთსა და აფხაზეთში კი იმერლებმა და მეგრელებმა ვერა დააკლეს რა. იმერეთიდან კი მთლად განდევნეს ოსმალოს ჯარი, რაც არც იაფად დაუჯდა ოსმალოს მთავრობას, მეტი გზა არ ჰქონდათ, მათ ომს თავი დაანებეს და დაიწყეს მისი ცდა, რომ მხოლოდ გურჯისტანის საზღვრები გაემაგრებინათ და თავიანთი საბრძანებელი დაეცვათ, მასთანვე ფიქრს მიეცენ, რომ დღეის შემდეგ იქით უნდა დავნიშნოთ ჩვენი ერთგული ისეთი ფაშები, რომელნიც გურჯებს კარგათ მოუვლიანო, თორემ ვაი თუ ისინიც სხვა გურჯებივით რუსეთის მფარველობის

ქვეშ შევიდენ და მის გამო ჩვენც წაგვერთვას ხსენებული კეკლუცი მხარეო. ამის ფიქრში იყო ოსმალოს მთავრობა.

ოსმალოს მთავრობის ასეთი შიში სულეიმან ფაშამ კარგად შეიტყო. ამიტომ ამან მთავრობის წინ მეტიჩარობა გაშოიჩინა და ერეკლე მეფეს მტრობა დაუწყო. მალე მან ომარ ხანს პირობა მისცა, რომ საქართველოს დავეცეთ და თფილისი ავიკლოთ, რადგანაც იგი რუსების მფარველობის ქვეშ შევიდაო. ამიტომ ომარ ხანი ახალ-ციხეში მივიდა და 1785 წ. ზამთარს აქ დარჩა თავის ჯარით, ხოლო ფაშას ოსმალოს მთავრობამ ომის ფირმანი არ მისცა, ამიტომ განძრახვა ჩაიშალა, ომარ ხანი უკან დაბრუნდა. გაჯავრებული ფაშა ქართლს და კახეთს ჩუმათ ემტერებოდა. 1785 წ. ამან დიდათ გაამრავლა ლეკის ყაჩაღები და მით აწუხებდა ქართლსა და იმერეთს. ამაზედ მეფე ერეკლემ და სოლომონ იმერთ მეფემ სტამბოლში იჩივლეს, იქიდან ფაშას გაფრთხილება მოუვიდა და ბრძანება, რომ ლეკები შენი საბრძანებლიდან გარეკეო. ამავ წელს ფაშამ ერეკლე მეფეს წერილი მისწერა და შორჩილება და მეზობლური ერთგულება აუწყა, ასევე იმერეთის მეფე სოლომონს.

მთავრობა ასე ამოქმედებდა ახალ-ციხის ფაშას შეფეების წინაშე, თან ჩუმად ავალებდა სიფრთხილეს და შიშს, რომ ჩვენ სავნოდ ქართველებმა არაფერი ქმნან რუსების დახმარებითაო. 1786 წ. ამას გამოუგზავნეს 60 ქისა ოქრო, 6000 ათასი ჯარის კაცი და დავალება, რომ ამ ფულით და ჯარით ბათუმი გაამაგრეო. ამ დროს გაამაგრეს დიდათ ბათუმი, როგორც ნავთ საყუდარი ქალაქი. ამას გარეშე ოსმალოს მთავრობამ იეშმაკა და თავის ჯაშუშების წყალობით სოლომონ მეფეს ზოგი-თავადიშვილები შესყიდვით აუჯანყა, მაგალითებრ ასეთი იყო მოღალატე და ჯაშუში ქაიხოსრო აბაშიძე, რომელიც აეშალა უსამართლოდ მეფეს, მერე გაიქცა სტამბოლს, სულთანს მისცა ერთგულების პირობა და ისლამიც მიიღო. ამას მისცეს 12 ათასი ჯარის კაცი, ფული და

გამოისტუმრეს იმერეთში საომრად, ეს ჯერეთ გურიელს და დადიანს სთხოვდა დახმარებას, ამისთვის ომიც დაიწყეს, მაგრამ ვერა იქმნა რა, იგი გააძევეს, რომ გაემარჯვათ, მაშინ კი ოსმალებს მისთვის მეფობა უნდა მიეცათ. ასე დაიწყეს მათ მოქმედება.

რაკი ესეთის საქმეებით ოსმალოს მთავრობას წადილი არ აღუსრულდა, მერე ახალციხის ფაშამ მეგობრულად სთხოვა მეფე ერეკლეს, რომ ჩვენში ხომ ერთობა არისო, ამიტომ ვითხოვთ, რომ საქართველოდან რუსის ჯარი გავიდესო, თუ არა და მე ოსმალოს მთავრობასთან საქმე არა მაქვს, მე დაგიწყებ ომსაო. ერთის სიტყვით, მე თქვენს რუსებთან ერთობას ვერ ავიტან, ომი მოხდება, თუ ეს არ გინდათ, მაშინ დაანებეთ თავი რუსების მოყვანას, მათი კავშირი ნუ გინდათო, თორემ ჩვენს გარდა სპარსნიც აგეშლებიანო. ამიტომ გირჩევ, რომ თქვენთვის იყოთ, თქვენ ქვეყანას თქვენ მოუაროთ, თუ არა და განანებთო. ასეთ მუქარას ახალციხის ფაშა ვერ გაბედავდა, ალბათ ოსმალოს მთავრობა ავალებდა ჩუმად და თვით კი შორს იდგა. ამაზედ მეფემ სტამბოლში იჩივლა და საჩივრის ცნობა მოუვიდა, რომ ეგეთი მუქარება ჩვენი არ არის, ეგ ფაშის საქმეა და იმიტომ მას დარიგება გამოუგზავნეთო. ასეთ საქმეებს, ანუ რუსთა გამო ქართველთ წინააღმდეგ ბრძოლისთვის ახალციხის ფაშას გათათრებული ოსი ახმედ დუდაროვიც აძლევდა პირობას, რომ ქართლს მე ოსეთის მხრიდან ავიკლებო, ამისთვის მას საომარი იარაღიც გაუგზავნეს 1787 წ. ჩუმად, მაგრამ მანიც ვერა ქმნა რა.

ახალციხის ფაშის გარეშე სულთან სელიმ III საიდუმლოდ დიდათ აფრთხილებდა საქართველოს მოსაზღვრე ოსმალთა ადგილების სერესკერ ბატალი ფაშას და კუსი ფაშას, რომ თქვენც ფხიზლათ იყავითო. ამ გაფრთხილების მიზეზათ იგინი სთვლიდენ იმ გარემოებას, რომ რუსთა ბრძანებით ქართლისა და კახეთის მეფე ერეკლე ერთმანეთს დაუახლოვდენ 1788 წელს და ეს ჩვენი წინაღმდეგიაო. ვფიქრობთ,

რომ ეს დაახლოვების ცნობა უნდა შეეხებოდეს იმ გარემოებას, როცა იმერეთის მეფემ ქართლის მეფე ერეკლეს საქართველოს გაერთიანება დაავალეს, რაც ერეკლეს უთაურობით ვერ მოხერხდა. ამავე მიზეზების წყალობა იყო, რომ ახალციხის ფაშამ 1790 წ. ომარ ხანს კვალად მისცა პირობა ქართველთ წინააღმდეგ საომრად, დასაცემად და ასაკლებათ, ამავე ომისათვის წინადადება და თავდარიგის რჩევა მოუვიდათ საიდუმლოდ ანაპის თეიარ ფაშას, ფოთის ოსმან ფაშას და ოსეთში მომქმედ ბატალი ფაშა სერესკერს.

ამათ მართლაც და ქართლს და იმერეთს რბევა დაუწყეს და თფილისის აკლებაც მოინდომეს, მაგრამ მალე შეკრთენ, 1791 წ. უკან დადგენ, რადგანაც მაშინ თფილისში 70 ათასი მცხოვრები იყო და ცნობა მიუვიდათ, რომ ეს ხალხი რუსებმა სულ იარაღით გაავსესო. საქმე ცუდათ გათავდებაო, ხალხს გაგვიწყვეტენო; ასევე, აცნობეს ოსმალოს სულთანს, ამათი ესეთი სამზადისი მარტოდ ლეკებას გამრავლებით დაბოლავდა და ქართლის სოფლების ჩუმად, უყაღლურად აკლებამა და ცარცვამ, რაისა გამო ანაპის ფაშის დარბევისაგან გაჯავრებული დადიანი რუსებს დაუახლოვდა და ერთობა შეჰფიცა. ასევე მეფე ერეკლემ სტამბოლში იჩივლა მეორედ ახალციხის ფაშის შესახებ და ამისაგან ლეკების გამრავლებაზედ. ოსმალოს მთავრობის მეფე ერეკლეს და სოლომონ მეფეს და მასთან რუსთა მთავრობასაც აუწყა პირობა, რომ დღეის შემდეგ, ჩვენი ფაშები ახალციხის მხრიდან ქართლ-იმერეთის აკლებას თავს დაანებებენო. ჩვენ ამის ფირმანი ყველა ფაშებს ვაცნობეთო.

რაკი ოსმალოს მთავრობას შიში მიეცა, ამიტომ იგინი გონს მოვიდენ, მალე შეკრიბეს ოსმალოს ქალაქებში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანთ მოხელენი, მასთან ათაბაგ ჯაყელების შთამომავალ საბით ფაშა ჯაყელი, შერიფ ფაშა ჯაყელი. ამ ფაშებს მისცეს საჩუქრები, დახმარება და 1792 წ. გამოისტუმრეს საქართველოში და მიანდეს სხვა და სხვა გამ-

გეობანი, მხოლოდ ახალციხის ვალი ფაშობასკი ვერ ანდობ-
დენ, ეშინოდათ, ფაშა ნიბაძის საქმე ახსოვდათ. ამ ფაშე-
ბის საქართველოში მოსვლა ქართველ მაჰმადიანებს დიდათ
გაეხარდათ. ამათ მოსვლის შემდეგ გარდაიცვალა ახალციხის
სელიმ ფაშა. ამის მაგიერ დანიშნულ იქმნა ისაკ ფაშა. ამ ფა-
შას მეფე ერეკლესთან კაი განწყობილება ჰქონდა, ერთმანერთს
წერილებსაც სწერდენ, 1791 წ. და 1792 წ. მეფემ ამას
თფილისიდან თავისი მიშკარბაში (ადიუტანტი) იოსებ ბებუთა-
შვილიც გაუგზავნა მოციქულად და დაავალა, რომ მას ქარ-
თლის საზღვრებიდან ყაჩაღი ლეკები გაეძევებინა, რომელნიც
სელიმ ფაშამ გაამრავლაო. პირველად ამ ფაშამ მეფის თხოვნა
შეისმინა და ლეკები გააძევა, მაგრამ მალე თვითაც ხსენებულ-
სავე ბოროტ გზას დაადგა და ქურდულად დაიწყო მოქმედე-
ბა, ბოროტებას საიდუმლოდ ასრულებდა.

ამ ფაშის ბოროტებას ამჩნევდენ ცხადათ, რაც არც სა-
ბით ფაშა და შერიფ ფაშა ჯაყელებისათვის იყო საიდუმლო,
ხოლო ესენი ამაზედ ხმას ვერ ამოიღებდენ, რადგანაც ამა-
ში მათ გურჯისტანურს ღალატს დასწამებდენ, ათაბაგობის ძიე-
ბას. ამიტომ ამ ისაკ ფაშას აეშალა ოლთისის ბატარა ფაშა,
ამათში მოხდა დიდი ომი და ოდიგრები, ბევრჯერ ებრძო-
ლეს ერთმანერთს, ბოლოს მაინც ოლთისის ფაშამ დაამარცხა,
ისაკ ფაშა უკუ დგა, ახალციხეში ორს აგვისტოს 1797 წ.
ზარბაზნების სროლით შევიდა ოლთისის ფაშა, რომელსაც
თან შეჰყვა თუღებ დადგმული შერიფ ფაშა ჯაყელი. ეს იყო
ნიშანი ათაბაგობის სახელის და ღირსების, ალბათ ოლთისის
ფაშასაც სურდა ეს, რომ ახალ-ციხეში ვალი ფაშათ ქართვე-
ლი ყოფილიყოს და ისიც ათაბაგ ჯაყელების შთამომავალთა-
განი. ოსმალოს მთავრობამ ამ აურ-ზაურს ფხიზელის თვა-
ლით შეხედა და ისაკ ფაშის მაგიერ მალე დანიშნეს უსუფ
ფაშა, რომელიც მალე მოვიდა და ახალციხეს გაფაშდა.

ბატარა ფაშას დიდად შველოდა სელიმ ბეგ ხიმშიაშვი-
ლი და შაჰანაშვილი თავის ჯარით. აქედან ვფიქრობთ, რომ
ეს ბატარა ფაშა ქართველ ათაბაგთა ფაშების დიდი მომხრე

უნდა ყოფილიყოსო და იქმნება ქართველიც, რადგანაც მაშინ არტაანის ფაშაც ქართველი იყო და ასევე საქართველოს სამუსულმანო პატარა ქალაქის ფაშები.

ფაშების ასეთს მოქმედებას და გამგეობას ქართველ მაჰმადიანთ ბეგები და სხვა და სხვა მოწინავე კაცნი დიდის მწუხარებით უმზერდენ, რადგანაც ასეთ ფაშების გადაყენებაგადმოყენება და ომებიდამ ხალხი დიდათ ღატაკდებოდა, ქვეყანა ყოველთვის შლილობაში იყო. ესენი სტამბოლში ყოველივეს აცნობებდენ და თან სჩივოდენ ფაშების უსამართლოებასა და ბოროტებაზედ, ამასთან დასძენდენ, რომ თუ ოსმალეთმა ამ კუთხეს კარგად არ მოუარა, ამიტომ შეიძლება ივი ხელიდან წაუვიდეს და გურჯისტანს შეუერთდესო, რადგანაც გურჯებიც რუსებს უერთდებიან, რუსის ჯარი გურჯისტანში უკვე მოვიდაო. ესევე პირნი თამამად და კანონიერად ითხოვდენ ახალციხის ვალი ფაშად ქართველ შთამომავალს, ნამეტურ ათაბაგ ჯაყელების გვარის ფაშებს. ესეთი თხოვნა ოსმალოს მთავრობამ საყურადღებოდ დაინახა, მათ მართლაც საჭიროდ დაინახეს ახალციხეში ვალი ფაშად ქართველ ათაბაგის გვარის ფაშის დანიშვნა, თორემ ამბობდენ, რომ შეიძლება ლამაზი გურჯისტანი ხელიდან წაგვივიდესო.

ოსმალოს მთავრობამ მალე გამოსცვალა ისაკ ფაშა და ამის ალაგას დანიშნეს ახალ-ციხეს ვალად საბით ფაშა ათაბაგ ჯაყელი, რომლის დანიშვნაც ხალხს ძრიელ ესიამოვნა. ეს ხანა იყო XVIII საუკუნის ბოლო, ანუ 1798 წ. საბით ფაშა ამ დროს იქნებოდა 45 წ. იგი შესმენილი კაცი იყო, მასთან პარდაპირი შთამომავალი იმ ფაშა ათაბაგ ჯაყელისა, რომელიც მოსპობილ იქმნა 1747 წ. ახალციხეს. საბით ფაშა ნასწავლი კაცი იყო, იცოდა კარგად ქართული ენა, ქართული წერა-კითხვა, იცნობდა ერეკლე მეფეს, გიორგის, იმერეთის მეფეს, მთავრებს, და მათთან წერილების მიწერ-მოწერაც ჰქონდა, თავის დროის კვალად იგი ყოფილა კარგი, რიგიანი პოლიტიკოსი ფაშა, ვიდრე ეს ვალი ფაშობას მიიღებდა, მანამდის

იგი ირიცხებოდა ჩილდირის ხეობის ფაშად. ჩილდირის ხეობა ჯავახეთის შუა სძევს, იგი იყო ყარსის საფაშალიკოს ნაწილი, ხოლო XVIII საუკუნის ნახევრიდან იგი ყარსის საფაშალიკოს მოაცილეს და ახალ-ციხის ფაშას დაუკავშირეს. ჩილდირის ფაშობის დროსაც იგი ხშირად სწერდა წერილებს მეფე ერეკლეს, იმერთა მეფეს და თან სთხოვდა დახმარებას მასში, რომ ეგები ჩვენ ჩვენი ძველთ ათაბაგ-ჯაყელების გვარის ღირსება აღვადგინოთ და ჩვენ გავხდეთ ახალ-ციხის გამგე ათაბაგ ფაშებათ ისევე, როგორც წინეთ ჩვენი ძველები იყვნენო.

ამას ასაბუთებს ბევრი რამ ცნობები, ხოლო წერილებით კი არაფერი გვაქვს, ვინაიდგან იგი უეჭველია ერეკლე მეფეს, იმერეთის მეფე სოლომონ და სხვა და სხვა მთავრებთან საიდუმლოდ იქმნებოდა მოწერილები და აბა მათ ვინ შეინახავდა, რომ მათ ჩვენამდის მოეხწიათ. ამისივე ცხადი საბუთია შემდეგი გარემოება: 1796 წ. საბიდ ფაშამ ერეკლე მეფის მიშკარბაშს (ადიუტანტი) იოსებ ბებუთაშვილს თფილისში ორი წერილი მოსწერა, ერთი თვით მიშკარბაშს და მეორე იმ დროს, საქართველოში მოსულს რუსეთის გენერალ ზუბოვზედ გადასაცემად. მიშკარბაშს სწერს მოკითხვას, სალამს, სიყვარულს და თან ავალებს, რომ ეს წერილი „ზუბოვ გენერალს მომიწერია და შენ იცი, როგორც კაი ნაირიდ შიართმევ ჩემო ძმავ“. უეჭველია ამ კაი მირთმევა და დავალებაში მოთხრობილი იყო თვისი ერთგულება და პატივის ცემა როგორც გენერალ ზუბოვისადმი ისე რუსეთის მიმართ, ისევე ერეკლე მეფე და სოლომონ მეფისადმი. ამათის დახმარებით საბით ფაშას უნდოდა საგვარეულო ღირსება მინიჭებოდა. ასევე სწერდა იგი მეფე ერეკლეს და ნამეტურ სოლომონს იმერთა მეფეს და ამისთვის თავის დადებასაც კი აღიარებდა.

ასე და ამ გვარად, საბიდ ფაშის ახალ-ციხის ვალად დანიშვნა თუმცა ესიამოვნა მთელ ქართველ მაჰმადიანობას,

თუმც შეიძლებოდა, რომ ამ ფაშას მართლაც რამე ექმნა თავიანთ გვარის ასამაღლებლად და ქართველთ მაჰმადიანთ სასარგებლოდ, მიტომ სამწუხაროდ, ამის ვალი ფაშად დანიშვნა ძლიერ სწყენია მის სახლიკაცს, ბიძაშვილს შერიფ ფაშასს ამის ბოროტებით ისე აღბორგებულა, ისეთი შური ჩაუდვია გულში, რასაც იგი სასტიკ მტრათ აღმოუჩენია და მოკლე დროის განმავლობაში საბით ფაშის სასტიკ მტრათაც აღმოჩენილ. მალე მათში მტრობა და ომიც კი გაჩაღდა და ერთმა მეორეს დაუწყეს ბრძოლა და ფაშობის წართმევა იმ დროს, როცა ეს მათში სულ არ უნდა ყოფილიყოს. ვაი ჩვენი ქართველ მაჰმადიან კაცის ბრალი, ვაი სირცხვილო, ვაი უბედურებავ, სიხარბევ და შურო, ვაი ჩვენო ძმის ღალატო და ქვეყნის უბედურებავ. მაგრამ რასა ვიქმთ, ქართველ მაჰმადიანი სხვა რაშია მარჯვე და კარგი, რომ ძმისა და ბიძაშვილის ღალატში არ იყოს მარჯვე და ყოჩაღი.

მიზეზები ამ სამარცხვინო მტრობის თურმე იმაში იფარებოდა, რომ შერიფ ფაშა სთვლიდა თავის თავს ათაბაგთა მთავარ ფაშის შთამომავალ ფაშად და იგი ამბობდა, რომ მე მეკუთვნის ვალი ფაშობა და არა საბით ფაშასაო. საბით ფაშაც ასევე ამბობდა თურმე დაეს სთვლიდა თავის თავს უფლების მაძიებლად. ვაი უბედურებავ, ასეა ქართველი მაჰმადიანი, ჯერ არაფერი მიეღოთ და ეხლავე დაუწყეს ერთმანერთს მტრობა, კინკლაობა და შური.

ამ გარემობამ იგინი ერთმანერთზედ ისე აღბორგა, იგინი ისე მკაცრად გადაეკიდენ ერთმანერთს, რომ მათ სრულიად დაკარგეს თვით უბრალო ცნობიერებაც, იშოვნეს თავთავის მომხრენი, გაიყვნენ ორ დასათ, გაიჩინეს თანამომხრენი, მოემზადენ ერთანერთის წინააღმდეგ საბრძოლველად და ამით დაუწყეს ისეც თვის დანაცრებულს ოჯახს უარესად დაცემა და მიწაზედ გასწორება. საბით ფაშის მომხრეთა შორის იყვნენ ისეთი კაცებიც, როგორიც იყო სელიმ ბეგ ხიმშიაშვი-

ლი, სელიმ აღა ყიფიანი და მრავალიც სხვა ასეთნი, რომელთაც მკაცრად სურდათ სამუსულმანო გურჯისტანის ოსმალთაგან გამოყოფა და საკუთარი მთავრის, ანუ ათაბაგის დასმა ახალ-ციხეში, ხოლო ოსმალოს მფარველობის ქვეშ დარჩენა და ხარკის გადახდა. ამიტომ ჩვენ საბით ფაშას უფრო უპირატესობას ვანიჭებთ სამუსულმანო საქართველოს სიყვარულის საქმეში ვიდრე შერიფ ფაშას. ამათმა მტრობამ კარგა ხანს გასტანა და უკანასკნელ საქმეც იქამდის მივიდა, რომ იგინი ამ მტრობაშივე მოისპენ და ისე დაემხნენ, რომ სამერმისოდ მათი აღარა დაშთა რა.

ასეა ჩვენი საქმე, ასეთნი გახლავართ ქართველნი და მიტომაც დავნაწილდით და დავკნინდით ასე რომ დღეს საქართველოს ერი დაქუცმაცებულია და შემცირებულ მოსპობილი, ამ მოსპობის საგნათ და მიზეზებათ კმარა დავასახელოთ თუნდ ქართველ მაჰმადიანთ უთავბოლო ცხოვრება, ქვეყნის ღალატი, უბრალოთ სისხლის ღვრა და თუნდ ის სამწუხარო და საგლოველი საქმენი, თუ შერიფ ფაშა და საბით ფაშა ერთმანეთს როგორ მტრობდენ, ერთმანეთის დაცემას როგორ ნატრულობდენ და ამიტომ ასეთის სიხარბით გატაცებულნი რა უბრალოთ ღვრიდენ ქართველ მაჰმადიანთ სისხლს, თუ რაც ჰყვეს, ეს გამცნოთ შემდეგ სტრიქონებმა. მე კი მცხვენიან და მერიდება ძმებთა და ბიძაშვილებთაგან ერთმანერთის ასეთი ღალატი და სისხლის ღვრა.

ქართველ ფაშების ასეთ არევ დარევას და სისხლის ღვრას ოსმალოს მთავრობამ ფხიზელის თვალით შეხედა, მათ ერთის მხრით ძალიანაც შაეშინდათ ათაბაგ ჯაყელის. იფიქრეს, ვაი თუ გადაგვიდგნენ, გურჯებს მიემხრონ და მათის დახმარებით ათაბაგობა მოგვთხოვონ, ან სულ მოგვცილდენ, ათაბაგობა ქართულია, ამის აღდგენის საქმეში რუსები დაეხმარებიან, ათაბაგობას აღადგენენ და მის მეოხებით ჩვენც აღარ შეგვეპუებიან და მოგვცილდებიან, ცალკე სამთავროს გაიკეთებენ და ამაში რუსები მისცემენ დახმარებასაო. ამის

ისეთი შიში მიეცათ, რომ ახალ-ციხეში ქართველის გვარის არამც თუ ვალი ფაშის დანიშვნა, არამედ ქართველ მაჰმადიანთაგან თვით უბრალო ფაშების დანიშვნისაც-კი მიეცათ შიში და თავ-ზარ დაცემულ იქმნენ.

ოსმალეთი ძლიერი სახელმწიფო იყო მაშინ, ამიტომ ამ შიშიანობას მათ წამალი მალე მოუძებნეს, ამ წამლის მოძებნის სიადვილეს დაეხმარა ის გარემოებაც, რომ მათ კარგად ჰქონდათ შესწავლილი ქართველ მაჰმადიანთ კაცის ბუნება. ამით ისარგებლეს მათ და ქართველ ფაშების გვერდით, მესხეთ ჯავახეთის, აჭარა, ქობულეთს, ლივანას და სხვა ადგილებშიაც გაიჩინეს ისეთი საიდუმლო სახელმწიფო მზვერავნი, რომელნიც ათაბაგ ფაშების გვერდით სცხოვრებდენ, ესენი ვითომც ფაშების ფლობის მომხრენი იყვნენ, ამიტომ იგინი მათში მოქმედებდენ ისე ოსტატურად, რომ ერთ ფაშას მეორეს უსევდენ, ამისთვის სისინებდენ ისინი, ასმენდენ ჭორებს, ერთმანერთისაგან თქმულს ბოროტებას და ამით რასაკვირველია ისრულებდენ წადილს, უსევდენ ერთ ფაშას, მეორე ფაშას, როგორც საბით ფაშას მიესია შერიფ ფაშა, მერე შერიფს სადიფ ფაშა და ასევე სხვანი.

ოსმალოს მთავრობამ თავის უშიშრობის წყალობით ქართველთ შორის ჩინებულად მოაწყო სისხლის ღვრის საქმე, მოაწყეს ისიც, რომ ამ სისხლის ღვრის დროს, მხოცავთ და მჟლეტავთ ქართველ მაჰმადიანებს იმის მოსაზრების ძალაც აღარ ჰქონდათ, რომ ეფიქრათ თუ ამას რათა ვშვრებითო. რათა და ვისი გულისათვის ვიჟლიტებით ასეო? ამის შეგნების მაგიერ ოსმალოს ჩუმი ჯაშუშები და სახელმწიფო მოხელები სჩადიოდენ ისეთ ბოროტებას რითაც ქართველ მაჰმადიანებს რაზმავდენ ერთმანერთის წინააღმდეგ, აღბორგებდენ დაუძინებელის მტრობით და ამავ დროს თვით კი შორს იდგენ ამ ბოროტებისაგან. ვითომც ყოველივეს გურჯი ფირალები სჩადიოდენ და მათი დამღუპავი ოსმალეთის პოლიტიკა და მისი ჯაშუშები კი არაფერ შუაში იყვნენ. ოსმა-

ლეთმა ასეთის მოსაზრების წყალობით სრულს საწადელს მიაღწია, მათ ეს ხალხი ისე გააველურეს და ისე წაახდინეს, რომ XIX საუკუნის დასაწყისს, ესენი აღარც რუსებს ებრძოდენ, არც ქართველებს და არც თვით ოსმალთ, ვისაც სისხლსაც უღვრიდენ ხშირად. ამის სრული ნიშან წყალის თავდებია ის ფაქტიური პირობები, რითაც ოსმალეთის მთავრობამ შერიფ ფაშას და საბით ფაშას აღვრევინეს სისხლი.

იმ დროს, როცა ქართლი და კახეთი რუსეთის იმპერიას უკავშირდებოდა, ახალციხეში მთავრობდა მუხამედ საბიდ-ფაშა. საბიდ ფაშას დაახლოვებული კავშირი ჰქონდა საქართველოში შემოსულ რუსის მხედრობის უფროსებთან: ლაზარევს წერილებსაც სწერდა და ყოველთვის ერთგულებას და მეზობლურ განწყობილებას ჰპირდებოდა. ამ ფაშას ქართული წერა-კითხვაც სცოდნია. თვით რუსის უფროსებისთვისაც ქართულად სწერდა წერილებს, რომელთაგან რამდენიმემ ჩვენს დროამდისაც მოაღწია.

არ ვიცით რა იყო მიზეზი და რა დანაშაული, ამ ფაშას გადაეკიდა მტრად თვისივე ბიძა შერიფ ფაშა—ათაბაგ ჯაყელი ამ შერიფ ფაშამ თვისკენ მიიმხრო დიდძალი აჭარლები, ამათ გარდა სხვებიც. არტაანში შეკრიბა 12,000 ქართველი მაჰმადიანები. ერთ დღეს დაეცა საბიდ ფაშას და ახალციხეში დაამარცხა, ფაშობა წაართვა, ახალციხიდან გააძევა, მის მაგიერ 1800 წ. გასულს თვით გაფაშდა და დაიწყო მოქმედება. მართალია შერიფ ფაშამ გაიმარჯვა, შერიფ ფაშას სურდა საბიდ ფაშის დაჭერა და სტამბოლს გაგზავნა. მაგრამ ეს ვერ მოახერხა. შერიფ ფაშას ეს მიტომ სურდა, რადგანაც სადიფ ფაშას რუსების მომხრეობას სწამებდა, ეს მას სულთანის ღალატად მიაჩნდა. ამ ცრუ იმედის წყალობით დასცა მან სადიფ ფაშა და თვით გაფაშდა ოსმალეთის მთავრობის ნება დაურთველად, მაგრამ არც სადიფ ფაშას ეძინა, ამასაც დიდძალი მომხრეები ჰყავდა. ამათი წყალობით ქართველ მაჰმადიანებში დიდი განხეთქილება დაითესა, საქმე ისე აირია რომ ჯავახელ

ქართველ მაჰმადიანები ებრძოდენ ქვაბლიანებს, ქვაბლიანი ფოცხოვს, ფოცხოვი-ზეგანს, ზეგანი აჭარას, აჭარა-მაჭახელს, მაჭახელი-ლივანას, ლივანა-ქობულეთს და ყველა ერთმანეთს.

ერთის სიტყვით მთელი ქართველ მაჰმადიანები ამათ გარყვნეს და გააფუჭეს. ძმა ძმას გადაჰკიდეს, მამა შვილს, მეზობელი მეზობელს. სრული დარღვევა და უსამართლო ანარქია ჩამოაგდეს. კაცის დაცემა, წაგლეჯა და დარბევა ერთობ ადვილი და იაფი იყო. ამ გარემოებას დაღისტნის ლეკებიც ხომ უფრო აძლიერებდენ და ესენი არამც თუ მარტოდ ქართველ მაჰმადიანთ და მოსამზღვრე ქრისტიან ქართველებს სცარცვავდენ, არამედ მათ მოაბეზრეს აკლებით თვით ქართველ მაჰმადიანებიც. ამათგან ქართველ მაჰმადიანები თავზარდამცემ მდგომარეობაში იყვნენ ჩაცვივნულნი. აქ საქმე ისე იყო არეულ დარეული, რომ ძაღლი პატრონს ველარ იცნობდა, აღარც ბეგი ბეგობდა, აღარც ხალხი ხალხობდა.

ვიტყვი თამამად, რომ ყოველივე ამ უბედურების მიზეზი ოსმალოს მთავრობა იყო. მართალია ის გარემოება, რომ მათ ქართველ ფაშებს საქართველოში დანიშვნა და გამრავლება 1790 წლებიდამ დაუწყეს, როგორც მაგალითებრ ამათ დააწინაურეს ათაბაგ ჯაყელი საბით ფაშა და შერიფ ფაშა ჯაყელ ათაბაგების შთამომავალნი, მაგრამ მასთანვე ამათვე დაუნიშნეს მათ ისეთი ხელქვეით ოსმალოს ტომის ჯაშუშ გამცენი, რომელნიც ამ ფაშებზედ ისე ვერაგად და ისე ოსტატურათ მოქმედებდენ, ამათ იგინი ისე აბრიყვებდენ ერთმანეთის საიდუმლოს მტრობით, რაისა გამო ეს ქართველ გვარის ფაშებიც უბრალოთ ჟლეტდენ ერთმანეთს და ხოცავდენ ისე, რაც ოსმალოს მთავრობას სასიხარულოთაც მიაჩნდა, იგინი საიდუმლოთ ამათ ერთმანეთზედ აქეზებდენ კიდეც და ხოცვის გამო ამბობდენ; ეგრე ქმნან მათ, ჩვენც ეგ გვინდა, ხოცონ ეგრე ერთმანეთი, მაგ ხოცვით გამოელევათ მათ ჩვენი წინააღმდეგი ძალა, თორემ გურჯები, როგორც ახალი მუსულმანები ჩვენ არ გვემორჩილებიანო.

ასე რომ, რასაც ეს ქართველი ფაშები სჩადიოდენ, ყოველივე იგი მოწყობილი იყო საიდუმლოთ ოსმალოს მთავრობისაგან. იგინი ამავე როლით ათამაშებდენ ქართველ მაჰმადიანებში ნამდვილ ოსმალოს ტომის ფაშებს. ასევე დაუწყეს მათ საიდუმლოთ გაველურება თვით ქართველ ფაშებსაც, ყოველივე ამ ბოროტების საიდუმლოება ოსმალოს მთავრობისაგან ისე იყო მოწყობილ მომართული, რასაც ქართველ მაჰმადიანები სულ ვერ ამჩნევდენ და ესენიც ისე აქცევ-ანგრევდენ თავიანთ სამშობლო სამუსულმანო საქართველოს, როგორც ოსმალოდამ მოსული უცხო ტომის ფაშები. ეს იყო დიდი უბედურება და დიდი ვაება, რომ საბიდ ფაშა და შერიფ ფაშამ ეს საიდუმლო ბოროტება ოსმალოს მთავრობას დროით ვერ შეუტყვეს და ამიტომ მათის ჩუმის წაქეზებით ერთმანეთს ჟლეტდენ, ეს საიდუმლოება მათ შეიტყვეს ერთობ გვიან, როცა სელიმ ფაშა ხიმშიაშვილს და შერიფ ფაშა ჯაყელს თავი მოკვეთეს, ეს დრო კი ერთობ გვიან იყო

ამიტომაც მოხდა, რომ საბიდ ფაშა თავის მომხრეებით შეება შერიფ ფაშას, დაუწყო ბრძოლა, ამ ბრძოლაში აჭარლები ერთმანეთს ხოცავდენ, ერთმანეთის სისხლს სვამდენ, ხოლო ყველა ამას რისთვის ჩადიოდენ და ვისთვის, ამას კი ისინი არ აკვირდებოდენ და ამიტომ ამის წყალობით ერთი ოჯახის შვილნი, ერთი ძმანი და ერთი სისხლის და ერთი კაცნი მასთან ერთი სჯულის მქონი ქართველ მაჰმადიანები ერთმანეთს ჟლეტდენ უწყალოდ და შეუბრალებლად, რის მიზეზიც რასაკვირველია ეს ფაშები იყვენ. ხოლო ხალხს იმის გაგება კი არ ჰქონდა თუ ვისთვის ვინ იყო კარგი და ვინ იყო ცუდი. ვინ იყო ქვეყნისთვის სასარგებლო და ვინ მტერი. ყველა ფაშას თავისი მომხრეები ჰყავდა და ყოველი მათგანი მხოლოდ ფაშის სასარგებლოდ ომობდა და სისხლს ღვრიდა. ამის შეგნება ქართველ მაჰმადიანებში ბევრს არა ჰქონდა, თორემ ისინი თავიანთ სისხლს ხშირად ისე იაფად არ დაღვრიდენ.

საბიდ ფაშა ხალხს არწმუნებდა, რომ შერიფ ფაშას არა-

ფერი ფირმანი არა აქვს სულთანისაგანაო, იგი მოვიდა თავის კაცებით, მე ჩამომაგდო და თვით გაფაშდა ავაზაკურათაო. შერიფ ფაშა კი ამას ყურს არ უგდებდა და ახალციხეში მაგრდებოდა. აქედან აჭარაშიაც ხშირად გადადიოდა, ბათუმიც ბინათ გაიხადა. მალე ისე მოაწყო საქმე, რომ მთელს თავის საბრძანებელში მკაცრად გაიმაგრა ფეხი და ყოველივე ისე მოაწყო, რომ საბიდ ფაშას რაცგინდ ბევრი მომხრენი ჰყოლოდა და შერიფ ფაშას შებმოდა იგი, მაინც ვერას გააწყობდა. მეტი გზა არ ჰქონდა ფაშობის ძიებისთვის თავი უნდა დაენებებინა და წასულიყო სადმე შველის სათხოვნელად, მან თავის თანა მომხრეებით იმერეთში არჩია გადასვლა და იმერეთის მეფის წინაშე თავის შეფარება. ეს მალეც მოხდა და იგიც და მისი მომხრენიც მალე ჩავიდენ იმერეთში. აქ მიეცენ მოქმედებას, საბიდ ფაშა დაღისტნიდან თვისკენ იხმობდა ლეკებს და იმერეთიდან აპირებდა ახალციხეზედ დაცემას და შერიფ ფაშის გაძევებას,

საბიდ ფაშის ომის სამზადისი არ გამოეპარა შერიფ ფაშას. იგიც შეუდგა თავდარიგს და წერილებს სწერდა იმერეთის მეფეს, იმერეთში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილს ავალებდა საბიდ ფაშის მოკლას, რადგანაც იგი ჯერეთ თავის ხელმწიფის მოღალატე იყო და მერე თქვენიო. ამისთვის შერიფ ფაშამ დიდ ძალი ფული დახარჯა; ერთხელ ათი ქისა ოქრო მისცა ლეკებს, მეორედ ოცი ქისა, როგორც იქმნა მოხერხდა და 1802 წ. იმერეთში, თავი მოსჭრეს საბიდ ფაშას და მასთან ექვს მის თანამომხრე თანამგრძნობლებს. ამ თანამგრძნობთა რაცხვში რეულა ერთი გამოჩენილი ქართველი მუსულმანი მეომარი, სახელდობრ სელიმ აღა ყიფიანი. პირველ მომხრეთაგან, რალაცმიზეზით ეს გადარჩა თურმე თავის მოკვეთას, ბრძოლის დროს აჭარლების და ლეკების ძალით ამან კიღამ დაამარცხა შერიფ ფაშა. ეს სელიმ ყაფიანი თფილისშიაც იყო, 1801 წ. შუა რიცხვებში. იგი ახალ რუსის მთავრობას ავალებდა საბიდ ფაშის საქმეში მონაწი-

ლეობის მიღებას და ახალციხეში ფაშობის დაბრუნებას, მა-
გრამ ვერც ეს მოუხდათ.

საბით ფაშის და მის მომხრეთა ექვსი კაცის თავი იმერე-
თიდან ახალციხეშა გაეგზავნა შერიფ ფაშას. ამაზედ დიდი
აურ ზაური მოხდა და მესხეთს, ჯავახეთს, აჭარას და სხვა-
განც ძრიელ ბევრი უკმაყოფილონი იყვენ. ასეთ რისხვის
მიყენებისათვის, შერიფ ფაშას საყვედურსაც აძლევდენ, თან
სწყევლიდენ. შერიფ ფაშა თავს მართლულობდა, საბიდ
ფაშა და მისი მომხრეები ლეკებმა შოკლესო, რადგანაც მან
თავის ფაშობის დროს ლეკები სულ გარეკა დაღისტანში და
აღარავინ გაუშოვო. ამისათვის მან ლეკებიც კი დაახოცვი-
ნაო. ლეკებმაც ეხლა გადაუხადეს სამაგიეროვო. მე ამაში
ბრალი არა მაქვსო. საბიდ ფაშას ღალატი აქვსო. ამის ღა-
ლატი არ ვიცით რა უნდა ყოფილიყოს, ჩვენ ის კი ვიცო-
დით, რომ საბით ფაშამ გენერალ ლაზარევის თხოვნით
თავის საბრძანებლიდგან ლეკები სულ გარეკა რომ მათ ქარ-
თლის და იმერეთის სოფლები უსამართლოდ არ ეცარცვათ.
საბით ფაშამ ლეკების გარეკის პირობაც მისცა რუსის ხალ
მთავრობას. მალე აუწყა ლეკებს ჩვენში ბინა არა აქვთო. თუ
ვინმე უაჩალობს ქართლსა და კახეთში, ისინი დაღისტნიდან
გადმოვლენ თავიანთ ქვეყნიდან და არა ჩვენის საფაშალიკო-
დანაო.

საბიდ ფაშის სიკვდილი და ნამეტურ მისი ამხანაგების,
სტამბოლშიაც მალე გაიგეს. სულთანი თურმე დიდათ შეწუხ-
და და ძალიანაც დადარდიანდა, რომ ვაი თუ გურჯისტანი
ხელიდან წაგვივიდესო... ამათ დააპირეს საქართველოში ერთი
კარგი რიგიანი ფაშას გამოგზავნა და მუსულმან საქართველოში
მშვიდობის დამყარება და შერიფ ფაშის დასჯა. მაგრამ ისინი
ამისთვის ღირსეულ ფაშას ვერ შოულობდნენ. მაინც ბოლოს
იშოვნეს ყირიმის მეომარი ქართველი ოსმან ფაშა ყირიმისა,
მაგრამ რადგან მისი გამოგზავნა აღარ მოუხდათ, მიტომ არე-
ულ დარეული აჭარა, ქობულეთი, მესხეთ-ჯავახეთი დაშთა

უპატრონოთ და შერიფ ფაშის ამარად, არევ-დარევა და უბედურება უმეტესად ამ ახალ-ციხას საფაშალიკოში გახდათ, ორეემ სხვაგან ეს მაინცა და მაინც ასე არ იყო.

საბით ფაშის შესახებ ცნობებია კიდევ დაშთენილი, რომ ამ ფაშას მეფე ერეკლეს მეგობრობა ჰქონია, ერეკლეს ამასთან 1795 წ. შემდეგ მიწერ-მოწერაც ჰქონია და მასთან თხოვნა და დავალება, რომ მეც დღეის შემდეგ ოსმალეთის მფარველობის ქვეშ შევალ, როგორც იმერეთიო, რადგანაც სპარსელებმა დაგვამხეს ჩვენა და ჩვენმა მფარველებმა კი არ გვიშველეს ამ გაჭირვების დროსაო. სპარსელები ჩვენი მფარველი რუსეთის ტახტსაც არ სცნობენ, იმათი ხათრიც არ შეინახესო და ეხლა თქვენი იმედი გვაქვს, იქნება ოსმალთ მაინც უხათრონო. ერეკლეს შემდეგ 1799 წ. დავით ბატონიშვილთანაც ჰქონია მიწერ-მოწერა ერთობის გამო. ამიტომაც ეს ფაშა ნელ-ნელა უახლოვდებოდა თფილისს, ფაშობიდან ჩამოგდების შემდგ ის აწყვერში დასახლდა და აქედან ებრძოდა შერიფ ფაშას, აქედანვე სთხოვდა ეს დახმარებას არტაანის ბატალი ფაშას, მაგრამ ყოველივე მოუხერხებელი გახდა მისთვის.

არ ვიცით ჭეშმარიტად, თუ საბიდ ფაშა რა თვისების იყო, რა სიმართლე ჰქონდა, როგორ მოქმედებდა, ვისი მომხრე იყო, ქართველების, იმერლების, რუსების, ოსმალების თუ სხვათა, არც ამის ცნობები სჩანს კარგად. ამიტომ გარდაწყვეტით ვერაფერს ვიტყვით, ხოლო ის კი უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი იმერეთში იქმნა სიკვდილით განკითხული, რა მარტო თითონ ერთი, არამედ მასთან ექვსიც სხვა მისი თანამგრძნობელნიც, რომელნიც ჩვენ უკვე ვახსენეთ. ასე თუ ისე, მაინც ამ ფაშის დროსაც, ოსმალეთში ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრების მდგომარეობა მეტად ცუდს პირობებში იყო მოთავსებული. ვინმე გურჯისათვის რომ ისლამის წინაალმდეგ რამე შეენიშვნათ, მისი საქმე მაშინ წასული იყო, ანდერძ აგებული, თავს მოჰკვეთდენ. თავსა ჰკვეთავდენ თვით

ფაშის წინააღმდეგებს, რომ რამე შეემჩნიათ. ასეთ სისასტიკეს მიტომ ხმაროობდენ, რომ ფაშის წინაშე ურჩობა ისლამის ღალატად მიაჩნდათ. ამის საფუძვლათ კიდევ ის ჰქონდათ ხელზე დახვეული, რომ გურჯები ახალი გათათრებულნი არიან და მათგან ისლამის ღალატი ადვილათ მოხდებაო. ამას ამბობდენ სჯულის თავი კაცები, ხაფიზნი, მღვთის მეტყველნი. ამასვე ასრულბდენ სიამოვნებით ახალციხის ფაშები.

უნდა ითქვას, რომ ასეთის უსამართლობით ბევრს აჭარელს მოღებია უხვთოთ ბოლო, ბევრი გამოსალმებია უსამართლოდ წუთი სოფელს და მოსპობილა, რომ საქართველოში, ქართველ მაჰმადიანთ შორის, სადაც კი ქართველი ანუ უცხო ტომის ფაშები ისხდენ, ყველა ისინი სიკვდილით დასასჯელის ცნობას აუცილებლივ ახალციხის ფაშის აუწყებდენ. ახალციხის ფაშა კი არავის ატყობინებდა, მის ნებაზედ იყო კაცთა თავის მოკვეთა. სულ უბრალო გაურკვეველ საქმეების გამო სჯიდა იგი სიკვდილით ხალხს, როგორც მაგალითებრ ახალციხის ფაშამ 1807 წელს თავი მოჰკვეთა ვასილი ორბელიანს, მღვდელს, დესპოდე ეპისკოპოს, გრიგოლ მღვდელს, რომელსაც თავის მოკვეთამდის გული წაუვიდა. თავის მოჭრა აპატივა მათს ამხანაგს სტეფანე ლორთქიფანიძეს.

ყველა ასეთი მახვილი ამბები კარგათ მოწმობს თუ გამაჰმადიანებულ საქართველოში რა ძნელი იყო ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება. არ იფიქროთ, რომ აქ ასე მარტო ქრისტიანებს სჯიდა. არა, ქართველ მაჰმადიანს უფრო აწამებდენ, იმათ უფრო სტანჯავდენ, რადგანც თქვენ ისლამს აღიარებთ და წინააღმდეგ საქმეს ჩადიხართო. სულ ესრეთი უსამართლობა იყო იმიტომ, რომ 1800 წლის შემდეგ, აბდულ ბეგის შვილი სელიმ ბეგი, რომელიც ჯერ ფაშად არ იყო და ოსმალთ გვარიც კი ისე შეუცვალეს რომ ხან ხიმშიზედეს უწოდებდენ და ხან ხიმში ოღლის, რომ მან გადასწყვიტა თავის მამის მსგავსად ხსენებული უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა და ადამიანთა ასეთი უღვთო სასჯელების მო-

სპობა, ამის თანამომხრეობის აზრი მას ჩაენერგა საბიდ ფაშის და მის ექვს ამხანაგების თავების დაჭრის დროს.

მან თავის წადილსაც მიაღწია ბოლოს, მაგრამ ამაზედ ქვემოთ. ეხლა ჩვენ ისევ შერიფ ფაშას უნდა მიუბრუნდეთ, ვინაიდან ამის მოკლე დროის ფაშობაში მოხდა ბევრი რამ საყურადღებო საქმენი, როგორც ახალციხეს, ისევე არტაანს, ოლთისს, ბათუმს, აჭარას და სხვა ასეთ ადგილებში, სადაც ქართველთ მაჰმადიანთ სისხლი ზღვასავით იღვროდა და სადაც ისინი ერთმანეთს ჟლეტდენ სხვა და სხვა ფაშების და ბეგების წყალობით.

როგორც საბით ფაშა, ისევე შერიფ ფაშა, აქეთაც იყვენ და იქითაც. პირველათ ისინი თავიანთ ინტერესებს ემსახურებოდენ და ერთი ხეობის ფაშა მეორეს ებრძოდა, იმავე დროს ისინი ოსმალეთის მთავრობის ერთგულნიც იყვენ, მასთან ქართლის და იმერეთ მეფეების, მთავრების და ყველა ამაებთან საქართველოში შემოსულის რუსეთის ახალის მთავრობის. ამათი სული და გული იქითკენ იყო მიქცეული, სადაც თავიანთ პირად რამე სარგებლობას ნახავდენ. ერთსა და იმავე დროს ყველას მეგობრებიც იყვენ და ყველას მტრებიც. ამიტომ ისინი იყვენ ცრუ მუსულმანები, ცრუდ ისლამის მაღიარებელნი და უფრო კი ბედშავთ აჭარის ხალხის მყვლეფავნი გახდენ.

ფაშობიდგან გაძევებული საბიდ ფაშა აწყვერიდამ იმერეთში გადავიდა და იქ იმერთა მეფეს შეაფარა თავი, ეს ამ დროს დადიანსაც შეგობრობდა, რომ ეგება ამათის დახმარებით ახალციხიდან შერიფ ფაშა გაეძევებინა და თვით დაეჭირა მისი ადგილი, ესეთი ამბები შერიფ ფაშამ კარგად იცოდა ისიც, რომ ამ დროს, დადიანი ქართლსა და კახეთში შემოსულს რუსის მთავრობას მეგობრობდა. ერთის მხრით ესკი, იმერეთის მეფის სოლომონის წინააღმდეგი იყო, ვინაიდან სოლომონ იმერეთის მეფე 1781 წ, რუს-ქართველთ სამფარველო ტრაქტიკის ძალათ მფარველობას ელოდა და არა იმერეთის სამეფოს

შეერთებას, მის გაუქმებას, სოლომონ მეფე რომ ასეთის ნატვრის იყო ეს შერიფ ფაშამაც კარგად იცოდა.

როცა შერიფ ფაშა იმერეთში საბიდ ფაშის მოკვლას ითხოვდა, მაშინ საბიდ ფაშის ღალატზედაც ლაპარაკობდა, მასთან იმასაც უთვლიდა, „რომ მე იმერეთის მეფისთვის დავდებ ჩემს თავსო“. ვიხმარ ყოველ ღონის ძიებას, ვიმეცადინებ და ამისთვის ფულსაც დავხარჯავ, რომ იმერეთის მეფეს არაფერი ევნოსო, იგი რუსეთის მთავრობისგან თავისუფალი დაშთესო. ამევე დროს, ესევე ფაშა წერილებს სწერს თფილისში მყოფ დაგამგე რუსის მთავარმართებელს და უთვლის თავის ერთგულებას, მეზობლურს განწყობილებას, სიყვარულს, მორჩილებას და სხვა, ყოველივე ეს კი იმდროის ოსმალეთის მთავრობისთვის იყო მოუნელებელი ჭირი და უბედურება.

ოსმალეთის მთავრობა ასპინძის ომის შემდეგ ოსმალეთის თათარ სელიმ ფაშის წყალობით სულ იმას სცდილობდა, რომ ქართლ-კახეთი დაეჭირა. კახეთი დაღისტნის ლეკებისთვის შეერთებინა და ქართლი ახალციხის ფაშის გამგეობის ქვეშ შესულიყო. იმერეთი ხომ მის მფარველობის ქვეშ ირიცხებოდა. მაშასადამე აქ მათ აღარაფერის შიში ექნებოდათ. რაც შეეხება ოსმალეთის და რუსეთის მთავრობას, ესეც ხომ ისტორიიდ ვიცით, რომ რუსები მათ ჭირივით სძულდათ და სძულდათ არა მარტო ისინი, არამედ სძულდა თვით იმერთა მთავრები, მეფე, ქართლის მეფე და ამათ სისხლის დაღვრას, ქვეყნების აკლებას, დამორჩილებას და ქართველთ გათათრებას ხომ ყოველ დღე ელოდენ და საჭიროებდენ დიდათ, ამისთვის ისინი სისხლს სვამდენ ხოლმე.

აბა ასეთ მოსისხლე მთავრობის ფაშებს განა შეიძლებოდა, რომ ქართველების მეფეებსა და მთავრებთან რამე კარგი განწყობილება ჰქონიყოთ, თუნდ ქართველთ გარეშე დავასახელოთ რუსთა სიყვარული, ეს ყოვლად შეუძლებელი არის და მოუსაზრებელი. ყოველივე ამით თამამათ ვიტყვით, რომ ახალციხის ფაშიდან დაწყებული თვით უკანასკნელ ბეგებამდის სულ

სიყალბით იყვენ აღჭურვილნი და წამხდარნი. ამათს ყოველივე ბოროტებას ზემო ქართლის ქართველ მაჰმადიანები კი იტანდენ, ითმენდენ, ემორჩილებოდენ ყოველივეს, ეს ზემო ქართლის ქართველი მაჰმადიანები არიან მესხეთ-ჯავახეთის მცხოვრებნი, ქვაბლიან-ფოცხვის, არტაანის და ასეთის კუთხეების, ხოლო ასეთ ბოროტებას და მახვილს ვერ სთმობდენ ქობულეთელნი, აჭარელნი, ლივანელნი, მაჭახელნი და სხვა ასეთ კუთხის მცხოვრებნი, რომელნიც ბუნებით უფრო იმერლებს ჰგვანან. ზემო ქართლელნი კი მართლაც და ნამდვილ ქართლის ქრისტიან ტეტია-გლეხებს ჰგვანან, მიტომაც იყვენ ისეთი მონა მომთმენი.

რომ ყოველივე მართალი და სწორია, რომ ყოველივე ქართველ მაჰმადიანებში არეულ-დარეული იყო და უსამართლობის წრეს გადასული, ეს გარემოება კარგათ სჩანს იმიდანაც, რომ წამხდართ და გათახსირებულთ შორის ქართველ მაჰმადიანობაში რიგიან კაცის პოვნა არამც თუ გლეხებში, არამედ ეს ერთობ იშვიათი იყო თვით მოწინავე ფაშების ოჯახებსა და ბეგებშიაც. ამ გარემოების აზვირთებას და წარმატებას ისიც აძრიელებდა და ავრცელებდა, რადგანაც ზოგი ხოჯა საჯაროთ იტყოდა, რომ: „ეს კუთხე გურჯისტანზედ ახლოს სძევს, გურჯები კი გიაურები არიან, ამას კი ისლამი ვერ შეიფერებს, ამიტომ ამისთვის მახვილია საჭირო, რომ ხმარებული იქმნეს, ვინაიდგან ისლამისა მახვილი არის ძალა და ამ ძალით უნდა გავრცელდეს მისი სწავლა გიაურებშიო“.

იმ დროის ისლამის სულის მამები ანუ ხოჯები და მოლები ასე ხსნიდენ „ყურანის“ სწავლას, ასე ყალბათ მოქმედებდენ და ყოველივე ამის მიზეზი კი გახლდათ ის, რომ მათ არაბული ენა არ ესმოდათ კარგათ, თვით „ყურანის“ გაგებაც კი არ შეეძლოთ ისე, როგორც მართლაც და იგი მაჰმედს დაუწერია. ამ გარემოებამ ქართველ მაჰმადიანები ძალიან წაახდინა, იგინი ამით არამც თუ კარგი მუსულმანები ხდებოდენ და საწყლის მოყვარე და პატივის მცემლები, არა-

მედ მათში მძულვარება ვარდებოდა თვით მათისავე მოძმე ქართველების, მათისავე მოენე ხალხის და თანამემამულეთადმი. ეს კიდევ არაფერი, ამას გარეშე ისინი სხვა სენითაც წინ წავიდენ, სხვა ბოროტებით და გარყვნილებითაც გათამამდენ, რასაც ეს კარგი ხალხი თავისავე მოწინავე ხალხისაგან სწავლობდენ დაბეზღებას, ტაცებას და ბოროტების გარეშე ესენი ყველაფერს ჩადიოდენ.

ქართველ კათოლიკე მისიონერების „მისიონარული დღიურები," საიდანაც იხელმძღვანელა „ვინმე მესხმაც", 1878 წ. აი, რა ცნობას იძლევა: შერიფ-ფაშას ჰყვანდა ცოლად ქართველი ქალი, ორბელიანთ გვარისა, წარმოსადეგი, მშვენიერი, ტანადი, თვალადი, კარგი ნაწნავების მქონი და სრული მშვენება ისეთის სახიერებისა, რაც კი ჩვენის მწერლებისაგანაც დიდათ იქება, ამ ლამაზ ქალზედ ბევრსა სჭერია თვალი, ბევრსა სდომნია მისი ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლეში, მაგრამ ამას კი თურმე ვერავინ ახერხებდა, რადგანაც ეს ქართველი ხანუმი ყოფილა მეტად სათნო, ნამუსიანი ადამიანი, ისეთი ადამიანი, რომლის მსგავსი ნამუსიანი ქალებით სავსე ყოფილა მთელი სამუსულმანო საქართველო. ამ ქალს არავისთვის თავი არ გაუყადრებია და ზედაც არავისთვის შეუხედნია.

ამ დროს, ამ ქალის სიყვარულით გატაცებული ყოფილა თვით შერიფ-ფაშის უმცროსი ძმა მუსალიმი, აპას თურმე თვალი ეჭირა ამ ქალზედ, ანუ თავის რძალზედ, მაგრამ ფაშის ხანუმი მაზლს აბა როგორ გაუყადრებდა თავს, მას ყოველთვის თავი შორს ეჭირა და ვითომც არაფერი იცის, ისე უმზერდა მაზლის სუბუქ ფრთიანობას. ამისთანა სიმაგრე და ზნეობრივი სიმტკიცე თურმე მუსალიმს ძლიერ სძულდა. მან რძალზედ შური იძია და ერთ დღეს თავის ძმა შერიფ-ფაშას ასეთი დაბეზღება მისცა: რომ შენს ცოლს, ანუ ჩვენს რძალს ქრისტიანობიდან ისლამზე გადმოსული ფალევან აღა ბაკაკ-ოღლი (ბაკაკაშვილი) ჰყვაროობს, გუშინ ბაკაკაშვილი მისის ოთახიდან გამოსული მეც ვნახეო.

შერიფ-ფაშას ამ დროს ფაშობის წართმევის დასაწყისი უკვე თვალთ წინ ჰქონდა, იცოდა, რომ დღეს თუ ხვალ ამას ეს ჩამოერთმეოდა, ვინაიდან მის წინააღმდეგ იბრძოდა ისეთი ენერგული კაცი, როგორც იყო სელიმ ბეგი ხიმშიაშვილი, ანუ ხიმშიზადე.—

გაჯავრებული ფაშა არ დაფიქრდა ცოლის მუხანათობაზედ და როგორც მოღალატეზე, გასცა ბრძანება, რომ ჩემი ხანუმი თავის ქალებით მოიკლასო და აგრეთვე მოიკლას მისი საყვარელიცო. ესეთი განაჩენი ფაშისა იყო უდიერი და გაუგებარი, მაგრამ ვინ რას იზამდა. გაგზავნილი კაცები ფაშის სახლში შეუდგენ ამ განაჩენის აღსრულებაში მოყვანას. ასეთი განაჩენის ცნობა ხანუმს წინდაწინ შეეტყო და როგორც მართალს, უნდოდა თავის გადარჩენა. ამიტომ იგი თავის ქალებით ფაშის სახლიდან სამამეულო ოჯახში წასულიყო. ესენი გზაში დაიჭირეს და ყველანი დაახრჩეს, მოსპეს, ბაკაკაშვილიც ტყვიით მოკლეს, ჭორის წყალობით დააქციეს ამოდენა სისხლი.

ასე უსაბაბოთ და გაურკვევლად მაშინ ქართველ მაჰმადიანებში ხალხის ხოცვა ერთობ გაადვილდა. საკმარისი იყო რომ ვისმეს ვისიმე ქალის თხოვნა დაეწყო, მაგრამ ეს თხოვნა უარყოფილი დაშთენილიყო, არ ესურვა ქალს, ანუ მის პატრონს, მაშინათვე მას ესეთი დღე ელოდა, ან ვისმე ცოლზედ მტრობით სადმე ვისმეს რამე ეთქვა, ვსთქვათ ქმარს უთხრეს, რომ შენი ცოლი ასეთიაო, ის აღარ აკვირდებოდა იმას, მართალი იყო თუ ტყუილი, იქნება ამას ეს ტყვილათ მეუბნებაო. არა, ამისთვის ამის გამოძიების სინამდვილე არ იყო საჭირო. კმაროდა მარტოდ რამე, თუნდა ყალბი ცნობის გაგება, და მის შემდეგ სისხლის დაღვრა ადვილი საქმე იყო. რაც დღეს ქართველ მაჰმადიანთაგან ერთმანეთში სისხლი იღვრება და ხშირათ ხოცვენ ერთმანეთს, ეს სულ მაშინ არის ამათში შემოსული, რის ეეთაურათაც მათი ფაშები უნდა ჩაითვალონ, რასაკვირველია, ყველა კი არა, ზოგი მათში პატიოსანი, ნამუსიანი და კარგი კანონ მდებელი ფაშა და ბეგიც იყო.

გარეგან და შინაგან ცხოვრების საქმეებისგან შერიფ ფაშა ძალიან აირია!. მან აღარ იცოდა საიდან რისთვის რა-გორ ეშველა. რუსთა გაძლიერება ერთის მხრით მას არც მოსწონდა საქართველოში, რომ ვაი თუ ბოლოს აქეთაც მო-ვიდენ და ოსმალეთს ეს გურჯისტანის ადგილებიც წაართვა-სო. ამის ცნობა მას სხვა და სხვა პირთაგანაც მიეღო. მას ეუბნებოდენ გიორგი მეფემ რუსებს მიტომ მისცა ქართლი და კახეთი, რომ მან ოსმალეთს ყველა საქართველოს წართმე-ული ადგილები უნდა ჩამოართვას და კვლავინდებურად ისევ საქართველოს უნდა შეუერთოსო. ესეთი ცნობები გულს უხეთქავდა არა მარტო შერიფ ფაშას, არამედ მთელი გურჯი-სტანის ფაშებს და ასეთ მოწინავე კაცებსაც. ამიტომ შერიფ-ფაშა ორნაირს მოქმედებას მიეცა, იგი რუსებისაკენაც იყო და ოსმალოსაკენაც, ფიქრობდა ასეც ვიქნები და ისეცაო, ხოლო ვინც გაიმარჯვებს, მეც იქით გადავალო.

ამიტომ მან 1802 წ. დასაწყისს თფილისში მყოფს რუ-სის გენერალს ლაზარევს დიდი სიყვარულის წერილი მისწერა, ასევე უცხადებდა ის დიდს ერთგულებას და მორჩილებას რუ-სეთის იმპერატორს. ნიშნად ასეთის ერთგულებისა, მანვე გა-მოუგზავნა ლაზარევს კარგი მერანი ძვირფასად აკაზმული და ერთი ბათმანი ყავა, ესე იგი 20 გირვანქა, რაც, რასა-კვირველია, კარგს მეგობრობის ნიშნად უნდა ჩათვლილიყო რუსის მთავრობის მართველთა წინაშე საქართველოში. სწერს კიდევ, რომ მე ჩემი საფაშალიკოდან თქვენის თხოვნით ლე-კები სულ გავრეკეო, მაგრამ ახლა იგინი სულ ყარსის ფაშას შიუღიაო. შერიფ-ფაშა ვითომც და ოსტატურად იქცეოდა, ყველას ერთგული იყო, მაგრამ მაინც არა ეშველა რა. მან სისხლით მოიპოვა ფაშობა 1800 წ. და სულ მოკლე დროის განმავლობაში, ქობულელთა და აჭარელთა ცდით, სისხლითვე დაკარგა ეს ფაშობა.

შეიძლება შერიფ-ფაშას მოეხერხებინა და სამცხე საათაბაგო ოსმალოს მთავრობისთვის ჩამოეცალა, თუმცა ამის გადაწყვეტით

თქმა კი ძნელია, ხოლო მისი გაფაშებიდან და მოქმედებიდან ესა სჩანს. ამის მოქმედებას დიდათ ხელს უშლიდა სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილის; გადაკიდება. სელიმი საბიდ-ფაშის კაი მეგობარი იყო, მისთვის თავ დადებულიც და საბიდ-ფაშის მოკვლის შემდეგ, მის განძრახვას სელიმ ხიმშიაშვილი დაადგა, ამიტომაც შერიფ- ფაშამ, როცა საბიდ-ფაშის მოსაკლავად 60 ქისა ოქრო დანიშნა, იმავ დროს სელიმ ბეგის მოსაკლავათ 40 ქისა ოქრო დანიშნა

საბიდ-ფაშის მეცადინეობის დროს სელიმ ხიმშიაშვილი იმერეთიდან თფილისში ჩავიდა და რუსის გამგეს ყოველივე აუწყა, ისიც დასძინა, რომ იმერეთის მეფეს თქვენთან შეერთების საქმეში ზურაბ წერეთელი უწყობს ხელსო. საბით-ფაშა სოლომონის კარგი მეგობარიაო. მეც მსურს რომ შეერთება დროით მოხდესო. ამის დავალებით იმერეთის მეფეს კნორინგმა წერილი მისწერა და სთხოვა, რომ შერიფ-ფაშის დავალებით ეგება საბიდ ფაშა არ იქნეს მოკლულიო, ასე სისხლის ღვრა არც თქვენთვის არის კარგიო, ვინაიდგან ამას ქრისტიანობაც გვიკრძალავსო.

სელიმ ხიმშიაშვილმა თფილისში მოისაქმიანა, შემდგომ ამისა იგი დაბრუნდა აჭარაში, მცირე ხნის შემდეგ შერიფ-ფაშის წყალობით საბიდ-ფაშა თავის ამხანაგებით დახოცილ იქმნენ, ამის გამო იმერეთის მეფემ კნორინგს წერილი მოსწერა და აცნობა, რომ ჩვენ თქვენის თხოვნისამებრ საბიდ-ფაშა უნდა დაგვეფრა სისხლის ღვრისაგან, მაგრამ ეს ვერ მოხდა, სამწუხაროდ იგი მოკლულ იქმნა მათისვე სჯულის კაცებისაგან, თათრებისაგანო. მართლაც ის მოკლეს ლეკებმა და ვილაც თათრებმა, საბიდ-ფაშის მომხრეებმა კი ეს დანაშაული იმერთ მეფეს მიაწერეს. ეს კი არ შეიძლებოდა, რადგანაც საბიდ-ფაშა მეფეს დიდს პატივს სცემდა.

ბოროტი ენები იმასაც ლაპარკობდენ, რომ ამ საქმის გამო შერიფ-ფაშამ სოლომონ მეფეს დიდი საჩუქრები გამოუგზავნაო ასევე სხვა თავადისშვილებს და თვით დედოფალსაც კი--ოქროთ

მოჭედილი ძვირფასი ხატია, რუსის მთავრობასაც ასე აცნობეს, მაგრამ სოლომონ მეფემ ეს უარ ჰყო და დაუმტკიცა ფით რომ მე სულთანისაგან დამტკიცებულ საბიდ- ფაშას თავის დღეში არ მოვკლავდი, რადგანაც ეს წინააღმდეგი და საწყენი იქნებოდა თვით სულთანისთვისაც, ჩვენ მკვლელების ბინასაც ვერ მივაგნებთო. მხოლოდ ის კი ვიცით, რომ იგინი ფათრები და ლეკები ყოფილან და იქნება, შერიფ-ფაშისაგანაც შესყდულნიო.

შერიფ-ფაშას ბევრი მომხრეებიც კი ჰყოლია, სხვათა შორის მას სურდა, რომ საბიდ-ფაშა იმერეთში უსათუოდ ცოცხალი დაეჭირა. ამისთვის მისის დავალებით ყარსის ფაშა კნორინგს სთხოვს. თქვენ გვიშუამდგომლე, რომ იმერეთის მეფეს საბად-ფაშა აქეთკენ გამოისტუმროს, ჩვენ გამოვიძიებთ საქმეს და თუ რამე დანაშული გამოჩნდება მაშინ ჩვენ დავსჯით მასო. მეფემ საბიდ-ფაშას აუწყა, მაგრამ ფაშამ არ ქმნა, მე იქით არ წავალ, რადგან ცოცხალს დამიჭერენო. ყარსის ფაშას უარი გაეგზავნა, ამ უარის განცხადების რამოდენიმე ხნის შემდეგ საბიდ-ფაშა მოკლულ იქმნა საიდუმლოდ, რაც მთელს იმერეთში არავის არ სცოდნია. მოკვლის და ოქროს მიცემის ცნობები მხოლოდ სიკვდილის შემდეგ შეიტყვეს.

„მისიონერთა დღიურიდან“ სჩანს, რომ როგორც საბიდ-ფაშას, ისევე შერიფ-ფაშას ქართული წერა კითხვა და ლაპარაკიც სცოდნიათ, იგინი ბიძაშვილები ყოფილან და ქართველთ შთამომავალნი. საბიდ-ფაშის მოკვლის შემდეგ, ვითომც შერიფს მიწერ-მოწერა ჰქონდა სოლომონ მეფესთან და ალექსანდრე ბატონიშვილთან, ვითომც ეს ფაშა ჯარს აგროვებდა, ამისთვის ლეკებსაც იხმობდა თვისკენ და ბოლოს სპარსეთის სხვა და სხვა ხანების და იმერთა მეფის და ჯარის დახმარებით თფილისში უნდა დასცემოდა რუსის მთავრობას, ესენი გაეძევებინა და მათ მაგიერ თფილისში გაემეფებინა ალექსანდრე ბატონიშვილი, ვითომც ეს ფაშა ასეთის საქმით აპირებდა საბიდ ფაშის მოკვლის გამო სამაგიეროს გადახდას, მაგრამ ეს სიმართლეს

მოკლებულია. საბიდ-ფაშის მოკვლაში სულოიმან მეფე სულ არ ურევია.

საბიდ-ფაშის სისხლი რომ თვით მათისავე ფაშის წყალობით არის დაღვრილი, ეს სჩანს იქიდამაც, რომ მათ ერთმანერთი ძლიერ სძულდათ ამ სიმძულვარის საგანი იყო ის გარემოებაც, რომ ერთი წლის წინეთ გაფაშებულს შერიფს ახალციხეში დაეცა საბიდ-ფაშა, მათ მოუხდათ ცხარე ომი და, უკანასკნელ, შერიფ-ფაშა, დიდის სისხლის ღვრის შემდეგ, დამარცხებულ იქმნა 1801 წ. ბოლოს, ახალ-ციხიდამ გაძევებულმა შერიფ-ფაშამ შეკრიბა 1,500 მეომარი აჭარელნი, დაეცა ახალციხეს, დაამარცხა საბიდ-ფაშა, გააძევა ახალ-ციხიდამ და თვით გაფაშდა.

ამ დამარცხების შემდეგ საბიდ-ფაშამ ველარ გაიმარჯვა და მერე ხომ მოსპობილიც იქმნა. აქ საკვირველი ერთი ის არის, რომ საბიდ-ფაშა ასეთის დამარცხების შემდეგ რატომ ოსმალში არ წავიდა და იქ არ აცნობა შერიფ-ფაშის მოქმედება და იგი რათ გადავიდა იმერეთში. აქ რაღაც საიდუმლოება უნდა იყოს, რომელიც არავინ უწყის კარგად. ამ დროს, ქართველ მაჰმადიანებთაგან ილვროდა დიდი სისხლი და აჭარლები, ქობულეთელნი და სხვანი ხოცავდენ ერთმანერთს უწყალოდ. მეტად დიდი უბედურება ხდებოდა ამ დროს მთელს აჭარაში და ნამეტურ ახალ-ციხის ახლო-მახლო ადგილებში.

ხალხის ასეთმა უბედურებამ და ჟლეტა-წყვეტამ სულთანამდისაც მიაღწია, იქ ამაზე თათბირი იქმნა, მერე ანატოლიიდამ გამოგზავნეს 20,000 ჯარის კაცი, ამათ უნდა მიმატებოდენ არზრუმის სერესკერი თავის ჯარის კაცებით და სხვა და სხვა ფაშებით, ესენი უნდა დასცემოდენ ახალ-ციხეს შერიფ-ფაშას, როგორც უკანონოდ გაფაშებულს, ჩამოეგდოთ ფაშობიდამ, თავი უნდა მოეჭრათ და სტამბოლში გაეგზავნათ. ანატოლიის ჯარი და სხვა და სხვა ფაშები მალე მოვიდნენ და ახალ-ციხეში შეებნენ შერიფ-ფაშას, მაგრამ ვერაფერი ქმნეს, ფაშა ვერ დაამარცხეს, ვერ ჩამოაგდეს, ამიტომ და-

მარცხებულნი უკან დაბრუნდენ და შერიფ-ფაშა კი დარჩა ახალ-ციხეში გამაგრებული. ხოლო ისიც კი უნდა ითქვას, რომ ამ ბრძოლამ შერიფ ფაშაც დაასუსტა სულ, ჯარის კაცნიც მოაკლდა და მასთან სხვაც ბევრი რამ, რაც სელიმ ხიმშიაშვილმაც კარგად იცოდა.

ასეთის ფაშების მოქმედებით ქართველ მაჰმადიანები თითქმის ხელზედ სახმარ ნივთად გადაიქცნენ, იგინი ხოცავდენ და ჩეხდენ ერთმანერთს, ასეთ ხოცვა-ჟლეტის დროს, ცოტა არ იყოს ბათუმის სანჯაყ-ბეგები და ქობულეთის თავდგერძეები უფრო ჭკვიანად იქცეოდენ, საქმე იქამდის მივიდა, რომ სანჯაყ ბეგებმა შერიფ-ფაშას ბათუმი თითქმის სულ-ჩამოაცალეს და მის ომსა და ოდიგრებს სულ არ ემორჩილებოდენ, რათაც აფრთხილებდენ ერთმანერთის ჟლეტა, წყვეტაში, ასევე იქცეოდენ ქობულეთის ბეგები თავდგერიძეები და ჩაქვისა ბეჟანიძეები და ხალვაშები. ესენი ყველა სელიმ ბეგს ეთანხმებოდენ. მაინც უნდა ითქვას, რომ ახალციხის ფაშები უფრო მესხეთ-ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანებზედ ნავარდობდენ.

საბიდ-ფაშა და ვითომ შერიფ-ფაშა ადგილობრივ ხალხის ცხოვრებას პატივსა სცემდენ, ვითომც ესენი ამის მომხრენიც იყვნენ. ხოლო მათის წყალობით იმავ დროს მათისავე სჯულის თავი კაცების სასიამოვნოთ ქართულ სახელის მექონ სახელებს თავისი სახე კიმკაცრათ ეშლებოდათ. მაგალითებრ, ახალ-ციხეს ოსმალურათ ახსისა უწოდეს, და ასევე სხვა ქალაქებს შეუცვალეს სახელები. ასევე შეუცვალეს თვით მთებსა და სოფლებსაც. ესეთი სენი ახალ-ციხის ფაშებისა ისე იქებოდა და იდიდებოდა, რომ მას სიამოვნებით ითვისებდენ თვით ქობულეთელი და აჭარელი ქართველნიც, ამიტომ მათაც შესცვალეს, კინტრიშის მდინარეს ჩურუქსუ უწოდეს, აჭარის წყალს აჭარსუ, გვარები ბეჟანიძე—ბეჟან-ოღლი, იგივე თულუმბაზედე, კაიკაციშვილი—კაკაც-ოღლი და ვინ იცის სხვა რამდენი ამისთანა ათასი და ორი ათასი.

ამ გარემოების წყალობით 1800 წლის შემდეგ ბევრმა ქართველ მაჰმადიანმა დაკარგა თავის ძველებური მამაპაპეული გვარი, ბევრს დაავიწყდა ყოველივე ამის ცნება და ამბათ არის დაშთენილი, რომ როდესაც აჭარელ ერისთავებს თათრულად უცვლიდენ გვარს, მაშინ, ანუ 1800 წლებს, იგინი წინაალმდეგნი გამხდარიყვნენ და ეთქვათ რომ ვერა, ჩვენ ვერ დავსთმობთ ერისთავობას და ამ სიტყვას ოსმალურად ვერ გადავაკეთებთო. მაინც მათაც შეუცვალეს ეს გვარი და ორნაირი გვარი დაარქვეს, ამის ცნობები მე თვით შომისმენია აჭარაში, ჩემი იქ ცხოვრების დროს. ესე გვარების დაკარგვა, ასე ოსმალურად გადაკეთება საქებური საქმე იყო. დღევანდელ ქართველ მაჰმადიანების ერთმა ნაწილმა კი ამის ნაკლი შეიგნო და ნამეტურ აჭარა—ქობულეთელნი თავიანთ ძველ გვარებს ეძებენ და ამას სიამოვნებითაც ირქმევენ. ამისთანა ცნობები ცხადი საქმეა, ბათუმში მცხოვრებს ბევრს ეცოდინებათ. რომ ქართველ მაჰმადიანთ შორის არის ისეთი ნაწილი, რომელიც სიამოვნებით იძიებს თავის ძველს გვარს და მამა-პაპათა ამბებს.

ამ ნაკლის მიხვედრა მხოლოდ დაცემულია მესხეთ-ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანებში, ამათში გვარების ძიება კი არა და სადღეისოდ მათში მკაცრათ იგმობა ქართული ენა, რადგანაც სჯულის თავი კაცების წყალობით ქართული ენა დაკავშირებულია ქრისტიან ქართველებთან და ოსმალური კი მუსულმან ქართველებთან, ამიტომაც მოხდა, რომ მესხეთის ტეტია ქართველ მაჰმადიანებში, ოსმალთა მეოხებით ქართული ენა ისე ამოვარდა, ესენი ამ ენის ხმარებით ისე შეაშინეს, რომ დღეს ახალ-ციხის მაზრაში და აქეთ სხვაგანაც ვერც ერთ ქართველ მაჰმადიანს ქართულ ენაზედ ხმას ვერ ამოაღებინებთ. ამათში ცოდვათ არის თქმული ამ ენაზედ ლაპარაკი, თუ მაინც და მაინც გაჭირდეს საქმე და უსათუოთ ქართულათ უნდა ილაპარაკოთო, მაგალითებრ მომრიგებელთან, ან სხვა ასეთ მთავრობის კაცებთან და სამართველოებში, მაშინ

თქვენ იქ ეს სიტყვაზედ მეტი არ თქვათო, თორემ ცოდვა იქნებაო.

ამ უმეცრული სატკივრის სენსაც აღორძინება მიეცა 1800 წლის შემდეგ, რადგანაც თავი—კაცები იტყოდენ, დაანებეთ ამ ენაზე ლაპარაკს თავი, თორემ რუსები მოვლენ და ჩვენ გვეტყვიან, რომ თქვენ ამ ენაზედ რათ ლაპარაკობთ, თქვენი ენა თათრული არისო, თუ ამ ენაზედ ლაპარაკობთ-მაშ თქვენ გიაურები—ქართველი უნდა იყოთო და ჩვენც სუყველას გაგვაქართველებსო. ბედ შავ ტეტია ხალხმა შეისმინა ესეთი უმეცრული დარიგება და მის მეოხებით მიჰყვეს ხელი და დღე და ღამ მესხეთსა და ჯავახეთში სულ ამის ცდაში იყვნენ და მამაპაპეული ენის დავიწყებისა და ზიზღიისა და მტრობის ვრცელებაში, ამიტომაც დაკარგეს ქართველ მაჰმადიანებმა თავიანთი დედა-ენა მესხეთში, ჯავახეთში, ქვაბლიანს, ფოცხოვს, ჩილდირის ხეობაში, არტაანს და ამათ გადასწვრივ მთელს შავშეთში.

აჭარა-ქობულეთში კი, სადაც ხალხი მკვირცხლის ბუნებისა არის, იქ ეს მათ ვერ მოახერხეს და ქართული ენა მათში დღემდე დაშთა შეურყეველად, თუმცა ისიც კი უნდა ითქვას, რომ 1850 წლის შემდეგ, რაკი ამათგან ნიზამი გავიდა, მის მერე კი ოსმალოდან უკან მოსულ ჯარის კაცთა საშუალებით იფინებოდა ოსმალური ენა, ამას გარდა 1855 წ. ომის გამო, თვით ოსმალური მთავრობაც სცდილობდა, რომ ამ კუთხის ქართველ მაჰმადიანებში ოსმალური ენა აღორძინებულიყო და ქართულს ენაზედ ლაპარაკი ხალხს დაევიწყნა, ამის სასარგებლოთ ამათი სჯულის თავი კაცები ცდილობდენ, რონ 1878 წ. ომის გამო ოსმალოს საქარველოს ნაწილი რუსეთის იმპერიის ნაწილს საქართველოს არ დაკავშირებოდა, მაშინ ეაქაც 30 წლის განმავლობაში ქართული ენაც დაიკარგებოდაო, რადგანაც ამ გარემოებას მთავრობა დიდს ყურადღებას აქცევდაო.

მეორე: 1891 წ. აჭარაში ცხოვრების დროსა, ქართველ საპატიო მუსულმანებმა მიამბეს და ამაზე ეხმედ ეფენდი ხალ-

ვაშსაც ხშირად ულაპარაკნია, რომ ქართული ენა 1878 წლების შემდეგ მართლაც შესაძლებელი იყო აჭარაში სულ 30 წლის განმავლობაში მოსპობილიყოვო, ვინაიდგან 1855 წლის ომის გათავების შემდეგ ჩვენშიაც სასტიკათ სდევნიდენ ამ ენასა, თვით „მეჯლიშიაც“ აკრძალეს ეს ენა და ამით საუბარი აღარავის შაეძლოვო. გარდა ამისა, ხოჯები და მოლებიც სულ ამ ენის დასაკარგავათ ლაპარაკობდენო. და თვით მთავრობის მოხელესაც ბრძანებით არ შეეძლოთ, რომ ქართულად ელაპარკნათ ქართველებთანაო, დიახ რაკვირველია, რომ შეერთება არ მომხდარიყო აქაც ამ 30 წლის შემდეგ ქართველ მაჰმადიანთ შორის ქართული ენა აღარ იქნებოდა დაცულიო. მადლობა ღმერთს, რომ ეს ასე არ მოხდა, რუსეთის და ქართველთ მხედრობის ძალით შეეერთდითო. ასეთისავე აზრის იყო შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილი, გენერალი გრიგოლ დავითისძე გურიელი და მრავალიც სხვანი.

ამის საუბარი ჩვენ აქ მიტომ დავაკავშირეთ, რადგანაც იგი შეერთებულია XIX საუკუნის დამლევ წლებთან, როცა საქართველოში რუსის მხედრობამ ფეხი შემოდგა და როცა საბიდ-ფაშა და შერიფ-ფაშა ერთმანეთს ესხმოდნენ და ქართველ მაჰმადიანთ სისხლიც ზღვასაებრ იღვროდა. დავსძენთ აქ იმასაც, რომ ამავ დროს აზვირთდა ქართველ მაჰმადიანებში კაცის კვლის სიადვილე თავის მოჭრით, არა სჩანს მიზეზები თუ რა იყო ასე ამის გაადვილება, მარტოდ 1795 წლის შემდეგ 1805 წლამდე, ქართველ მაჰმადიანთ შორის წელიწადში 100 კაცზედ მეტს ეჭრებოდა თავი. თავები იგზავნებოდა აქეთ იქით, იმ ბირებთან, ვისაც ვისი ჯავრი სჭირდა, ოღონდა ფული დაეხარჯათ, თორემ კაცის თავის მოჭრა ადვილი იყო. ეს გარემოება ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრებაში ისეთი სავალალო და სამწუხარო არის, რაც სისხლის მელნით უნდა აინუსხოს იგი. ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ქართველ მაჰმადიანებმა თავის კვეთა არ იცოდენ, წინედ ვიდრე თოფი შემოვიდოდა, მანამ მათ ხმალში გასვლა იცოდენ, მერე როცა თოფის წამალი განჩდა, მაშინ შემოიღეს მაგრახლური იარაღი,

იარაღით ჰკლავდენ ერთმანეთს, თავის კვეთა თუ დახრჩობა კი მათში შემოვიდა ოსმალთაგან დაჭერის შემდეგ.

ღმერთი ქვეყანას არ გასწირავსო, იტყოდენ ძველად აჭარელნი. ასეთ უბედურების დროს, როცა ქართველ მაჰმადიანთ ოჯახს, ოსმალოს ფაშების წყალობით დიდი მეხი ჰქონდა თავზედ დატეხილი, მათშივე ანუ ქართველ მაჰმადიანებში იყვნენ თითო ოროლა ისეთი პატიოსანი პირები, რომელთაც თავიანთ ქვეყნებისათვის გული შესტკიოდათ და იგინი დიდათ სწუხდენ თავის ხალხის ესე გათახსირების და კაცთაგან ერთმანეთის ხოცვას, ჩეხვას და სისხლის ღვრას. ასეთი აზრის პირები მკვირცყლად გამოუჩნდენ ქობულეთს და ბათუმს ამათი ფიქრის დასკვნა პირდაპირ მათისავე ქვეყნის ფაშების მოქმედებას შეეხო, ყოველივე უბედურება მათ ფაშების მოქმედებას მიაწერეს და სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილისაგან საჯროთ. იქმნა თქმული აჭარაში შემდეგი:

ყველაფერი უბედურება ფაშებიდან იწყება, იგინი ებრძვიან ერთმანეთს, იგინი ხოცვენ ხალხს, იგინი სჭრიან ხალხს თავს, იგინი ყრილობენ ფუხარა სოფლის კაცის მოკვლით თავის ჯავრს, ფაშა ფაშას ებრძვის, ხეობა ხეობას. ჩვენი ხალხიც ამას სწავლობს მათგან. რაკი ფაშებში არის მტრობა, ჩვენ სოფლის ხალხშიაც არის მტრობა, ესენიც ფაშების შემყურებელნი, თავიანთ ცხოვრებაშიაც ისევე იქცევიან და მტრებთან და მოყვარესთან ესე ყრილობდენ ჯავრს, ამ ფაშების მიბაძვით გაადვილდა სოფელში ერთმანეთის ხოცვა და სისხლის ღვრაო. მინამ ჩვენ ასეთ ფაშებს არ გავაძევებთ და კაცის კვლით არ მოვასვენებთ ქვეყანას, მანამ ჩვენი ხალხიც ამ ხოცვა-ჟლეტას არ დაანებებენ თავსაო.

ეს აზრი ქობულეთის და აჭარის ბეგებმა 1801 წ ოსმალოს ვეზირსაც აცნობეს. ოსმალეთის მთავრობა ამაზე ძალიან გაბრაზდა, ამათ მალე ანატოლიიდან 12,000 ათასი ჯაან კაცი გამოგზავნა, ამათ შეუერთდა არზრუმის სერასკირის ჯარიც, ესენი მოვიდენ და ახალციხეში შერიფ ფაშას შაებ-

ნენ, დაცემა სურდათ, მისი თავის მოჭრა და სტამბოლში გაგზავნა, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს. შერიფ ფაშამ დაამარცხა იგინი და უკან გარეკა თვით გამაგრდა ახალციხეში, ამ გარამოებამ უფრო გააბრაზა ოსმალოს მთავრობა. მათ ხელმეორედ გამოგზავნეს 20,000 ჯარის კაცი და მოუწერეს არზრუმის ესკერებს, რომ ახალციხის შერიფ ფაშა უსათუოდ უნდა გააძევოთ. ან დაიჭირეთ და აქ გამოგზავნეთო.

ოსმალოს გამოგზავნილ ჯარს შეუერთდა ქართველ მაჰმადიანთ ფაშების ჯარის კაცნიც, აქ შეერთებულ იყვნენ ყველა ფაშები, ამ გარემოებამ შერიფ ფაშა ძალიან შეაშინა, ამან მალე მიმართა თფილისში რუსის მთავრობას, რომ მე თქვენი მომხრე ვარ და მიშველეთ, თორემ ჩემი საქმე ცუდათ არისო.

ასევე სთხოვდა რუსის მთავრობას დახმარებას ყარსის მაჰმედ ფაშა 1000 ყაზახს, რომ თქვენი დახმარებით ეგება შერიფ ფაშა დავცეთ და მისი ბრბო ლეკები გავფანტოთო, მაგრამ ეს არ მოხერხდა, რადგანაც რუსებმაც იცოდენ კარგათ ის გარემოება, რომ როცა რომელიმე ფაშას გაუჭირდებოდა საქმე, იგი მხოლოდ მაშინ ხდებოდა რუსთა მომხრე, თორემ მათი სიკეთე შეუძლებელი იყო და ამიტომ რუსებმა არც ერთ ფაშას არ მისცეს დახმარება.

ფაშები მაინც მალე შაებნენ შერიფ ფაშას, მოხდა ფიცხელი ომი, შერიფ ფაშა ძლეულ იქმნა, ამ ომში სელიმ ბეგიც იღებდა მონაწილეობას აჭარელთა ჯარით. ბევრი სისხლის ღვრის შემდეგ, შერიფ ფაშა უკუქცეულ იქმნა, ახალციხე მისი გამგეობისაგან განთავისუფლდა, მის ალაგას დანიშნეს ყარსის მაჰმედ ფაშა, რომელსაც უწოდეს ვალი ახალციხისა, ე. ი. გამგე ანუ მართველი ოსმალის მთავრობის. შერიფ ფაშამ ოლთისში გაიმაგრა ფეხი და იქიდან აპირებდა სპარსთა ხანების დახმარებით ბრძოლას, მაგრამ ეს ვერ მოუხდა, აქ მას შეება სელიმ ხიმშიაშვილი და ისე დაამარცხა, რომ ფაშას დადგომა აღარ შეეძლო და გაიქცა, გაჭირვებულმა ფაშამ სელიმ ბეგს ჭორი მოუგონა და მთელს ყოსმალოში გაავრცო რომ სელიმ

ბეგი რუსების მომხრეა, მან რუსების მოყვანა უნდა აჭარაშიო, ეს აზრი, ანუ ჭორები მან სტამბოლშიაც გაგზავნა და ამით ბევრიც დააფიქრა, თან მომხრებიც იშოვნა, მაგრამ ეს არ იყო მართალი. ამაშიაც მოსტყუვდა შერიფ ფაშა და ვერაფერი გააწყო. ესეთი ხმები სელიმ ბეგმაც იცოდა კარგად, ამიტომ ამან დიდ ვეზირს სტამბოლში კაცები გაუგზავნა, და აცნობა შემდეგი:

მე და ჩემი ნათესავები ისეთი ერთგულნი ვართ თქვენი, როგორც მთელი გურჯისტანის ხალხი, ჩვენ წინააღმდეგი ვართ მხოლოდ თქვენის უსამართლო ფაშების მოქმედების, ჩვენ ვერბძვით მათ მიტომ, რომ მათ მთელი გურჯისტანი ლეკების საყაჩაღოთ გახადეს, ხალხის ცარცვა, გლეჯა და ისიც გვწყინს, რომ მათის დახმარებით ლეკები სცარცვენ ჩვენს მოსაზღვრე გურჯისტანის და იმერეთის სოფლებს და რუსის მთავრობასაც უჭივრებენ საქმეს, რაც თქვენთვისაც არ უნდა იყოს კარგი და მოსაწონი. ჩვენ ვართ ერთგული ისლამის და თქვენის ძლიერების, ვიქნებით ასევე შემდეგაც, როგორც მუსულმანები ვეცდებით რომ მთელ გურჯისტანის ხალხთან კაი მეზობლობა და სიყვარული გქვონდეს, ჩვენში მოსპობილი იყოს ქურდობა და ხალხის ხოცვა, ჩვენ გვინდა ჩვენის ქვეყნისათვის კარგი, პატიოსან მუსულმან ფაშები და არა ყაჩაღები და ხალხის მცარცველნიო. სელიმ ბეგის ასეთმა განცხადებამ ოსმალოს მთავრობაზე დიდი გავლენა იქონია. ეს იცნეს გურჯისტანის პატიოსან მუსულმანათ.

ოსმალოს იმპერია სისხლის ღვრით აღორძინდა, იგი განვითარდა კაცის თავის მოჭრით. ოსმალეთი ამით ქებული იყო XVIII საუკ. მთელი იმპერიის ძლიერება ამ უსამართლო თავის კვეთით მყარდებოდა და მაგრდებოდა, ამიტომ ქართველ მაჰმადიანებში კაცის თავის მოჭრა ერთობ ადვილი და იაფი საქმე იყო. არ იფიქროთ, რომ მაშინ თავს სჭრიდენ მარტოდ მდაბიოთ, არა. მაშინ თავს სჭრიდა ის ვინც ვის მოერევოდა, მაგალითებრ ფაშა ფაშას აუჯანყდებოდა და რომელიც გაიმარჯვებდა, მერე ამის ხელთ იყო დაცემულ

ფაშის საქმე, თუ ისურვებდა დაცემულს თავს მოსჭრიდა, მოჭრილ თავს სულთანს გაუგზავნიდა და თან აცნობებდა, რომ ეს თქვენი მოღალატე იყო, მე დავამხე და თავი მოვჭერიო. ამაზედ იგი მადლობასაც მიიღებდა. ერთი უბედურება კიდევ ქართველ მაჰმადიანების ის იყო, რომ იგინი დღეს ემხრობოდენ ერთ ფაშას, ეს ვინც უნდა ყოფილიყო, გინდ კარგი, გინდ ავი, რაკი ფაშა იყო და მთავრობდა, ამიტომ ესენიც მას ემორჩილებოდენ.

ხვალ რომ მომხდარიყო და ამ ავ თუ კაი ფაშის ვინმე ბოროტი ან კაი ფაშა შებრძოლებოდა, ამას გაემარჯვა, ამ გამარჯვების შემდეგ აჭარელთათვის სულ ერთი იყო, გინდ მათი მტერი ყოფილიყოს და გინდ მოყვარე, იგინი გაურჩევლად, უსათუოდ მას დაემორჩილებოდენ და პირველ თავიანთ ნაბატონარ ფაშას ზურგს უდრეკდენ, ერთის სიტყვით საითაც ესენი ვის ძალას ნახამდენ, ვის უფრო მეტს შეძლებას შეამჩნევდენ, მაშინ ესენიც მის მხარეს დადგებოდენ, აღარც ერთის ერიდებოდათ აღარც მეორის. სწორედ ამის მაგალითებს ვხედავთ ჩვენ შერიფ ფაშის გამგეობაში, საბიდ ფაშის, სელიმ ფაშა ხიმშიაშვილის და იმ ფაშებთა გამგეობაში, რომელიც კი 1720 წლიდამ მოყოლებული 1855 წლამდე ქართველ მაჰმადიანებში სცხოვრებდენ.

საბით ფაშის და მის ამხანაგების თავების მოკვეთა შერიფ ფაშას იაფათ არ დაუჯდა, ამ გარემოებამ სელიმ ბეგ ხიმშიაშვილი, სელიმ აღა ყიფიანი და სხვაც ასეთნი მეტად დიდის მტრობით დარაზმა. ამიტომ ამ პირთ საბით ფაშის სიკვდილის შემდეგ, დაიწყეს შერიფ ფაშის წინააღმდეგ მოქმედება და მალე ომსაც მიაღწიეს, რომ 1803 წლის დამდეგ, ბევრის სამზადისის და ბრძოლის, ახალციხეში, შერიფ ფაშა ათაბაგი ჩამოაგდო სელიმ ბეგ ხიმშიაშვილმა და თვით მოინდომა გაფაშება, ვიდრე ეს მოხდებოდა, მინამდის ახალციხის ვალი ფაშად დანიშნულ იქმნა არზრუმის რეჯებ ფაშა, მაინც სელიმ ბეგსაც მისცეს ფაშობა, იგი დანიშნეს ჩილდირის ფა-

შად, საბით ფაშის მაგიერ. აქედამ ამან დროით მიაღწია ახალ-ციხის ვალი ფაშობამდის. 1805 წ. ბოლოს უკვე ახალციხი-დამ რეჯებ ფაშა გადაყვანილი იქმნა, მის მაგიერ ახალციხის ვალი ფაშად დანიშნულ იქმნა სელიმ ფაშა ხიმშიაშვილი.

შერიფ ფაშამ ბევრი იმეცადინა, მაგრამ სელიმ ფაშას ველარა დააკლო რა. ეს მძლავრად გაფაშდა ახალციხეში, გა-ფაშების დღეს ჩვეულებისამებრ თოღებ დახურული და ზარ-ბაზნების სროლით შევიდა ახალციხეში. სელიმ ფაშამ შერიფ ფაშა ისე დაამხო, რომ ამას ოსმალეთის საქართველოში და დგომა დიდათ გაუჭირდა, იგი წავიდა თავის ნათესავ ბაიაზე-თის ფაშასთან, იქ შეაფარა თავი, ჯარით დახმარებას სთხოვ-და სელიმ ფაშის ჩამოსაგდებათ, მაგრამ ბაიაზეთის ფაშამ დახ-მარება ვერ მისცა, სულთანის შეეშინდა, ხოლო მისცა დიდი შეძლება და მით იგი გაისტუმრა ერევნის ხანთან, შერიფ ფაშამ აქ შეაფარა თავი, მასთანვე დაიწყო თფილისში ახლად მოსულ რუსის მთავარ მართებელთან წერილების წერა და თხოვნა მის, რომ მე მინდა ჩემის ჯარით ახალციხეში სელიმ ფაშას დავეცე და ჩამოვაგდოვო, ამიტომ ნება მიბოძეთ, რომ ჩემის ჯარით თქვენს საბრძანებელ ქართლზედ გავიაროვო. რუსის მთავრობამ ამის ნება არ მისცა, ოსმალოს მთავრობას-თან ჩვენ კაი განწყობილება გვაქვს, ამიტომ ამას ვერ ვიზამთ, იქმნება ამაზედ ჩვენსა და მათ შუა რამე უსიამოვნება ატ-ყდესო.

შერიფ ფაშას ეს ძრიელ ეწყინა, რუსებზედ ჯავრი მოუვი-და, ამიტომ მან განიძრახა სხვა საქმე, ამან მიმართა დაღისტნი-სკენ მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილს და განუცხადა თვის ერთგულება და სამსახური. თქვენ ერევანში მობძანდით, მე შევკრებ დიდ ძალ ჯარს, მოვიშველიებ 5,000 ათას ლეკებს, ჩვენ გვიშველის ერევნის ხანი თავის ჯარითაო, ჩვენ-ვე მოგვემხრობიან სხვანიცაო. გავილაშქროდ თფილისზედ, რუსები გავაძევოთ, თფილისში შენ გამეფდი და მის შემდეგ მე ახალციხეზედ წავალ სელიმ ფაშის საბრძოლველათაო, ჩვენს გალაშქრებაში იმერეთის მეფეც მოგვცემს დახმარებასაო.

შერიფ ფაშა ასე ფიქრობდა და ამ სამზადისის გეგმის შედგენაში იყო, მაგრამ მოხერხებით კი ვერას აწყობდა. შერიფ ფაშის ყოვლივე ამ სამზადისის ცნობები საქართველოს მთავარ მართებელმა ციციშვილმა მალე ახალციხეში სელიმ ფაშას აცნობა. 27 მაის, 1804 წ. რომ შერიფ ფაშა შენ წინააღმდეგ 4,000 მეომარი ჯარის კაცით მოდისო.

არ ვიცით ნამდვილა და ისიც კი არის ცნობათ, რომ ვითომ სოლომონ მეფეც ემხრობოდა შერიფ ფაშას, ამაზედ 1804 წ. დადიანი სწერს რუსის მთავარმართებელს ციციშვილს, რომ სოლომონ მეფე შერიფ ფაშას ემხრობაო. ამის მიზეზი ის არისო, რომ შერიფ ფაშა ჰპირდება მას, რომ თფილისიდამ რუსეთის გარეკის შემდეგ მე შენ მოგცემ დახმარებას, რომ რუსების მომხრე დადიანი დასცე და სამეგრელო შენ შეართო შენს სამეფოსთანაო, უნდა ითქვას, რომ ეს ტყუილი უნდა იყოს, დადიანმა სოლომონ მეფეს ეს მტროობით მოუგონა, ეშინოდა, რომ რუსების მიმხრობის გამო სოლომონ მეფემ არ დამცესო, რადგანაც იგი რუსების შეერთების წინააღმდეგია, მეკი მომხრე ვარო. დადიანი მეფე სოლომონს ხშირად მტრობდა, ამანვე მოიგონა ჭორი სოლომონ მეფეზედ, რომ ვითომც 1802 წ. საბიდ ფაშა და მის ამხანაგებს სოლომონ მეფემ დააყრევინა თავებიო, რადგანაც მას შერიფ ფაშა დაჰპირდა დიდს საჩუქარსაო. მერე მეფემ ეს საჩუქარი მოსთხოვა, მაგრამ შერიფ ფაშამ კი აღარ მისცაო.

ასეთ ჭორებს და მტრობას დადიანი დაჩვეული იყო მეფე სოლომონზედ, ეს გველური ჭორებია. საბით ფაშა სოლომონ მეფემ კი არ მოაკვლევინა თავის ამხანაგებით, არამედ იგი მოკლეს შერიფ ფაშისაგან შესყიდულ ლეკებმა. რომელნიც განგებ იმერეთში ჩავიდენ და იქ სცხოვრებდენ საიდუმლოდ ამ მკვლელობის შესასრულებლად. ესეთს ბოროტებას მეფე სოლომონ მით უფრო არ ჩაიდენდა, რადგანაც იგი დიდი მოყვარე იყო საბით ფაშის, დიდის მეგობრის სელიმ ბეგ ხიმშიაშვილის. აბა ასე როგორ მოხდებოდა, როცა სელიმ ფაშა სოლომონ მეფეს თავის საყვარელ ძმას უწოდებს

წერილებში, გურიის მთავარს მამიას საყვარელ შვილს, აბა ამათ მეგობარი კაცი განა მოკლავდა, ან მოაკვლევინებდა ისეთ კაცს, რომელიც მისი მეგობარიც იყო და მისი გულითადი მეგობრების ძვირფასი ამხანაგი და ძმაც იყო. ეს ყოვლად შეუძლებელია, ეს მოხერხება არის სულ დაუდეგარის შერიფ ფაშა ათაბაგ ჯაყელისა. მეორე სოლომონ მეფე ისეთი კაცთ მოყვარე იყო, რომ ძნელად მას 20 ოქრო ქისა ფულისთვის შვიდი კაცი გაემეტებინა და თავი მოეჭრევინებინა ვისთვისმე. ეს სულ დადიანის მოგონებული ჭორებია-იმერეთის ისტორიაშიაც უადგილოდ და უმართებულოდ შეტანილი.

მეორე: თვით სელიმ ფაშა ხიმშიაშვილიც ისეთი მახვილგონიერი კაცი იყო და სამუსულმანო საქართველოს მოყვარე, რომ იგი სოლომონ მეფეს არა შემთხვევაში არ აპატივებდა საბიდ ფაშის მოკვლას და უეჭველია ამას იგი არ დასთმობდა, იმერეთის მეფესთან არავითარს კავშირს აღარ დაიჭერდა, მაგრამ არა, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ მსხვერპლის შეწირვის შემდეგაც არ ისპობა მათში მეგობრობა და ერთმანერთის სიყვარული, ამას გარეშე, ხდება ისიც, რომ საბით ფაშა თავის გაჭირების დროს ოსმალეთში კი არ მირბის, არამედ სოლომონ მეფესთან გადადის იმერეთში და აქ აფარებს თავს... კიდევ ამ ცილის გასაუქმებელი საბუთი: საბით ფაშის მოკვლის შემდეგ, საქართველოს მთავარმართებელმა სოლომონ მეფეს წერილი მისწერა და უსაყვედურა, რომ თქვენ შერიფ ფაშის ჩაგონებით საბით ფაშა რათ მოკალით, რათ გაისვარეთ ხელი მის სისხლშიო, ამას ხომ ჩვენი სახარების სწავლაც გვიკრძალავსო.

სოლომონ მეფემ პასუხი აგო: მეკი არ მოვკალი, არამედ იგი ლეკებმა მოკლესო, ჩვენ მკვლელთა კვალსაც ვერ მივაგენითო. ამავე მკვლელობის შესახებ სოლომონ მეფემ შერიფ ფაშასაც სთხოვა ხმის ამოღება და პასუხის მიცემა, ამან მთავარ მართებელს აცნობა, რომ საბიდ ფაშა არც იმერეთის მეფის მოკლულია,—არც ჩემიო. მან თავის საბძანებ-

ლიდამ ფაშობის დროს, დაღისტნის ლეკები სულ გააძევა, აქ აღარავინ დასტოვა. ლეკები მისგან შურს იძიებდენო. მისი ჯავრი სჭირდათ, მათ რამდენიმე ლეკი კაცი გაგზავნეს იმერეთში და საბიდ ფაშა საიდუმლოთ მოაკვლევინესო. სიკვდილის მიზეზი პირდაპირ ამ ლეკებს ბრალდებათ და არა მე და იმერეთის მეფე სოლომონსაო. ვიტყვით იმასაც, რომ შეიძლება, მართლა საბით ფაშა შერიფ ფაშისაგან შესყიდულ ლეკებმა მოკლეს, ან საბით ფაშისაგან განდევნილ გაბრაზებულ ლეკემბა, ხოლო რაც შეეხება იმერეთის მეფე სოლომონს ამაში იგი კი უბრალო უნდა იყოს და სამკვლელო საქმეში არაფერის ჩამდენი.

რაკი შერიფ ფაშამ ვეღარა მოახერხა, საითაც გაიქცა იქით წაიქცა, რაკი სელიმ ფაშის დამარცხების იმედი გაუხუნდა, მის მერე მან ისევ სტამბოლს მიმართა, ისევ ცილი, ჭორები და ღალატით მოქმედება დაიწყო. მაგრამ ამას იგი ოსმალოს მთავრობასთან უცბათ ვერ დაიწყობდა, რადგანაც ერთ დროს მასაც აქვნდა ოსმალოს მთავრობასთან შუღლი, ოსმალოს მთავრობა ერთ დროს მასაც უპირებდა თავის მოჭრას და ახალციხიდამ გაძევებას, ამიტომ ჯერეთ მან სხვა ჯაშუშები გაუჩინა სელიმ ფაშას, ჯერეთ ამათ აზიდვინა ტყუილი ამბები და ბოლოს, როცა დარწმუნდა, რომ ახლა მასაც შაეძლო გამოეჩინა თავი სულთანის წინაშე და გამართლებულიყოს, მაშინ კი მან ჯერეთ სტამბოლში თვის ერთგულების ცნობები გზავნა, მასთან სელიმ ფაშის ღალატი და ამის მერე სტამბოლშიაც გაბედა წასვლა.

მინამ სტამბოლში წასვლას მოახერხებდა, მინამდის სამცხე საათაბაგოს ქალაქებში იფარავდა თავს და თვალ-ყურს ადევნებდა სელიმ ფაშის მოქმედებას. სელიმ ფაშას, სელიმ ყიფიანს, საბით ფაშას და სხვათაც როგორც სხვაგანა, ვსთქვით, ადრიდგანვე აქვნდათ ქართველ მეფეებთან კავშირი და მიწერ-მოწერა. ქართველ მეფეთა გარეშე, საქართველოში მოსულ რუსის ახალ მთავრობასთანაც კაი

განწყობილება აქვნდა. განწყობილება ამათი იმოდენად იყო დაახლოებული, რომ როცა სელიმ ბეგ ხიმშიაშვილმა ფაშობა მიიღო, ამის ამბავი მაშინათვე ამის მეგობარმა სელიმ ყიფიანმა საქართველოს მთავარ მართებელ ციციშვილს წერილით მოსწერა და ახარა, რომ ჩვენს საყვარელს და თქვენს კაი მეგობარს კაპუდჟი ბაშ სელიმ ბეგ ხიმშიაშვილს ჩვენმა ხელმწიფემ ფაშობა უბოძა, მალე ახალციხის ვალი ფაშათაც გახდებაო. მთავარ მართებელმაც რასაკვირველია წერილით სიამოვნების პასუხი აცნობა.

ამათი კავშირი ისეთი იყო, რომ ერთ დროს, სელიმ ბეგი როცა თფილისში გახლდათ თავის თანხლებულებით, მთავარ მართებელმა ციციშვილმა მას კაი ნადიმი გაუმართა, ეს ნადიმი სელიმ ფაშამ არ იუცხოვა, ნადიმის დროს მთავარ მართებელს იგი მშვენიერის ქართულის ენით ესაუბრებოდა. ამაზედ აღტაცებული იყო მთავარ მართებელი. ციციშვილმა თურმე ამათგან შეიტყო, რომ ნახევარ საქართველო ოსმალთ უკავიათო, რაისა გამო იგი შეწუხდა თურმე, ასეთ საუბრის დროს მთავარ მართებელს სელიმ ფაშა ხიმშიაშვილი ნატვრას უცხადებდა მის შესახებ, რომ ეგები ახალ ციხეც მისი თემით თქვენ შეგიერთდესთ, მით საქართაველოგაერთიანდესო. ამისთვის ფულებიც კი იხარჯებოდა, ერთ დროს, სელიმ ფაშას რუსეთის მთავრობამ რამდენიმე ათასი თუმანი ფულიც მისცეს, ხოლო საქმე კი ვერ ხერხდებოდა, თუმცა სელიმ ბეგის გაფაშების კი დიდი იმედი იყო, მაგრამ ეს ვერ შეერთება რთულს სახეს იღებდა, სელიმ ფაშასაც ბევრნაირი მტრობა და ვაი ვაგლახები უჩნდებოდა, ამის მტრობას ესიც აზვიადებდა, რომ იგი ხალხს დიდათ უყვარდა, უყვარდათ მიტომ უფრო, რადგანაც იგი ხალხს კარგად ექცეოდა, მისი ფაშობა დაიწყო კაცურის სამართლით, მან ჩინებულად იცოდა უცხო ფაშებისაგან ატეხილი აურ ზაური, ქვეყნის მტრობა, ხალხის შეწუხება, ამიტომ უფრო უფრთხილდებოდა ყოველივეს, ნამეტურ მან ალაგმა მოქრთამე მოხელენი და მეჯლისის ყადები

ყველა ასეთ საქმეთა ცნობები ოსმალოს მთავრობას თურმე შიშსა გვრიდა და მწარეთ აფიქრებდა, რომ ვაი თუ სელიმ ფაშა თავის სასარგებლოთ შრომობს, ვაი თუ მას ხალხის მიბირება უნდა და მერე ჩვენგან ჩამოშორებაო. ასეთ ფიქრში იყო ოსმალოს მთავრობა. აი, ამ დროს, სტამბოლში მივიდა შერიფ ფაშა, რომელმაც დიდის ვეზირის ქრთამების საშუალებით თავი გაიმართლა, სელიმ ფაშაზედ აუწყა იმდენი მტრობა, რომ ვინ იცის რაები თქვა და არ დასწამა სელიმ ფაშას, უმეტესად რუსებთან მისვლა-მოსვლა, საქართველოსთან დაკავშირება, ისლამის მტრობა, ოსმალოს მთავრობისაგან მოშორება და მრავალიც სხვა ასეთნი. ოსმალოს მთავრობა ამ გვარ ცნობებმა დიდათ გააბოროტა. მათ სელიმ ფაშის ჯავრით აღარ იცოდენ რა ექმნთა. ასეთის საქმეების გამო შერიფ ფაშამ მადლობაც მიიღო. სელიმ ფაშა ხიმშიაშვილი კი სულ სხვას ამბობდა, იგი როგორც ხალხს, ისევე ოსმალოს მთავრობას თამამად ასმენდა თავის აზრს და აუწყებდა, რომ ოსმალოს მთავრობა ჩვენ ისეთ კაცებს გვინიშნავს, რომელნიც მთელ გურჯისტანის ხალხს ტყავს აძრობენ, მერე აქედამ მიდიან მდიდრად და ყოველივე სიმდიდრეც თან მიაქვსთ, გურჯები კი ამისაგან სულ ღატაკდებიან და არ იციან როგორ და რითი ირჩინონ თავი და არჩინონ ცოლ-შვილიო. ჩვენ წმინდა მუსულმანები ვართ და ამ მუსულმანობითაც დავრჩებითო, ხოლო ოსმალოს მოხელენი ჩვენ ნუ გვიბრიყვებენ ასეო. ამის ჰაზრი ამას ითხოვდა, ოსმალოს მთავრობას მხოლოდ ამისთვის ეწინააღმდეგებოდა იგი. იტყოდა თურმე: „თუ ეს ასე არ იქმნა, თუ ქვეყანამ არ მოიკვეხა, მაშინ ჩვენ გვაჯობს რომ სულ დავიხოცნეთ და ან რუსებს შეგუერთდეთ, ხოლო მათს ხელში ვიქმნეთ მოსვენებულნი. ვინც კარგად მოგვიყვლის, ვინც ჩვენ პატივით მოგვეპყრობა და ჩვენს ოჯახს და ხალხს არ შეაწუხებს, ჩვენც იმას ერთგულად ვემსახურებითო, იგი ჩვენთვის სულ ერთია გინდ მუსულმანის ფადიშახი ყოფილა და გინდ ქრისტიანის ყირალიო“.

რასაკვირველია ეს მოხდებოდა მაშინ თუ ოსმალეთის მთავრობა ამათ თხოვნას არ დააკმაყოფილებდა, ესენი რუსე-

თის იმპერიის მფარველობის ქვეშ შევიდოდენ, ხოლო იმ პირობით, რომ მათში აღდგენილ იქნებოდა ათაბაგური წესები, მის უფროსი იქნებოდა სელიმ ფაშა და მერე ეს გადავიდოდა მის შვილსა და შვილის შვილზედ, სჯული ექმნებოდათ მუსულმანის, ჯარი ეყოლებოდათ თავის ქართველ მაჰმადიანების და ესენი ოსმალეთის და რუსეთის შუა იქმნებოდენ მტკიცედ დაშთენილი, ხოლო ამისთვის რუსეთს უნდა მიეცა დახმარება, რომ ოსმალეთს ძველი გურჯისტანი სამცხე-საათაბაგოს ადგილები ოსმალოს მთავრობას გამოეყო თავისაგან და ათაბაგ ფაშის საბრძანებლისათვის მიეზომა, ასე და ამ გვარად აღედგინათ ძველი გურჯისტანი თავის სამზღვრებით. ამასვე უნდა დაქვემდებარებოდა მთელი ლაზისტანი, ფოთი, აფხაზეთი და ყველა ის შავი ზღვის ნაპირი ქალაქები და ადგილები, რომელიც იმ დროს ოსმალეთს ეკავა, წინედ კი იგი გურჯისტანის იყოვო. ასე და ამ გვარად, სელიმ ფაშას სურდა, რომ საქართველოს და ძველ ბიზანტიას შუა დაეარსებინა სამუსულმანო გურჯისტანის სამთავრო. ამ განძრახვაში მას თურმე ბევრი წინააღმდეგნიც ჰყვანდენ და უშლიდენ რუსების კავშირს კი არათვით დაახლოვებასაც, მაგრამ სელიმ ფაშა მაინც თავის აზრზედ იდგა და ყველას იმას ეუბნებოდა, რომ ჩვენ ქრისტიანების საქმე არას დაგვიშლის, ჩვენს ისლამს ისინი არ შეხებიან, ჩვენ ჩვენის სჯულით ვიქნებით, მასთან ჩვენი ქვეყანაც მოისვენებს ყველაფერი მოშენდება, ამდენი სისხლის ღვრაც მოისპობაო.

ოსმალოს მთავრობამ სელიმ ფაშა თავის მოსისხლე მტრად მიიღო და ამიტომ მათ გადასწყვიტეს ამასთან ომის დაწყება და დამორჩილება. ომი იწყება 1810 წლიდამ, სწორედ იმ დროდამ, როცა იმერეთიც რუსეთმა შეიერთა, სელიმ ფაშა თავის ჯარით ისე მძლავრად აღმოჩნდა, რომ სადაც კი ამას ოსმალოს ფაშები შაებნენ, იგინი ყველგან და მარცხებულნი იქმნენ. საქმე ისე მოეწყო, რომ სელიმ ფაშამ გამარჯვება იწყო და განიძრახა მთელის სამუსულმანო საქართველოდამ უცხო ფაშების გაძევება, თავის საბრძანებლის

შემოფარგვლა. ოსმალოს მთავრობას აღარაფერში ეპოვებოდა და აღარაფერს უთმობდა. 1813 წ. სულთანის ფირმანი გამოიცა სელიმ ფაშის დასამორჩილებლად, ამისთვის საქართველოში გამოგზავნეს დიდი ძალი ჯარი, ამ ჯარს შეუერთდენ არზრუმის სერესკერი თავის ჯარით, ასე სხვა ფაშები და მალე მოადგნენ აჭარას, ამ დროს, სელიმ ფაშას 6,000 კაი მეომარი ჰყვანდა, ესენი ოსმალთ გზაში უსაფრდებოდნენ, კლდეებს ურღვევდენ და ისე ხოცდენ ოსმალოს ჯარს. რამდენიმე ბრძოლის შემდეგ სელიმ ფაშა ძლეულ იქმნა, მას მოუკლეს 1,000 კაცი, ოსმალთ გაუწყდათ თურმე 5,000 მეტი კაცი.

სელიმ ფაშა მცირედ ძლეულ იქმნა, მაგრამ მაინც სულით არ დაეცა, იგი მკაცრი სახის კაცი იყო და ამიტომ არც მალე იცოდა შიში. ეან მიმართა თავის გამაგრებულს ხირხატის ციხეს, რომელ ციხეც თამარ მეფის გაკეთებული არის და იმ დროს იგი შეადგენდა ხიმშიაშვილების საკუთრებას. ამ გამაგრებულ ციხეში შევიდა 5,000 ჯარის კაცით, აქ გამაგრდა, აქ ამას აქვნდა 4 წლის საგძალი და წყალიც გაყვანილი ისე ოსტატურად, რომ კაცი მის გზასა და კვალს ვერ უპოვნიდა. ამ ციხეს მალე მოადგა ოსმალოს ჯარი, ძველ ჯარს მოემატა ანატოლიიდამ გამოგზავნილი 10 ათასი კაციც ზარბაზნებით, მალე დაიწყეს ომი, მაგრამ ოსმალთ ვერა ქმნეს რა, ისევ სელიმ ფაშის ჯარი იმარჯვებდა, ამაობაში გავიდა 1813 წელიც. დადგა მეორე წელიწადი და გაზაფხულის პირზედ ატყდა მათ შორის ომი, მაგრამ მაინც ოსმალთ სელიმ ფაშა ვერ დაამარცხეს, სისხლი იღვროდა ოსმალთა წყალსავებ, ესეთი ხოცვა, ჟლეტა სელიმ ფაშასაც სწყინდა, ამან შეუთვალა თათრის ფაშებს, რომ ნუ ჩავდივართ ამას და ამოდოხნა მუსულმანობას ნუ ვწყვეტთო. მე ხონთქარის და ის ლამის ერთგული ვარ და.რას მერჩით, რა გინდათ ჩემგან, ან ჩემი ხალხისაგანო. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ოსმალოს უსამართლო ფაშების სამართლის, წესების და არა ხონთქრის უფროსობის და ხელმწიფობისაო.

ამიტომ ომი შეაჩერეს, ამ დროს, ოსმალთა იშოვნეს

რამდენიმე თავი კაცები აჭარაში, ამ კაცების პირით დაუწყეს სელიმ ფაშას მორიგებაზედ ლაპარაკი, რასაკვირველია მოტყუილებით, სურდათ, როგორმე დაეყოლებინათ, რომ სისხლი აღარ დაღვრილიყო ასე, ამ შინაურ აჭარლების მეოხებით მოახერხეს და ბევრის თათბირის და დაპირების შემდეგ ერთ დღეს სელიმ ფაშა ხირხატის ციხიდამ გამოიტყუულეს კარში, რათა დანიშნულს ალაგს შეყრილიყვნენ და მორიგების პირობა დაედოთ. დანიშნულს დროს სელიმ ფაშა მოვიდა თავის მხლებლებით აღნიშნულს ალაგას. ამით ისარგებლეს ოსმალთა და მორიგების დროს მას უთხრეს, რომ ეხლა შენ ჩვენი პატიმარი ხარო, მან ბევრი იმძლავრა მასზედ თუ რათ მომატყვილეთო, მაგრამ ღარა იქმნა რა, ოსმალთ ყოველივე საომარი სამზადისი მზათ აქვნდათ. რაკი სელიმ ფაშა იქადამ სხვაგან გაგზავნეს და დააპატიმრეს, მის მერე ხირხატის ციხეს მიმართეს და სელიმ ფაშის ჯარს შეუთვალეს ასე:

თქვენ ტყულათ დაიწყებთ ბრძოლას, ამით ვერას იქმთ, ჩვენის სულთანის ბრძანება არის, რომ რაც უნდა ბევრი სისხლი დაიღვაროს მაინც თქვენ უნდა დაგიმორჩილოთ. ამიტომ გირჩევთ დამორჩილებას, იარაღის დაყრას, ტყულათ თავებს ნუ დაიხოკავთ, ბოლოს მაინც ჩვენ დაგვრჩებით, ვერაფერს გააწყობთ.

ჯარმა ასეთი დარიგება შეისმინა, მათ სელიმ ფაშა ღარა ჰყვანდათ, ამიტომ ისევ მორჩილება ამჯობინეს უბრალოდ გაწყვეტას, მეორე დღეს ხირხატის ციხიდამ სელიმ ფაშის ჯარი გამოვიდა და ყველა თავ-თავის სახლებისკენ წავიდნენ. ეს ამბავი, ანუ სელიმ ფაშის დაჭერის ცნობა მალე სულთანს ეცნობა. იქიდამ ბრძანება მოუვიდა არზრუმის სერესკერს რომ თავი მოსჭერით სელიმ ფაშას და მოჭრილი თავი აქ გამოგვიგზავნეთო ამ ომიანობის საქმეებს მძლავრად ხელმძღვანელობდა არზრუმის სერესკერი ბაბა ფაშაო, ყოველივე ამან მოახერხა, კაცების შესყიდვაც, ქრთამის დახარჯვაც და სელიმ ფაშის დაპატიმრებაცაო, სულთანის ბრძანება ბაბა ფა-

შამ მალე აღასრულა 1815 წ. დანიშნულ დღეს, ერთ ალაგას გააკეთეს თავ საკვეთი, აქ შეიყარენ ყველა მოწინავე ოს მალოს ფაშები, აქვე მოიყვანეს სელიმ ფაშა, ეს მიხვდა საქმეს მაგრამ თავის მოჭრის ამბავი კი არ იცოდა, ყველა დიდი კაცები გარშემო ისხდენ. ხალხში დარჩენილია ეს გარდმოცემა, რაც აჭარაში შევკრიბე 1891 წ.

სელიმ ფაშა რომ გამოიყვანეს თავ საკვეთ ალაგას, იქ ყველა დიდი კაცები ირგვლივ ისხდენ, მათ უნდა ენახათ სელიმ ფაშის თავის მოჭრა, თავ-საკვეთი კი მიფარებული ყოფილა, სელიმ ფაშას თურმე სკამი მიუტანეს და უთხრეს, რომ დაჯექიო, სელიმ ფაშამ მიხვედრილა ამას, რომ მე უბედურება მომელისო. მალე თურმე მან უთხრა თავის ბოდიში და პატიობა ასე: თუ კი დამნაშავე ვარო.

ძმებო და კაი კაცებო, უეჭველია თქვენ ყველას გყავსთ თქვენი ცოლშვილი, გყავსთ ოჯახობა, უეჭველია თქვენ მეც მიცნობთ კარგად, მე ხომ ყაჩაღი და კაცის მკვლელი არა-ვარ ამიტომ მე შემოვდივარ თქვენის ოჯახობის საფარველ ვარ, მე ერთი კაცი ვარ და თქვენი ოჯახის სასახელოდ შემინახეთ, დამიფარეთო.

ხალხი ამბობდა თურმე, რომ ასეთი სიტყვის შემდეგ, რაკი სელიმ ფაშამ თავის თავი იქ მყოფთ დიდ კაცთა ოჯახის მფარველობის ქვეშ აღიარა, მათ არ უნდა ეუარათ მისი დავალება და თავისი ოჯახის პატივის საცემლად სელიმ ფაშა უნდა დაეფარათო, მაგრამ არა, მათ ეს არ ქმნესო და დალაქს უბრძანეს, რომ თავი მოპარსეთო, ეს კიდევ იმას ნიშნავდა რომ სელიმისათვის თავი უნდა მოეჭრათო. ასე ჰქონიათ ჩვეულება თურმე, ვისაც ასეთ დიდკაცს თავს მოსჭრიდენ, იმისთვის თავი უნდა გაეპარსათ. სელიმ ფაშას თუმცა დიდათ ეწყინა ასეთი სასჯელი, მაგრამ იგი თურმე მაინც სულით არ დავარდნილა. ბაბა ფაშა ანუ არზრუმის სერესკერი ვერ მოიქცა ლმობიერად, მან პატიობის გარეშე კიცხვაც დაუწყო და 1815 წ. უკვე მოსჭრეს თავი, ტანი ძირს გადმოაგდეს და თავი პარკში ჩადეს და სტამბოლში გაუგზავ-

ნეს სულთანს. ნათესავებმა ტანი გადაიტანეს ზეგანს და სოფ. ნიგაზეულში დაასაფლავეს თავიანთ მამაპაპათა სასაფლაოზედ. სელიმ ფაშა ამ დროს იყო 60 წლის.

სელიმ ფაშის სიკვდილის დასჯით არ აკმარეს მის ოჯახს სასჯელი, მის შემდეგ ამავ ფაშის ბრძანებით ეცენ მის სახლკარს, და ყოველივე დაუწვეს და აიკლეს სულ ისე რომ იქ აღარაფერი დასტოვეს, მისი მეუღლე და მთელი სახლობა დააპატიმრეს და ახალციხეში გაგზავნეს და ორი ვაჟი კი ახმედ ბეგი და აბიდ ბეგი კი გურიაში გადავიდენ თავიანთ ნათესავ მამია გურიელთან. სელიმ ფაშის ასე დასჯა საქართველოს მთავარმართებელსაც დიდათ ეწყინა, ამან გურიის მთავარს წერილ მისწერა და აუწყა, რომ საბრალო სელიმ ფაშის შვილები ჩვენ ჩვენს მფარველობის ქვეშ უნდა მიგველოვო, მაგრამ რაკი ჩვენსა და ოსმალთ შორის მორიგება მოხდა ამიტომ ამას ჩვენ ვერ ვიზამთო, თქვენ კი ესენი უსათუოდ ოსმალეთში უნდა გაგზავნოთ. (V ტ. გვ 312; გურიელმა ეს შეასრულა და ახალგაზრდა ბეგები მალე გაგზავნა ოსმალეთში, თან გააყოლა დიდი დახმარება და ყოველივე საჭიროება

ამ გარამოებისაგან სელიმ ფაშის ოჯახი თითქმის მოითხარა და მოისპო. ბაბა ფაშამ მოაძებნინა სელიმ ფაშის თანამგრძნობნი და მეგობარნიც, რომელნიც მას ამ ბრძოლაში დახმარებას უწევდენო, ასეთნი ყოფილან მრავალნი აჭარაში და ნამეტურ შირინ აღა აჭარელი, ბეგებს და აღიებს გარდა ამის მომხრენი ყოფილან ყველა სოფლის მამასახლისები (მუხთარი) და თავი კაცები, ყველა ესენი ბაბა სერესკირ ფაშამ პატიმარ ჰყო ყარაულ ქვეშ, ზოგი დასაჯა სიკვდილით, ზოგს დრო მიესაჯა პატიმრობის, როცა ყოველივე მოსპო და დაამუხლა, მის შემდეგ, იგი თავის ჯარით აჭარიდამ ახალციხეს გაემგზავრა, არზრუმის ფაშას გზაში მიეგება შერიფ ფაშა და თვისი ერთგულება განუცხადა, ფაშა ახალციხეში რამდენსამე ხანს დაშთა, საქმეები მოაწესრიგა, აქ მან რუსის მთავარ მარ-

თებელისაგან წერილი მიიღო, რომლითაც მას უქებდენ იმ სასჯელს, რომ სელიმ ფაშას თავი მოსჭერიო, რადგანაც იგი არც ჩვენს ქვეშევრდომთ ასვენებდაო, ქართლისა და იმერეთის სოფლების ასაკლებათ 700 ლეკი ჰყვანდა ჯამაგირით და მასთან ოსმალოს სულთანის წინააღმდეგი იყოვო. ესეც რასაკვირველია მთავრობის პოლიტიკა იყო.

იტყვიან: ეს სოფელი საშინელი ცრუ და მუხანათიაო. დედამიწას ცის ცოდვა არ შერჩება და ცას დედამიწისაო. ორივეს მოეკითხებათ ესაო, ანუ შენც წახდი მეც წამახდინე ორივე კი წავხდითო. სწორედ ასე მოუვიდათ ამ ფაშებსაც. უბედურება თუ სულთნის რისხვა არც შერიფ ფაშას მოაკლდა, ტყუილათ ღვარეს ამათ სისხლი, ტყუილათ დაღუპეს და ხოცეს იმოდენა ქართველ მაჰმადიანობა. ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ თვითაც დაიღუპნენ უბედურათ და მოისპნენ სულ. მაგალითებრ: არზრუმის სერესკერმა საქმიანობის გათავების შემდეგ, ახალციხიდან არზრუმს გაემგზავრა, მოტყუილებით თან გაიყოლა შერიფ ფაშა, ესენი მალე ჩავიდნენ არზრუმს, იქ შერიფ ფაშა დააპატიმრეს, მასთანვე განუცხადეს სულთანის რისხვა და ცნობა მასზედ, რომ შენც სელიმ ფაშის მომხრე ყოფილხარო, რადგანაც იგი ათაბაგობას ითხოვდა და უეჭველათ ამაში შენც მისცემდი დახმარებასა და ძალას, რადგანაც ათაბაგთ შთამომავალი მემკვიდრე შენ ხარ და ამის უფლება შენ გეკუთვნისო. ამიტომ შენ მოღალატეთ ითვლები სულთნის წინაშეო. 1816 წ. არზრუმში შერიფ ფაშასაც მოსჭრეს თავი და სტამბოლში სულთანს გაუგზავნეს.

ასე უბედურად დასრულდა როგორც საბიდ ფაშის დღენი, ისევე მის მეგობარ სელიმ ფაშა ხიმშიაშვილის და მათი მოკამათე შერიფ ფაშა ჯაყელის სიცოცხლის დღენიც. ეხლა ამათ შესახებ ითქმის შემდეგიც: მე ვფიქრობ, რომ თუმცა ყველა ეს ფაშები ქართველები იყვნენ და მათ მეტი შეგნება და ცოდნაც აქვნდათ თავიანთ ქვეყნის ავკარგიანობის და რაც

შეიძლებოდა ცოტა სისხლი დაღვრილიყოს, მაგრამ ყოველივე ამაებთან სამწუხაროთ იგინი იყვნენ მეტად მეამიტნი, ყველას ადვილად ენდობოდნენ და ვინც რას იტყოდათ მათაც ის ყოველივე სწამდათ ჰეშმარიტებათ, ოსმალოს მთავრობამ რა იცოდა ამათი ასეთი ხასიათი, ამიტომ მათ მოსასპობათ და გასაქრობათ გზავნიდნენ ჩუმ ჯაშუშებს და ამათ ისე ამოქმედებდნენ მათში, რომელთა ბოროტებითაც ეს ქართველ მეამიტი ფაშებიც ერთმანეთს ულვთოდ და შეუბრალებლათ ჟლეტავდნენ.

ეს გარემოება კარგათ შეიგნო სელიმ ფაშამ და ამიტომაც იგი როცა სამცხე საათაბაგოს მიჯნების ძიებაში იყო და ამის აღდგენას იგი რუსის მთავრობასაც ავალებდა, ამავ დროს, მას აზრი ჰქონდა, რომ თუ ძველი საქართველოს სამთავრო თავის მიჯნებით აღსდგებოდა, მაშინ ახალციხეშიათაბაგ ფაშად შერიფ ფაშა უნდა ყოფილიყო, ამის ცნობა სელიმ ფაშისაგან შერიფ ფაშამაც შეიტყო და ცოტა არ იყვეს ესეც მიხვდა იმ გარემოებასა და შეცდომებს თუ ჩვენ ერთმანეთს რა უბრალოთ, ვხოცავდითო, ესეც კი ნანობდა ამას და გონი ეს მისი შეგნება ოსმალოს მთავრობამაც კარგათ შეიტყო, რაისა გამო იგი ამ შეგნებისათვის სიკვდილით დასაჯეს, რადგანაც სახელმწიფო ჯაშუშების წყალობით ამ შეგნებაში იგინი ხედავდნენ ოსმალოს სახელმწიფოს ღალატს.

სელიმ ფაშა სამცხე-საათაბაგოს აღდგენისათვის იქამდის მოწადინებული იყო, რომ იგი ამისთვის არას იშურებდა, მართალია რუსებსაც ეკედლებოდა და 1811 წ. მან ამ მიკედლებისათვის საქართველოს მთავარ მართებლისაგან 1100 ოქროც მიიღო, მაგრამ ყოველივე ეს მოხდებოდა მაშინ თუ სამცხე საათაბაგოს გათავისუფლების საქმეში რუსებიც მიიღებდენ მონაწილეობას და მერე ამ კუთხეს მფარველობის ქვეშ იყოლიებდენ, რაც შეეხება ქართველ მაჰმადიანთ ერთგულებას, ამის შესახებ სელიმ ფაშა თამამად არწმუნებდა რუსის მთავრობას და თან თავის შვილს ახმედ ბეგს მძევლათაც

აძლევდა, რაშიაც მას უნდა მიელო კიდევ 200 ქისა ფული. შეიძლებოდა ახმეტ ბეგის მკვლელობა და ფულის მიცემაც მომხდარიყოს, მაგრამ ამას ხელი შეუშალა რუსთა და საფრანგეთის ომიანობამ.

ნაპოლეონ იმპერატორის გალაშქრების ამბავი რუსეთის იმპერიაზედ ოსმალეთში მალე შეიტყვეს. ამ ამბავს ოსმალნი სულ განაბულნი უმზერდნენ და ყველა მათგანი დარწმუნებული იყო მასზედ, რომ ნაპოლეონ იმპერატორი რუსეთს აიღებსო. ამიტომ ოსმალთაც იფიქრეს, რომ შეიძლება ეხლა ჩვენც ვისარგებლოთ და გურჯისტანი წავართოთ მათაო. ამიტომ ოსმალთა ფაშები თავიანთ ჯარით ახალციხის მხრით ქართლსა და იმერეთსაც დაეცნენ; ამათმა ლაშქრობამ 1813 წ. ნახევრამდე გასტანა, ამ გალაშქრების დროს სელიმ ფაშამ იხმარა თავისი სიტყვის შენახვა რუსეთის მთავრობის წინაშე და იგი თავისი ჯარით სხვა და სხვა ფაშებს არ შეუერთდა, ავადმყოფობა მოიგონა და მით აიცდინა თავიდამ ხალხის ხოცვის საქმე, ვითომ შერიფ ფაშასაც ეს აზრი ჰქონდა თურმე ამ გალაშქრებაზედ, რაისა გამო იგიც გახდა მსხვერპლი მისი.

სელიმ ფაშაზედ იტყოდნენ, რომ მართალია იგი ამ დროს აჭარაში ფაშობდა და ოსმალოს მთავრობის მახვილისაგანაც თავს იფარამდაო, მაგრამ ასეთ მუსულმანთ საერთო ომის საქმეში კი იგი უსათუოდ თავის სახელმწიფო ოსმალოს საზოგადო მტრის წინ კი ბრძოლაში უნდა გამოსულიყო და სხვა და სხვა ფაშებს შეერთებოდაო. მაგრამ სელიმ ფაშას იქამდის აქვნდა განღვიძებული თავის სიტყვის დაპირების მიცემის მნიშვნელობა, რაისა გამო იგი ასეთ გალაშქრებისგან შორს დადგა და ავათმყოფობა მოიგონაო. ამას თურმე სცოდნოდა ის გარემოება, რომ რუსეთს ნაპოლეონი ვერ აიღებსო, ვერც ოსმალეთი გურჯისტანს წაართმევს ნასო. ამიტომ მე მიჯობს ჩემთვის ვიყოვო, ამიტომაც იგი დარჩა თავისთვის, რაც თურმე ოსმალეთის მთავრობისათვის დიდათ საწყენიც იყო

და სწორედ ამის შემდეგ უფრო მოიწადინეს მათ სელიმ ფაშის დაუძლურება, ფაშობის წართმევა და აჭარიდანაც გაძევება, რაც მათ მართლაც აღასრულეს და 1815 წ. ყოველივე მოაწყეს და შეასრულეს ისე, რომ სელიმ ფაშის თვით სახლკარიც კი აღარ დასტოვეს აუკლები და დაუწვავი, როგორც ეს ჩვენ ზემოდ ავნუხსეთ.

ქართველ ფაშებისაგან ოსმალეთის სახელმწიფო 1800 წლის შემდეგ უფრო საშიშ მდგომარეობაში ჩავარდა, მათ აღარ იცოდნენ რა ექნათ, ათაბაგ გვარის ფაშებთ საქართველოში დაბრუნება შეცდომათ მიიღეს, ამიტომ საქართველოში თუ ვინმე ფაშები იყვნენ ყველა მათ ოსმალეთის შუა გულ ქალაქებში დაუწყეს გარეკა და მათ მაგიერ სულ ოსმალოს თათრის ტომის ფაშებს ნიშნავდენ, რაც შეეხება ახალციხის ვალი ფაშობას, ესეც ამ წლიდან მოშალეს და ახალციხის ფაშა მარტოდ თავის საბრძანებლის ფაშად დანიშნეს, სხვა ფაშებზედ მას გავლენა აღარ აქვნდა, ასე რომ ახალციხე შეიქნა უბრალო საფაშალიკოდ, ქართველ ფაშების მოსპობა აქ ოსმალოს მთავრობამ მიტომ აირჩია, რადგანაც ამათ რუსების დიდი შიში აქვნდათ, ფიქრობდენ: ვაი თუ გურჯი ფაშები გიაურ გურჯებს მიემხრნენ, ენა და ქვეყანა ერთი აქვსთო და ჩვენ გადაგვიდგნენ და რუსებს მიემხრნენო.

ასე ფიქრობდენ და თან იმის ფიქრი და შიშიც აქვნდათ, რომ აჭარლები მოუსვენარი ხალხია, ვაი თუ ქართველ ფაშების საქართველოდამ გაძევება წინანდებურად ეწყინოსთო, და ამიტომ ჩვენც მტრობა დაგვიწყონო, მეტი გზა არ აქვნდათ შიშისაგან, მათ ქართველ მაჰმადიანები ეპვის ქვეშ ჩააგდეს და ამიტომ მთელს სამუსულმანო საქართველოში გაამრავლეს სხვა და სხვა ოსმალოდამ გამოგზავნილი ჯაშუშები, თითო ბეგის ოჯახს თითო ჯაშუში დაუნიშნეს, ჯაშუში მესხეთ ახალციხეს, ჯაშუში ჯავახეთ ახალქალაქს, ასევე აჭარას, ქობულეთს, ართვინს, ჩილდირს და თითქმის ყველგან სადაც კი ქართველ მაჰმადიანები სცხოვრებდენ. ამ ჯაშუშების საი-

დუმლო ამბები ქართველ მაჰმადიანებმაც მალე შეიტყვეს, რადგანაც ესენი ძრიელ ხშირად აბეზღებდენ ისეთ პირებს, რომელნიც რამე სავაჭრო საქმის გამო ქართლსა და იმერეთში ქრისტიან ქართველებთან გადმოდიოდნენ, ამისთვის მათ ოსმალოს ღალატს სწამებდენ და მერე თავსაც სჭრიდნენ, ასეთმა გარემოებამ ქართველ მაჰმადიანები ისე დააშინა, რომ მათ ფეხი ამოიკვეთეს და შიშით ველარსად გადმოდიოდნენ.

ოსმალოს მთავრობასაც ეს უნდოდა, ამით ფიქრობდა ამ კუთხის მაგრად შენახვას, თუმც ახალციხეშიაც 1816 წ. თათრის ფაშა დანიშნეს, რომელიც ქართველ მაჰმადიანებს არას დროს არ დაუვარდებოდა, არავის რას შეარჩენდა და ერთი უბრალო რამ რომ ენახა, ის მაშინათვე იმას სიკვდილით დასჯიდა, ერთის სიტყვით თათრის ფაშებმა ისე მოდრიკეს ბუნტოვჩიკ ქობულეთელ აჭარლები, რომ ოსმალოს მთავრობას ქართველ მაჰმადიანების ფიქრი სულ აღარ უნდა ჰქონიყო, მაგრამ მაინც ამ დროსაც შიში აქვნდათ ამათ განდგომის და ამიტომაც მათ ერთის მხრით ულოლიებდენ კიდეც, რომ საბოლოოთ რამე ხრიკი არ გვიყოონო. ამიტომ ესენი ქართველ ბეგებს პატივს სცემდენ, მათ ეჭვ ქვეშ არ ამყოფებდნენ, დანაშაურსაც ხშირად აპატიებდენ, ამას გარეშე სხვა და სხვა დამნაშავებსაც ოსმალეთიდამ საქართველოში აბრუნებდნენ, ყველას დანაშაულს ივიწყებდენ, ასევე პატივი მიაპყრეს სელიმ ფაშის ოჯახს და ახმედ ბეგი და მისი ძმაც დააბრუნეს სტამბოლიდამ 1816 წლებს. აჭარაში და პატივიც აგეს, მასთან სხალტის ხეობის საგვარეულო უფლებაც დაუბრუნეს.

თუმც ოსმალოს მთავრობა ასე ფიქრობდა და დაიმედებული იყო ქართველ მაჰმადიანთ ერთგულებაზედ, მაგრამ მათ მაინც ფიქრი აქვნდათ ამათი იმ გარემოებიდანაც, რომ სელიმ ფაშას თავის მოკვეთის დროს დაუყვირნია: **მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით რომ, გურჯისტანი ოსმალს საუდამოდ არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებსაც დაუტოვებ-**

მართლაც და მეც მიამბეს აჭარაში მოხუცებულთ და სთქვეს: ჩვენში ამბათ იყო თქმული, რომ სელიმ ფაშას თავის შვილებისათვის გურჯისტანის საქმეები დაუვალებიაო, ხალხის თქმით ეს დავალება უნდა აიხსნას სამცხე-საათაბაგოს რუსეთის საქართველოსთან დაკავშირებით. ამიტომაც თურმე ახმედ ბეგს სულ აქეთ ეჭირა თვალიო. აქეთ დაჭერის გარეშე იგი გურიის მთავრებსაც დიდათ ესიყვარულებოდაო. ამავე დროს, ეს რასაკვიველია თავის სახლკარსაც ამაგრებდა და საოჯახო ქონებრივის ძალითაც წინაურდებოდაო, ახალციხის ფაშასთან ამას თურმე კაი განწყობილება აქვნდა. იმერლებს, ქართველებს და რუსის მთავრობასთან კავშირსაც მეზობლურის განწყობილებათ აცხადებდა.

მაინც ამას სახელმწიფო ჩუმი ჯაშუშები თვალყურს ადევნებდნენ და სტამბოლში ცნობებს გზავნიდნენ, რომ ახმედ ბეგი მამის გზას ადგა და რუსებს ემხრობაო. ბევრი მიწერ-მოწერის და დაბეზღების შემდეგ მთავრობისაგან ბრძანება მოუვიდა თურმე ახალციხის ფაშას, რომ ახმედ ფაშას თვალყური ადევნეთ და თუ წინააღმდეგი რამე შეამცნიოთ, მაშინათვე დაეცით მის სახლ კარს და აიკელითო. ამის ვალი მალე შეასრულა ახალციხის ფაშამ და 1818 წელს ახმედ ბეგის სახლკარს დაეცა ფეხლევან ფაშა, ზიკლო ყოველივე და ისე დასწო და დადაგა, რომ ახმედ ბეგს საცხოვრებლად ალარა დაშთენია რა. მერე იმავ ჯაშუშებს გაუვრცელებიათ ხმები და გურიაში მამია გურიელსაც შეატყობინეს, რომ ახმედ ბეგი აჭარლებს აგროვებს, თქვენ უნდა დაგეცეს და ქონება წაგართვათო. ეს ამბები გურიელმა საქართველოს მთავარ მართებელსაც აცნობა, მაგრამ მალე გაიგო სიმტყუნე ჯაშუშების და ამის მიზეზებიც. გურიელმა მალე შეატყობინა მთავარ მართებელს, რომ ახმედ ბეგის შესახებ ცნობები ტყუილია, ჩვენი შეძულება სდომნიათო. გინდ რომ მან ჩვენი აკლება მოინდომოს, იგი მაინც ვერას გააწყობს, რადგანაც უძლური არისო. ეს ამათში მით უფრო არ მოხდებოდა, რად-

განაც სელიმ ფაშის შვილი აბიდ ბეგი დანიშნული იყო სიმონ გურიელის ქალს კესარიაზე, რომელიც ქრისტიანად დაშთა მათს ოჯახში, აბა ასეთი მტრობა რათ მოხდებოდაო. ამას მარტო სახელმწიფო ჯაშუშები სთხზავდნენ სამტროს ჭორებითა, რომ მათში მტრობა ყოფილიყო დანერგილიო. ხიმშიაშვილების და გურიელების გვარის მტკიცე ერთობას ისიც მოწმობს, რომ ხიმშიაშვილის ოჯახში, კესარიას ნაშობი ერთი ასული ესმა ქრისტიანად იქმნა აღზრდილი და მერე იგი გამოთხოვილ იქმნა სამეგრელოში თავად ჯაიანზედაის. ამათ შორის სიყვარული ძველადგანვე ისე ყოფილა დაცული, რომ თვით გურიელის ასული პატარა კესარია სელიმ ფაშის ოჯახში აღზრდილა. ამიტომ ახმედ ბეგმა ასეთ ცრუ ჯაშუშების მტრობა ვეღარ აიტანა, დაიწყო მეცადინეობა სულთანის წინაშე, თავის გამართლება და ყოველნაირი ცილის წამების მოცილება. ეს მალე წავიდა სტამბოლში, ყოველივე საქმე გააკეთა, თავი გაიმართლა ყოველივე ცილის წამებათ დაასაბუთა. იგი პატივცემულ იქმნა სულთანისაგან და მალე საქართველოში დაბრუნებული. ამან იქ საჩუქარიც მიიღო, გადაწვა-დადაგვის ანაზღურიც.

ახმედ ფაშა აჭარაში მალე მოვიდა, 1820 წ. ეს საქართველოშია, იგი დაახლოვებულ კავშირს იჭერს ახალციხის იმ დროის ალი ფაშასთან. ასევე კავშირი აქვნდა ამას ალი ფაშის შემდეგ ახალციხეში ჰაჯი სალახ ფაშასთან. აქ ამ კავშირისთვის ვიტყვით შემდეგსაც: ძველადგანვე ქართველ მეცხვარე თუშები და ფშავ ხევსურნი თავიანთ საქონელს ყოველთვის არსიანის მთაზედ რეკავდენ საძოვრად, ამისთვის იგინი ნებართვას იღებდენ ახალციხის ფაშებისაგან და ამიტომ მისთვის ფულსაც იხდიდნენ. თუშებს და ფშავ ხევსურებს ძველადგანვე კაი ცნობა აქვნდათ აბდულ ბეგი ხიმშიაშვილის, რადგანაც ესეც დიდი ცხვრის პატრონი იყო და ისევე ძროხის და ასეთის სულადის საქონლისა. ამიტომ ესენი ყოველთვის თავიანთ მეგობარს ახმედ ბეგს მიმართავდენ ხოლმე და ავალებდნენ ფაშის წინ შუაკაცობას და ნებართვის გამორთმევას, რაც ყოველივე ახმედ ბეგისაგან ადვილათ ხდებოდა.

ახმედ ბეგი ქართველ მთიელ ხალხის დიდი მფარველი იყო, იგი მათ ისე იცავდა, რომ მთიელთ არსიანის და ჩირუ-ღის საძოვარს მთებზედ მთელს ზაფხულში ერთი ცხვარიც არ ეკარგებოდათ. ახმედ ბეგი მათ ისე უწევდა მფარველობას, რომ მასზედ უკეთესი აღარა იქნებოდა რა, ამიტომ ახალცი ხის ფაშა მისი დიდი მადლობელი იყო და ახმედ ბეგის ასეთი შეცადინეობა სტამბოლშიაც აცნობეს, რომელ ცნობის გამო ახმედ ბეგს კაპუდჟიბაშობაც მოუვიდა (პრისტავი), ეს თანა-მდებობა მან ჩინებულად მართა და ამით მან იქამდის მიაღ-წია, რომ 1826 წ. ფაშობაც მიიღო და დროებით სამთავ-როთ აჭარა ჩაბარდა და მალე ახალციხის ფაშად დანიშნავ-დენ, მაგრამ ამ გარამოებას ხელი შეუშალა 1828 წ. ომის დაწყებამ რუსეთს და ოსმალეთს შორის, მიტომ ახმედ ფა-შა, დროებით დაშთა აჭარაში, ხოლო ომიანობის დროს იგი ახალციხეში სცხოვრებდა და ომშიაც იღებდა მონაწილეობას თავის აჭარელთა მეომრებით. ამისავე დროს აჭარაში სხვა ფა-შებიც სცხოვრებდნენ, მაგალითებრ ასედ ფაშა და ოსმან ფა-შა, ახალციხის რუსთაგან აღების შემდეგ ეს ფაშები აჭარაში დაშთენ და აქ სცხოვრებდნენ.

ფაშობის მიღებისთანვე, ოსმალოს მთავრობამ ახმედ ბეგს წყალობა უბოძეს და მასთან დაავალეს აჭარაში დროებითი საომარ ჯარის შეკრება, რადგანაც ქართველ მაჰმადიანები ოსმალთ ჯარის კაცთ არ აძლევდენ. ახმედ ფაშამ მთავრო-ბის დავალება შეასრულა და ქართველებში 20 ათასი ჯარის კაცი შეკრიბა. ომში ახმედ ფაშა დიდს მონაწილეობას იღებ-და, ამას დაეხოცა კარგა ბლომა ჯარი, ისე რომ ომის შემ-დეგ მას შერჩა მხოლოდ ძრიელ ცოტა, დახოცილთ გარდა ზოგი აქეთ იქეთ გაგზავნეს საომრათ, თვით ახმედ ფაშას შერჩა 5000 მეომარი, ახალციხის ომი ოსმალთ მარცხათ წა-უვიდათ, ამ დროს ახალციხის უფროსად იყო ქოსა ფაშა და მთელის ჯარის მთავარ სარდლად იყო გაგიკ ფაშა და ამათ გარდა სხვა ფაშებიც იყვნენ, მაგრამ ომში ყველას ახმედ ფა-

შა სჯობნიდა, იგი თურმე თავის ჯარით ჩინებულად ომობდა. ამიტომაც იყო, რომ ახალციხის აღების შემდეგ, ახალქალაქში გამაგრებულ ახმედ ფაშას ოსმალოს მთავრობამ ხელ ახლა დაავალა აჭარაში ჯარის შეკრება და ახალციხეზედ დაცემა. უთხრეს, რომ თუ შენ ჩვენი ერთგული ხარ, მაშინ რაც ვინდა ბევრი სისხლი დაიღვაროს, მაინც ახალციხე უნდა დაიპრუნოვ.

ახმედ ფაშამ მთელს გურჯისტანში ახლად მოკრიბა მეომარი ხალხი და ნამეტურ აჭარა. ქობულეთ, ლივანიდამ, მალე ისე მოაწყო საქმე, რომ ახალქალაქში ამას 60 ათასი მეომარი ჰყვანდა და მასთან აქვნდა დიდი ძალი საომარი იარაღი, ამასვე შეუერთდა ყარსის ფაშა თავის ჯარით და საომარის იარაღით და ასევე არტაანის ფაშა. ახმედ ფაშას მეთაურობდა გაგიკ ფაშა, საომარი ძალით კარგათ იყვნენ მოწყობილნი, მაგრამ ომის ასპარეზზედ მაინც ვერას ვახდნენ და რუსთაგან მაგრათ იქმნენ ძლეულნი. და ახალქალაქიდამაც განდევნილნი, თორემ აქ სულ გასწყვეტდენ მათ. აქ დიდი შნო გამოიჩინა ახმედ ფაშამ და თათრის სხვა ფაშებმა კი ვერაფერი შნო და საომარი ჰუნარი გამოიჩინეს, ამათ რომ დაეყოლებინათ ახმედ ფაშა, მაშინ გონი მთლად იგინი რუსებს ტყვეთ ჩავარდნოდენ, მაინც აქაც მათ ბევრი ხალხი დაკარგეს და ბოლოს ძლეულ იქმნენ, ამათ თავიანთ საომარი ძალა ჩილდირში გადაიტანეს

ახმედ ფაშის სამხედრო ნიჭიერების ცნობები ოსმალოს მთავრობასაც მისდიოდა, ამ ომიანობის დროს, ახმედ ფაშამ ისე გამოიჩინა თავი, რითაც მან უტყუვრად დაასაბუთა თვისი ერთგულება ოსმალოს მთავრობის წინაშე, ასე რომ ამის შემდეგ მათ წინაშე ახმედ ფაშა აღარ იყო საეჭვო ფაშათ შიღებული. იგი იყო სრული ერთგული ოსმალოს მთავრობის, თუმცა მას თვისი მამის დავალება და სისხლის დაღვრაც არ

ავიწყდებოდა და რომ შემთხვევას ხელი შეეწყო, მაშინ თვით ესეც დაადგებოდა იმ გზას, რომ მისი მამის სელიმ ფაშის გეგმა შესრულებულიყოს და სამუსულმანო სამცხე-საათაბაგო ოსმალოს სახელმწიფოსაგან გამოყოფილიყოს და საკუთარი სამუსულმანო გურჯისტანი დაარსებულიყოს. ახმედ ფაშას ამის შესახებ ასეთი აზრი ჰქონდა, თუ სამუსულმანო გურჯისტანი გაკეთდება, მაშინ ვინც მას დაეხმარება ამ გაკეთებაში, ვინც მისი მფარველი იქნება, მაშინ ჩვენც მისი ყმანი ვიქნებით და ხარჯის მძღეველნიო. ამას თუ ოსმალეთი იზამს ხომ უფრო უკეთესიო, მაგრამ ესენი ამას არ იზმენ და რომ ექმნათ, მაშინ აღარც გურჯისტანი იქმნებოდა ასე, ამისთვის არც მამაჩემს მოსჭრიდენ თავს, სახლკარს არ დაუწვამდენ, არც ჩვენ აგვაწიოკებდენ და დაგვწომდენო. არა, ოსმალოს ეს არ უნდა, მას სურს რომ გურჯისტანი მისი ყმა და მონა იყოს და უცხო ფაშის ბრძანებას ემორჩილებოდესო.

ეს რომ ასე იყო და ოსმალეთისთვის საქართველოს დაკარგვა მეტად ძნელს საქმეს შეადგენდა და ესენი ამ სახიერ ქალ-ვაჟთა მომცემ კუთხეს ადვილად ვერ დასთმობდენ, ოგი ყველამ კარგად იცოდა, და მით უფრო ახმედ ბეგმა. ამიტომაც ომის დაწყების წინათვე ახმედ ბეგმა რუსის მთავრობასთან მიწერ მოწერა დაიწყო საიდუმლოდ, ეს მიწერ-მოწერა ისე ოსტატურად იყო მოწყობილი და დაშთენილი, რომ მისი საიდუმლოება იმ დროს კი არა და შემდეგაც არ იქმნა ოსმალოს მთავრობისაგან გაგებული, თორემ ახმედ ბეგსაც ისევე მოსჭრიდენ თავს, როგორც მის მამა სელიმ ფაშას და სხვათაც ასეთებს. წერილების მიწერ-მოწერა ახმედ ბეგს ქართულად ჰქონია გამართული, ამას გარეშე მას ჰყოლია ისეთი სანდო პირნი, რომელთაც პირადათ ავალებდა საქართველოს მთავარმართებელთან მოლაპარაკებას, ამათ გზავნიდა და ყოველივეს ატყობინებდა და პირობას აძლევდა. ამ მიწერ-მოწერასა და კაცების გაგზავნ-გამოგზავნის საქმეებში კაი ამაგი მიუძღვით ახალციხის ქართველ კათოლიკებს

რომელთაც ახმედ ბეგთან მეტად კარგი განწყობილება აქვნდათ, მაინც ასეთ განწყობა ქართველ კათოლიკების ამათ წინაპრებთანაც კარგად ყოფილა ყოველთვის, ამის მაგალითია შემდეგი: 1799 წ. 11 ივლის, ახალციხეში, იმ დროის გამოჩენილ ქართველ კათოლიკე კრუხიჭამიანთ ლუკას ქალს, სელიმ აღის თავოსნობით და ბრძანებით ნიშანი უკურთხეს. ეს კრუხიჭამიაანი არიან ახალციხის ძველი მკვიდრ კათოლიკენი, ამათი ძველი გვარი ხურსიძეა, ოსმალთ ხელში კი ისარლოვი დაერქვათ, ანუ ისარლი აღასი, ეს ისარლი აღასი ოსმალურად ციხის კარის მცველს ნიშნავს. ერთი ხურსიძეთაგანი ახალციხის კარის მცველი ყოფილა და ამიტომ დარქმევია მას თანამდებობის სახელი გვარად. მაინც ოსმალთ ჩვეულება აქვნდათ, და სამცხე-საათაბაგოში ქართველ მაჰმადიანთ გარეშე გვარებს ოსმალურად თვით ქართველ კათოლიკებსაც უცვლიდენ. მაგალითებრ ახალციხეში, ვისაც რა ხელობა ეკავა ხელთ, იმას იმ ხელობის სახელს არქმევდენ გვარად, მაგალითებრ, როგორც ყალაიჯოვი, ჩარახჩიანი, ჩილინგაროვი, მანქანდაროვი (მანქანა) და სხვაც მრავალნი ასეთნი.

დიახ, უნდა ითქვას, რომ ქართველ კათოლიკებს ყოველთვის დაახლოვებული კავშირი აქვნდათ ხიმშიაშვილების გვარის წევრებთან და ამიტომ საფიქრელია, რომ ახმედ ფაშის საიდუმლო განძრახვაში ამათაც ექმნებოდათ მონაწილეობა მიღებული და ნამეტურ ქართველ კათოლიკეთ მღვდლებს, რომელთაც ერთობ დაახლოვებული მეგობრობა აქვნდათ ყოველთვის არა მარტო ხიმშიაანთ გვარის ფაშებთან, არამედ ახალციხის ყველა ფაშებთან. ასე იყო თუ ისე, ან როგორც იყო და ვისგანაც, ანუ ვისის ხელმძღვანელობით და მისვლა მოსვლით სწარმოებდა ეს საქმეები, ეს ჩვენგან იქით იყოს და მოვიყვანთ იმას თუ ახმედ ბეგი რას პირდებოდა იმ დროის საქართველოს რუსის მთავარ მართებელს, რა და რის შესრულებას სთხოვდა და ავალებდა. ყოველივე ეს ისტორიული ჭეშმარიტება არის და ნამდვილი.

ახმედ ბეგი რუსის მთავრობას სთხოვდა, რომ მათ მიეღოთ საქართველო თვისის მფარველობის ქვეშ, მთელი სამცხე-საათაბაგო თავის საზღვრებით და ძველის მიჯნებით გამოეყოთ ოსმალოს სახელმწიფოსაგან. სამუსულმანო გურჯისტანი იქნებოდენ რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ, იგინი იქნებოდენ რუსეთის ერთგულნი და ყოველთვის მტკიცეთ დაიცავდენ რუსეთის საქართველოს მხრით ოსმალოს მიჯნებს, ყოველთვის ეცდებოდენ, რომ ოსმალთ აქეთკენ ფეხი არ წარედგათ, საქართველოს არ დასცემოდენ, ან რუსეთის მხედრობისათვის არაფერი ევნოთ. მუსულმანი ქართველები ყოველთვის მკვიდრად დაიცავენ თავიანთ ქვეყანას და მათ ყოველთვის მეზობლური განწყობა ექმნებათ ოსმალეთის და რუსეთის, რადგანაც ეს ხალხი და სამთავრო ამ ორ სახელმწიფო სამფლობელო ადგილებს შუა სძევს. უმეტესად კი ეს ქვეყანა იქმნება რუსეთის მოსიყვარულე და ნამეტურ საქართველოსი და ქართველობის, რადგანაც ეს ჩვენს მამაპაპებსაც სურვებია ასეთ. სამუსულმანო ქართველების სჯული იქნება ისლამის, როგორც არის დღესო, ენა იქნება ქართული, ფული იმუშავებს რუსული, ანუ ის ქართულ-რუსული ფული. რომელიც მაშინ თფილისში იჭრებოდა და რომლის ზარაფხანა არსებობდა ძველთაგანვე, ანუ მეფეების დროდან. მართვა გამგეობა, ანუ სამართალი იქნება ადგილობრივ მუსულმანური, იქნება მეჯლისები, ყადები და სხვა ასეთ სამუსულმანო სამართველონი, გარდაწყვეტილება იქნება მუსულმანურის კანონით და წესით, მეთაური მთელი ამ კუთხისა იქნება ახალციხის ფაშა; ერთი ფაშა რომ დაბერდება და მოკვდება, მერე ამ თანამდებობას რუსეთის ნებადართვით და დამტკიცებით მიიღებს გარდაცვალებულის ფაშის შვილი, თუ შვილი არ იქმნა მაშინ მისი ვინმე მემკვიდრე.

რადგანაც ფაშები ყოველთვის რუსეთის იმპერიის ერთგულნი იქნებიან და მორჩილნი ისევე როგორც დღეს გურიელი და დადიანი არის, ამიტომ ახალციხის ფაშას უნდა

ეძლიოს მათგან ჯამაგირი, ანუ საცხოვრებელი. ყველაფერს ერთგულებას ჩვენ წმინდათ და სუფთათ შევასრულებთ, ხოლო ყველა ამის სანაცვლოთ ჩვენ თუ მოგვცემენ აი რას: 1, მე დამამტკიცებენ ახალციხის ვალათ, ანუ გუბერნატორ ფაშად, და ამის მემკვიდრეთ ჩემს შვილებს და შვილისშვილებს იცნობენ და ეს ფაშობა ძველ ათაბაგობის კვალად ერთის თაობისაგან მეორეზედ გადავა და მათ ეს არას დროს არ წაერთმევათ, 2, მე თუ მიბოძებენ საცხოვრებელს და მომცემენ გენერლობას და ლურჯ ლენტს, და 3, თუ ყოველთვის ჩვენი მფარველნი იქნებიან და დაგვეხმარებიან რომ ჩვენ სხვათაგან არ ვიქმნეთ აკლებული. ამის შესახებ გენერალს გიორგი ყაზიბეგს შემდეგი სტრიქონები აქვს მოყვანილი თავის წიგნში*) რუსულ ენაზედ, ამიტომ მომყავს აქ, რომ ჩვენი საუბრის შესახებ ეჭვი არავინ იქონიოს:—„Если только русскіе оставить за нимъ Ахметъ Пашей, его владительскіе права и дадутъ чинъ генерала и ленту“ და სხვანი რა

ახალციხის ომში რუსებს გარდა ქართველნიც ცხარეთ ომობდნენ, იგი აღებულ იქმნა გენერალ მალხაზ ანდრონიკოვისაგან 15 მარიამობას 1828 წ. რამაც დიდი სიხარული დაბადა თურმე ქართველთ შორის. ამ ომში ოსმალთაგან სამი ფაშა იბრძოდა ქოსა მემედ ფაშა სამ თუღიანი, ახმედ ფაშა ორ თუღიანი და მუსტაფა ფაშა. ერთ დღეს მოუკლეს 300 იანიჩარი, 1500 ლაზი და ქართველი მაჰმადიანები 1000 კაცზედ მეტი. ფაშების მთელი სიმდიდრე და ძალა რუსებს დარჩათ.

ახალციხის აღების საქმეში აი რა ზეპირი ცნობებია მესხეთისაკენ ხალხში დაშთენილი. რუსის მთავრობას იმ დროის ახალციხის ქართველ ურიებმა თურმე კაი დახმარება გაუწიეს. ერთმა ურიამ თავი მოიმკვდანურა თურმე. ეს ურიებმა დაასაფლავეს ოსტატურად, ამათი სასაფლავო ქალაქ გარედ იყო. საღამოს საფლავიდან ურია ამოძვრა, მივიდა ჩუმად რუსის მთავარმართებელთან და ყოველივე ცნობები აუწყა ოსმალთ შესახებ, რის მეოხებითაც ახალ ციხე მალე იქმნა რუსთაგან აღებული.

ისტორიულად ვიცით, რომ ახალციხის გარდა რუსებს ოსმალებთან ომები ჰქონდათ ყარსს, არზრუმს, არტაანს და სხვაგანაც. მაშინ ამათ არზრუმიც დაიჭირეს, ვიცით ისიც რომ ბევრი ომების და სისხლის ღვრის შემდეგ რუს-ოსმალოს შორის მორიგებაზე ლაპარაკი დაიწყეს და 1829 წ. უკვე შეიკრა პირობა მორიგებით საქმის გათავებაზედ. ამ პირობის დასადებათ რუსეთის, ოსმალეთის და სხვა სახელმწიფოების წარმომადგენელნი ქ. ადრიანოპოლში შაიყარნენ, აქ მორიგება მოხდა, მორიგება ისე ხდებოდა, რომ რუსეთის საქართველოს უნდა შემოერთებულიყო ოსმალოს საქართველოს ზოგი ადგილები; მაგალითებრ ჭოროხი უნდა ყოფილიყო საზღვარი, ჭოროხის აქეთა ნაპირი ადგილები რუსეთის იმპერიის საქართველოს უნდა დაკავშირებოდა, აღმოსავალ-სამხრეთით ამის მიჯნა იქნებოდა იქ, სადაც ძველი საქართველოს საზღვარი

თავდებოდა და დასავლეთ რუსთა საზღვარი იქნებოდა ბათუმთან, ესე იგი მთელი ლივანის ხევი, ნახევარი კლარჯეთი და ნახევარი შავშეთი 1828 წ. დაუკავშირდებოდა საქართველოს. ოსმალეთს კი დარჩებოდა ჭოროხის იქითა მხარე, ნახევარი ლივანის ხევი, მურღული, მთელი ლაზისტანი და მასთან კიდევ სხვაც ბევრი ადგილები ძველის საქართველოს ათაბაგებისა.

მორიგების დროს, სახელმწიფო კაცთა შეცდომა მოუხდათ და საზღვრად მდინარე ჭოროხი კი არ იხმარეს, არამედ ლაპარაკში სულ ჩოლოქს ხმაროობდენ, ამის გარჩევა რუსებს არ ჰქონდათ, ინგლისელებმა იქნება იცოდნენ კიდეცა და ოსმალნი კი სულ ჩოლოქს ხმაროობდნენ ჭოროხის მაგიერო, ამ გარემოებას ისიც უწყობდა ხელს, რომ რუსებს ჭ. ასო არა აქვსთო. ასე და ამ გვარად მორიგების პირობა დაიწერა და პირობაში ჭოროხის აქეთა მხარე იგულისხმებოდაო, მაგრამ მორიგების შემდეგ ყოველივე გათავდა, პირობა ორსავ მხარეს ხელთ დაიჭირეს და როცა საზღვრებს გაყოფა მოუნდომეს, მაშინ ოსმალთ ჭოროხის მაგიერ ჩოლოქი ამოიკითხეს პირობის ტრაქტატში და მასთანვე უჩვენეს და მიუთითეს ჩოლოქსა და მის საზღვრებზეო. ამისაგამო დიდი არევ დარევა მოხდა, რუსთა და ოსმალთ შორის დავა გაიმართა, მაგრამ შეცდომას კი არა ეშველა რა და რუსთა საზღვრათ ჩოლოქის მდინარე დაინიშნაო, ამის დავა კი სახელმწიფოთ შორის არ მოისპო და იგი 1854 წ. რუს-ოსმალოს ომითაც განახლდა.

მორიგების და საზღვრების დანიშვნის შემდეგ, ახმედ ფაშა არზრუმში გადიყვანეს. იქ დიდი თანამდებობა სერასქერობა მისცეს, იგი იქ გადაიცვალა 1886 წ. აჭარელთა სიტყვით ახმედ ფაშა დაუსაფლავებიათ ლალა ფაშის ჯამეში დიდის პატივის ცემით. ეს ახმედ ფაშა იმავ დროს, ყარსის ფაშადაც იწოდებოდა. ამის გარდაცვალების შემდეგ სახლობა ამის შვილებით აჭარაში გადმოსახლდა. ამის შვილი გახლდათ ცნობილი შერიფ ბეგი ხიმშიაშვილი. ამ ფაშის სახლობა სა-

ხლში სულ ქართულ ენას ხმაროობდა. მათში ქართული წერა-კითხვაც ყველამ იცოდა, თვით ახმედ ფაშისაგან 1830 წლებში ქართულად მოწერილი წერილები ქობულეთის ბეგებთან მეც მქონდა. გენერალ გიორგი ყაზბეგის სიტყვით, ახმედ ფაშას თურმე გენერალ ბებუთოვმა დიდათ აწყენინა თურმე, ძალიან გააბრაზა, თორემ ეს რომ არ მომხდარიყო, მაშინ შესაძლებელი იყო, რომ ახმედ ფაშა ოსმალთ არც კი გაჰყოლოდა არზრუმში სამსახურად და რუსის მთავრობის სამსახურში ჩაირიცხებოდა გენერლადაო*).

ახალციხის აღების დროს, სამწუხაროდ, ქართველ მაჰმადიანებში ბევრი თუ შეერთების მოსურნე იყო, ბევრი წინააღმდეგიც ვახლდათ და ნამეტურ იმ დღიდან რაკი გამარჯვება რუსებს დარჩათ. ახალციხე აიღეს, მერე ახალქალაქი და მას შემდეგ სხვა ადგილებსაც იღებდნენ. ამ დროს, ქართველ მაჰმადიანთა შორის გაჩნდენ ისეთი მქადაგებლები, რომელნიც ქართველ მაჰმადიანებს უქადაგებდნენ ასე: დაიღუპა მუსლიმანობა, რუსები მოვიდნენ, ჩვენი აქ დგომა აღარ იქნება, თავს უნდა ვუშველოთ და წავიდეთ, გადავსახლდეთ ოსმალეთში. ასეთი პირნი დღე და ღამე ამაზედ მეცადინეობდნენ. ხალხი შეაშინეს, ათასნაირი მტროობა და ბოროტება და სჯულის დასაღუპი შიში, სულის წასაწყმენდი დარდი ჩაუნერგეს, ბედშავ მესხელ-ჯავახელნი ერწმუნენ და ვანიძრახეს აყრა და წასვლა ოსმალეთში სულის საცხონებლათ. ეს გარემოება, ანუ ქართველ მაჰმადიანთა აყრა და გადასახლება არც რუსის მთავრობას მოეწონა, ამათ კაცები მიუგზავნეს და შეჰპირდნენ, რომ თქვენ თქვენს ალაგას დარჩით და ჩვენ არაფერს დაგიშავებთ, თქვენს სჯულს პატივით მოვექცევით და ყველაფრით უზრუნველ გყოფთო, ოღონდ ნუ იშლებითო.

ქართველ მაჰმადიანებმა კი მაინც არ დაიშალეს, ამათ დაიწყეს გადასახლებისთვის სამზადისი და მაჰულების ოხერ ფასად დასყიდვა. მალე დაიწყეს გადასახლებაც, მათი გადასახ-

*) ლაზისტანის სანჯაყი გ. ყაზიბეგისა 1871 წ. თფ.

ლება ერთი საკოდაობა იყო, ზოგი ტიროდა, ზოგი ბღაოდა, ზოგი მიწაზედ ვარდებოდა და ისე ეთხოვებოდა თავის მამა-პაპის სახლკარს, ბაღს, ბოსტანს და სხვა ასეთებს, მაგრამ მეტი რა გზა აქვნდათ, სულის წაწყმენდის ეშინოდათ და ამიტომ ბოროტ მქადაგებლების წყალობით ჰკარგავდნენ თავიანთ მამა-პაპეულ სახლ-კარს, მამულებს და მიდიოდნენ ვინ იცის სადა, მისი გაგება თვით სულ არ აქვნდათ. ასე და აქ გვარად ერთი წლის განმავლობაში მთელი მესხეთ ჯავახეთის სოფლები დაიცალა ქართველ მაჰმადიანებისაგან. ვიდრე ეს მოხდებოდა, მანამდის მესხეთ-ჯავახეთში გაჩდნენ არზრუმის ვილეიათის სომეხთა მოკიქულები და ესენი სცდილობდნენ ქართველ მაჰმადიანთ ცარიელ სოფლებში დასახლებას მათი დიდის მამულების შესყიდვას. მთელმა ქვეყანამ იცის ეს ამბები და ახალციხეში დღესაც ბევრს ახსოვს, რომ ეს ასე იყო და მაშინ ამ მოწინავე სომხებმა ქართველ მაჰმადიანებისაგან დიდ ძალი მამულები იყიდეს ოხერ ფასად. ესენი ყიდულობდენ ამას თავიანთ მოძმე არზრუმელ და ბაიაზეთელ სომეხთა სასარგებლოდ, რომელ სყიდვაში მათ დიდს დახმარებას აძლევდა იმ დროის რუსის გენერალი ვ. ბებუთოვი, ომიანობის ჯარის მთავარ სარდალი და სომეხთა ეპისკოპოზი დავითი.

მთელმა მხარემ იცის, რომ ქართველ მაჰმადიანებს გადასახლების ქადაგებას, მათ მაჰმადიანთ ხოჯებს და მოლებს გარდა, თვით ეს არზრუმის მოწინავე ქრისტიანი სომხებიც უქადაგებდნენო. ესენი ეუბნებოდნენ, რომ აიყარენით და წადით ოსმალეთში, თორემ რუსები აქ თქვენ ყველას გაგაქრისტიანებენ—გაგაქართველებენო. ამის ქადაგებაში რასაკვირველია გენერალი ბებუთოვიც იღებდა მონაწილეობას და მასთან და ვით ეპისკოპოზიცაო, ამათი ქადაგება რომ არ ყოფილიყო, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა, რომ ქართველ მაჰმადიანები იმ რიცხვით არ გადასახლებულიყვნენ მესხეთ-ჯავახეთიდანაო. მაგრამ რაკი მათ თვით ქრისტიანებიც ურჩევდნენ აყრას და

გადასახლებას, აქ კი საქმე სახუმაროდ აღარ იყო მათთვის და ვისაც კი ჰქონდა რამე, იმას ჰყიდდა იგი და ოსმალეთში მირბოდა, რათა იქ ეცხონებია სული. ეს რასაკვირველია ქრისტიანებთაგან ბოროტებით იყო მოწყობილი, რათა ესენი გადასახლებულიყვნენ და მათ ალაგას არზრუმიდან სომხები მოეყვანათ და დაესახლებინათ. ეს მალეც მოხდა. ქართველი მაჰმადიანები გადასახლდნენ ოსმალეთში, მათი ქონება სულ არზრუმის სომხებმა შეისყიდეს და სულ მოკლე დროის განმავლობაში არზრუმიდამ გადმოსახლდა 30 ათასი სომეხი, რომელნიც დაეპატრონენ ქართველ მაჰმადიანთ სოფლებს და მათ ნაოხრებზედ დასახლდნენ სულ უფასოდ და თითქმის მუქთად.

აქამდის მათი ხსენებაც არ იყო, აქ მათ კაცს ერთს სოფელში ვერ ნახავდა, ახალციხეში კი იყო მათი რიცხვი, მაგრამ იგინი იყვნენ ერთობ მცირე, ისიც ქართველ გრიგორიანები, ქართულად მოლაპარაკენი და მათი რიცხვი ისე მცირე იყო, რომ ახალციხეს ჰქონდათ ერთი პატარა სომეხთ საყდარი. ასე და ამგვარათ, მესხეთ-ჯავახეთში პირველად სომეხნი 1830 წლებში გაჩნდნენ და პირველად მოედვნენ აქ ქართველ მაჰმადიანთა სოფლებს, რომელ სოფლის მამულებიც მათ თითქმის სულ მუქთად იშოვნეს. დღეს რომ ამ კუთხეში ასე არიან გამრავლებულნი, ესენი ყველა მაშინ გადმოსულები გახლავან. ისიც იციან მრავალთ, რომ ქართველ მაჰმადიანებს თვით გენერალი ბებუთოვიც უყვიროდა: თათრებო, წადით აქედან, დაიკარგენით, თან გაჰყევით თქვენი თათრების მთავრობას, თორემ აქ გაგაქრისტიანებენო. ამ გენერალს გარდა სხვებიც უქადაგებდნენ ქართველ მაჰმადიანებს აყრას და ოსმალეთში გადასახლებასაო. ყოველივე ეს რასაკვირველია მტრობით იყო მომართული, ამ პროპაგანდის მეთაური პირდაპირ გენერალი ბებუთოვი ყოფილა და დავით ეპისკოპოსი სომეხთა ამის შესახები ცნობები ვინმე მესხმაც მრავლად სწერა. ახალციხის ქართველ კათოლიკებში ამის ცნობები დღესაც იციან მრავალთ, ესენი დიდის საყვედურით მოიხსენებენ ამ პირთ, ამბობენ,

რომ სულ მათის წყალობით გადასახლდნენ ქართველ მაჰმადიანები და დაიღუპნენ საწყლებიო.

ეს ასეც მოხდა და მესხეთ ჯავახეთიდან დიდი ძალი ქართველ მაჰმადიანობა წავიდა ოსმალეთში, ზოგი სოფელი დაშთა თავის ბინაზედ და ფეხი არ მოიცვალეს, ვინც გადასახლდნენ მათ სიღარიბე მალე ეწვიათ, იგინი ოსმალეთში დიდს გაჭირვებაში ჩავარდნენ და ზოგმა მათგანმა უკანვე დაბრუნება ისურვა, მალე უკანაც მოვიდნენ, მაგრამ მათ აქ აღარაფერი დახვდათ, მათი სოფლის სახლები სულ მოსულ სომხებით იყო სავსე, მამულებსაც თავ-თავის პატრონები ჰყვანდათ, მათ მამულის უკან დასაბრუნებლათ აღარც ფული ჰქონდათ, მეორე აღარც მთავრობა უშვებდა მათ აქეთ, გადმოსვლის ნებას არ აძლევდა. ამიტომ იგინი ისევ უკან ბრუნდებოდნენ, ზოგი მათგანი ოსმალოს სამფლობელო აჭარას, ზეგანს და სხვა ასეთ ქართველ მაჰმადიანთ სოფლებში სახლდებოდა, ზოგი ისევ ოსმალეთში ბრუნდებოდა, მის მეოხებით გზაში დიდს სიღატაკეს განიცდიდა და მით ბოლოს უსიხარულოთაც მოსპობილან ხოლმე. ასე დაღუპულთა რიცხვი ერთობ დიდია. ასე დაღუპვის და უბედურებისაგან ქართველ მაჰმადიანები სინანულში იყვნენ,მაგრამ რაღა ქ�, ერთობ გვიან. ასე და ამ გვარად დაიცალნენ მესხეთ-ჯავახეთიდან ქართველ მაჰმადიანები და მათ საყოველთაოდ დაკარგეს თავიანთი ძვირფასი სამშობლო ქვეყნის მამულ-დედული. ეს გარემოება მათში ზოგთაგან მაშინათვე იქმნა სისხლის ცრემლით დატირებული.

ახალციხის აღების დროს, რუსეთის მხედრობამ დიდის ბრძოლის შემდეგ აიღო ქ. ფოთიც და დაისაკუთრეს მისი მიდამოებიც, აქედან აფხაზეთსაც ადვილათ მიუდგნენ და ყოველივე ოსმალეთის სამფლობელო ადგილების თითქმის თავის ძველის მიჯნამდის დაიპყრეს, რომელ დაპყრობაშიაც ქართველები დიდს მონაწილეობას იღებდნენ და რუსეთის მხედრობასთან ერთგულად იღვწოდნენ და ომობდნენ. მაშინ ყველა ქართველის ნატვრას ის შეადგენდა, რომ რუსეთის მხედრო-

ბის დახმარებით იქნება ძველი საქართველოს ადგილები ისევ ძველებურად შეერთდესო. თვით საქართველოს რუსეთის იმ-პერიასთან დაკავშირების დროსაც კი ხალხში ზეპირ ლაპარაკობდნენ ყველგან ასე: მეფემ საქართველო მიტომ შეუერთა რუსეთს, რომ მერე რუსეთის იმპერატორმა საქართველოს ყველა წართმეული ადგილები ოსმალ-სპარსეთს უნდა ჩამოართოს, საქართველოს უნდა დაუკავშიროს და მით აღსდგეს ძველი საქართველო თავის მიჯნებითაო, ამაზედ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ნამდვილ თვით ელჩებსაც ჰქონიათ ამაზედ ლაპარაკი, თუმცა შეერთების პიროობაში კი იგი არ არის მოხსენებული, ზეპირ კი ყოფილა ლაპარაკი. ასეთივე შეერთების, თუ გაერთიანების აზრი მეფე ერეკლემაც წარუდგინა რუსეთის იმპერატრიცას, როცა საქართველოს სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ შევიდა 1781 წელს.

თვით საქართველოს რუსის მთავარ-მართებლებიც ოსმალ-სპარსებთან ყოველი ბრძოლის დროს სულ იმას ამბობდნენ, რომ რუსეთის ხელმწიფის აზრი ის არის, რომ საქართველოს ყველა წართმეული ადგილები ოსმალ-სპარსებს უნდა ჩამოერთვას და მით საქართველო ძველებურათ გაერთიანდესო. ესევე აზრი 1855 წ. აშკარად გამოსთქვა თურმე კავკასიის მთავარ-მართებელმა, როცა რუსეთის და ოსმალეთის ომის შემდეგ მორიგება მოხდა და 1828 წ. მომხდარი საქართველოს საზღვრების შეცდომები ვერ გასწორდა და იმდენი ბრძოლის და სისხლის ღვრის შემდეგ ბათუმის ოლქი და მთლათ ეს კუთხე ისევ ოსმალეთს დარჩა. მაშინ თურმე, ისტორიკოს არქეოლოგს პლატონ იოსელიანს მთავარ-მართებელმა ყვირილით ჰკითხა შემდეგი:—„კარტას დაადე ხელი და დამისახელე ესა-თუოდ თუ ძველად სად იყო საქართველოს სამეფოს მიჯნებიო“*). ასე და ამგვარად, ყველა ამ დაპყრობილ საქართველოს ადგილების ომებში რამდენათაც რუსის მხედრობის სისხლი ღვროდა, იმაზედ არა ნაკლები ქართველისა და რაც შეეხება

*) ლაზის ტანის აღწერა, ვ. ყიზიბეგისა 1871 წ. თფ.

ქართველ თავად-აზნაურობას, ამათი საუკეთესო ნაწილიც ხომ სულ ამ ომებში ისპობოდა, რასაც ცხადათ გვამცნევს თვით რუსეთის სამხედრო ისტორია.

ამიტომ თუმცა 1828 წ. ომი დასრულდა ისე, რომ რუსეთის იმპერიის მეთაურობით საქართველოს მხოლოდ დაუბრუნდა ნაწილი მესხეთ-ჯავახეთის, ფოთის და აფხაზეთის, მაგრამ რაც შეეხება ჭოროხის და ჩოლოქის გამო შეცდომის დაშვებას, რუსის მთავრობის ფიქრი ოსმალეთის იმპერიასთან ომის განახლების გამო არას დროს არ მოსპობილა, ოსმალეთი თუ გაასწორებდა 1828 წ. შეცდომას და რუსეთის იმპერიის საქართველოს თუ დაუბრუნებდა ყველა იმ ადგილებს რასაც ჭოროხი ჰყოფდა, ხომ კარგი, თუ არა და ომი მოსალოდნელი იქნებოდა, 1829 წლიდან სადავო საქმემ კარგა ხანს გასტანა და 1854 წ. ატყდა კვალად რუსეთსა და ოსმალეთის შორის ომი, რასაც სახელად ყირიმის და სევასტოპოლის ომი ეწოდება, მართალია ამ ომს სახელი ასეთი აქვს, მაგრამ საგანი კი ისეთი, რომ ომი ოსმალეთის საქართველოს მხრიდანაც გაიმართა, საქართველოს მხრიდან ამ ომით რუსეთს სურდა 1828 წ. შეცდომის გასწორება, მაგრამ ეს მათ ვერ მოუხდათ, საქართველოს მხრივ ომის დაწყება, უმნიშვნელოდ დაშთა, აქეთ რუსებმა ვერაფერი შეიმატეს და ვერც 1828 წ. შეცდომა გაასწორეს, შეცდომისაგან დაკარგულის ადგილების ვერაფერი დაიბრუნეს უკან. ასე და ამგვარად 1828 წ. შეცდომა დაშთათ გაუსწორებელი და ამიტომ იგი გადიდო შემდეგ დროის ომებისათვის.

ახალციხის და მის თემთ ადგილების დაკარგვის შემდეგ, ოსმალთა შიში მიეცათ, ქართველ მაჰმადიანებს მათ ერთის მხრით დალოლიება დაუწყეს, თან ავალებდნენ, რომ თქვენ კაი გურჯები ხართ, კაი მეომრები და რომ სახელმწიფო სამსახურად ჯარშიაც გამოხვიდეთ, ეს ხომ უკეთესი იქნებაო, ასეთის მიმართვით მთავრობა ბევრს ემუდარებოდა ქართველ მაჰმადიანებს, მაგრამ ამათგან კი მაინც უარი ესმოდა და ეუბ-

ნებოდენ, რომ ჩვენ ჯარის კაცათ არ გამოვალთო. როცა საჭირო იქნება, მაშინ გვიბრძანეთ და ჩვენ ყველანი მზათა ვართო. მთავრობას კი ეს არ უნდოდა, მათ სთქვეს, რომ კმარა ამათი ამდენ ხანს ასე დატოვებაო, ესენი როგორმე უნდა გავტეხოთ, თორემ იგინი ოდესმე რამე გვავნებენ და იქნება ერთ დროს რუსებსაც მიემხრნენო, რადგანაც ნახევარი გურჯისტანიც მათ ხელშიაო. ოსმალეთის მთავრობამ გადაწყვიტა ორში ერთი, ან მთელი გურჯისტანი ჩვენი უნდა იყოსო და ან არა სამუსულმანო გურჯისტანს ჩვენ ვერ გავტეხავთო. აი, უყურეთ, რომ გურჯები მუსულმანები არიან, მაგრამ ჩვენ მათ ვერ ვერევით და მათგან ჯარის კაცი არ გამოდისო.

ოსმალეთის მთავრობამ 1840 წლებში უკვე გადაწყვიტა სამუსულმანო საქართველოს მძლავრად დამონება და მასთან რუსეთის იმპერიასთან ომის ატეხა და რაც კი ძვირად უნდა დამჯდარიყო, მაინც მათ დანარჩენი საქართველოის გურჯისტანიც უნდა აელოთ, მით მოესვენათ გული და სული. ამისთვის მათ ეჭვი აღარ ჰქონდათ, რადგანაც 1840 წ. ოსმალეთის მთავრობის მთავარ კაცებმა ასეთი საომარი გეგმა შეადგინეს საქრისტიანო და სამუსულმანო გურჯების შესახებ. გურჯი მუსულმანი მძლავრად უნდა დავიმორჩილოდ, თან კი უნდა დავუყვავოთ, როგორც ახალ მუსულმანებს, მასთან ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ მათგან ნიზამი გამოვიყვანოთ და ასე და ამ გვარად ვემზადოთ, რომ გურჯი მუსულმანები ნელ-ნელა დავიახლოვოთ და მასთან ისიც გავიცნათ, რომ ოდესმე რუსებთან თუ ომი აგვიტყდა, მაშინ ამათგან რამდენი მეომარი ჯარის კაცი გვეყოლებაო, ან რამდენი შეიძლება რომ საერთოდ გამოვიყვანოთ მათგანაო.

როცა ჩვენ ამათ ასე დავიმონებთ და მათ რიცხვსაც კარგათ გავიცნობთ, მაშინ ჩვენ კარგად გვეცოდინება რუსებთან ომის დაწყების თავდარიგიო. მაშინ ჩვენ რუსების შიში აღარ გვექნება, ჩვენს გურჯისტანის ადგილებს ისევ უკან დავიბრუნებთო, აქ ჩვენთვის მხოლოდ ამ მძლავრი მუსულმან ქართ-

ველთ დამონება არის საჭირო და მათგან ომის დაწყება, თორემ სხვა ყველაფერი იქნება, ამათის დამუხლებით ჩვენ იმასაც მოვახერხებთ, რომ რუსეთის წინაშე ომში, ჩვენ საომრათ სულ ამ გურჯებს გავუშვებთ, ამათ დავაყენებთ წინ და ამათ ვაბრძოლებთ, მაინც ესენი ჩვენი შეუპოვრები არიან, არ გვემორჩილებიან, ჯარის კაცს არ იძლევიან და მის ნაცვლათ ჩვენც ეგები ამაში გამოვიყენოთ, იქნება ჩვენი თათრის ტომის ერთი კაცის სისხლიც არ დაიღვაროს, რუსეთის ქრისტიან გურჯებს ეს ჩვენი მუსულმანი გურჯები შევაწყვიტოთ, მათ ღვარონ სისხლი და ჩვენც მათის ძალით დავიჭიროთ მთელი გურჯისტანიო. ამათი ასე მოწყობა, დამუხლება და გურჯებთან ომი და შეწყვეტა ერთის მხრით რუსებსაც ესიამოვნებათ, რადგანაც მათ კერძოდ იციან ის გარემოება, რომ ეს გურჯი მუსულმანები ჩვენ არ გვემორჩილებიანო.

ოსმალეთის მთავრობა ქართველ მაჰმადიანებს სულიერად შოკვლას უპირებდა. ისეთი ხალხი, როგორც გურჯები,— ქართველები იყვნენ, ოსმალეთს ბევრი არ ჰყვანდა. ბრძოლაში ქართველი მაჰმადიანები ნაქებნი იყვნენ და სამაგალითონი. ქართველ მაჰმადიანთ ქება-დიდება და ნამეტურ ქობულეთელ აჭარლებისა მთელს ოსმალეთის სახელმწიფოში იყო მოფენილი. ყველგან ქებით მოიხსენებდენ ქართველ მუსულმანებს, ყველგან აქებდენ ამათ ბრძოლას ომში. ერთი სიტყვით ქართველი მუსულმანები სამაგალითონი იყვნენ ყველას წინაშე, თვით სულთანმაც კარგათ იცოდა ამათი ასეთი გმირული ვაჟკაცობა.

ქართველი მაჰმადიანები ასეთ გმირობის ქებას გარეშე, ქებულ იყვნენ სხვა მხრითაც. ეს სხვა მხარე იყო მათი სილამაზე, სიკეკლუცე და ახოვნება, რაისა გამო საქართველოს მუსულმანთაგან ეწოდა:—„მშვენიერი ბაღი“ ანუ „გულისტანი“ ასე და ამგვარად, ოსმალოს მთავრობას, ადრიდანვე ჰქონდა სურვილი, რომ ასეთი გმირი და მასთან ლამაზი ხალხის შვილნი ჯარში გაეყვანათ, მაგრამ ეს მათ ერთობ უძნელდებოდათ.

ამის შესახები პირველი ამათი ცდა და ბრძანება ქართველ მაჰმადიანებს ეუწყათ 1730 წ., მაგრამ არა იქმნა-რა. ვერ მოახერხეს გაყვანა, მეორეთ ეუწყათ 1740 წ., მაინც არა იქმნა-რა, მესამდ ეუწყათ 1770 წ. მაინც ვერ მოახერხეს. ეუწყათ კიდევ 1781 წელს, მაგრამ არც ახლა ეშველათ რა. ოსმალოს მთავრობა ამაზედ დიდათ მეცადინეობდა, მაგრამ ამაოდ. დიდის ამბოხების გამო 1815 წ. თავი მოსჭრეს სელიმ ფაშა ხიმშიაშვილს და მის მომხრეთ, იმავ წელს არზრუმის ფაშამ ახალციხის შერიფ-ფაშა ჯაყელ-ათაბაგი არზრუმს შიიტყუილა და იქ 1816 წ. თავი მოსჭრა. ამათ მოსპობის შემდეგ მათ ქართველ მაჰმადიანებს დაყვავებით მიმართეს და სთხოვეს ჯარში გასვლა, მაგრამ მაინც არა ეშველათ-რა ოსმალთ. ასევე ემუდარენ 1827 წელს, მაგრამ არც ეხლა იქმნა რამე, ქართველი მაჰმადიანები ყოველთვის ასეთ პასუხებს აძლევდენ.

გურჯი ქართველი მუსულმანები ჯარში სამსახურისათვის ვერ გამოვალთ ჩვენ ამას ჩვეული არა ვართ, ვერც ოსმალეთის ქვეყნებში წამოვალთ, ჩვენი გურჯისტანის იქით ჩვენ ვერსად ვერ წავალთ, სხვაგან როცა გნებავთ, თუ საჭირო ვიქმნეთ ომში, დაგვიძახეთ და ჩვენ მაშინვე მზათ ვართ, გამოვალთ საომრად, ხოლო ჯარში ყოფნა ჩვენი საქმე არ არის.

ასეთ პასუხებს ესენი პირველ მოთხოვნის დროდანვე აძლევდენ. ამიტომაც იყო, რომ ოსმალოს მთავრობამ რაკი ამ ჯარის კაცის გაყვანით ვერ მოახერხა მათი დამდაბლება, მის გამო მათ ნელ-ნელა, დაყვავებით, თითო-ოროლა, კომლს შესყიდვით გარდასახლება დაუწყო. 1730 წლიდან ოსმალეთის უშორეს ქვეყნებში. ასე შესყიდვის გარეშე, ისინი ზოგი გურჯ-ქართველ მუსულმანებს შარსაც უდებდენ, ამის საშუალებით რამე ბოროტებას და ღალატს სწამებდენ და მის გამო სასჯელათ მათ ასახლებდენ ოსმალეთში და მის საშუალებით შლიდენ და სპობდენ ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრების გმირულს ძალას.

ახალციხის რუსთაგან აღების 1878 წლის შემდეგ კი ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა მკაცრად, რომ ჩვენ, რაც უნდა დაგვემართოს, მაინც გურჯები უნდა გავტეხოთ და ჯარის კაცნი კი მათგან უნდა გამოვიყვანოთო. 1830 წ. ამის თვის დაიწყეს მეცადინეობა, მაგრამ მკაცრათ ბრძანების განცხადებას კი ვერა ბედავდენ, რადგანაც მკაცრს განცხადებას უეჭველია ქართველ მაჰმადიანთ აჯანყებაც მოჰყვებოდა, როგორც იქმნა მთავრობამ მოახერხა და 1840 წ. გამოუცხადა ბრძანება, რომ გურჯები ჯარში უდნა გამოხვიდეთო, თუ არ გამოხვალთ, მაშინ ჩვენ სისხლს დავღვრით და ამიტომ ნუ იზამთ ამას, უარს ნუ იტყვითო.

ქართველმა მაჰმადიანებმა მაინც უარი შეუთვალეს და აჭარელ-ქობულეთლებთაგან ისიც ეუწყათ, რომ ჩვენ ჯარში არ გამოვალთ სამსახურისათვისო. თუ ჩვენს წინადადებას შეისმენთ ხომ კარგი, თუ არა და როგორც გერჩიოთ ისე ქენით, მობრძანდით, დაიწყეთ ომი და ჩვენც აქ დაგხვთებითო. გეუწყოთ, რომ ჩვენ ჯარში სამსახურისთვის არ გამოვალთო. ასეთი პასუხის შეთვლის შედეგი აჭარლებმა კარგად იცოდენ და ამიტომ ამ დღიდან ისინი საწინააღმდეგო ქადაგებასაც მიეცნენ და თან იარაღით სამზადისს. ამ სამზადისში რასაკვირველია ქართველი ბეგებიც იღებდენ მონაწილეობას.

ზეპირი ცნობებია დაშთენილი, რომ ქობულეთელნი და აჭარლები რომ არ ყოფილიყვნენ, მაშინ იქმნება ოსმალეთის მთავრობას ქართველი მაჰმადიანები როგორმე დაემორჩილებინა და ამათგან თუ არა იქმნება სხვა კუთხის ქართველ მაჰმადიანთ შვილების გაყვანა შესძლებოდათო, მაგრამ ვერ ახერხებდენ ამას, რადგანაც მათ ქობულეთლები და აჭარლები მკაცრად ებრძოდენ და მასთანავე მთელს სამუსულმანო საქართველოში კაცებს გზავნიდენ და ხალხს დარიგებას აძლევდენ თუ ესენი როგორ უნდა მოქცეულიყვენ და მთავრობისათვის რა პასუხი უნდა მიეცათო. ამიტომაც ოსმალოს მთავრობას ამ განზრახვის შესრულება ძლიერ უძნელდებოდათ.

მეტი გზა აღარ ჰქონდა ოსმალოს მთავრობას. მათ გადასწყვიტეს ქართველ მაჰმადიანებთან შებმა და ჯარის კაცთა ძალით გაყვანა, თუ ნებით არ გამოხვალთ, მაშინ ომი უსათუოდ მოხდება, ძალით დაგიმორჩილებთ და მერე ცუდს დღესაც დაგაყენებთო. ასეთის ბრძანების წინაშე არც აჭარლებს ეძინათ, რასაც ესენი იზამდენ, სხვა ქართველ მაჰმადიანებიც ისე მოიქცეოდენ. პირველათ მათ უნდა მიეცათ ომის მოძახილი (სიგნალი) დანარჩენთათვის. ორსავ მხარეს აზვირთდა საქმე და ომის დაწყებამაც თავი იჩინა, ამასობაში მოახლოვდა 1844 წ.

## „ნიზამის“ გარდმოცემის ამბავი.

ამ დრომდის აჭარელნი მოემზადნენ მძლავრად, შეკრიბეს მეომარნი, მასთან დიდი ძალი იარაღი, აირჩიეს მოწინავე პირნი და ამათ წინამძღოლნი ჰაჯი ასან ბეგი ბეჟანიძე, სოფ. ზენდიდელი, დევაძეები აგარიდამ, სოფ. ორწოდამ-ალიქ ოღლი შარვაშიძე, სოფ. ძენწმანიდან-ხეირულა ბეგ ჯაველი და ასევე სხვანიც. ამათ იწყეს ხალხის სამზადისი, ციხეების გამაგრება და საქმე ისე მოეწყო, რომ 1845 წ. აჭარაში ოსმალოს ჯარი შემოვიდა. ამათ ბრძოლა ასტეხეს, მაგრამ ყერა ქნეს რა, აჭარლებმა დაამარცხეს და გარეკეს. ამავ წელს მეორედ მოვიდა ჯარი, აჭარლები ვიწრო გზებში უსაფრთებოდენ, კლდეებს ანგრევ-აოლვევდნენ და მით უხოცავდენ ოსმალთ ჯარს, მეორედ მოსული ჯარიც დაამარცხეს და განდევნეს. იმავ წლის ბოლოს მესამედ გამოგზავნეს დიდძალი ჯარი, დიდრონის ზარბაზნებით, ოსმალოდან ოცი ათასი ჯარის კაცი ყოფილა გამოგზავნილი. ამათ შაერთებიან არზრუმის და ბაიაზეთის ფაშები თავიანთ ჯარის კაცებით, ასე სულ 40 ათასი ყოფილა. აჭარლებმა ეს ამოდოლა ჯარის კაცნიც დაამარცხეს და ერთ ალაგას გააჩერეს. ოსმალთ ომს თავი დაანებეს და მიმართეს შინათ გამცემ კაცების მოძებნას, ამათ მალე იშოვნეს ერთი თანამომხრე, ეს იყო სოფ. ძენწმანელი ხეირულა ბეგ ჯაველი, რომელმაც გასცა თავის ამხანაგები და მთელი აჭარა. ამან ყოველივე ასწავლა ოსმალთ და საქმე ისე

მოეწყო, რომ ოსმალთ ადვილათ და მოტყუებით დაიმორჩილეს აჭარელნი.

დამორჩილების შემდეგ, მეთაურნი პატიმარ ჰყვეს, ზოგთ თავი მოჰკვეთეს, ზოგიც სტამბოლში გაგზავნეს. ამის შემდეგ ყოველივე ციხე-კოშკნი და საომარი ძალა აჭარლებისა მიწაზედ გაასწორეს, ყოველივე მოსპეს და დაიმორჩილეს. ამ დამორჩილების დროს, ხეირულა ბეგიც ხალხს აწყნარებდა, რომ დაწყნარდით, არაფერი იქნება, არც ჯარისკაცთ წაიყვანს, არც ხარჯს მოგვიმატებენო. ხალხიც ერწმუნა მას და დაწყნარდა. ამის შემდეგ ოსმალთ აჭარლებს დიდი შეწუხება მიაყენეს, აჯანყებელთ მომხრენი სულ მიწასთან გაასწორეს. ამას გარდა თითო კომლს ხარჯად 25 მ. დაადეს. ამ ხარჯს შეაკეცეს ის დანახარჯიც რაც კი ოსმალთ ამ ომში დახარჯოდა და ყოველივე ეს აჭარლებს დააკისრეს, რამაც იგინი ერთობ შეაწუხა და გააღატაკა.

მძლავრად დამონების და ხარჯის დაკისრების შემდეგ, აჭარიდან ოსმალოს ჯარი გავიდა. ჯარის წასვლის რამდენიმე ხნის შემდეგ, ხეირულა ბეგს ღალატის გამო, ერთ ღამეს სახლში დაეცნენ აჭარლები და მთელი ოჯახი ამოსწყვიტეს. გადარჩა მხოლოდ ერთი ბავშვი, რომელიც 1895 წ. ცოცხალი იყო, ეს პირი მაშინ ქედის მეჯლისის ყადი გახლდათ, ხოლო ხალხი კი მაშინ მას „ჯაშუშის“ შვილს უწოდებდა. თუმცა იგი არაფერში არ იყო დამნაშავე. ზოგნი აქებდენ ამ პირს და მკაცრად სწყევლიდენ მის მამას. ამ გარემოებამ აჭარელნი დიდათ დააღონა. გული გაუტეხათ. ოსმალოს მთავრობამ ხელდახელ ჯარის თხოვნას თავი გაანება.

გავიდა რამდენიმე ხანი და 1850 წელს კი მთავრობამ განუცხადა მკაცრი ბრძანება ჯარის გაყვანის გამო. 1851 წ. აჭარელნი ამ ბრძანების წინააღმდეგ მკაცრად აჯანყდენ, მაგრამ დადინჯებულ იქმნენ იმ გარემოებისაგან, რომ ამ დროს რუსთა და ოსმალთ ომის ხმები ისმოდა და ამიტომ მეტი გზა არ ჰქონდათ, როგორც მუსულმანებს ისლამის პატივისცემის

გამო ხმა უნდა გაეკმინდათ და გიაურთ საწინააღმდეგოთ ბრძოლაში მთავრობისათვის მხარი უნდა მიეცათ მათგან ჯარის კაცი უნდა გასულიყო, ამასვე უბრძანებდენ მათ სჯულის თავი კაცები.

ასე და ამ გვარად, ქართველ მაჰმადიანთაგან პირველად ჯარის კაცნი სამსახურში 1852 წ. გავიდენ. ჯარის კაცთ ოსმალოს სხვა და სხვა ქალაქებში გზავნიდენ სამხედრო სწავლის მისაღებათ და სამსახურისათვის. ამ გარემოებამ შეუწყო ხელი და მათში ოსმალურის ენის სწავლებამაც იწყო გავრცელება. ჯარის კაცნი იქ ოსმალურს სწავლობდენ და მერე შინ მოსული ამ ენასაც ესენი ავრცელებდენ, თორემ მინამ აჭარაში და სხვაგანაც ქართველ მაჰმადიანთ შორის, ქართულ ენის ალაგს ოსმალური ენა ადვილად ვერ იკავებდა ყველგან. ოსმალური მძიმეთ ვრცელდებოდა, ამ გარემოებით კი ქართველ მაჰმადიანებში ოსმალური ენის გავრცელების საქმე ერთობ გაადვილდა.

ასეთი ფიქრი აქვნდა ოსმალოს მთავრობას საქართველოს აღების შესახებ. ასე ფიქრობდნენ იგინი და ამიტომ მათ ქართველ მაჰმადიანებს ერთის მხრით ოსტატურის შეპარვით ამუხლებდნენ, ნელ-ნელა თავიანთ სახელმწიფო წესებიც შეჰ ქონდათ და მეორეს მხრით მათში გზავნიდნენ აუარებელს მქადაგებლებს და სჯულის სახით ჰქადაგებდნენ რუსეთის წინააღმდეგ აზრებს, ნამეტურ გიაურ გურჯისტანის წინააღმდეგ, მათ დასაჭერად სისხლის დაღვრას და სხვაც ამ გვარნი, რაც იქნებოდა მუსულმან კაცისათვის დიდი ცხონების საქმე, თუ ამას ესენი იზავდნენ და მით დაიხსნიდნენ ამ ბერპ გიაურ გურჯებს ცუდის სჯულიდამ... ოსმალთ პროპაგანდისტები ეტყოდნენ ხოლმე ქართველებს ასე:

«ძმა ძმისთვისაო, თქვენ მუსულმანები ხართ, თქვენი ძმები არიან გიაურ გურჯები, ამიტომ თქვენ ყველამ თავი უნდა გადასდოთ, სისხლი დაღვაროთ, რათა მით დაიხსნათ ეს გიაურ გურჯისტანი და თქვენი ძმებიო, იგინი გამოიყვა-

ნოთ გიაურ შემცდარის სჯულიდამ, კაი გზაზედ დააყენოთ და მით დაიხსნათ მათი სულები ჯოჯოხეთურის ტანჯვისაგანაო. თქვენ თუ ამისთვის დაიხოცებით, მაშინ თქვენ ყველანი პირდაპირ ჯეენეთში წახვალთ და იქ იცხოვრებთ ისლამით ერთად ჩვენ დიდს მოციქულებთანაო''. ოსმალთა მღვთის მეტყველ ზაფიზებს დღე და ღამე ასეთი ქადაგება აქვნდათ გამართული და რაც შეიძლება ესენი სცდილობდნენ იმას, რომ ქრისტიან ქართველები სასტიკათ შეეძულებინათ მუსულმან გურჯებისათვის, რომ ამათ ომის დროს ერთმანეთი არ გახსენებოდათ და მით არ შერიგებულიყვნენ ერთათ. ასეთ შეძულების დათესვის ვალის გადახდა ამ სასულიერო წოდებამ იდო თავს ოსმალოს მთავრობის წინაშე, ამათ დაარწმუნეს იგინი, ასე, რომ თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ გურჯების, ჩვენ მათ გიაურ გურჯებს ისე შევაძულებთ, ისე გადავამტერებთ მათ, რომ გონი იგინი მათ სისხლის დაღვრასაც კი ნატრობდნენო. ესენი იმასაც კი ასმენდნენ, რომ ომში გიაურ გურჯის სისხლიც კი რომ დალიოთ, ისიც კი ცხონება იქნება მუსულმანი კაცისათვისო. ასეთ ქადაგების ნაყოფს მეც მოვესწარ და 1892 წ. აი რა გავიგონე აჭარაში. ჩემის ყურით.

მე ვიყავ ჩამომხტარი აჭარ წყალთან, სადაც ჭოროხი ერთვის აჭარ წყალს და რასაც ქართულად შესართავი ეწოდება. აქ იყო ფოსტა და არსებობდა რუსის ფეხოსან და ცხენოსან ზაფთიების გამგეობა, ამათ ჰყვანდათ უფროსად ლუკა ანდღულაძე, ამასთან ვიყავ ჩამომხტარი, მე დილით ძალიან ადრე ვდგებოდი, რადგანაც მაჰმადიანთ სოფლებში ვმგზავრობდი, ერთ დილით, სადაც მე მეძინა, იქ იმ საძილე ოთახის ალაშის წინ ისხდნენ რამდენიმე აჭარელ ახალგაზრდა ზავთიები და მათ ერთი ხნიერი ზავთია ქათამაძე აი რას ელაპარაკებოდა, ნუ დაივიწყებთ ამასაც, რომ ამ ქობულეთელ ზავთიას რუსის თეთრი ვერცხლის მენდალიც აქვნდა აო ვიცი რისთვის კი მიცემული. აი მისი სიტყვები. რაც სულ თითო-თითოდ ავკრიფე.

„ჩვენში იტყოდნენ, რომ ომში გიაურის სისხლის დალევა მუსულმან კაცისათვის კაი არისო. რუსებმა რომ ეს ქვეყანა აიღეს, მის შერე მაჭახელში უჩასტკა გააკეთეს და რუსის ნაჩალნიკი დასვეს, იმას ზავთიებათ დაუნიშნეს გიაურ ოსები, ეს მოსული გიაურ ოსები დიდი შეითნები იყვნენ, ერთ ღამეს. აქ, აჭარ წყალზედ ამბავი მოვიდა, რომ მაჭახელში ოსი ზაფთია მოკლესო. იმ ღამესვე გაგვგზავნეს აქედან იმ მოკლული ოსის საპატრონოდ და მკვლელების დასაჭერად, გათენება იყო, რომ ჩვენ მივედით სადაც ის გიაურ ოსი ეგდო, ის იყო, ახლად მომკვდარიყო და ყელიდამ ნელა სისხლი კიდევ გადმოსდიოდა. ანასუნი გიაურს, მე მივედი, წყაროსავებ მომდინარე სისხლს ხელი შევუშვირე, დავლიე ერთი მუჭა სისხლი და ვსთქვი ჩვენი ძველების სიტყვისამებრ: მელირსა გიაურის სისხლის დალევაო“.

მე გადავსძახე: სტყუი შენ, ისლამი და მუჰამედი მაგას არ გასწავლისთ. ეგ მოგონილია ურიგო და უსწავლელი ხოჯიებისა და მოლებისაგან, რომელთაც იქნება ისლამის არაფერი ესმით. იგი ამით შეკრთა. ერთმა ზავთიამ მე ამაზედ მადლობაც მითხრა.

მე ეს აქ იმიტომ მოვიყვანე, რომ ქართველ მაჰმადიანებმა იცოდნენ, თუ ოსმალნი როგორ აძულებდნენ ქართველ ქრისტიანებს ქართველ მუსულმანებს და ან ესენი ვისის ხელებით ფიქრობდნენ თვისის სახელმწიფო სამტრო ეკლის ამოგლეჯას ძირიან ფესვიანად. სასულიერო წოდებისაგან მთავრობა ასეთ შეძულების საქმეს პირველ გამარჯვებათ სთვლიდა და მიტომ ამისთვის იგინი კაი ფულსაც ხარჯავდნენ. ქართველ მაჰმადიანთ ასეთი შეხედულების საქმენი ოსმალოს მთავრობას მუდამ დღე მისდიოდა და ამით მათი თავი კაცებიც დაიმედებულებიც იყვნენ რომ ჩვენსა და რუსთა შორის ომი მოხდეს, მაშინ ჩვენ პირველ ომშივე წინ ჩვენს გურჯ მუსულმანებს დავაყენებთ და ჩვენ ყოველთვის მათის სისხლით ავიღებთ, ჩვენი ერთი თათრის სისხლიც არ დაიღვრება იქაო.

ამაზედ ოსმალნი ცხადლივ იყვნენ დარწმუნებულნი, ის იცოდნენ, რომ დიახ, ქართველ მუსულმანებს ქართველ ქრისტიანები სძულდათ, სძულდათ ისე, რომ თვით სიტყვა ქართველებიც კი საძრახისად და საგმობლად მიაჩნდათ და ესენი მიტომ მათ არას დროსაც არ მიუახლოვდებოდნენ და მათში ყოველთვის დიდი მტროობა იქნებოდა დათესილი.

რაკი ოსმალოს მთავრობის მეთაურმა კაცებმა გურჯების ასეთი გარემოება და პირობები კარგად შეიტყეს, მერე კი თქვეს, რომ ეხლა კი გურჯისტანი ჩვენიაო. ჩვენი გურჯი მუსულმანების მკლავით და სისხლით მთელს გურჯისტანს ავიღებთ, რუსებს ყოველივეს ჩვენს ადგილებს ისე წავართმევთ, რომ ამ გურჯების მეტი იქ სხვა სისხლი არ დაიღვრებაო. რაკი ოსმალოს მთავრობამ ქართველ მაჰმადიანები ასეთ ერთგულ მუსულმანებათ მიიღეს, ამიტომ მათ გადასწყვიტეს ამათგან ნიზამის გაყვანა და ზოგი რამ ხარჯის მომატებაც. ამასაც ოგინი მალე მოესწრნენ და 1843 წელს ამის განცხადება და რძანება მათში გამოაცხადეს კიდეც, რომ 1844 წ ხარჯი დამატებით უნდა გვაძლიოთ და ჯარის კაცნიც მოგვცეთ, რომ მათ იარაღის ხმარება ჩვენებურად ვასწავლოთო ესეთი ბრძანება ქართველ მაჰმადიანებს დიდათ ეწყინათ, ნამეტურ ამის წინააღმდეგნი გახდნენ ქობულეთელნი და აჭარელნი. ესენი დაირაზმნენ ბრძანების წინააღმდეგ. შეადგინეს მოწინააღმდეგეთ დიდი დასი, ამ დასის წევრთა შრომით დაიწყეს მთელს სამუსულმანო საქართველოში პროპაგანდა, რომ ოსმალოს მთავრობის ბრძანებას ნუ დავემორჩილებითო. ნურც ხარჯის მომატებას დავიკისრებთ და ნურც ჯარის კაცთ მივსცემთო, ერთის სიტყვით ჩვენ ამისთვის ისე უნდა ვეწინააღმდეგოთ, რომ თუ საჭირო იქნება ომიც კი უნდა გავმართოთ, სისხლი დავღვაროთ და მთავრობას კი არ მოუხაროთ კისერიო. ხალხი თანხმა იყო ამისი, ყველა აძლევდა წინააღმდეგობის პირობას.

მთავრობა ნელ-ნელა ბრძანების სისრულეში მოყვანის

აღსრულებას თხოულობდა, ქართველ მაჰმადიანები კი ამას არ ეპოებოდნენ და ნამეტურ ქობულეთელნი და აჭარლები მკაცრი წინააღმდეგნი იყვნენ. ამათ გაუცხადეს მთავრობას, რომ ჩვენ თქვენის ნებით არ დაგემორჩილებით, არც ჯარის კაცთ მოგცემთ და არც ხარჯს დავიმეტებთო. მობძანდით თუ გნებამთ, შეგვებით და თუ გაიტანთ რამეს, მაშინ იგი ძალით წაიღეთო. ესეთი უჯიათობა ქობულეთელ-აჭარლების არ იყო კაი საქმე, მაგრამ რას იზამდენ, რაკი დალოლიებით ვერა გაიყვანეს რა, რაკი თხოვნით და ბრძანებით არა გამოვიდა რა, ახლა მთავრობას მახვილი უნდა ეხმარა და ამის ძალით უნდა დაემორჩილებინა თვისი ქვეშევრდომი ქართველ მუსულმანები. ამიტომ ოსმალოს მთავრობამ 1844 წ. აჭარა ქობულეთში ჯარი გამოგზავნა და ამათის ძალით აპირებდა მათ დამორჩილებას, აჭარა ქობულეთელნი არც ამ გარამოებას შეუშინდენ, ესენი შეგროვდენ აჭარაში და მთავრობის ჯარს ომი დაუწყეს, პირველად მოსული ჯარი ამათ ადვილათ გააქციეს, უმეტეს ნაწილი კი გაწყვიტეს. ამის ამბავი სულთანს მწუხარებით მოახსენეს, რამაც სულთანი დიდათ გააბრაზა.

საქმემ სახუმრო სახე მიიღო, სულთანი და მისი თავიკაცები ფიქრობდენ, ალბათ აჭარლებს თავიანთი მოძმე გიაური გურჯები შველიან, ან რუსები აქეზებენ ჩვენ წინააღმდეგ და ვინ იცის, ბოლოს იქმნება შეიერთონ კიდეცაო, ამიტომ ფიცხელი განკარგულება მოახდინეს და აუარებელი ჯარი გამოგზავნეს აჭარის დასამორჩილებლად, მაგრამ არც ამით იქმნა რამე. აჭარლებმა ამ ჯარის გამოგზავნა წინათვე შეიტყვეს, მათ იცოდენ თუ ეს ჯარი აჭარაში საიდამ შევიდოდა, მაშინ იქ გზები არ იყო, სულ ციცაბ კლდეებს შუა უნდა ევლო ჯარს და ისიც ფეხით, რადგანაც ცხენის გზები არ იყო და აჭარლებიც მიტომაც არ აკეთებდენ გზებს, რომ აქ მტერი ადვილად არ შემოგვეპაროს. ესენი ჩაუსხდენ ვიწრო გზებში იქ განამზადეს კლდეები მოსარღვევათ, როგორც

ოსმალოს ჯარმა დაიწყო დენა, მაშინ ამათ გზებზედ კლდეები მოარღვიეს და ოსმალოთ ჯარი გაუწყვიტეს, რაც დარჩა იმათაც თოფის სროლით დაუწყეს ბრძოლა და მრავლად დახოცეს, ვინც დარჩა ისინიც გააქციეს უკან. ამ დამარცხების ამბავმა სულთანი და მისი დიდი კაცები ფფრო გააბრაზა, მათ აღარ იცოდნენ რა ექმნათ, მაშინ აჭარა-ქობულეთი თითქმის ხელიდამ წასულათ ჩასთვალეს, ამიტომ გამოსცეს ახალი ფირმანი.

## ,,ნიზამის'' ამბის მეოთხე ვარიანტი.

ამ ფირმანის ძალით აჭარაში გამოიგზავნა 20,000 ათასი კარგი ჯარის კაცი, მასთან არზრუმის და სხვათა ფაშეასაც მოუვიდათ ბრძანება, რომ თქვენ თქვენის ჯარით ამ ჯარს შეუერთდით, წადით აჭარაში, წინააღმდეგნი დააწნარეთ, დამნაშავენი დასაჯეთ ისე. როგორც გერჩიოთ, მეთაურებს თავები დასჭერით და ყოველივე მათი ქონება აიკელით და ცეცხლს მიეცით. კარგად შეიტყეთ და გამოიძიეთ, რომ შაგ ამბოხებაში ახმედ ფაშის შვილები და ნათესავები ხომ არ ურევიანო. ან ქობულეთის ბეგები თავდგირიძენი, ან ბათუმის სანჯაყ ბეგებიო. ჯარი მალე მოვიდა, როგორც იქმნა ესენი ზარბაზნებით შეესიენ აჭარას, მალე დაიწყეს ომი, მაგრამ ოსმალნი ვერას აწყობდენ, იგინი ძლეულ იქმნენ მძლავრად, საქმე სამარცხვინოდ თავდებოდა. ქართველ მაჰმადიანთ მეომრებს მეთაურობდენ აჭარის და ქობულსთის ბეგები და მათ შორის უფროსი მეთაურთ თავგამოდგებული იყვენ ჰაჯი ასან ბეგ ბეჟანიძე, სოფ. ზენდიდელი, სოფელ აგარიდან დევაძეები, სოფ. ორკოდამ ალიქოლლ შარვაშიძე და მრავალიც სხვანი. ამათ უღალატა და გასცა ოსმალებს მათმა ამ ხანაგმა სოფ. ძენწმანელმა ხეირულა ბეგ ჯაყელმა.

გამცემმა ოსმალთ ყოველივე საიდუმლოება ასწავლა, ამის შემდეგ აჭარლების დამარცხება და დამონებაც მალე მოხდა თურმე, ოსმალთ ყოველივე დაიმორჩილეს, ყოველივე დაამუხლეს, გამოძიებით იპოვნეს ყველა მეთაურნი ამ დიდის ამბოხების, ზოგს მათგანს თავი მოჰკვეთეს, ზოგი სხვა

გვარ დასაჯეს, ერთის სიტყვით სულთანის ბრძანემა ყოველივე აღასრულეს და აჭარელთაც პირობა ჩამოართვეს, რომ დღეის შემდეგ ჩვენ ოსმალთ წინააღმდეგ ხმას არ ამოვიღებთო, ჯარის კაცთაც მოგცემთ და ხარჯსაც მივიმატებთო, თქმულება არის, რომ ზოგი დამნაშავენი სტამბოლში გაგზავნესო. საქმის გათავების შემდეგ ჯარი გაბრუნდა უკან და მთელ ქართველ მაჰმადიანებს ახალი მართველნი დაუნიშნეს და ქართველებთაგან აღარც ფაშას ენდობოდენ და არც ბეგსაო. პირველად ოსმალთა კომლსა წელიწადში გადასახადათ 25 მ. დაადესო, მერე ამ ფულს მიუმატეს ის ზარალი და ხარჯიც, რაც მათ ომის დროს მოსვლოდათო. ასეთმა დიდმა ხარჯმა ხალხი ძრიელ შეაწუხაო.

ხალხი ყველა გაჭირების და უძლურების მიზეზად გამცემ ჯაყელს სთვლიდა, ეს სულ მისის წყალობით მოგვივიდაო. ეს სულ მისი ბრალიაო, მისის წყალობით ჩავვარდით ამ დღეშიო, მისის გაცემით მოგვიკლეს ჩვენ ჩვენი ერთგული მოწინავე კაცებიო. ამიტომ იგი ჩვენის ხელისაგან სიკვდილათ უნდა იქმნეს განკითხულიო. ამისთვის მალე ამოარჩიეს კაცები, ერთ ღამეს დაეცნენ გამცემის სახლს და იქ ამოწყვიტეს სამი კომლი ჯაყელების გვარის წევრნი. მათში გადარჩა თურმე ერთი მცირე პატარა ყმაწვილი, რომელიც ჩემს ყოფნის დროსაც 1892 წ. ცოცხალი იყო და მსახურებდა დაბა ქედის „მეჯლიშ ყადათ". მაშინაც კი ამ ჯაყელის გვარის ყადს ხალხი გამცემ ჯაშუშის შვილს უწოდებდენ. გამცემთა შესახებ ბევრს რამე ავს ლაპარაკობდენ, ისიც კი სთქვეს რომ ჩვენი ღალატის შემდეგ თვით ჯაყელებიც ისე ამოწყდენ, რომ მათი სახლკარის ყოველივე გაოხრდა და გავერანდაო. მათი სახლკარიც მაჩვენეს ამის დასამტკიცებლად. დაუმატებიათ ხოლმე აჭარელთ, რომ მის შემდეგ ჩვენი გული ამ ჯაყელ ყადზედაც კი არ დაწმენდილაო, თუმცა იგი არაფერშია დამნაშავეო.

„ნიზამის" აბბის მეოთხე ვარიანტის ბოლო.

თქმულება არის, რომ ამ წლებამდისაც კი აჭარა—ქობუ-

ლეთში ბეგიები და თვით ფაშიებიც უმეტესად ქართულათა სწერდენ ერთმანეთში წერილებსაო. ოსმალოს მთავრობამ ამ გარემოებასაც მიაქცია ყურადღება და მათში ქართულს ენაზედ წერილების წერა აკრძალესო, თუმცა ქობულეთის ბეგებში ქართულად წერილების მიწერ-მოწერა სულ ვერ მოსპეს და იგინი ერთმანერთში სულ ქართულად სწერდენ წერილებსო. ამათ გვარის კაცთა ნაწერები მეც მაქვნდა, მაგალითებრ ასან ბეგი თავდგირიძის ნაწერები 1840 წ. ალიბეგ თავდგირიძის ნაწერები, სულეიმან ბეგი თავდგირიძისა, ყედემ ბეგ თავდგირიძისა, ემინ ბეგ თავდგირიძისა და სხვათა ამათ გვარის წევრთა, ქობულეთის გარეშე, რომ თვით აჭარის ბეგებიც 1850 წლებამდის ქართულად სწერდენ, ამას ასაბუთებს იმ კერძო წერილების ცნობები, რომელნიც აჭარიდან ქართულად უწერიათ აჭარის ბეგ ბეყანიძეებს, ხალვაშებს და მრავალთაც სხვებს. ამისივე საბუთი არის, რომ თვით ახმედ ფაშის და ამის ძმების ოჯახშიაც სულ ქართულათ ჰქონიათ წერილების წერა ერთმანერთში გამართული. ამას ასაბუთებს სელიმ ფაშა ხიმშიაშვილის ძის აბიდ ბეგის წერილები, რომლებიც მე მაქვს. ამათ წერის ოსტატობა არის კარგის გამოსახატავის ასუებით და მასთან კაი ქართული ენითაც ნაწერი ასე: —,,**თქვენის მადალ კეთილშობილების პატივის მცემელი ქობულეთისა და აჭარის მფლობელი სელიმ ფაშის ძე აბიდ ბეგი**''. აქ საკვირველი ერთი ის არის, რომ 1840 წლებს, ქობულეთის მფლობელობაც კი ხიმშიაშვილებს ჰკავებიათ, თუმცა სანჯაყ ბეგ აბაშიძეებსაც აქნდათ ფლობა. ამათის წერილების დიდი რიცხვი დაიკარგა 1891 წ. ზოგი მეც ვიშოვე. მათში სხვა და სხვა ქართველ ფაშების ნაწერი წერილებიც იყო, როგორც მაგალითებრ გონია ლივანის გამგის მუსა ფაშა ჭყონიას ნაწერი. საბუხაროდ ამ წერილების სულ დაიფინტენ აქეთ იქით, შემრჩა მხოლოდ 15 წერილი, რომელნიც გადავეცი ქართულ ისტორიულ და გეოგრაფიულ საზოგადოებას, ამათისავე წერილების ძრიელ მრავლად დაიკარგა, ოზურგეთის სამაზრო გამგეობის არქივი-

დან, რაც მეწვრიმლებზედ იქმნა 1892 წ. ქალალდის ფასად დაყიდულნი და დახეულები 125 ფუთი ასეთის ქალალდების, ამ ქალალდების დაკარგვით დიდი მასალა დაიკარგა.

ოსმალეთს შეუსრულდა გულის წადილი, ქართველთაგან გაიყვანა ნიზამი, ჯარის კაცთა მალე დიდათ ისახელეს სამხედრო სწავლაში და იგინი საკვირველად აღმოსჩნდენ. ამით მათ დიდათ გაითქვეს თავი, მთელს ოსმალეთში სულ ქართველ ჯარის კაცთა შნოსა და ენერგიულს სწავლაზედ ქონდათ ლაპარაკი, ამიტომ გურჯების ჯარის კაცთ ოსმალეთში ყველა დიდს პატივს სცემდა და აქებდა, ესენი სათაყვანებელი გაუხდათ თვით სამხედრო უმაღლესთ პირთ და თვით სულთანის წინაშეცკი შეაქვს ქართველთ ჯარის კაცთა შნო, სწავლის ხალისი და ენერგია. ერთის სიტყვით მთელ ოსმალოში აქამდის იქებოდენ მხოლოდ ქართველ გვარის ფაშები და იგინი მაგალითნი იყვნენ ყველასი, ბოლოს მათ დაემატენ ეს ჯარის კაცნიც და მაშინ ხომ უფრო გაზვიადდა როგორც ქართველ ფაშების ქება-დიდება, ისევე ამ ახლად გაყვანილ ჯარის კაცთა საქმეც ისე მოეწყო, რომ გურჯების ჯარი ოსმალოს მხედრობის ასპარესზედ გახდენ უპირველეს ხარისხის მექონ მებრძოლნი, იგინი შეიყვარა თვით სულთანმაც და აქამდის თუ ამათ საეჭვოთ სთვლიდენ, ნიზამის გაყვანის შემდეგ-კი იგინი გაიცნეს კარგად, იგინი ჩათვალეს წმინდა მუსულმანებათ, სულთანის ერთგულად და ნამდვილ თავ-დადებულ მეგობრად, ამიტომ ამათგანვე შეადგინეს ოსმალოს სულთნის მცველი „იანიჩრების“ გუნდი-კონვოი.

ამაობაში მოახლოვდა 1854 წ. და რუსეთსა და ოსმალოს შორის ყირიმის ომიც იქმნა დაწყებული. ამ ომისთვის ოსმალოს მთავრობას დიდი იმედი ქონდა აჭარელთაგან და ამიტომ იგინი თამამად ფიქრობდენ, რომ გურჯისტანის მხრით რუსნი ჩვენ ვერას დაგვაკლებენ, იქნება 1828 წელს წართმეული ადგილებიც წავართვათ, რადგანაც აჭარლები და მთლად გურჯები ასეთი მხნე ერთგული მეგობრები არიან

ჩვენიო, მოახლოდა დროო, გაიმართა ომი. ამ ომში საქართველოს კუთხისაკენაც რასაკვირველია დროით დაიწყეს და როგორც ფიქრობდა მთავრობა ადრიდგანვე ომის დაწყებისათანავე წინ სულ ქართველ მაჰმადიანები გამოსჭიმეს, რომელთაც ფაშებათ ქართველებიც დაუნიშნეს, როგორც მუშირ(?) ფაშა, ქერიმ (?) ფაშა, რეშიდ ფაშა დუმბაძე, ჰასან ფაშა თავდგირიძე, ქობულეთისა, ზარაფ? მუსტაფა ფაშა, სელიმ ფაშა აჭარელი. ამათ გარდა თათრის ტომის ფაშებიც მრავლად იყვენ. ამათშივე იყო დანიშნული ახმედ ფაშის შვილი შერიფ ბეგი. ამათშივე აღმოსჩნდა დათა გურიელი, გურული ქრისტიანი, რომელიც რუსეთის მთავრობას და მხედრობას მძლავრათ მტრობდა და ებრძოდა. ასევე ამ ომში მონაწილეობას იღებდენ თითქმის ყველა ქართველთ ბეგები და მათან თელი სამუსულმანო საქართველოს გურჯები. ამ ომში ყველა ქართველ ბეგს და ჯარის კაცთ დიდი ერთგულება ჰქონიად ოსმალოს მთავრობის, მათ დიდი მოორჩილება აღმოიჩინეს.

ომის ცნობაც არის, რომ ზოგს ბეგს და ჯარის კაცსაც სურვებია რუსების გამარჯვება და საქართველოსთან დაკავშირება, მაგრამ ასეთი პირნი აბა როგორ რას იტყოდენ და რას იზავდენ, ასევე თურმე იმედი ჰქონდა შერიფ ბეგსაც, რომ იქნება მეღირსოს და ჩვენი დაჩაგრული და ოსმალოსაგან ყაჩაღათ ქცეული ქართველობაც დაუკავშირდეს თავის მოძმე საქართველოს, შერიფ ბეგი სწერს: „**ამ ბედნიერებას სულით და გულით გეძებდი, მაგრამ სამწუხაროთ ომი მარცხით გათავდა, რუსეთმა საქართველოს მხრით ოსმალეთს ვერაფერი წაართვეს, 1828 წ. დაშვებული შეცდომა ვერც ეხლა გასწორეს**“, თუმცა უმაღლეს მთავრობას და ნამეტურ კავკასიის მთავარ მართებელს ამის წადილი კი დიდი ქონდა და იმედოვნებდენ, რომ ახლა კი ძველ საქართველოს ადგილებს ოსმალეთს ჩამოვართმევთ და საქართველოს გავაერთიანებთო.

ამ დროის მთავარმართებელი მძლავრად ეძიებდა საქართველოს საზღვრების იმ მიჯნეს, რაც ოსმალეთს ეკავა ხელში. რუსთაგან საქართველოს ადგილების დაბრუნება კი არა და კინალამ ოსმალოს ჯარმა იმერეთი აიღო, ჯარი ქუთაისაც მოახლოვდა. ქუთაისი დაცალეს, თვით გემნაზიაც კი დახურეს და მოწაფეები თფილისის გემნაზიაში გადმოიყვანეს, მცირე ხნის შემდეგ თფილისიც კი შიშში ჩავარდა და რუსეთის მთავრობა თფილისიდან გადასვლას აპირებდა კავკავში, ყველა სამხედრო სამართველო და შტაბიც გადაჰქონდათ და მთელს კავკასიას ხელიდამ წასულათ სთვლიდენ. თუმც რუსეთის მთავრობა ბოლოს ამას კი არ დასთმობდა, არას ღონის ძიებით, და ყოველივეს უკან დაიბრუნებდა. როგორც იქმნა, ომის შესახებ მორიგებაზედ ლაპარაკი ჩამოვარდა, ომიც მალე შეაჩერეს, ოსმალეთს კვალად შერჩა ყველა ის საქართველოს ადგილები რაც მათ 1627 წ. დაიპყრეს. ამ გარემოებისაგან ბევრი ქართველი დარჩა გულ ნაკლულად, ნამეტურ ისინი, ვინც სამცხე-საათაბაგოს ისტორია იცოდენ, ისიც თუ ეს კუთხე რა სისხლის ღვრით დაიმორჩილა ოსმალეთმა.

აჭარაში მრავალთაგან გამიგონია, რომ 1855 წ. ომში, ანუ ომიანობის დროს, ქართველ მაჰმადიანებმა რუსეთის წინააღმდეგ, ოსმალოს ჯარში ჩინებულად იომესო. ამათ ისე ისახელეს თავი, რომ თსმალოს მთავრობა გაკვირვებული იყო მასზედ და აღარ იცოდნენ თუ ქართველებისათვის მადლობა როგორ გადაეხადნათო. ამ ომის დღიდან ოსმალოს მთავრობამ ქართველებზედ თვისი შეხედულება შეიცვალეს და იგინი თვის ერთგულებათ ჩათვალესო, ამ დღიდან ოსმალოს მთავრობამ ქართველ ფაშებს დაუწყო დაწინაურება, დიდი ადგილების მიცემა, დიდი ჯამაგირის და მასთან კაი ნიშნების, (ორდენი) რაც აღარავისთვის იყო უცხო, რადგანაც ქართველთ ფაშებმა ამის ღირსება ცხადათ დაამტკიოესო. ამ დროდან სულთანი სულით და გულით ეძებდა თვის ადიუტანტად და

უფროს ფაშებათ და ვეზირებათ ქართველებსაო. ამას გარდა ოსმალოს მთავრობა თვით ჯარის კაცებსაც კი აქცევდა ყურადღებას და ბევრს საჩუქრებსაც აძლევდა, მასთან საქმითაც აწინაურებდაო. ქართველ მაჰმადიანებიც რასაკვირველია ამის გამო ოსმალოს მთავრობის დიდი მადლობელნი იყვნენ და ამიერიდან ყოველს მათს ბრძანებას სიამოვნებით ასრულებდენო. იმ დღიდან ოსმალოს თვალში ჩვენ გამოვსჩნდით, მეტად ისეთ ერთგულ ისლამის მექონ თათრებათა, მათის ტახტის ისეთ ერთგულათა, რომელთა მსგავსნიც თვით თავიან თათრებშიაც არ ეგულებოდათო. ამიტომ იგინი ჩვენ ცხოვრებას გვიშალავათებდენ, ჩვენც მათს ყოველს დავალებას სიამოვნებით ვასრულებდითო. ეს ბევრმა მიამბო ასე.

ეხლა ჩვენ აქ ნოვიყვანთ იმასაც, თუ ოსმალოს მთავრობა 1856 წლის შემდეგ ქართველ მაჰმადიანებს რას ავალებდა. ეს დავალება ტყული არავის ეგონოს, ამის ისტორია ქართველ მაჰმადიამებში ბევრმა იცის და უეჭველია ამას ბევრნიც დაგვიმოწმებენ, გინდ რომ ეს ასე არ იყოს და მათ არ შეგვიმოწმონ, მაშინ ვინც კი ქართველთ მაჰმადიანთ ცხოვრებას დაუახლოვდება და გაიცნობს, ის ამაზედ ცხადათ დარწმუნდება და იმას ამისთვის აღარაფერი ეჭვი მოუნდება, არაფერი ფიქრი დაებადება. რადგანაც ამის პასუხს მათ მისცემს თვით ქართველ მაჰმადიანთ გაველურებული ცხოვრება, მოქალაქობიდან უკან ჩამორჩენა, უსწავლელობა და ათასიც სხვა ამ ამგვარნი, რაშიაც გახვეული იყო დღემდე ქართველ მაჰმადიანთ უმრავლესობა. ესენი ამით ისე იყვენ დაქვეითებული რომ გულ შემატკივარ კაცს სული აუშფოთდებოდა. ოსმალოს მთავრობა აი რითი რაზმავდა ქართველ მაჰმადიანებს, რას ასწავლიდა და რის აღსრულებას ავალებდა მათ: 1, იმის ცდას, რომ მათ, როგორც მუსულმანემმა, უნდა დაივიწყონ ქართული ენა, იგი მოიშორონ თავიდან, ეცადონ, რომ პატარებს შინიდამვე აუკრძალონ ეს ენა, მის მაგიერ შეასწავლონ ოსმალური, რაც მოსაწონი იქნება მღვთისა და

დან სცნობს ყოველივეს დაჭეშმარიტებით. 1850 წლის შემდეგ ნელ-ნელა მიდიოდენ წელნი და დრონი და მით ქართველ მაჰმადიანებიც ქრებოდენ თავიანთის მამაპაპურის ენით თვით თავიანთ სამშობლოს ასპარეზზედ, იკარგებოდენ ისე და თახსირდებოდენ, რომ მათში ერთ კაცსაც ველარ ნახავდით, რომ იმას არ ეთქვა, რომ მე გურჯი ვარ ტომით, სიმსხლით, ენით, ხოლო სჯულით ვარ მუსულმანი და ასევე სხვა ასეთნი. ერთი სიტყვით ჩვენ და ისინი ერთმანეთისაგან ისე ვწყდებოდით და ვიკარგებოდით, რომ მათ თვით ჩვენი არსებობის გახსენებაც კი ეზიზღებოდათ და აღარ იცოდენ რა ექნათ. მართალია ჩვენ კი არ გვავიწყდებოდენ ივინი, მაგრამ რა გამოვიდა ამით, როცა მათ ჩვენ ჭირივითა ვსძულდით და ჩვენი არაფრის გახსენება აღარ უნდოდათ. ივინი ქართველობიდან და საქართველოდან ისე იკარგებოდენ, რომ ძნელად ასე დაკარგვა და გადაგვარება სხვაგან სადმე ევროპის ხალხთა შორის მოხდეს, ეს შეუძლებელია და მოუსაზრებელიც, როგორც ქართველ მაჰმადიანები დაიკარგენ თავიანთ სამშობლო ხსოვნისაგან, დედა ენის, წიგნის და ისტორიისაგან.

ასეთის დაკარგვით და გადაგვარებით ამგზავრებდენ ესენი თვის ცხოვრების დღეებს, ასე მძლავრად და ველურად იკარგებოდენ თავის თანამემამულეთაგან და ივინი მოკლე დროის განმავლობაში ზოგ ალაგას ნამდვილ თათრებათაც გადაგვარდებოდენ.

რაც ხანი გადიოდა, რუსთაგან ახალციხის აღების შემდეგ და ნამეტურ 1854 წ. ომის აქეთ, ქართველი მაჰმადიანებიც თვალსაჩინოდ მცირდებოდენ, აშკარად ისპობოდენ თავიანთ სამშობლოს მიწა მამულზედ, უჩინრად სწყალდებოდენ და ქრებოდენ, ამისთვის ოსმალეთმა ისე მოაწყო მათი ცხოვრება საქმენი, ივინი ისე გაასწორა მიწაზედ, რომ ეს ერი თავის სამშობლო ქვეყნის ასპარეზზედ თავის მამა-პაპის სისხლით და ენით უსათუოდ უნდა გამქრალიყო, ოსმალოს მთავრობამ

ქართველ მაჰმადიანები ისე გარდაქმნა, ისე გააველურა და თავიდან ისე ამოღადრა თავის ვინაობის მცნება, რომ მასზედ უკეთესი მათთვის აღარა იყო რა. ერთის სიტყვით ოსმალეთის მთავრობამ გამოხრა ქართველ მაჰმადიანთ ოჯახი, შეჭამა ეს ერი, მან დაკარგა ამოდონა ქართველ მაჰმადიანობა თავის მამა-პაპის ასპარეზზედ, განვითარების მიმყოლობას მკაცრად მოაცილა, ესენი თითქმის გააქრო შეგნებულ ხალხთა ცხოვრების რუკაზედ.

ერთის სიტყვით, ისლამის დღეგრძელობით და ხელმძღვანელობით ოსმალოს მთავრობამ ქართველებზედ გული კარგად ისრულა და თვით ქართველნი თავიანთ თავის, ოჯახის, მამა-პაპური სისხლის, ენის, ქვეყნის და ქართული წიგნის ისეთ მტრათ მოამზადა, რომ მასზედ მეტი სხვა აღარა შეიძლებოდა რა, ის რაც უნდა ოსმალოს ექმნა თავის მახვილით ამ ბედშავ ქართველებზედ, იმას თვით ქართველები ჩადიოდნენ თავიანთ ოჯახზედ. 1850 წ. შემდეგ ქართველ მაჰმადიანი თვით სჭამდა თავის თავს, თავის ვინაობას, მშობლიურს ენას, მწიგნობრობას და თავის თავის ისტორიას, იგი ყველაფერს ივიწყებდა, ყველაფერს ისე ჰკარგავდა და ისე სტოვებდა, რაშიაც ველური სიხარულის მეტი სხვა მათგან არა სჩანდა რა. ამათ ეს სანაქებოთ მიაჩნდათ, ოსმალნიც ამის გამო შორიდან ტაშს უკრავდენ და მით ქართველნიც ისპობოდენ თავიანთ მამა-პაპებისაგან სისხლით მორწყულს სამშობლოში.

ოსმალოს მთავრობამ რაკი ქართველთ მაჰმადიანები ისე დაკარგა თავიანთ საგვარტომო ხსოვნიდან და რაკი ქართველნი გადაკეთდენ მათ ყურმოჭრილ ყმათ, მის მერე მთავრობამ ამათთვის ერთნაირი მოწყალება მოიღო, რომ ამ გზით და ხერხით ესენი უფრო ადვილად დაკარგულიყვნენ თავიანთ ენით, მწიგნობრობით და ვინაობით საქართველოს მიწა მამულზედ, რომ ესენი უფრო კაი მონებად აღმოჩენილიყვნენ და ოსმალურიც უფრო კარგად შეესწავლად, მის სასარგებლოდ ქართველ მაჰმადიანთ შვილებს დაუწყეს ოსმალოს სხვა და სხვა სა-

მხედრო და სასულიერო სასწავლებლებში გაწვევა და მიხმობა, ამისთვის მათ მქადაგებლებიც კი გააჩინეს სამცხე-საათაბაგოს, რომელნიც შვილების სწავლას უქადაგებდენ და ოსმალოს ქვეყნის სკოლებში გაგზავნას, სადაც მათი შვილები ოსმალოს მთავრობის ხარჯით აღიზრდებოდენ.

ესეც ერთი მოწყალება იყო ქართველ მაჰმადიანთა შვილების აღზრდისათვის ოსმალოს მთავრობის მხრით. მთავრობის ასეთ მოწყალებას, რასაკვირველია ხალხმაც კაი თვალით შეხედა, ამიტომ მათ იწყეს თავიანთ შვილების ოსმალეთის ქალაქების სხვა და სხვა სამხედრო და სასულიერო სასწავლებლებში გზავნა სწავლის მისაღებათ. სწავლა რასაკვირველია კარგია და ეს ჩვენც უნდა გაგვხარებოდა, რადგანაც ქართველ მაჰმადიანები რაკი ოსმალოს სკოლებში მიიღებდენ სწავლას, იქ როგორც ევროპიელთ ერთა მახლობლათ მაინც მყოფნი ოსმალოა ზოგ სასწავლებელში ფრანგულს ენასაც ისწავლიდენ, მასთან საზოგადო ისტორიიდან ცოტა რამ საგნებსაც გაიცნობდენ, რაც რასაკვირველია მათზედ დიდს გავლენას მოახდენდა, იგინი უეჭველია ბევრნაირად დაწინაურდებოდნენ, სწავლის საშუალებით და შეგნებით თავიანთ ვინაობასაც მცირედ შეიგნებდენ, მათთვის ცხადი იქნებოდა ის ნათელი ჭეშმარიტება, რომ იგინი ქართველები არიან, რომ მათი ქვეყანა საქართველოა, მათი ენაც ქართული და მათი ენის წიგნიც სხვა არის და არა არაბული, რომ მათ აქვთ სამშობლო ქვეყანა, აქვთ საქართველოს ისტორია, ერთი სიტყვით არიან სხვა ტომისანი და არა ოსმალნი—თათარის ტომისანი, შეიგნებდენ, რომ მათ აქვთ მხოლოდ სჯული ისლამის, რაც ტომს და ქართველობას არა უნდა უშლიდეს და არც უნდა სპობდეს ამას.

არა, ეს მათში არ მოხდა, მათში ამ შეგნების ერთმა აზრმა, ერთმა სხივმაც არ გაიჟრიალა, ამათ ასეთის სწავლით არამც თუ შეიგნეს ასეთი ცნების რამე, არამედ ასეთის შეგნებით უფრო მკაცრად მოსცილდენ, გადაგვარდენ, იქ ესენი ამის გარშემო უფრო გავ�ერლენ, უფრო ფანატიკათ ალმო-

ჩნდენ, უფრო დაბრმავდენ და ამ დაბრმავებისათვის ცხადი საქმეა, რომ ოსმალოს მთავრობაც ხმაროობდა თავის ხრიკებს... ეს ნასწავლი ქართველი მუსულმანები უფრო მტრობით სჩნდებოდენ ქართველობის, ანუ თავიანთ ვინაობის წინაშე, ესენი ცხარე და ფანატიკობით მდაბიო ხალხს აჭარბებდენ. 1850 წლებიდამ, ოსმალოს სამხედრო, საექიმო და სასულიერო სასწავლებლებში მრავლად სწავლობდენ ქართველ მაჰმადიანთ შვილები, საქართველოში დაბადებულნი, აქედამვე წაყვანილნი ოსმალეთში, იქ ყოფილნი და ნასწავლნი, მაგრამ ისე დიდ რიცხვის მექონ მოსწავლეთ შორის, ერთსაც არ გახსენებია ის გარემოება, რომ იგი ქართველია ენით და არა ოსმალი, რომ მას ქართველ ტომისაგან ისლამი არ უნდა აცალკევებდეს, ისლამი მას თავის ტომისაგან არ უნდა ჰკარგავდეს.

ასეთ ნასწავლ ქართველ მუსულმანთ შვილების მე, ბევრნი მინახავს, როგორც სამხედრო კაცნი, ისევე ექიმნი, ფერშლები და ასევე მოქალაქენიც, ამათ გარდა მინახავს სხვა და სხვა სასულიერო პირნი, რომელთაც სწავლა ოსმალეთში ჰქონიათ მიღებული და უნდა ითქვას სისწორით, რომ მათში ერთიც ვერ ვნახე, ერთისაგანაც ვერა შევიტყვე რა ლაპარაკის დროს, რომ მათ შეგნება ჰქონიყოთ თავიანთ თავის და ვინაობის... მე ვნახე ისეთი პირნი, რომელთაც ფრანგულიც კი ესწავლათ, ასეთი ერთი მოლაც კი ვნახე მაჰახლიდამ წასული და სტამბოლში ნასწავლი, მაგრამ ლაპარაკის დროს ესა და ამგვარნი თავიანთ ვინაობის წინაშე არამც თუ შეგნებით აღმოჩნდენ, სრულს უმეცრებათ, თითქმის დაკარგულებათ და ყოველნაირის მოქალაქურის აზროვნებიდან შორს წასულ დაკარგულებად. მოკლედ უნდა ითქვას, რომ ეს ნასწავლნი უფრო ფანატიკები იყვნენ და უფრო მტერნი თავიანთი ქვეყნის, ვინაობის, ენის, მწიგნობრობის და ისტორიის. როცა ასეთ პირებთან მე ლაპარაკი მქონია, მაშინ მათ გაკვირვებით დაუწყიათ მზერა და ბოლოს მოკლედ ასე უთქვამთ: „ჩვენ თათრები ვართ, ეს ქვეყნებიც სათათრეთია“ და არა გურჯისტანი.

ჩვენც თათრები ვარო და არა გურჯები, გურჯები გიაურები არიანო“ და ასეთიც სხვა მათი პასუხები, რაც გონებით ბნელს შეჰფერის და არა ნასწავლს.

აქამდის (1878) ქართველ მაჰმადიანთ მდაბიონი იმას მაინც ამბობდენ, რომ ჩვენ გურჯები ვარო და ეს ჩვენი ქვეყანაც გურჯისტანი არისო. ალბათ ოსმალოს მთავრობა ამაშიაც თავის რამე მტრობას ხედავდა და ამიტომაც ისურვეს მათ, რომ ამ ერისათვის დღეის შემდეგ ეს სახელწოდება გურჯი და გურჯისტანიც დაევიწყებინათ, რასაც რასაკვირველია მათს წინაშე რამე სასარგებლო მნიშვნელობა ექმნებოდა, ამიტომ როგორც სჩანს ამის დავიწყების ოსტატობა და პროპაგანდა უნდოდათ დაეწყოთ ისეთ ქართველებისაგან, რომელიც ოსმალეთის ქალაქებში სწავლას მიიღებდენ და მერე ესენი საქართველოში დაბრუნდებოდენ და ქართველებში იმეცადინებდენ, რომ ახლა ამათის ცდით, ისლამის სახელით და ოსმალოს მთავრობის მანქანებით ქართველთათვის სიტყვა „გურჯი და გურჯისტანიც“ დაევიწყებინათ. ამათზედ უკეთეს მკურნალებს იგინი ვერ იშოვნიდენ, რადგანაც ესენი როგორც ოსმალოს ქალაქებში ყოფილნი და თათრის სკოლებში ნასწავლნი რასაკვირველია ამათ ხალხი უფრო დაუჯერებდათ ყოველს თქმულის დავალებას.

ასე და ამ გვარად, ოსმალოს მთავრობამ თუ ისურვა ქართველთ შვილების განათლება, ეს იმიტომ კი არა, რომ მათ ამათი განვითარებისათვის გული შესტკივოდა, რომ ესენი გამოეყვანა ველურის მდგომარეობიდამ, არა, საქმე ეს არ ყოფილა, აქ საქმე ის ყოფილა, რომ იგი ფიქრობდა, ჩემებურად გაზრდილ და გაწვრთნილ ქართველთ საშუალებით გურჯებს უფრო მალე დავავიწყებთ „გურჯი და გურჯისტანის ხმარებასაო. საქმე თურმე ეს ყოფილა და ამის ნატვრა და არა სხვა რამ კეთილი აზრი. იგინი ამაში არც მოტყუვდენ და ოსმალოს საქართველოში ჩვენს დროამდის, ისე ქართველი და საქართველოს მდაბიო ქართველ მაჰმადიანებისაგან

არ იგმობოდა საქართველო, როგორც ნასწავლებისაგან, ნამეტურ ისეთის ხოჯებისაგან და მოლებისაგან რომელთაც სტამბოლში ჰქონდათ სწავლა მიღებული. ამათი საუბარი ქართველობაზედ ხომ უკეთესმართი არ იყო, არამედ სისხლის ღვრით და სისხლის დალევითაც კი სავსე, რომ იგინი თვით სისხლსაც კი დალევდენ ქართველის კაცისას და საქართველოსას. ასე ყალბათ იყვნენ და დღესაც არიან ეს პირნი მომზადებულნი და მით მძლავრად დაბნელებულნი.

ასეთ დაღუპვის და გადაგვარების ხანაში იყო ქართველი შაჰმადიანობა, ასე იკარგებოდენ იგინი თავიანთ ქვეყნის წინაშე, ასე უსამართლოდ და უსაბაბოთ, მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ მაინც რაც ბუნებრივი არ არის და ნაძალადევია, იმას მომავალი არა აქვს, თუმცა ოსმალოს მოავრობამ ასეთ ნასწავლ ქართველების წყალობით საქართველოს და ქართველის გმობა 1860 წლიდან ერთობ წინ წავიდა და ამ დრომდის მათში ბევრს ალაგასაც დაკარგეს ქართული ენა და დღეს იქ ოსმალურად ლაპარაკობენ, მაგრამ რაც ამ დაკარგულ ერში ბუნებრივი იყო, ის მაინც ოსმალეფის ცეცხლმა და მახვილმა მაინც სულ ვერ ამოაგდო, სულ ვერ მოსპო, ხალხს ვერ დაავიწყა ყველგან ეს საერთოდ და ნაცვლად ამის იყვნენ მათში თითო-ოროლა ისეთი პირნიც, რომელნიც ცხადათ ლაპარაკობდენ, რომ ჩვენ გურჯები ვართ, ჩვენი ენა და წიგნიც გურჯელია და ეს ქვეყნებიც გურჯისტანიაო. ასეთნი მე თვით მოლები და ხოჯებიც ვნახე არამც თუ ბათუმს და ქობულეთს, არამედ ზეგანსაც კი.

ასეთ პირთ აჭარა, ქობულეთის და სხვა კუთხეების შემოერთებამდის საქართველოში მიწერ-მოწერაც აქვნდათ, იგინი თფილისიდამ ქართულ გაზეთებს და წიგნებსაც კი იბარებდენ ხოლმე, რაც მაშინ იგი მათში ჩუმად გადაჰქონდათ მათ მომხრე ახალციხელ და ბათუმის ქართველ კათოლიკებს. ამის ასპარეზზედ დიდი ამაგი მიუძღვისთ ბათუმელ მჭედლიშვილებს განსვენებულ ლევანს, პავლეს და გრიგოლ პეტრეს ძეთ. შე-

რიფ ბეგის ოჯახში ქართული წიგნები თფილისიდან 1860 წლებიდან იგზავნებოდა. ცუდს პირობებში მოთავსდა ქართველ მაჰმადიანებში ქართული ენის ბედის საქმე 1828 წლიდან, ომის დაკარგვის საქმეს ოსმალოს მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო 1829 წ. ომის შემდეგ ამ ცდით იგინი კარგადაც მოქმედებდენ, ხოლო მათს ასეთ ველურ მოქმედებას საზღვარი დაუდო 1877 წ. რუსეთის და ოსმალოს ომის დაწყებამ.

ოსმალეთის საქართველო რუსეთის და ოსმალეთის იმპერიის შორის სადავო საქმეთ შეიქმნა. 1800 წ. რუს-ქართველთ შეერთების პირობის ერთის მუხლის ძალით სურდათ, რომ ძველი საქართველოს ადგილები სულ ჩამოეცალათ ოსმალეთისათვის და მის საშუალებით გააერთიანებინათ საქართველო თავის საზღვრებით, ასევე სურდათ ოსმალთა, რომ რუსეთისაგან აეღოთ ის ადგილებიც კი, რაც რუსეთმა მათ 1828 წელს წაართვეს, ამას გარდა წაერთმიათ მთელი საქართველო, შერე ეს წანართმევი შირვან დაღისტნისათვის შეერთებინათ და ეს მერე მოჰყოლოდა ქართველთ საერთოდ ისლამთან დაკავშირება, რაც გახდებოდა მის მთავარ ძალათ, რომ რუსები თავის დღეში საქართველოში ფეხს ვერ შემოადგამდენ და აღარც ქართველები მიემხრობოდნენ მათ. საქართველოში რუსებს აღარ მოიყვანდენ, ორივე სახელმწიფოთა აზრი ასეთი ვახლდათ. ამათ ხშირათ უთანხმოებაც მოზდიოდათ და მეცხრამეტე საუკუნეში ხომ საქართველოს გულისთვის რამდენჯერმე ომიც ჰქონდათ.

რუსეთის ხელმწიფის და მოწინავე კაცთა წინაშე უკანასკნელად გამოირკვა ის აზრი, რომ ჩვენ ოსმალებს ომი უნდა აუტეხოთ და მის მეოხებით ერთის მხრით მათის მონებისაგან გავათავისუფლოთ სლავიანთა ტომნი და მეორეს მხრით მათ საქართველოს ის ადგილებიც უნდა წავართოთო, რაც ჩვენის შეცდომით და მოტყუებით ადრიანოპოლის მორიგების დროს მოხდაო. ამიტომ რუსეთის მთავრობა შეუდგა ომის თავდა-

რიგს და 1877 წ. მათ ოსმალთ ომი დაუწყეს ორის მხრიდამ, ბალაკანეთის კუთხით სლავეანთ ტომთ გასათავისუფლებლათ და საქართველოს მხრით კი ძველი საქართველოს ადგილების ჩამოსართმევათ. რუსეთის მხრიდამ გადაწყვიტეს ასე, რომ რაც უნდა ბევრი სისხლი დაგვეღვაროს, მაინც მთელი საქართველოს ადგილები ოსმალთ უნდა წავართოთო, ე. ი. უნდა დაემორჩილებინათ ყარსი, ოლთისი, არტაანი, ბათუმი და მთელი ლაზისტანი. ამისთვის 1877 წელს დაიწყო ომი ორსავ მხარეს.

ომის დაწყებამდის, ქართველ მაჰმადიანთ წინაშე საიდუმლოდ მოლაპარაკება იყო გამართული, აცნობეს მათ, რომ რუსეთის იმპერატორს გადაწყვეტილი აქვს, რომ ეს კუთხე რაც უნდა ძვირად დაუჯდეს და ბევრი სისხლი დაღვაროს, მაინც ეს ადგილები უსათუოდ აღებულ უნდა იქნეს და საქართველოსთან შეერთებულიო. ამიტომ უმჯობესი იქნება, რომ თქვენ უბრალოდ სისხლი არ დაღვაროთო, ან ჩვენს ჯარს კლდე-ღრეებში არ ჩაუსაფრდეთ და არა ხოცოთო. თუ სურვილი გექნებათ, მაშინ ცხადათ ვამოდით და ომში მიიღეთ მონაწილეობავო. ხოლო ჩვენთვის უცხო ვიწროებში ქურდულათ ჩასაფრება და თოფის სროლა კი არ იყოსო. ასეთ წინადადების მოსალაპარაკებლად ჩვენის მხრიდან იყო დანიშნული გენერალი თავადი გრიგოლ დავითის ძე გურიელი, მიხეილ ალექსანდრეს ძე მეფისაშვილი, ახალციხელი, ორივე გამოჩენილი პირნი მთელს ოსმალეთ საქართველოში, ერთი გურიის მთავრის შთამომავალი, მონათესავე აჭარის და ქობულეთის ბეგების ხიმშიაანთი და თავდგირიძეების და მეორე ახალციხელი, ქართველი კათოლიკე, რომელსაც მეტად დიდი გავლენა ჰქონდა მთელს ოსმალოს საქართველოს ხალხზედ, მთელს ამ კუთხეს და ხალხს იგი ისე იცნობდა, როგორც თავის ხელის გულს.

ვიდრე ომი დაიწყებოდა, მის რამდენიმე წლის წინეთ, ოსმალურ საქართველოში იმოგზაურა რუსეთის გენერალურ-

შტაბის მოხელე გენერალ გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზიბეგმა. აჭარაში ამის მგზავრობის შესახებ მიამბეს შემდეგი ცნობები, რომელიც მომყავს აქ. გიორგი ყაზიბეგს ტანზედ ჩაქური ტანსაცმელი ეცვა და ისე მგზავრობდა. უმთავრესად კი აქ მგზავრობდა გენერალ გრიგოლ გურიელი, რომელსაც მთელი ქართველთ მაჰმადიანობა კარგად იცნობდა და ყველა მათგანი მას **ბატონიშვილს** უწოდებდა. გიორგი ყაზიბეგი გრიგოლ გურიელის მოსამსახურეთა შორის ირიცხებოდა თურმე და არა რუსეთის მოხელეთ. ამათ მიმოვლეს მთელი ოსმალოს საქართველო. გიორგი ყაზიბეგმა შეადგინა თავისი მოგზაურობა, რომელიც მალე რუსულს ენაზედ ცალკე წიგნად დაიბეჭდა და მასთან მეორე წიგნი „ლაზისტანის სანჯაყი“ ორივ საინტერესო წიგნები და ჩვენი ტომისთვის გამოსადეგნი.

გიორგი ყაზიბეგის შრომა ამ მხრით რუსეთის მთავრობისათვის გზა და ხიდი გახდა ომის დროს, მათ სწორეთ ამ აღწერით და პლანებითაც იარეს, გიორგი ყაზიბეგის შემდეგ აჭარაში იმგზავრა დიმიტრი ბაქრაძემ და ამანაც ასწერა იგი ისტორიულად და ეტნოგრაფიულად, რაც ცხადი საქმეა ესეც გამოადგებოდათ რუსეთის მხედრობის მეთაურთ გზების საცოდნელადა. ამათ გარდა 1873 წ. ჟურნალ «კრებულში» დაიბეჭდა დიდი წერილი ჩვენის მოღვაწის ნიკოლოზ ნიკოლაძის სახელდობრ „სხვათა შორის“ სადაც მან აღგვიწერა ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრება გაკვრით, რაც მაშინ ჩვენთვის დიდ განძათ ჩაითვალა. ამათზედ წინეთ კი რუსის მთავრობამ აჭარაში გაგზავნა ივანე კერესელიძე იმ დროის ქართულ ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი, რომელსაც უნდა ენახა აჭარაში შერიფ ბეგი და მოელაპარაკა მასზედ, რომ ჩვენ და ოსმალთ რომ ომი მოგვიხდეს, თქვენ ხომ არ გვიმტრობთო? ამის შესახებ ივანე კერესელიძემ აი რა მიამბო:

მე რუსის მთავრობისაგან დახმარება მომეცა და 1870 წ. წაველ აჭარაში, იქ მე უნდა მივსულიყავ შერიფ ბეგის სახლში. ჩემი წასვლა იქ საშიში იყო, ამიტომ მე ავიღე რამდენი-

მე თარი და ჭიანური და როგორც ამაების დამკვრელი ისე მეველ აჭარაში, სადაც კი მივიდოდი, ყველგან უკრავდი თარს და ჭიანურს. ამ გვარად, მესტვირულის ოსტატობით მივაღწიე შერიფ ბეგის სახლს, მის სახლის წინ რომ მივედი სხალტას, ეზოში შევედი და თარი დაუკარ, მალე შერიფ ბეგი გამოვიდა კარში და დამიძახა, დაკვრა გამეჩერებინა და სახლში ამიხმო, მკითხა შენ ქართველი უნდა იყო, აქ საიდამ მოსულხარო? მერე მე ყველაფერი უამბე და ვაუწყე, რომ თქვენთან ვარ გამოგზავნილითქო. მერე ლაპარაკი დავიწყეთ საქმის შესახებ და მე ყველაფერი უამბე. მან სთქვა: ღმერთმა ქნას რომ მალე დაიწყოს ომი, მე მზათა ვარ, რომ მაშინათვე ჩემი ქვეყნის ქართველთ შვილებს შეუერთდე და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისევე ვახდესო. მან ერთობაზედ დიდი ნატვრა განაცხადა. რამდენიმე დღის შემდეგ მე იქიდამ გამოვემგზავრე სოფელ სოფელ თარის დაკვრით და რუსის საქართველოს ზასღვარსაც მშვიდობით მოვაღწიე. მთავრობას ყოველივე დანაბარი გადავეცი, მის მერე კი მასთან ხშირად დაიწყეს კაცების გაგზავნა და მოლაპარაკების გამართვაო.

## თავ. ბრიგოლ დავითის ძე ბურიელის ნაამბობი.

შერიფ ბეგ და სხვა ბეგებთანაც მე და მიხეილ მეფისოვს მოლაპარაკება გვქონდა და საქმე ისე ხერხდებოდა, რომ მთელი აჭარა რუსის მხედრობას უომრად უნდა ჩაბარებოდა. საქმე ასე მოვაწყეთ აჭარის შესახებ. საქმე ქობულეთი იყო, ქობულეთის ბეგებიც თანახმანი იყვნენ ამისი, ხოლო წინააღმდეგი იყო ალი ფაშა თავდგირიძე და მისი ძმა ოსმან ფაშა. ესენი არა შვრებოდენ, ამბობდენ, რომ არ ჩავბარდებითო. მე უთხარ ალი ფაშას, რომ რაც გინდ რუსეთს ძვირად დაუჯდეს მაინც ამ კუთხის აღება გადაწყვეტილი აქვსთ, ამიტომ თქვენ უბრალოდ დაღვრით სისხლს, ამით არაფერი გამოვათქო. იგი მაინც უარზედ იდგა. მე ვუთხარი, რომ რუსები ფაშობის

მაგიერ გენერლობას მოგცემენ, მასთან კარგს პენსიას და სხვა მეტი რა გინდა, თუ არა გსურს ეს, მაშინ ჩუმად ტყეებიდან და მიუდგომელის ადგილებში ჩასაფრებას თავი გაანებეთ, ჯარს ნუ ესვრით, აშკარად გამოდით და ომში მონაწილეობა მიიღეთთქო.

ასე ვაწყნარებდი მას, ამისთვის მას 600 მან. ვასესხე, მერე 400 მან. მივეცი, შემდეგ ამ ფულში მან თავის ქობულეთის სიმინდის თავლა მომცა, თუმცა მე ამას არა ვსთხოვდი. საქმე მოწყობილი იყო და ხერხდებოდა ისიც, რომ აჭარლებთან ერთად არც ქობულეთელნი და ჩაქველნი გადგებოდნენ შორს, ესენიც ულმრად უნდა ჩაბარებოდნენ რუსის მთავრობას, რადგანაც მათ იცოდნენ რუსეთის მთავრობის აზრი, რომ რაც უნდა დამართოდათ ამ ომით მაინც იგინი ამ ადგილებს უსათუოდ აიღებდნენ. ეს იცოდნენ მით და ამიტომ იმედიც იყო, რომ იგინი ჩვენ წინააღმდეგობას არ გაგვიწევდნენ.

ამ მოლაპარაკებით გრიგოლ გურიელმა თითქმის ყველა ქართველ ბეგებს მიმართა და აუწყა მათ საქმის ვითარება და ყველას იმას ურჩევდა, რომ მშვიდობით და უსისხლოდ ჩაბარებოდა რუსეთის მთავრობას, ამისთვის იგი მათ საჩუქარსაც აძლევდა.

მალე ომიც დაიწყეს ახალქალაქის საზღვრის გადასწვრილვიდგან, ომში რუსთა გამარჯვება იწყეს, ამათ საქმე ისე კარგად წაუვიდათ, რომ ჩილდირას ხეობიდამ წასულთ მალე დაიჭირეს არტაანი (არდაგანი) ეს პირველი ნაბიჯი იყო რუსის მხედროობის ოსმალოს საქართველოში. ამის შემდეგ რუსებმა ყარსიც მალე აიღეს და მის მერე აზრუმიც დაიჭირეს, შიგ რუსეთის ჯარი დაბინავდა, ხოლო ვერ აიღეს ბათუმი, ქობულეთი და სხვა ადგილები, იქნება აქ ომიც არ მომხდარიყო და ყოველივე ეს უომრად, უსისხლოდ აეღოთ, 1877 წლის ომიანობა რუსთა სასარგებლოდ იყო ოსმალეთის საქართველოში, თუმცა ეს ომიანობა რუსეთის ერთობ ძვირათაც დაუჯ-

და, აღებელი დარჩა მხოლოდ ბათუმი, ქობულეთი და მის მიდამოები. ამ დროს 1877 წ. შემოდგომა იყო, რუსეთის მხედრობა ოზურგეთის მხრით ნელ-ნელა გაემართა ოსმალოს საზღვარზედ, მალე ესენი სოფ. ლეღვაში შევიდნენ, აქ დაიბანაკეს. აქ დარჩნენ რამდენიმე ხანს, ხმა, კრინტი ამათ არავინ გასცა. ერთ დღეს სოფელ ლეღვის გზაზედ ერთი ქართველ მაჰმადიანთ ბავშვი მიდიოდა, ამას ვიღაც ბრიყვმა სალდათმა თოფი ესროლა და იქვე მოკლა.

ამ გარემოებამ თავზარ დასაცემი გავლენა იქონია იმ პირებზედ, რომელთაც მოლაპარაკება ჰქონდათ ქართველ მაჰმადიანებთან მასზედ, რომ მათ რუსეთის მხედრობის წინააღმდეგ ხელში მახვილი არ აეღოთო. ამ პატარა ბავშვის მოკვლით კი მთელი ქაროველ მაჰმადიანობა აიშალა, ამის მიზეზით ომი დაიწყო. ამას კი არავინ ელოდა, ქართველ მაჰმადიანები იტყოდნენ, აკი პირობას გვაძლევდით, რომ სისხლი არ დაიღვაროსო. ეს ვერაფერი პირობა იყოვო, ამ ზამთრის პირზედ გაიმართა ცხარე ბრძოლა, კინტრიშის ხეობაზედ რუსეთის მხედრობის დიდი ძალი ჯარი მოისპო, აქ გაწყდა მთლად კახეთიდამ გაყვანილ ქართველ მეომართ რიცხვი ისე, რომ იმოდენა კახელობისაგან შინ აღარავინ დაბრუნებულა ცოცხალი. ესენი აქ ისე ულმერთოდ მოისპნენ, რომ მრავალ მათგან დახოცილები კინტრიშს მიჰქონდა და ზღვას აძლევდა. ქობულეთელთ მძლავრად გაიმარჯვეს და რუსეთის მხედრობა საშინლად დასწყვიტეს: ერთი გენერალიც მოკლეს, აქ ოსმალთ ჯარს სარდლობდენ ძმანი ალი ფაშა და ოსმან ფაშა თავდგერიძეები.

ქართველ მაჰმადიანებში იყვნენ მცირედ ისეთ პირნიც, რომელთაც, როგორც მეც ვიცნობდი, 1877 წ. ომი თვისი ცხოვრების და არსებობის პასუხათ მიიჩნიეს. ესენი იმ ფიქრის იყვნენ, რომ ჩვენი სადავო ცხოვრების საქმე ამ ომიანობით გადაწყდებაო, რა მოგველის ჩვენ, რა ვიქნებით და სად ვიცხოვრებთ, სად გვექნება ცხოვრება, ამის ბოლო ეხლა უნდა

შოხდეს და გათავდესო, ჩვენ ან აქეთ უნდა ვიყვნეთ და ან იქითაო, ორში ერთი უნდა იყოს, თორემ ჩვენ არც თათრები ვართ, ჩვენი ქვეყანა არც სათათრეთია, მასთან ჩვენ არც ქართველები ვართ, ჩვენ ქვეყანას ჩვენ არც საქართველოთ ვცნობთო, რა ვართ, რა ხალხი, რა ქვეყნის მცხოვრებნი ამისი ჩვენ არა ვიცით რა და ამის წინაშე ჩვენს სიბრმავესაც ეხლა უნდა მიეცეს დასასრულიო.

ასე ფიქრობდენ არა მარტო შეგნებულ ქართველ მაჰმადიანები, არამედ ისინიც კი, ვინც მართლაცა და ოსმალოს მთავრობის წყალობით ტყის ნადირათ იყვნენ გადაქცეულნი და მათ როგორც ველურ ხალხს, გულში განუსაზღვრელის ბოროტის ფანატიკობას გარეშე სხვა არა ჰქონდათ რა გულში ჩანერგილი, ეს ქვეყანა მას საგიაურო საძაღლეთ მიაჩნდათ და როგორც ტყის შეუგნებელი ნადირი, მარტოდ ამ საგიაურო ქვეყნის დაქცევ დანგრევა ღა ენატრებოდა, ყოველივე ეს კი იქმნებოდა მისი სასიხარულო ძალა სამუსულმანო ცხოვრებისათვის. თვით ასეთ ველურ ფანატიკებიც კი ფიქრობდენ იმას, რომ 1877 წ. ომი უნდა იყოს ბოლოს ომი რუსებსა და ოსმალთ შორის და ჩვენი ცხოვრების საქმეც ამან უნდა გადაწყვიტოსო და გაასწოროსო. ჩვენ ან აქეთ უნდა დავრჩეთ და ან იქით წავიდეთო.

მართლაც რა იყო ღმერთო ჩემო, მთელი ოსმალოს საქართველო, თვით ბათუმის მიდამოების ვითარებაც კი, ოსმალოს მთავრობის წყალობით, სწორედ ტყის ხალხის სანადირეთ იყო გადაქცეული, ქართველ მაჰმადიანებიც ხომ რაღა უნდა ითქვას, სწორედ ტყის ნადირის სურათს წარმოადგენდენ და მთელს მათს საარსებო ცხოვრების მთავარ ძალას მარტოდ **ქართველის** ზიზღი წარმოადგენდა და ამ ხალხის სისხლის დალევა, გაწყვეტა და მთელი საქართველოს მოსპობა, ასე წამხდარ გაველურებულნი იყვნენ ესენი რუსების ბათუმში შესვლამდის, მთელი ამათი ქვეყნები ველურ სანადირეთ იყო გადაქცეული და არა ძველ საქართველოს მსგავს ქვეყნებათ.

მასში მცხოვრები ხალხიც უფრო ნადირს ჰგავდა, ვიდრე საქალაქო რამე არსებას, მასთან მათში არც გზა იყო, არც კვალი, არც ხელოსნობა, არც ვაჭრობა, არცა რა სხვა ასეთნი.

განვაგრძოთ ახლა კვალად კიდევ ის, თუ 1877 წ. ომს მთელი ქართველ მაჰმადიანობა როგორ უმზერდა, ერთი ნაწილი იმ აზრის იყო, რომ თუ ამ ომით რუსეთი გაიმარჯვებდა, მაშინ მათი ცხოვრების საქმეც გაუკეთესდებოდა, რადგანაც იგინი ამით საქართველოს და ქართველ ერს დაუკავშირდებოდენ, იგინი ამ დაკავშირების შემდეგაც მუსლიმანებათ დაშთებოდენ, ხოლო ცხოვრებით და მოქალაქობით კი დაწინაურდებოდენ, ვაჭრობით, ხელოსნობით და ნასწავლი კაცებითაც იგინი ისე წავიდოდნენ, როგორც მათი მოძმე ქართველები მიდიოდნენ წინ. ამას ესენი მიტომ ნატრობდენ, რადგანაც ჩვენთან ახლოს იყვენ იგინი და ამას გარეშე ქართველთა დაწინაურებასაც ცხადათ ხედავდენ. ასეთ პირნი გახლდნენ ცოტა შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი, ახმედ ბეგ ხალვაში, თუპარ ბეგ შარვაშიძე, გულო აღა კაიკაციშვილი, დედი აღა ნიჟარაძე, აჭარის მუფთი ჰასან ეფენდი ხალიფაშვილი სოფ. მერისელი და სხვანი.

მეორენი ფიქრობდენ ასე: თუ 1877 წ. ომით რუსებმა გაიმარჯვეს, მაშინ ჩვენი აქ დგომა შეუძლებელია, მაშინ ჩვენ აქ არ გვედგომება, უნდა ავიყარნეთ, ომისთვის მზათ უნდა ვიყვნეთ, როგორც რუსი შემოდგამს თუ არა ფეხს, მაშინათვე ჩვენ აქაურობა უნდა დავტოვოთ და წავიდეთ იქით სადაც ჩვენი ფადიშახი ზის, ჩვენი სჯულის მეფობა არის. ჩვენი სულის ცხონება მარტოდ იქით შეიძლება. ამიტომ ასეთ პირთა მეოხებით, 1877 წ. ომის დაწყების დღიდგანვე მთელ ქართველ მაჰმადიანთ შლილობა და აყრისათვის სამზადისი იქმნა დაწყობილი, ამათ თითქოს იცოდენ, რომ რუსებს დარჩებათ უსიკვდილოთ ეს მხარეო. ამიტომაც ესენი სულის საცხონებლად მზათ იყვნენ. ამათ ასეთ დასაღუპ სამზადის ომიანობის გარეშე—სხვა და სხვა ფანატიკებიც ხომ ერთი ჯსათ ამღელვარებდენ და პოროტებით მოსავდენ.

პირველნი ასეთებს ეტყოდნენ ხოლმე 1877 წ. დაიცადეთ, ნუ იშლებით, ქვეყანას ნუ შლით, ნუ რევთ, თუ რუსნი მოვლენ, მოვიდნენ, ჩვენ ისინი არას დაგვიშავებენ, ჩვენ ჩვენთვის ვიქნებით, ჩვენი ცხოვრება გვექნება, მუსულმანურათ ვილოცებთ, ამას იგინი არ დაგვიშლიან, მათ მუსულმანი ყმანი ბევრი ყავსთ, მაგრამ მათში ერთი კაციც არ გაუქრისტიანებიათ, ამიტომ ნუ იყრებით, ცოდონი ხართ, თორემ მამაპაპის ქვეყანას დაკარგავთ, ბოლოს ბევრს ინანებთ, მაშინ ერთობ გვიან იქნება, ჩვენც ბევრს მოგვიგონებთ, რუსნი ხალხნი არიან, გურჯები ხომ ჩვენი ძმებია, ამიტომ შლილობას თავი გაანებეთ და ნუ ჩადიხართ მას რაც თქვენის თავისთვის არ იქნება ფარსაგი. ასე ქადაგებდენ ეს გულ შემატკივარ პირნი და ამათ გული სტკივოდათ ქვეყნის ასე არევ დარევაზედ, მაგრამ რას გააწყობდენ, ყოველივე მათი ქვეყნის უბედურება გამომდინარეობდა მათის სასულიერო წოდების და ფანატიკი მოლა და ხოჯებისაგან, რომელნიც ვინ იცის რას არ ქადაგებდენ, ასეთ პირთათვის სამშობლო ქვეყანას, სამშობლო ენას, ისტორიას და წარმატებას უბრალო ფასი ედვა. ყველა ამაზედ მაღლა იდგა ისლამის საბედნიეროთ გარდასახლება, რასაც ესენი თვით ჯამეებში ქადაგების დროსაც კი ამბობდენ, რომ „მუაჯირა გეთთიო“. ე. ი. მუაჯირათ წადითო.

ქართველ მაჰმადიანების ასეთი მღელვარება და ომის გამო შლილობა ოსმალოს მაშინდელს მთავარ სარდალს დიდ საწინააღმდეგოთ მიაჩნდა, იგი ფიქრობდა, რომ ესენი გურჯები არიან და ამიტომ ამ აურ-ზაურს იწყებენ, რომ ჩვენ გვიმტრონო. ამან საქმის გარემოება არ იცოდა, არცა რა სხვის სიტყვა სჯეროდა. ამან ხალხს დაუწყო კიცხვა და მუქარება, მალე საქმე ისე მოხდა, რომ მთავარ სარდალმა კიცხვით საყვედური უთხრა ალი ფაშა თავდგირიძეს, რომ თქვენ გურჯები ხართ და შეიძლება ჩვენ გვიღალატოთო. ასეთის საუბრისაგან მათში დიდი უსიამოვნობა ჩამოვარდა, ალი ფაშა თავდგირიძე მას პასუხს აძლევდა და ყოველივეს უქარწყლებდა, მაგრამ

მთავარ სარდალ ფაშას ეს არა სჯეროდა და გურჯებს მოღალატეს უწოდებდა და მასთან ამ ღალატის მეთაურობას ალი ფაშა თავდგირიძეს სწამებდა. საქმე ისე გამწვავდა მათში, რომ მართლაც მან მეტად არა კარგი მიმართვა მიიღო. ივინი ერთმანეთს მკაცრად გადაეკიდნენ.

აქ ცალკე ომი იყო, იღვროდა სისხლი და დღითი დღე ომს მეტად ცხარე მიმართვა ეძლეოდა, ოსმალთ საქმე უკან შიდიოდა, მთავარ სარდალი ამ უკან დაწევის მიზეზად პირდაპირ ქართველ მაჰმადიანებს ასახელებდა, თუმცა ესენიც ღვრიდენ სისხლს, მაგრამ ეს მთავარ სარდლისათვის ცოტა იყო. ეს არ კმაროდა, ოსმალოს მხედრობის უძლურებას პირდაპირ ამათში ხედავდა, ნამეტურ ყოველივე უბედურების მიზეზებს ალი ფაშას და მის ამხანაგებს სწამებდა, ჩვენ თუ რუსები გვეომრევიან, ეს სულ თქვენი ბრალიაო... თქვენ ატყობინებთ ყოველივეს მათ, მიტომაც გვჯობნიან ივინიო. თქვენ გურჯები ხართ, მათი მხარე გიკავითო. მთავარ სარდლის ასეთმა საუბარმა ალი ფაშასთან არ იქონია კაი პირობები, ქაროველ მაჰმადიანთ უმრავლესობაც მთავარ სარდალს აჰყვა და დაიწყეს ლაპარაკი, რომ მართლაც ოსმალოს ჯარს მიტომ ერევა რუსი, რადგანაც ალი ფაშა თავდგირიძე გვღალატობსო. ეს ხალხი ამ ომიანობის წყალობით აღარ ფიქრობდა იმას თუ უძლურების მიზეზი რა უნდა ყოფილიყოს, ამიტომ ყველა უბრალოდ და მოუფიქრებლად ბრალს და ღალატს სწამებდა ალი ფაშას.

რაკი ხალხში ერთხელ ტუტუცურად ალი ფაშაზედ ღალატის გამო სიტყვა ატყდა, მერე სიტყვა საერთო ლაპარაკათ გადაიქცა. ამ ხალხის ყაყანს და ჭორებს მთავარ სარდალ ფაშამ ფხიზლათ შეხედა, ამან სთქვა, აი თუ ალი ფაშა ღალატს არ ჩადის, აგერ ხალხიც რათ ლაპარაკობსო მასზეაო... ამ გარემოებამ ალი ფაშა ძალიან გააბრაზა და ამან ახლა კი ჩაიდო გულში მის ფიქრი, რომ ამდენი ღალატის დაწამების შემდეგ, რომ უღალატო სწორედ ახი იქნება ამაზეო. მაგრამ

ეხლა ეს გვიან იყო, არდაგანი (არტაანი) ყარსი რუსებს აღებული აქვნდათ და გურიიდან ბათუმსაც უახლოვდებოდნენ. ალი ფაშა ჩავარდა მის სინანულში, რომ რატომ ჩემს პირობაზედ არ დავდექ, რაც გრიგოლ გურიელთან პირობა მქონდა შეცემული, იგი რატომ არ შევასრულე. უბრალოდ რათ ავტეხეთ ხალხიო.

ალი ფაშას კი რომ მოენდომნა ეს ომი არ მოხდებოდა, იქ იმოდოლა კახელობა არ ამოსწყდებოდა ისე ულმერთოთ. ამ ომში და ცხარე სისხლის ღვრაში ალი ფაშა და მის ძმა ოსმან ფაშაც იღებდა მონაწილეობას. მაგრამ მაინც მთავარ სარდალს მათზედ გული არ ეწმინდებოდა და ყოველ თავის ნაკლს სულ მათ სწამებდა, რაც ხდება ეს ყოველივე მათი ბრალიაო. რა იყო მათი ბრალი? აი რა: რუსებს ამოდოლა ხალხს უწყვეტავთ და მით კი მაინც მათს მხედრობას უკან ვერ ვწევთ, მაინც ერთ ალაგას არიან გამაგრებულნიო. ესეთი ბრალის ცნობები ალი ფაშამაც შეიტყო კარგად, რამაც რასაკვირველია უსიამოვნება გამოიწვია, მალე ამ უსიამოვნებას ის მოჰყვა, რომ დერვიშ ფაშამ ალი ფაშას საქართველოდამ გაძევება დაუწყო. ისე მოხერხდა საქმე, რომ მთავარ სარდალ ფაშის უმაღლესის ბრძანების ძალით ალი ფაშა თითქმის პატიმარ ყყვეს, ჩასვეს გემში და ოსმალში გააძევეს, სტამბოლს გაგზავნეს.

ამ გარემოებამ ხომ ალი ფაშას ღფრო გაუფუჭა საქმე, ხალხმა დაიწყო მასზედ ყვირილი, რომ აი თუ არა ღალატობდა ალი ფაშაო. გაუგეს და მიტომაც გააძევეს ოსმალეთშიო. ქობულეთში ხომ ამაზედ ლექსიც გამოსთქვეს და ალი ფაშას მოღალატე უწოდეს, მაგრამ ეს ტყუილი არის, იმან ოსმალოს მთავრობას კი არ უღალატა, უღალატა მარტოდ თავის სამშობლო საქართველოს, ქართველ ხალხს და ნამეტურ თავის თანამემამულე ქართველთ მუსულმანობას. ალი ფაშა დამორჩილდა მთავარ სარდლის ბრძანებას, იგი წაყვანილ იქმნა სტამბოლს, სადაც მან თავი იმართლა და რამდენიმე ხნის უკან

ისევ საქართველოში, ანუ ბათუმს მობრუნდა, რადგანაც ამას აქ აქვნდა მამულები, ამ დროს უკვე რუსეთის და ოსმალეთის მორიგებაზედ ლაპარაკი თავდებოდა. ალი ფაშას ახლა კი მთავარ სარდალმა კარგის თვალით შეხედა, ეს დარწმუნდა მასზედ, რომ ალი ფაშას მე უბრალოდ ვწამებდი ღალატს, თორემ ამას აქ სტამბოლიდან ალარ გამოუშვებდნენო, უეჭველია ამის შესახებ მთავარ სარდალი სტამბოლიდან ცნობასაც მიიღებდა.

საქართველოში მოსულ ალი ფაშას გააახსენდა ის გარემოება, რომ გრიგოლ გურიელის სიტყვით, მას რუსთაგან ასი ათასი მანათი უნდა მიეღო, თუ ვინიცობა არის და რუსთა შესვლის დროს, ქობულეთში თოფი არ გავარდებოდა, ომი არ ატყდებოდა. ალი ფაშამ იმ დროის რუსის მთავარ მართებელს ქართულად დაწერილი საიდუმლოდ წერილი გამოუგზავნა ქობულეთს აქეთ ბრძოლის ველზედ, რითაც სთხოვდა შემდეგს: თქვენ მე დამპირდით ას ათას მანათს, მე შევიტყე, რომ ეს ფული მიუღიათ იესე და გრიგოლ გურიელებს. ამიტომ ვითხოვ რომ ეს ფული მე გადმომეცესო. წერილი მთავარ სარდალმა ბრძოლის ველზედ გრიგოლ გურიელს გადასცა, ქართულად ნაწერია და წაიკითხე რას იწერება ალი ფაშაო, მიამბო გენერალმა თავ. გრიგოლ გურიელმა: წავიკითხე და გავკვირდი ალი ფაშას სითამამეზედ და ბავშვობაზედო, მეც რასაკვირველია ყოველივე გადავუთარგმნე მთავარ მართებელსა, რამაც იგი ერთობ გააკვირვაო.

სთქვა თავადმა გრიგოლ გურიელმა: ერთი უყურე, აბა როდის შეასრულეს პირობა, რომ მისთვის ამოდოლა ფული მიეცათო, თორემ ნათქვამი კი იყო და პირობაც დაირღვაო, აი აქედანაც კარგად სჩანს, რომ ალი ფაშას ოსმალოს მთავრობისათვის არ უღალატნია. მან უღალატა მხოლოდ თავის სამშობლო ქვეყანას, საქართველოს, უმთავრესად ქართველ მაჰმადიანებს. ამავ დროს, ანუ 1878 წ. ომიც გახავდა, ბერლინის ტრაქტატის ძალით ყარსი, არტაანი (არდაგანი) და

ბათუმი თავის მიდამოებით რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა. ამის სანაცვლოდ რუსებმა ოსმალთ უკანვე დაუბრუნეს არზრუმი. ამ დაკავშირებით გასწორდა ის შეცდომა, რაც 1828 წელს მოხდა ჩოლოქი და ჭოროხის გამო და მერე იგი ვერც 1855 წ. ომით იქმნა გასწორებული.

ალი ფაშას არ ესიამოვნა ის გარემოება, რომ მან რუსის მთავრობისაგან ფული ვერ აიღო, ან რათ ელოდა ეს ამას ამათგან, როცა მას პირობა არ შეუსრულებია, რათა ფიქრობდა ამას, რომ იგი იმ ფულს მიიღებდა, ჩვენ ამის საიდუმლოება არ ვიცით. ხოლო ის კი სთქვა თავ. გრიგოლ გურიელმა, რომ მთავარ მართებელმა სთქვაო: ალბათ რუსები მაგას ბავშვები ჰგონიაო. ფულის ძიების საქმე ალი ფაშას ასე დაუტრიალდა, ამაზედ იგი გაგულისდა. ამ დღიდან იგი რუსეთის მტრად აღმოჩნდა, მაგრამ რაღას იზავდა, ვერაფერს, ხოლო რუსთა მტრობის მახვილი გადაიტანეს თვით თავიანთ სამშობლო ქვეყნის ქართველ მუსულმანობაზედ. მან და მისმა ამხანაგებმა ამათ უმტრეს მხოლოდ, სხვა არავის.

აჭარლები აღბორგეს ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგ, ასევე ბერლინის კონგრესის და ამათ განუცხადეს დერვიშ ფაშას, რომ ჩვენ ოსმალოს არც უყიდნივართ და ნურც გვიყიდისო, ჩვენ ჩვენი თავით რუსებს არ ჩავბარდებითო. ამ უარის თქმაში ალი ფაშაც იქნებოდა ჩარეული, რადგანაც ამაში ოსმან ფაშაც ერია. საქმემ სასტიკი ხასიათი მიიღო. დერვიშ ფაშა ატყობინებდა აჭარელთ, რომ წინააღმდეგობას ნუ სწევთ, სულთანის ბრძანებით უნდა ჩაბარდეთ, ვი ნაიდგან მისი სურვილი ეს არის. ჩვენთვის არზრუმი უფრო ძვირფასია, ბათუმის იქით ჩვენ გზა არა გვაქვს, ეს კუთხე ჩვენ ძველებს რომ დაუმორჩილებიათ, მაშინ იმათ მთელი გურჯისტანის დაჭერა სდომნიათ, მაგრამ ეს მათ ვერ შესრულებიათ. ამიტომ ჩვენთვის ბათუმი სრულიად უმნიშვნელოა, ეს ისევ გურჯისტანზე წავიდეს, ჩვენთვის არზრუმი არის საჭირო, თუ თქვენ რუსები გეჯავრებათ, ჯერ კი ჩაბარდით და მერე შეგიძლიანთ ოსმა-

ლეთში გადმოსახლდეთ, ჩვენი ფადიშახი მოგცემთ თქვენ კარგს ადგილებს შუა გულს ოსმალეთშიო.

ქობულეთში, აჭარა ლივანას და მასთან მთელ ქართველ მაჰმადიანთ დიდი შლილობა იყო ამ დროს, საქმემ იქამდის მიაღწია, რომ ამათ შეადგინეს რამდენიმე ქართველ მაჰმადიანთ წრე, რომელთაც ერთ ევროპიელს ინგლისურს ენაზედ თხოვნა დააწერინეს ინგლისის კაროლევასთან და ლონდონში გაუგზავნეს, რითაც ესენი სთხოვდნენ კარალევას, რომ ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი ქვეყანაც საქართველო არის და ამიტომ გთხოვთ, რომ თქვენი მფარველობის ქვეშ მიგვიღოთო. ამ თხოვნაზედ ვითომ ოსმან ფაშა თავდგირიძესაც აქვნდა ხელი მოწერილი, თუ ამან მოაწერა, მაშ ალი ფაშასაც ამის სურვილი ექმნებოდა, თუმცა ვერცარა ამით იქნებოდა რა, ვინაიდან ჩაბარების საქმე გათავებული იყო... არ იფიქროთ, რომ ვითომც ასეთი თხოვნა ამათ თავიანთ ქვეყნის სიყვარულით შეადგინეს, არა, ეს მათი მანქანება იყო, თორემ თუნდ დავასახელებთ ალი ფაშას, ოსმან ფაშას და ხხვათაც, რომ ესენი ამავ დროს, აშლილ ხალხს უფრო შლიდნენ, ჯერ ჩაუბარებლობას უქადაგებდნენ, თუ ეს არ იქმნა და ჩაბარდით, მაშინ აიყარენით სულ და ოსმალში წამოდითო.

ამას უქადაგებდა თურმე ქვეყანას ალი ფაშა, ეს მათმა მთავარ სარდალმაც იცოდა, მაგრამ არას ეუბნებოდა, რადგანაც მასში ოსმალოს მთავრობის საწინააღმდეგოს არას ხედავდა. ჩაბარების საქმეც დღითი დღე ჩქარდებოდა, საქმე სახუმრო აღარ იყო, აჭარლები კი უარზედ იდგნენ. აჭარაში კრებებს მართავდნენ და ყვიროდნენ, რომ გიუარებს არ ჩავბარდებითო. დერვიშ ფაშამ შეუთვალა: თქვენ თუ არ დაწყნარდებით და რუსებს მშვიდობიანათ არ ჩაბარდებით, მაშინ მე ამოვალ ოსმალოს ჯარით, დაგიმორჩილებთ, მასთან ბევრს დავსჯი კიდეც და მის შემდეგ კი ყოველივეს ჩავაბარებ რუსებსაო. თუ ნამდვილი მუსულმანები ხართ და სულთანის ერთგულნიო, მაშინ შეასრულეთ ეს სულთანის ბრძანებაცა. აქ

ამათ პროპაგანდისტებს საქმე ჩაუნელდათ. არ ჩაბარებაზედ ლაპარაკი უბრალო იქმნებოდა, ახლა ამათ რაღა უნდა ექმნათ, რითი უნდა ეღვაწნათ, რითი უნდა გამოეჩინათ თავი, ამათ მალე იპოვნეს ამის გზა და კვალიც, ეს იყო ქართველთ აყრა და ოსმალში გადასახლება, რისთვის? ცხადი საქმეა იგინი ოსმალოს მთავრობისაგან დიდს მადლობასაც მიიღებდენ, რადგანაც ესენი მას ოსმალში გადუსახლებდნენ მხნე და ერთგულ მეომარ ქართველებს.

ამიტომ ამათ მოართეს ამაზედ ლაპარაკი, გადასახლებისათვის მეტად მწვავედ აქეზებდენ ხალხს, აქეზებდა თურმე ნამეტურ ალი ფაშა თავდგირიძე, მისი ძმა ოსმან ფაშაც და ასეთნიც სხვანი და ვითომც ესენი ამით ყრილობდნენ რუსების ჯავრს. ამათ სურდათ, რომ რუსებს ამ კუთხეში ერთი კაციც აღარ დახვედროდათ და სოფლები და დაბები სულ ცარიელები ყოფილიყოსო. ეს გარემოება თურმე ბევრს აწუხებდა, ამიწინააღმდეგ ბევრნი მოქმედებდნენ და უქადაგებდნენ ხალხს, რომ ნუ აიყრებითო, მაგრამ გაგონება აღარავის აქვნდა. თავ. გრიგოლ გურიელმა მიამბო: ამ უბედურ გადასახლების წაქეზების გამო, განგებ წაველ ალი ფაშასთან და ველაპარაკე, ვსთხოვე, რომ მას ამ წაქეზებისათვის თავი დაენებებინა, მაგრამ რამდენათაც იგი მეტს გადაასახლებდა, იმდენათ ამის გამო ოსმალოს მთავრობისაგან დიდს პატივს მიიღებდაო, მეორე ამით ეს დაამტკიცებდა თვის ერთგულებასაო.

ალი ფაშას უთქვამს გრიგოლ გურიელისათვის:—ჩვენი აქ დარჩენა აღარ შეიძლებაო. ხალხსაც ეუბნებოდა თურმე, რომ ჩვენი აქ დარჩენა და რუსის ხელში ყოფნა შეუძლებელიაო. ამის მიზეზი რა იყო, ამას კი არ ასახელებდა თურმე ის. რის შიში აქვნდა რუსის ხელში, ამას არავის რას ასმენდა, აქ მიზეზი ისლამის გარემოება იყო, თუ სხვა რამ მიზეზი ეს ყველასთვის საიდუმლო გახლდათ. ამის ძიებაში არავინ შედიოდა, ვინც ამაზედ ლაპარაკობდა, ის მათ წმინდა კაცათ მიაჩნდათ, ისლამის და ფადიშახის დიდს მოსარჩლე და ერთგულად, აბა

მის წინ ვინ რას იტყოდა. ვინც გადასახლების წინააღმდეგ რამეს იტყოდა, იმას თურმე მგელივით შეხედავდნენ, ჩაქვავებას და აკლებას დაუპირებდნენ... აჭარის ცნობილმა თუფანბეგ შარვაშიძემ მიამბო 1893 წ. შემდეგი:—„ჩაბარების წინა თვეებში, აჭარაში კინაღამ ამიკლეს, კინაღამ მომკლეს და სულ მიწაზედ გამასწორეს მხოლოდ მიტომ, რომ მე ვუქადაგებდი ხალხს ნუ იყრებით; იყავით თქვენთვის, ჩავბარდეთ რუსებს, მათ ხელში ჩვენ ცუდი არა მოგველისრაო... დღეში ხუთი ათას კაცზე მეტი მოდიოდნენ და მკითხავდნენ ამის რჩევასაო. თქვენი მტერი რაც ჩემი მდგომარეობა იყოვო. ამოდოლა ხალხს პურს ვაჭმევდი, ველაპარაკებოდი და ვურჩევდი ქვეყნის არ მოშლას, თორემ ბოლოს ინანებთ, ნუ სჩადიხართ ამას. მაგრამ მათ ჩემი დარიგება არ ესმოდათ და ემზადებოდნენ წასასვლელათაო.

აგერ გადაწყდა საქმეც, დერვიშ ფაშას თანხმობა განუცხადეს დაწყნარების და ჩაბარების, ჩაბარებაც მალე მოხდა. როგორც იქმნა ჩაბარდნენ, ეს იყო პირველად უფრო საჭირო, ხოლო ოსმალეთის და რუსეთის სახელმწიფოთა საზღვრები კი მერე უნდა დაეყოთ. შეერთების წინეთ ქართველ მაჰმადიანები დიდს გასაჭირში ჩავარდნენ, ომის გამო, მათ 1877 წელს ველარა დათესეს რა ამიტომ 1878 წ. მათ საჭმელი პური აღარ აქვნდათ, მეტად მშიერს ხანაში ჩაცვივდნენ, ამ სიმშილს ზედ დაერთვა ისლამის პირობებისაგან გიაურთ სიძულვარე და ყოველივე ეს კი მათ თითქმის სულ ვერანად ხდიდა. იყვნენ მათში თითო-ოროლა ისეთი პიტივცემულნი პირნი, რომელნიც ასეთ გაჭირვების დროს, მათ დიდს დახმარებასაც აძლევდნენ, როგორც მაგალითებრ გრიგოლ გურიელმა ერთ დღეს დამშეულთ 1879 წ. 10,000 მან. თავის ფული დაურიგა და მასთან რამდენი კიდევ სხვა ასეთები უქმნია ამ ძვირფას კაცს, ამას თვლა არა ექვს. დიდი შესანიშნავი კაცი იყო ეს გრიგოლ გურიელი, მეტად თავ გამოდებული მოსარჩლე ქართველ მაჰმადიანთ ღარიბ-ღატაკთ ხალხისა.

ჩვენ ქართველ ქრისტიანებსაც დიდათ გვიხაროდა ჩვენი დაკარგული ძმების შემოერთება და კავშირი, მადლობელნი ვიყავით მით უფრო, რომ დაკავშირებულ იქმნა უმეტესი ნაწილი სამცხე-საათაბაგოსი, დარჩა შემოუერთებელი მხოლოდ ლაზისტანი და ზოგიც რამ კლარჯეთის ადგილები, დანარჩენი კი სულ შეერთებულ იქმნა რუსეთის საქართველოსთან. ამ გარემოებით ისარგებლა დიმიტრი ბაქრაძემ და 1879 წ. იმგზავრა მთელს ამ შემოერთებულს კუთხეებში, მერე კი როცა საზღვრები დაიდო, მაშინ კი ზოგი რამ ისევ ოსმალეთის საშშობლო საქართველოში გადავიდა, როგორც მაგალითებრ არჯევაანთ ხეობა, ხახულის და ერთობ დიდი ნაწილიც ასეთის ადგილების. ამ გარემოებამ ჩვენ გული მეტად დაგვწყვიტა.

ქართველ ქრისტიანებმა ამ დროს გამოვიჩინეთ დიდი ლმობიერება ქართველ მაჰმადიანთ წინაშე.

ჩვენ ძრიელ გვიხაროდა დაკარგულ ძმების შეერთება, დაკარგული საქართველოს ზოგი ადგილები ნახვა და გაცნობა. ამის გამო ჩვენს ნატვრას და სიყვარულს საზღვარი არ აქვნდა. იმ დროის გაზეთი „დროება“ ხომ სულ ასეთის ამბებით ივსებოდა, მასში ხშირად წერილებს ბეჭდავდნენ თვით ქართველ მაჰმადიანებიც. 1877 წლიდან ქართველ მაჰმადიანთ ვასმენდით და ვუქადაგებდით ჩვენს მათდამი სიყვარულს, საქართველოდან არ გადასახლებას, არ აყრას, ვაუწყებდით, რომ რუსნი თქვენ არას დაგიშავებენ, ოღონდ თქვენ დაწყნარდით ამისთვის. ამავ დროს თფილისში გაზეთ „დროების“ რედაქციამ ხელის მოწერა გამართა ქართველ მაჰმადიანთ სასარგებლოდ, ფულიც შეიკრიბა, ეს ფული მათ იმ დროის გაზეთ „დროების“ რედაქტორმა წაიღო ბათუმში, იქ ამ ფულით ფქვილი იყიდეს და ღარიბ ქართველ მაჰმადიანთ დაურიგეს, ფული რამდენიმე ასი თუმანი იყო, სულ ქართველ ქრისტიანებთაგან შეწირული. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ მხრით კაი ძმობა გავუწიეთ მათ.

მაშინ ჩვენში ყველას ესწრაფოდა გული, რომ ეგები მო-

რიგება მალე გათავებულიყო, რუსთა და ოსმალთ საზღვრებიც დაყოფილიყო და ჩვენც გვღირსებოდა დაკარგულ ძმებთა ქვეყნებში ფეხის შედგმა და ნახვა, მათის ცხოვრების და გულის მით დადინჯება. როგორც იქმნა ამასაც მოვესწარით, პირველად ჩვენი მწერლებიდან აჭარაში ფეხის შედგმა სერგეი მესხს მოუხდა, ფულის დარიგების შემდეგ სამწუხაროდ, ქართველ მაჰმადიანებში გაჩნდა ერთი ისეთი ხეპრე და უპურმარილო ადამიანი, რომელმაც ნეტარ ხსენებულ სერგეი მესხს, გაზეთ „დროების“ რედაქტორს, დაბაჩა ესროლა, მოკვლა სწადდა თურმე. მადლობის მაგიერი იყო ეს. მადლობა ღმერთს, რომ ტყვია არ მოხვდა და არა დაუშავა რა. ეს ამბავი ყველას გვეწყინა, ნამეტურ თვით შეგნებულ ქართველ მაჰმადიანებსაც, მაგრამ ვინ რას იზავდა, დრო ისეთი იყო, რომ იქ კაცი კაცს ველარ სცნობდა და მოლების ქადაგებით ხალხმა აღარ იცოდა რა ექნა და ვისა სცემოდნენ. სიღარიბე, გაჭირება, სიმინდის სიძვირე და სხვაც ათას ამგვარნი სულ გიაურების ბრალი არისო, იტყოდნენ ამას ხოჯები, მოლები და სხვა ასეთ სჯულის კაცნიც. თუ აქედამ არ წავიდით, დღეის შემდეგ უარეს დღეში ჩავარდებით და შიმშილს ვნახამთო.

ასეთ არევ-დარევის გამო ქვეყანა დიდს შეწუხებაში ჩავარდა, ამიტომ რაკი ქართველ მაჰმადიანთ შლილობას დასასრული აღარ ეძლეოდა, ამის გამო რუსეთის და ოსმალოს მთავრობისაგან პირობა იქმნა დადებული გარდასახლებულთათვის, დრო 1878 წ. სამი წელი დანიშნეს, ვინც ამ ხნის განმავლობის შემდეგ არ გადასახლდებოდა, ის მერე რუსის ქვეშევრდომათ უნდა დაშთენილიყო. ცოტა ამ გარემოებამ დაადინჯა იგინი, ამიტომ სულის ცხონების მეძიებელთ დაიწყეს მამულების გასყიდვა და წასასვლელად სამზადისი. ესენი ჰყიდდენ აუარებელ მოძრავს და უძრავს ქონებას სულ ოხერ ფასად და მიდიოდნენ შუა ოსმალეთში. ვისაც კი რამე შეძლება ჰქონდა, ყველა მირბოდა, აქა რჩებოდნენ ღარიბნი და ღატაკნი, რომელთაც ცხოვრების სახსარიც არ აქვნდათ, ყოველი-

ვეს გადასახლებულებისას ესენი ყიდულობდნენ. სადღეისოდ ამათ გაიმაგრეს აქ ფეხი და ვისაც კი შეძლება აქვნდა, ისინი სულ წაბრძანდნენ ოსმალეთში სულის საცხონებლად.

ასეთ გადასახლებას ყველა მწუხარებით უმზერდა, რადგანაც მით ვხედავდით ქართველ მაჰმადიანთ დაღუპვის საქმეს და აბა ვინ რას იზავდა, მათ ვინ რაღას ეტყოდა, მოლების და ხოჯების სიტყვით, იგინი კაცსაც კი მოკლავდნენ, რომ ვისმეს ეთქვა ოსმალში ნუ მიხვალ, თორემ ბოლოს ინანებთო, როგორც იქმნა 1878 წ. გავიდა, ომიც მორჩა, საზღვრებიც დაიყო, ქართველ მაჰმადიანთ შორის გამოჩნდენ შეგნებულნი გვამნი, რომელთაც არ ისურვეს ოსმალოს სამსახურით გარდასახლება, ესენი რუსის მთავრობისაგან იქმნენ მილებულნი დიდის პატივისცემით, ჯამაგირით და ახალი თანამდებობის დანიშვნით, ასეთნი იყვნენ ტუპან ბეგ შარვაშიძე, ახმედ ბეგ ხალვაში, გულო აღა კაიკაციშვილის, დედი აღა ნიჟარაძე და აჭარის მუფთი ჰასან ეფენდი ხალიფაშვილი— სოფ. მერისელი, ზოგნიც სხვანი. ჩვენ აქ ყველას არ ვახსენებთ.

მხოლოდ ერთ ამათგანს კი, თითქმის მეთაურს და მასთანვე თავის ქვეყნის მოტრფიალე, ქართველ მაჰმადიანის შესახებ კი ვიტყვით რამეს, ეს ქართველ მაჰმადიანი გახლდათ შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი, ახმედ ბეგის შვილი. კარგად მცნობი მთელი საქართველოს ავ-კარგიანობის, დიდი მონატრე ქართველი ერის დაკავშირების და გაერთიანების. ამ პირის ცხოვრებას აქვს მეტად დიდი ისტორია, ნამეტურ ამათ გვარის წევრთ და მამა-პაპათა, ამათ შესახებ ჩვენ ხომ ალაგ-ალაგ ვიცით ცნობები, ამის გაცნობა არ გვინდა, ხოლო ის კი უნდა გავიხსენოთ, რომ სელიმ ფაშის ნატვრა და ასევე ამის შვილის ახმედ ფაშის ნატვრის შესრულებისავე მოტრფიალე იყო შერიფ ბეგი და ეს ამას მოესწრა კიდეც. შეუსრულდა ამას ნატვრა და საქართველოს ადგილების საქართველოსთან ერთობა. ეს პირი დიდი მომხრე იყო ამისი, ომის დაწყების

წინეთაც, ომიანობის და ომის შემდეგაც იგი სულ იმას ელაპარაკებოდა ქართველ მაჰმადიანებს, რომ იგინი დაწყნარებულიყვნენ, დადინჯებულაყვნენ და თავიანთ სამშობლოდან ფეხი არ მოეცვალათ, სამწუხაროდ არც ასეთ საპატიო კაცის სიტყვას ექონდა მათზედ გავლენა, თუმცა შერიფ ბეგს მათში დიდი სახელი და ნდობა ჰქონდა მოპოებული, მაგრამ ამასაც ეჭვის თვალით უმზერდნენ.

ასეთ პირთა ცდით მოხდა ისეთი საერთო დაახლოვების ლაპარაკიც, რის წყალობითაც ჩვენსა და მათ შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, სალამი და ნატვრა ჩვენი ერთმანერთთან დაახლოვების. ასეთ მეთაურ პირთა დეპუტატთა კრებული 1878 წ. თფილისში ჩამოვიდენ და მთავარ მართებელს წარუდგნენ, როგორც ახლად შემოერთებულ ქვეყნის მეთაურნი. მთავარ მართებლის ნახვის შემდეგ, თფილისის ქართველობამ სადილი გაუმართა თფილისის საკრებულო დარბაზში, სადაც დაესწრო იმ დროის დიდი ნაწილი ქართველობის .სადილზე ბევრი შესანიშნავი სიტყვები წარმოითქვა, როგორც ჩვენგნივ, ისე მათგან, შერიფ ბეგი ამით მოხარული დარჩა, ჩვენც მათ ქართული წიგნები მივართვით, ყველამ მათ სიამოვნებით მიიღო მალე, იგინი შინისკენ დაბრუნდნენ.

ამ დღიდან ქართველ მაჰმადიანთ შორის გაჩნდნენ თითო-ოროლა ისეთი პირნი, რომელნიც თანამემამულეთ აშკარად და ადვილად მოუთხრობდენ თვის დარიგებას და მით აუწყებდენ, რომ ქართველ მაჰმადიანები დამშვიდებულიყვნენ, გარდასახლებისათვის თავი გაეხებინათ და თავიანთ სასოფლო ცხოვრების გაუმჯობესობას შესდგომოდენ, ასეთ პირთა დარიგებას და მათდამი გულის ტკივილს საზღვარი არ აქვნდა. იმავ დროს, მათში ბსახურებდნენ თითქმის ყველგან ქართველი მოხელენი და ყველა ამათის ნატვრაც ერგი იყო, ყველა მათგანი იმას ელაპარაკებოდა, რომ თქვენ ნუ გეშინიანთ, დაწყნარდით, იცხოვრეთ, ნუ მიდიხართ, ჩვენ ქართველები თქვენ დიდს დახმარებას გაგიწევთ, ნუ ჰკარგავთ ქვეყანას,

თორემ ბოლოს ინანებთ, ასეთ დარიგებასთან მათ ხშირად ნივთიერ დახმარებასაც ვაძლევდით, რითაც ჩვენ საქმეს უფრო ვაფუჭებდით, რადგანაც მათ ამის შეგნება არ აქვნდათ და ამბობდენ, აი თუ ჩვენი გაქართველება არ უნდათ, მაშ ჩვენ ამ დახმარებას რათ გვაძლევენ, რა უნდათ ამათ ჩვენგანაო. მიუხედავათ ასეთის დახმარების იგინი მაინც სრულს არევ-დარევაში იყვნენ, კაცის კვლაში, გარდასახლებასა და სხვა ასეთ დასალუპ საქმეებში.

ასეთის გარემოებისაგან ქვეყანა სრულს ანარქიაში ჩავარდა, გული სწყდებოდათ მრავალთ, როგორც ქართველ ქრისტიანებს და ჰგოდებდნენ მათ დალუპვაზედ, მაგალითებრ როგორიც იყო გრიგოლ გურიელი და მისთანანი, ისევე ქართველ მაჰმადიანთ შორის იყვნენ ისეთნიც, რომელნიც თავიანთ ქვეყნის შლილობას და ქართველ მაჰმადიანთ დალუპვის საქმეს მწუხარეს თვალით უმზერდენ და თან თვის დიდს გლოვნასაც უცხადებდენ მათ ქვეყნის ასე წახდენისათვის, მაგრამ რას იქმოდნენ. იყვნენ მათში ისეთნიც, როგორც შერიფ ბეგი ხიმშიაშვილი, რომელნიც გულს არ იტეხდნენ და ამბობდნენ თამამად. რაც მოხდა მოხდა, მაგრამ მაინც ღმერთმა მოგვასწრო ჩვენ გაერთიანებას, ჩვენს ერთობას. ქართველ მაჰმადიანები რომ იყრებოდნენ თავიანთ ქვეყნიდან, ეს რასაკვირველია დიდი საქმე იქნება თვით მათის ოჯახისათვის, მაგრამ რაკი ეს არ ხდება და ქვეყანა და სოფელი იცლება ხალხით, რა გაეწყობა, ამასაც უნდა გავუძლოთ, ქვეყანა მალე მოშენდება, წასულებიც მალე შეინანებენ შეცდომას და ისევ უკან მობრუნდებიან.

იყვნენ ისეთი ქართველ მაჰმადიანები, რომელნიც იტყოდნენ ხოლმე შემდეგს: ეს ქვეყანა გურჯისტანი იყო, ამიტომ ძველადგანვე იტყოდნენ, რომ იგი ისევ გურჯისტანზე წავაო. ეს ჩვენც ვიცოდით, ასე იტყოდნენ ძველი კაცნიც, რომ ეს ღვთის განგებით მოხდაო, ამიტომ ჩვენ არ უნდა გვწყენოდა ასეთი ერთობა და დაკავშირება. ეს ღვთის ბრძანება იყო,

ადრე თუ გვიან, ეს ასე მოხდებოდა, ოსმალთ არ შერჩებოდათო. ასეთივე აზრის გახლდათ შერიფ ბეგიც, ამის გასაცნობათ და დასახატავად ეხლა აქ მოვიყვანთ ერთ მის წერილს, რომლითაც კარგად გამოჩნდება, როგორც ეს ისტორიული გარემოება და ფიქრი ქართველ მაჰმადიანების, ისევე ამით ჩვენ გავიცნობთ შერიფ ბეგის თვისებას და სულიერ ვითარებას, ასეთი შეხედულების ქართველ მაჰმადიანთ შორის მარტოდ შერიფ ბეგი არ იქნებოდა, სადაც ერთი ეს გახლდათ, უეჭველია იქ ამას გარდა სხვანიც იქნებოდნენ, ამას ფიქრი არ უნდა. ასეთ პირთა ცნობა ჩვენ არამც თუ მარტოდ 1877 წლიდან შევიტყეთ, არამედ ასეთი პირნი წერილებს იწერებოდნენ ოსმალეთიდან თვით 1873 წლიდან და ქართველ მაჰმადიანთ დაკავშირებას ნატვრით გამოსთქვამდნენ. 1879 წელს არტაანიდან შერიფ ბეგმა აი რა წერილი მოიწერა თფილისში, რომელიც იმავ წლის „დროებაში“ იქმნა დაბეჭდილი. აი თვით პირი ამ წერილის:

## შერიფ ბეგის წერილი.

### გულ ახდილი ადიარება.

„კაცის ცხოვრება თავიდგან ბოლომდის მუდამ ცვლა მოძრაობაში არის.

მე მინდა ბატონებო, მოგახსენოთ ჩემი ცხოვრების უმთავრესი თავ-გადასავალი გულ-მართლობითა.

მე ჩემი ყმაწვილობის ბოლმა, ჩემდა სამწუხაროდ, ოსმალეთის ქვეშევრდომობაში ავახილე თვალები: თავიდგანვე ჩემი თანამემამულე, ჩემ მოძმეთა ტანჯვა, ჩაგვრა, თავში ცემის მეტი არა მინახავს რა! გაზვიადებული ლხინი, სიხარული რა არის კაცისთვის, უთუოდ მალე მოსძაგდება, მოსწყინდება, რომ ჭირი, ნაღველი, კვნესა და ოხვრა რა იყოს!

თუმცა მე კერძოთ ჩემის ღირსების მომეტებული სახელიც მქონდა, პატივიც, კარგი ყოფა-ცხოვრებაც და სიმდიდრეც მამაპაპეული, თუ ჩემგან შეძენილი, რომლით შემეძლო

ოსმალურ გალაღებით და შვებით სიცოცხლე და ცხოვრება, მაგრამ ეს ყველა გარეული გამოჩენილობა თვალში სულ არ მომდიოდა.

პირად ძალა-უნებრივ სიმხიარულე-კმაყოფილებას ვიჩენდი მარტოდ ოსმალების სათვალფეროდ, მაგრამ შინაგან ტკბილი სული, გული მუდამ ჟამს რაღაცა გამოურკვეველს სიმწუხარის ბნელ უკუნით მოცული მქონდა. ვცდილობდი მუდამ ცისმარე დღეს ამ ჩემი დავარდნილ-დაცემულ მდგომარეობის როგორმე გაუმჯობესობას, მაგრამ ვერაფერი ვერ მოვახერხე...

ან როგორ ავიცილებდი თავიდგან ეგრედ ბოროტ მოვლინებას, რომლის ერთის მხრით ოსმალების უსამართლობა, მძლავრობა, ცარცვა-მგლეჯელობა, დამაქცევლობა და ჩემი ტკბილი სამშობლოს უკიდურესი აოხრება, გატიალება დღიდგან დღე უფრო მატულობდა?.. მეორე მხრით ჩემსა საყვარელ მოძმე მესხ-კლარჯთა ზნეობრივი საშინელი გარყვნა, განებიერება, ავგულობა, მეთავეთობა, სიხარბე, მგლეჯელობა, მოსისხლეობა, ჭრა, კვლა და მისთანა კაცობრიობის გზა კვალიდან გარდ-გასვლა ღუპავდა ჩემს ქვეყანას! მით ერთი საათი მე ერთ დღეთ მიმაჩნდა, დღე ერთ მგზეფსად, მგზებსი თთვედ, თვე ერთ წლად და წელიწადი ერთ საუკუნედ.

ჯერ ოცი ოცდა ხუთი წლისა არ ვიყავი, რომ მრავალ საუკუნოების უწყალოდ დატანჯულ მსხვერპლად ვგრძნობდი მე ჩემს ნორჩს, ახლად გაშლილ ყვავილოვან სიცოცხლეს! ამ ნაირი ჩემი ტანჯული სიცოცხლის წამლად ვსთქვი ქვეყანაში შესვლა, ცოლის შერთვა, დაწვრილშვილება, ხან ერთზედ, ხან მეორეზედ გულის გადაყოლება. მოყვრებში კარგი დროების გატარება, ლხინი, სიხარული, ნავარდობა და მასთან კაცის გულის მასიამოვნე სიხარული. მაგრამ ამ ყველა საშუალებამ რაც არ მომიმატა უფრო ჭირი ჭირზედ, თვარემ საამისოდ არა შეუმსუბუქებიათ რა ჩემთვის. ერთის სიტყვით რკინის გალიაში შემწყვდეულ ვეფხვის მდგომარეობასა ჰგვანდა დაახლოვებით ჩემი მდგომარეობა.

მუდამ ვსაკდილობდი ჩემის თავის და ჩემის მოძმეთა გამოხსნას ჩემის ქვეყნითურთ ოსმალოს ხელიდან და რუს ხელმწიფის ქვეშევრდომათ შესვლას, რომლის მფარველობის ქვეშ იყვნენ დიდის ხნის მოლმა ჩემი უმრავლეს საყვარელ მოძმე მხარეთ ქვეყნები: იმერეთი, ქართლი, კახეთი, მესხეთის მცირე ნაწილი და სხვა, მაგრამ არ იქმნა, არ მელირსა.

1853 წლის ომიანობისა, ცოტა რამ იმედი მომეცა, ვამბობდი: აგერ ახლა გამოვალ ოსმალების ქვეშევრდომობითგან ჩემიანებს და ჩემს ქვეყანასაც გამოვიხსნი ოსმალთ მტარვალობისაგან და დიდებულ რუსეთს შევუერთდები. მაგრამ საუბედუროდ, ყოველი საშვალი გამიწყდა, გზა-კვალი დამეხშა, ყოველგნით ფოლხი მომედვა და ხელი მომეცარა!..

განა მოიპოვება ყოველთვის სადმე მისთანა ერთგული მოყვარე მეგობარი, რომ შენი ხვაშიადი მიანდო. პატიოსნად შეგინახოს და არ გაგთქვას? განა მოიძებნება მუდამ თავ. გრიგოლ გურიელისთანა, მიხ. მეფისოვისთანა და ზოგიერთ ახალციხელებისთანა გამოსადეგ ძმა კაცები გაჭირებული კაცის ხელმანდილად და წყლული გულის სალბუნებლად, რომ ისარგებლოს ჩემისთანა სვე ბედისაგან გამწარებულმა კაცმა?!

რაც იქნა იქნა, მადლობა ღმერთსა, იმათ სრულიადაც არ მოვიხსენებ, ყველას დავიწყების უფსკრულში მივცემ. ახლა მადლობა სახიერ ერთს ღმერთსა, რომ ამ ყველა ჩემის გულ-სულის შემავიწროებელმა ბნელ ღამის წამმა განვლო გარდიარა, 1877 წლის ომიანობის ბოლმა, ჩემდა საუკუნო სასიხარულოდ მომეცა საშუალება ღვთის მადლით მაღალ რუს-ხელმწიფის მფარველობის ქვეშ შესვლისა, მეცა და ჩემს თანა-მოძმეთაცა ჩვენს მრავალ რიცხვად ძმათთა თანა შეერთებითა. ღვთის კურთხეული განგება რომ ხედავდა მუდამ ჩემი შეწუხებული სულის კვნესას, ოხვრას, ნუგეშით მომაგო სამაგიერო, მით ღამის ბნელთ უკუნი ბრწყინვალე დღედ გარდამექცა. სიმწუხარე სიხარულად და ჭირი ლხინზედ შეშეცვალა.

მის მოლმა დავუახლოვდი ქ. თფილისის სხვა და სხვა ჩი-

ნებულ პირთა თავადთა, აზნაურთა. თავიდგან მოყოლებული უკანასკნელ აღსავლის მქონე პირთამდის და მათთან პატივცემულთ ყოველ წოდების პირთა ისეთი საგრძნობი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემს გულში, რომ ვერაოდეს ვერ დავივიწყებ ჩემს დღეში, მე იმათ დიდ მოკეთობას, წრფელ კაცთ მოყვრობას და მიღებულებას... თუმცა ახლა დროებით, ცოტა ხნით დავშორდი მე იმათ მწყალობელ მოკეთ მოყვრობას, მაგრამ სული-გული ისევ იმათთან მიბრუნავს, იგინი არიან ჩემი გონების მარად მარწყენანი, სასო იმედნი და დაუვიწყებლად ძვირფასნი სახსოვარნი.

ღმერთმან ქნას, ისევ მალე მივხვდე მე ჩემის გულის საწადსა, მათთან ხლებასა, რომლის მსგავსი უბედნიერესი წამი მრა შეიძლება რა იყო ჩემთვის ამ ქვეყანა ზედა. ღმერთმა ქმნას აეცა და ჩემს თანამოძმეთაც საქმით დაგვემტკიცებინოს ჩვენგან მოსალოდნელი კეთილშობილური მოქმედება. შეერთებულ ვიყოთ მტკიცე, ძმურად, ჩვენის დიდიხნით აქეთ დაშორებულ მრავალ რიცხოვან ძმებთანა სულითა და გულითა და ყოველი კეთილ განწყობილებითა, ხელი ხელს მიგვეცეს და გარდაგვედგას ის გმირული ნაბიჯი, რითაც განთქმულნი იყვნენ ქრისტიანობის დროს ჩვენი წინაპარნი საქვეყნოდ.

ეხაროსთ დიდს ხნით მოღმა იმათ ღრმად მიძინებულს სულსა და გულს და იშვებდენ ჩვენის ღირს მემკვიდრეობით, რომლით წინ წავა ქვეყნის მაშენებლობა, განახლდებიან ციხე-ტაძარნი, სამოქალაქო ვაჭრობა, ხელოსნობა, სწავლა-მეცნიერება, ზნე კეთილობით, ერთი ათასად და ათი ათასად წარიმართება მიწის შემუშავება, ნერგვა, წინდვა, მყვნა-მარგვლა; ყოველი საზრდო გაგვიაფდება, რომ ყოველი კაცი ბედნიერების გზა-კვალს დაადგეს მღვთის მსახურებით, სიმართლით და კაცთ მოყვარებით.

არტაანი (არდაგანი) 29 თიბათვეს, 1879 წ. **შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი.** გაზ. „დროება“.

ვგონებთ ქართველ მაჰმადიანებს ეპვი აღარ უნდა ექმნესთ

მასზედ, რომ ასეთი წერილის შემდეგ მათ სთქვან, რომ ჩვენ ბურჯები არა ვართო და ეს ქვეყანაც ბურჯისტანი არ არისო. შერიფ ბეგის სულიერი საქვეყნო აზროვნების გამო მოვიყვანთ აქ მეორე წერილსაც, რომელიც კარგად ხატავს მის გვარტომობის ცნებიერებას და შეერთების სასარგებლოდ ცდას. აი ესეც მეორე ამის სიტყვა წერილად დაბეჭდილი 1878 წ. გაზეთ „დროების“ 126 ნომერში.

„ჩემი წამოსვლის მეორე დღესვე მისულან სხალტას ხ. ჩემი სახლ-კარი, ყველაფერი გარდუწვამთ. შემიტყეს, რომ თვალი აქეთკენ მეჭირა, და ძალიან განზედ მიყურებდნენ... ადრე ცხრა ბათალიონი მყავდა... დერვიშ ფაშა ყოველ კვირით მწერდა: გეიწიე, გეიწიე ახალციხისაკენაო! ჯერ კი ვაღორებდი (ვატყუებდი), რომ გზა მაქვს გამაგრებული, ვერ დავიძვრი აქედან, მაგრამ როცა რუსის ჯარი არდანუჯისკენ გაუშვი ხელ უხლებლად, მაშინ კი სულ უფრო ეიღო ეჭვი დერვიშ ფაშამ. ახლა სხვა ოსტატობა ვიხმარე: ჩხუბი ავტეხე ზემო და ქვემო აჭარის შუა, წავკიდე ისინი და ახლა ოთხი ბათალიონი იმათ დასამშვიდებლად გავგზავნე. დაგვრჩა ხუთი ბათალიონი; მერე დაგვრჩა სამი ბათალიონი.

ახლა კი მივსწერე წერილი დერვიშ ფაშას, რომ ამ სამი ბათალიონით წინ ვერ გევიწევი, ისევ აქ გავმაგრდები თქვა და ვიყავ, მაგრამ ხოლო მაინც ეჭვი ჰქონდათ, კაცები მოდიოდნენ, ჩამასმინეს, იმას რუსებისაკენ უჭირავს თვალიო, და მეტი არ შამეძლო, ცოლშვილი არტაანში გავგზავნე და მე კი ახალციხეს გამოვიპარე. ამ სამოც წელიწადში სამჯერ აოხრებულა ჩვენი ოჯახი, პაპაჩემი სელიმ ფაშა სულთან მამედმა სტამბოლში მიიხმო და თავი მოსჭრა და რაც ამას ქონება აქვნდა, სუყველა ფაშებმა წაიღეს და გაიყვეს. მამაჩემი იყო და ისიც აიკლეს; მე სულ, სულ ახლად დავდგი ოჯახი, ევიშენე სახლი, მაგრამ ხომ ხედავთ, მეც რა ბედი მქონია, ყველაფერი მივატოვე რაც გამაჩნდა—ოჯახი, სახლი, კარი და წამოვედი აქეთ დაკარგულ ძმების საპოვნელად“.

ამის წარმოთქის მესამე დღეს შერიფ ბეგი იმ დროის ერთად ერთს ქართული წიგნის მაღაზიაში მოვიდა მიხ. მეფისოვით, გაგვიცნა ჩვენ, რაც ქართული წიგნები იყო მაშინ ყველა იყიდა. საუბრის დროს სთქვა, რომ აჭარაში სულ ქართულად ლაპარაკობენო. მერე მითხრა, კარგს იქმთ თუ ყურადღებას მიაქცევთ და იქით ქართულ წიგნებს გაგზავნითო. ესეთი დავალება ქართველებმა შევისმინეთ და იმავ დღიდგან ქართველ მაჰმადიანებს ვესიყვარულებოდით, წიგნებსაც ვუგზავნიდით, გაზეთებსაც, ფულითაც ვეხმარებოდით, მაგრამ მათგან ჩვენ სამაგიერო სიკეთეს ვერა ვხედავდით, ჩვენ მეგობრობას ვუცხადებდით და იგინი ხმლით მოგვდევდენ უკან, ეს ერასაკვირველია მათი შეუგნებლობა იყო.

ასე და ამგვარათ, ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრება უსარგებლო პირობებით იმოსებოდა, მას სანუგეშო არა აქვნდარა, ხოლო რამოდენიც მათში რუსის მთავრობის ძალა ძლიერდებოდა და მყარდებოდა, იმდენი იგინიც ცხოვრებაზედ და ვაჭრობას ეძლეოდნენ, თავის მამაპათაგან დაშვებულს შეცდომებსაც ზიზღის თვალით უმზერდენ და მის მეოხებით ველურის მდგომარეობიდანაც გამოდიოდნენ. შეგნება და თვალის გახილება ამათში ისე მალე წავიდა წინ, რომ 1880 წ. რაკი თავდებოდა მათში გადასახლების ვადა და ეს გათავდა კიდეც, ვინც წავიდა ხომ წავიდა და ვინც არა და იმათ დაიწყეს თხოვნა და მუდარება, რომ დღეის შემდეგ გვიშველეთ და დაგვეხმარეთ, რომ ჩვენც სწავლა-განათლება მივიღოთო. ასეთ თხოვნის მეთაურ პირებათ ითვლებიან ის მოწინავე პირნი ქართველ მაჰმადიანთა, ვინც ჩვენ ზემოთ არა ერთ ალაგას ვახსენეთ.

სხვა მხარეთა ანუსხვას ჩვენ არ შევეხებით, რადგანაც იგინი თავ-თავის ალაგას გვაქვს ანუსხული სხვა წიგნებში, ხოლო დასასრულ ვიტყვით შემდეგს: რომ მადლობა ღმერთს და შერიფ ბეგის სიტვის და ნატვრისამებრ, სადღეისოდ ქართველ მაჰმადიანებმაც საკმარისად გაახილეს თვალები, იგინი

უკვე გამოვიდნენ სამოქალაქო ასპარეზზედ და თავიანთ შეძლების და გვარად ყველა საქმის მუშაკობით შესაფერის ცდით მიდიან წინ. იმედია, რომ რაც დრო გაივლის, მით ამაო ფანატიკოსობას ბუნებითი მხარე და ცოდნა საკმარისად დასძლევს და მით იგინი ერთი ათათ და ასად გამრავლდებიან განვითარების ასპარეზზედ. ამის მონატრე იყო იმავ დღიდან ქართველობა და როგორც ვიცით, ამისავე მონატრე და მომთხოვნელი არის თვით დღევანდელ შეგნებულ ქართველ მაჰმადიანთა ნაწილიც. ამ გარემოებამ გამოიწვია ის კეთილი დიადი საქმე, რომ ქართველმა საზოგადოებამ, თავის მოძმე ქართველ მაჰმადიანთ შვილთათვის, ბათუმში, ქართული სკოლა გახსნა, სადაც მათ სჯულსაც ასწავლის ხოჯა. ეს ნაყოფიერი და დიადი სკოლა ხომ დღესაც არსებობს ბათუმში.

თუმცა ქართველ მაჰმადიანები 1630—1870 წლებამდე, ოსმალთ ნადირებათ მიაჩნდათ, ქართველებს ისე უყურებდენ როგორც ლამაზ სახმარ ხალხს, მასთან თავ-გადადებულ მეომარს, სასტიკ მონას, თავის ვინაობის უარის მყოფელს და ნამდვილ თათრის ტომის მუსულმანზედ უფრო ფანატიკს, ამისთვის თავიდან ხელ აღებულს და სხვანი, რაც კი ქართველ მაჰმადიანს მარტივათ სპობდა თავის სამშობლო ქვეყნის ცნებიერების ასპარეზზედ. თუმცა ქართველ მაჰმადიანი სრულიად დაკარგული მონა იყო და დავიწყებული არსება ოსმალთ წინაშე, ბევრს ალაგას ამათ თავისიანობის ყოველივე დაკარგეს და დღეს არც აქეთ არიან, არც იქით, მაგრამ მაინც მათ შორის თითო-ოროლას შერჩენილი აქვს ცნებიერება თავიანთ ვინაობის შეგნების და იმის ცოდნაც, თუ მათი სამშობლო ქვეყანა რა დროს, და ოსმალთ რომელ ხელმწიფეთაგან იქმნა დაპყრობილი, ამიტომ მოვიყვანთ მოკლედ შემდეგ ცნობებს, რაც კი ჩვენი სამშობლოს ისტორიის ნაწილს შეადგენს.

მაჰმედ II სულთანმა კონსტანტინეპოლი აიღო 1453 წ. მოკვდა 1480 წ. გამეფდა ძე ამისი ბაიეზით, მოკვდა 1510 წ. დაჯდა ძე ამისი სელიმ სულთანი, ეს წამოვიდა საქართველოს

ასაკლებათ, აიკლო იმერეთი, სამცხე დაიმორჩილა, იმავ წელს სძლიეს ქართველთ და განაძევეს. სელიმ სულთანი მოკვდა 1520 წ. დაჯდა სულეიმან სულთანი, ამან განაახლა შაჰის დაწყობილი საქმე, ქართველებს დაუწყო ბრძოლა და სურდა მთელი საქართველოს აკლება, ქართველნი სძლია მძლავრად და მაინც სრულიად ვერ დაიპყრა, ქართველთ განაძევეს, მრავალჯერ კი იბრძოლა. მოკვდა 1565 წელს დაჯდა ამის ძე სელიმი. სელიმი ებრძოდა მკაცრად კლარჯელთ, ვერა ავნორა. მოკვდა 1580 წ. დაჯდა ძე ამისი მურად სულთანი, ქართველთაგან ხოანიქრად წოდებული. ამან აღაოხრა რამდენჯერმე საქართველო და სამცხე-საათაბაგო, ანუ კლარჯელნი მოხარკეთ ჰყო, ხოლო მათ აქვნდათ თავიანთი წესები, ათაბაგი იყო გამგე ქვეყნის, სჯული, კანონები აქვნდათ ქართული. ამისაგან იწყება ქართველთ შესყიდვა და გარყვნა მათი. მოკვდა 1593 წელს დაჯდა ძე ამისი მაჰმად. ამანაც ჰფლო სამცხე, მოკვდა 1604 წ. დაჯდა ძე ამისი ჰამადა, ამის დროს ოსმალეთში დიდის ცოდვების გამო აღრევა დაიწყო. ქართველებს ესენი თავიანთ დევნას მაინც არ აკლებდენ, ეცემოდენ ქურდულათ.

ჰამადა სულთანი ჩამოაგდეს 1617 წ. დასვეს ძმა ამისი მუსტაფა, მერე ჩამოაგდეს მუსტაფა 1619 წ. დასვეს ძმა ამისი ოსმან სულთანი. ჩამოაგდეს ოსმან სულთანი 1622 წელს. დასვეს მეორეთ მუსტაფა სულთანი, მალე თვით გადადგა მუსტაფა სულთანი, ამის მაგიერ გამეფდა ძმა ოსმანისა. ამ სულთნებმა თვისი დღენი აღრევით ატარეს, მაგრამ ეს იყო მათი შინაური საქმე და უთანხმოება, თავიანთ მონებს თვის მახვილს მაინც არ აკლებდენ. მაგალითებრ ამ აღრევის დროსაც მათ არ მოასვენეს საქართველო, დღე და ღამ ეომებოდნენ ქართველებს, ნამეტურ სდევნიდნენ კლარჯელ, შავშელ, არტაან, ოლთისელ, აჭარელ, ლივანელ და სხვათა კუთხის ქართველთ, ამათის წყალობით შემოვიდა ტყვის გასყიდვა, მოტაცება ხალხის და ოსმალოს ქალაქებში სყიდვა. ამათვე გარყვნეს ქართველ თავად-აზნაურები, ასწავლეს ამათ ორგულება, თავიანთ ქვეყნის ღალატი, გაცემა და ყოველი ბოროტება. მურად სულ-

თანის წინაშე ისლამი აღიარა ბექა ათაბაგმა, ანუ მერე საფარ ფაშა. ამ დროს მოისპო სამცხე-საათაბაგოში ათაბაგური წესები, ანუ მათი ავტონომია, ახალციხეს განაწესეს საფარ ფაშა და ამით დაამდაბლეს არამც თუ მარტოდ სამცხე საათაბაგოს ქართველები, არამედ დიდათ ამაღლებულ ჯაყელების გვარის მნიშვნელობა რადგანაც ამ დღიდამ იგინი ირიცხებოდნენ უბრალო ფაშებად და არა ათაბაგებათ.

ასე და ამ გვარად, ოსმალთაგან საქართველოს აოხრების დასაწყისი იწყება **1503** წ. და გრძელდება **1630** წლებამდე, მერე კი ცოტაოი მცირდება სისხლის ღვრა და უბედურებანი, ვინაიდან ქართველთაც იწყეს ისლამთან დაკავშირება. რა დღესაც ოსმალოს სულთანმა სამცხე-საათაბაგოს ავტონომია გააუქმა, ამიტომ შემდეგ დროთა სულთნების სახელებს ჩვენ არ ვახსენებთ. უეჭველია ამათ ამაგს ქართველ მაჰმადიანები არ დაივიწყებენ, დღემდე თუ არაფერი იცოდენ, დღეის შემდეგ მაინც იცნავენ ცოტათი თავიანთ თავს, ვინაობას და იმ სიკეთეს და ამაგს რაც ოსმალეთმა მიაყენა მათს ქვეყანას, სახლ-კარს, ცოლშვილს, ერთის სიტყვით ყოველივე ამათსას. ეცდებიან, რომ ასეთის ღვაწლისათვის შესაფერი ხსოვნა იქონიონ, მოიგონონ თვისის სამშობლო ქვეყნის ისტორია, გაიხსენონ ის ამბები რაც მათს სამშობლოში **1580—1630** წლებამდის ხდებოდა და ამ გახსენებით ისარგებლონ და ეცადონ, რომ დღეის შემდეგ მაინც დააღწიონ თავი იმ საზღაპრო გაოვერანება, გაველურება და გათახსირებას, რაც მათ ხსენებულის მოწყალე მეფეთაგან მოევლინათ. ეს არის იარა ქართველ მაჰმადიანების და მათ უნდა ამისთვის დიდათ ეცადონ, რომ ამ მწვავე **იარას** თავი დაახწიონ და ჩადგნენ განათლებულ ხალხთა რიცხვში. ამის ვალდებულება მათ დღეს უკვე კარზედ აქვს მომდგარი რადგანაც ჩვენი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე ბრძანებს შემდეგს;—„**გაეხსნათ გზა და ეშველათ აწარელთ სასოება, რომელ მუნათ შეეიდეს ძათ შორის განათლება**“ ამავე საგანს მეორე ჩვენი მგონასანი ნ. ბარათაშვილიც ასე და-

ჰხარის: — „სადაც აქამდის ხლმით და ძალით ჰფლობდა ქართველი, მუნ სამშვიდობოს მოქალაქის მართავს აწ ხელი“. და სხვანი, ის რაც ქართველ ქრისტიანებზედ სთქვეს ალ. ჭავჭავაძემ და ნ. ბარათაშვილმა, იგივე ითქმის ქართველ მაჰმადიანებზედაც.

ესე იგი, დღეს ქართველ მაჰმადიანები შემოერთებულ არიან რუსეთის საქართველოს ქართველებთან, რისთვისაც ორივე მხარეს სისხლიც არის დაღვრილი და ამიტომ ვალდებულნი არიან ქართველ მაჰმადიანები, რომ დღეის შემდეგ მათ თვალები გაახილონ, გამოვიდნენ ბნელის ფანატიკურის პირობებიდან და სასარგებლო მოქალაქეებათ გახდნენ როგორც თავიანთის თავის და ცოლშვილისათვის, ისევე ქვეყნის სასიკეთო და სასარგებლო საქმისათვისაც. ეხლა აქ მოკლედ მოვიყვანთ მის ცნობებსაც თუ ამ ჩვენი დიდის ხნის აქეთ ნანატრ შეერთების დროს ვინ იყო ჩვენი ქვეყნის გამგე მთავარ მართებელი ან სხვა მეთაური პირები.

მიხეილ ნიკოლოზის ძე, დიდი მთავარი, მათი იმპერატორებითი დიდებულების და მთავარ მართებელი მთელის კავკასიისა. ამათ ცხოვრებას ჩვენ არ ვეხებით, ვიტყვით იმას კი, რომ ამ მთავარ მართებელმა ქართველთ მაჰმადიანთ საქმეებს დიდის სამფარველოს სიფრთხილის თვალით შეხედა, დიდი სურვილი აქვნდა, რომ მათი დაკავშირება ისე მომხდარიყო, რომ ორივე მხარეს სისხლი სულ არ დაღვრილიყო, ვინაიდან მან იცოდა კარგად, რომ ორივ ეს ხალხი ერთის ტომისანი იყვნენ, ერთმანეთზედ მიკრულნი, უეჭველია ადრე თუ გვიან, ამ საქართველოს გაცალკევებული ხალხის გაერთიანებაც მოხდებაო ამიტომ სანატრელი არის, რომ ეს ქართველი ერი საქართველოს დაუკავშირდესო, იქმნეს ისე, რომ ამ ძმათა შორის სისხლი არ დაიღვაროსო. ასეთის შეხედულების იყო ეს უმაღლესი პირი, მიტომაც გახლდათ, რომ მას ყოველთვის ქება-დიდებით მოიხსენებდა ჩვენი პოეტი გრიგოლ ორბელიანი. დიდის მთავრის პატივისცემა თვით ქართველ მაჰმადიანებ-

საც დიდათ აქვნდათ, შეერთების შემდეგ, თფილისში ქართველ მაჰმადიანთ დეპუტაცია ჩამოვიდა, მათ მთელმა ქართველობამ სადილი გაუმართეს, სადილზედ მათ დიდი მთავრის საღლეგრძელოც დალიეს.

შეერთების დროს, მრავალთ დამნაშავეთ მიენიჭათ პატიობა, მათ მიეცათ თავისუფლება და განდევნილთ სამშობლოში დაბრუნება. ოსმალოს მთავრობის დროს, ძრიელ ბევრი ქართველ მაჰმადიანი იყო დასჯილი და უცხო ქვეყანაში გაძევებულნი, რუსეთის მთავრობის დამყარების შემდეგ კი ესენი სულ შინ დაბრუნდნენ და მთავრობისაგან შეწყნარებულ და მიღებულ იქმნენ საცხოვრებლად, მაგალითებრ ასეთი იყო ქართველ მაჰმადიანთ სახალხო მელექსე ხუსეინ ქამჯარაძე, რომელიც ოსმალოს მთავრობას გაუძევებია. 30 წელიწადი ქურთისტანში ყოფილა გავარდნილი. მხოლოდ ხსენებულ ომიანობის შემდეგ მიეცა მას ნება თავის სამშობლოში მოსვლის და ცხოვრების, ესეც მაშინათვე მოვიდა, ასევე სხვებიც მოსულან, ასეთი მოწყალების მანიფესტები მრავალჯერ იყო დიდი მთავრისაგან განცხადებული. იგი კარგად იცნობდა მთელ ქართველ მაჰმადიანობას, ამ გაცნობისათვის მას დიდათ ეხმარებოდენ ისეთი საპატიო პირნი როგორიც იყვნენ იმ დროის ის ქართველ გენერლები, რომლებიც მას გარს ეხვივნენ. ამავ მთავარ მართებლის განკარგულებით შეერთების დროს ხსენებული კუთხე ასე იქმნა მიღებული და დაყოფილი სხვა და სხვა ნაწილებათ.

უნდა ითქვას, რომ მთავარ მართებელს ქართველ მაჰმადიანთ შესახებ ბევრს რამ კეთილ ცნობებს აძლევდა თავ. ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი, მისივე თანაშემწე, ყოველივე ამ კაცის დარიგებით კეთდებოდა, ნამეტურ ქართველ მაჰმადიანთ პატივისცემა.

„ოსმალეთის ყოფილი საქართველოს შემოერთების წესები“ რომელიც დამტკიცებულ იქმნა ზემოხსენებულისავე მთავრისაგან და დადგენილი 1878 წ.

**მუხლი 1.** ბათუმის მაზრა შესდგება ლაზისტანის იმ ნაწილიდან, რომელიც ბერლინის ტრაქტატის ძალით რუსეთის იმპერიას ერგო.

**მუხლი 2.** ბათუმის მაზრა კავკასიის სამხედრო განყოფილებას ემორჩილება, სამხედრო და ადმინისტრატიულის მხრით კავკასიის არმიის მთავარ სარდალს.

**მუხლი 3.** ბათუმის მაზრის გამგეობა მინდობილი აქვს ბათუმის სამხედრო ღუბერნატორს, რომელსაც იგივე უფლება აქვს, როგორც ურალისა და ტურგაის სამხედრო ღუბერნატორებს.

**მუხლი 4.** სამხედრო და სამოქალაქო გამგეობაში ღუბერნატორი იხელმძღვანელებს ნამესტნიკისაგან მიცემულის ინსტრუქციით.

**მუხლი 5.** ბათუმის სამხედრო ღუბერნატორთან დანიშნულია თანაშემწე, რომელიც როცა ღუბერნატორი არ არის, იმის თანამდებობას შეასრულებს და სამაზრო სამართველოს თავსმჯდომარედ იქნება.

**მუხლი 6.** სამხედრო ღუბერნატორთან იქნება: ა) სამხედრო კანცელარია და ბ) სახალხო და სამოქალაქო საქმეების გამგეობა (ე. ი. „მეჯლიში“ ოსმალურად).

**მუხლი 7.** ქალაქ ბათუმს ერქმევა სახელად „ნავთსადგური“ ქალაქი, ყველა საქმეები ამ ქალაქის შესახებ ნამესტნიკის მთავარ სამართველოს საშუალებით წარედგინება დასამტკიცებლათ დ. მ. კავკასიის ნამესტნიკს, სანამ მთავარ სამართველო დაამტკიცებს ბათუმის ქალაქის გამგეობის წესს, მანამ ღუბერნატორი და ბათუმის უფროსი ქალაქ პეტროვსკის წესით იხელმძღვანელებენ.

**მუხლი 8.** ადმინისტრატიულის მხრით ბათუმის მაზრას შეადგენს სანავთსადგურო ქალაქი ბათუმი და მისი სამი ოკრუგი სამ უჩასტკად არის გაყოფილი.

ა) ბათუმის ოკრუგი შესდგება: ბათუმის, კინტრიშის, ანუ ძველი ქობულეთის, ოსმალურ ჩურუქსუ,—კინტრიშის წყალს

ეწოდება, ამასვე ერთვის ზედ გონიას ნაწილი, რაც საზღვრავს კახაბერს, აჭარას, ლივანას და ლაზისტანს.

ბ) ართვინის ნაწილი, არდანუჯის, ართვინის და შავშეთის უჩასტკებისაგან.

გ) აჭარის ოკრუგი შესდგება: ზემო აჭარის, ქვემო აჭარის და მაჭახლის ნაწილისაგან.

**მუხლი 9.** უფლება და მოვალეობა ოკრუგისა და უჩასტკის უფროსების განსაზღვრული იქნება ბათუმის ლუბერნატორისაგან და დამტკიცებული ნამესტნიკისაგან.

**მუხლი 10.** ბათუმის ლუბერნატორის არჩევით და კავკასიის ნამესტნიკის დამტკიცებით სახალხო გამგეობის თანამდებობაზედ შეიძლება ადგილობრივ მცხოვრებნიც დაინიშნონ.

**მუხლი 11.** სახელმწიფო ღალატისათვის, მთავრობის წინააღმდეგობისათვის, ხაზინის გაკარცვისა, სახელმწიფო ქონების ცეცხლის წაკიდების, ტელეგრაფის გაფუჭების და განზრახკაცის მოკვლისათვის, ადგილობრივ მცხოვრები და რუსეთის იმპერიის საზოგადო კანონებით იქმნებიან გასამართლებულნი. სხვა ყველა დანაშაულს და აგრეთვე სამოქალაქო დავებს განარჩევს სახალხო სამართველო, ანუ „მეჯლიში“.

**მუხლი 12.** მეჯლისები დაწესდება: ექვს უჩასტკაში და სამ ოკრუგში ორი სამაზრო „მეჯლიში“ იქნება. ერთი ბათუმის, მეორე ართვინის.

**მუხლი 13.** ბათუმის სახალხო სამართველოებით გაისამართლებიან მხოლოდ ადგილობრივ მუსულმანთა მორწმუნენი. სხვა სჯულისანი რუსეთის კანონით იქნებიან გარჩეულნი.

**მუხლი 14.** თვითოეულ ოკრუგში იქნება ერთი ასი ქვეითა ჩაფარი, მსურველთაგან შემდგარი (ზემსკაია სტრაჟა), ამას გარდა მთელ მაზრაში იქნება ასი ცხენოსანი ჩაფარი (ზავთია).

**მუხლი 15** გადასახადი და სხვა ყველა ხარჯი ბათუმის მაზრის მცხოვრებლებისა იგივე იქნება, რაც ადრე იყო, როდესაც ოსმალეთის მთავრობის ხელში იყვნენ. გადასახადის მომატებაზედ, ანუ შემცირებაზედ და შემსუბუქებაზედ ბათუმის

ლუბერნატორმა უნდა მოსთხოვოს ნება-რთვა კავკასიის ნა-
მესტნიკს.

ასეთის წესების დადგენით შეერთდა ოსმალეთის საქარ-
თველო რუსეთის საქართველოსთან. ასეთის წესების დადგე-
ნისთვის კმაყოფილნი იყვნენ ქართველ მაჰმადიანებიც. ამათ
გარეშე, ბერლინის ხელშეკრულობის ძალით ქალაქ ბათუმი
რუსეთის ხელში გადმოვიდა შემდეგის პირობით: ბათუმი დღეი-
დან შეერთების რუსეთის იმპერიასთან ინიშნებოდა „ნავთ-
სადგურ“ ქალაქად, მასთან პორტო ფრანკოდ. პორტო ფრან-
კოთ ბათუმი მთავრობამ სამ წელიწადს დასტოვა. მერე მოისპო.

ამ წესების დამყარების დროს, დიდი ამბოხება იყო აჭა-
რაში, ერთი ნაწილი კვალად იბრძოდა რუსის მთავრობის წი-
ნააღმდეგ, ამათ ხელმძღვანელობდნენ მოლები და ხოჯები.
მეორე ნაწილი იყო ზედა და ქვედა აჭარის ღარიბი ფუხარა
ხალხი, რომელთაც პირში სული ამოხუთეს სჯულის თავ კა-
ცებმა, მათ ამაზედ შიმშილმაც უსწრო თავი და ამიტომ ბედ-
შავთ აღარ იცოდნენ თუ რა ექნათ და საით წასულიყვნენ.
ამიტომ მოხდა ამბოხება მათი, ყოველივე ამას კი შეერთებას
აწერდნენ, მაგრამ ეს არ იყო მართალი. ყოველივე მოხსენდა
უმაღლეს მთავრობას და მათ საწყალი ხალხი შეუხებელი და-
სტოვეს, თორემ ჩვენ რომ მაშინ მფარველი ქართველი გენე-
რალები არ გვყოლოდნენ, მათ ამბოხებას რუსეთის სახელმწი-
ფო საწინააღმდეგო საქმეზედ გადაიტანდნენ და ვინ იცის ამ
ხალხს როგორ დასჯიდნენ. ასეთი კეთილი პირნი იყვნენ შემ-
დეგნი:

**თ-დი გრიგოლ დავითის ძე გურიელი.** მარჯვენა მკლავი
ქართველ მაჰმადიანთა და დიდი მფარველი მათი. ამ სახსოვარ
კაცს მთელი ქართველი მაჰმადიანობა სცემდა პატივს. ამის ამ-
ბავს იხილავთ ბათუმის აღწერაში.

**მიხეილ მეფისოვი.** კაცი ზედმიწევნით მცოდნე ქართველ
მაჰმადიანთა, დიდი მოსიყვარულე მათი. ამ პირს იმ დროის
მთავარმართებელთან დიდი კავშირი და მისვლა-მოსვლა აქვნ-

და. იყო დიდათ შესანიშნავი, მცოდნე მთელ ქართველ მაჰმადიანთ ავ-კარგიანობის.

**თ-დი ლევან ივანეს-ძე მელიქოვი.** იმ დროის მთავარმართებლის თანაშემწე, ვის გამგეობის დროსაც მოხდა ქართველ მაჰმადიანთ შემოერთება. ამ დროს, კიდევ კარგი, რომ მთავარ მართებელს გარს ისეთი ქართველი გენერლები ეხვია, რომელთაც დიდი სიყვარული აქვნდათ საქართველოსი და ქართველ მაჰმადიანების. სწორეთ ასეთი გახლდათ ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი, რომლის ნახვაც კი ახარებდა ქართველ მაჰმადიანებს. შემოერთების შემდეგ, თავ. ლევან მელიქიშვილი ბათუმში ბრძანდებოდა, მას წარუდგნენ ქართველ მაჰმადიანთა დეპუტაციები, ყველა დეპუტატს სათითაოდ ქართულად გამოჰკითხა თავის თხოვნის შესახებ, ქართულად ლაპარაკი ქართველ მაჰმადიანებს დიდათ ესიამოვნათ, ყოველი ავი და კარგი მოახსენეს სიამოვნებით ასე:

ფაშავ-კნიაზო, ღმერთმა გადღეგრძელოთ, რომ მობრძანდით და გვინახულეთ, ჩვენს ენაზედ გველაპარაკეთ, ჩვენც მოგახსენეთ ჩვენი დარდი. ჩვენ რუსული არ ვიცით, უცხო კაცნი გველაპარაკებიან და გვეუბნებიან რაღაცაებს, ჩვენ მისი არ გგესმის და მერე „პოშოლს“ გვიყვირიან. თქვენისთანა კნიაზები უნდა მობრძანდნენ, რომ ჩვენც მისი გავიგოთ რამე. მადლობელი ვართ ფაშავ-კნიაზო დიდი.

ამ გარემოებამ დიდი გავლენა იქონია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზედ, ქართველ მაჰმადიანებს დარიგება მისცა, მასთან დახმარებაც და ყველა სათხოვარზედ მოახსენა: ვეცდები, რომ ყოველივე შეგისრულოთ და იმასაც ვსთხოვ მთავარ მართებელს. რომ დღეის შემდეგ თქვენებური კაცები დაგენიშნოთო, ან არა და ისეთნი, რომელთაც თქვენი ენით ეცოდინებათ ლაპარაკი. ეს ასეც გახლდა და თფილისში დაბრუნებიშემდეგ მთავარ მართებელს მოახსენა ყოველივე და თან აუწყა უმთავრესად მის საჭიროება, რომ აჭარას და მთელს ამ ახლად შემოერთებულ საქართველოს კუთხეებში მსახურ გამგეთ ჯე-

რეთ იქაურები უნდა დავნიშნოთ და თუ ისინი არ იქნებიან ქართველნი, ქართველი ენის მცოდნენი დავნიშნოთ, რათა ქართულის ენით შეეძლოთ მათთან ლაპარაკი.

მთავარ მართებელმა შეისმინა ეს მოხსენება და იმ დღიდანვე განკარგულება მოახდინა, რომ დღეის შემდეგ ახლად შემოერთებულ კუთხეში ქართველები იქნენ მიღებულნიო, ან ადგილობრივ მცხოვრებ მუსულმან ქართველნიო. აქამდის აქ თვით უბრალო ჩაფარი და ზავთიაც კი სხვა ტომისანი იყვნენ და არა ქართველ მაჰმადიანი, ამ დღიდან კი უცხოებს დაუწყეს დაბრუნება და მათ მაგიერ ქართველ მაჰმადიანებს დაუწყეს მიღება. მალე ქართველი ქრისტიანებიც გაჩნდნენ და ნამეტურ გურულები. მოსამსახურეთა შორის ქართველთ რიცხვი ყველა დაწესებულებაში გაჩნდა. ეს იყო ლევან ივანეს ძე მელიქიშვილის ცდა.

ლევან მელიქიშვილის და გრიგოლ გურიელის ცდას ის შედეგი მოჰყვა, რომ მთავრობის უცხო მოხელეებმა, ქართველ მაჰმადიანებზედ აზრი შეიცვალეს და ქართველ მაჰმადიანს თათარს კი აღარ უყვიროდნენ და ცოცხით არ ერეკებოდნენ რუსმალეთში, არამედ ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებათ ჩათვალეს, თორემ ყველას ასე ეგონა, რომ ეს ქართველ მაჰმადიანები თურქეთიდამ იყვნენ მოსულნი. ამ გარემოების შეგნებას თვით ქართველ მაჰმადიანებიც მიხვდნენ მაშინათვე და დიდათ უმადლიდნენ ლევან ივანეს ძე მელიქიშვილს; ასევე უმადლოდენ ნეტარ ხსენებულ გრიგოლ გურიელს. ამიტომ ლევან მელიქიშვილის შესახებ მოვიყვანთ მოკლეთ შემდეგს:

თავადი ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი დაიბადა 14 ოქტ. 1817 წ. სამსახურში შესულ იქმნა 15 ოქტ. 1835 წ. მას შემდეგ თავ. ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი მსახურებდა სამხედრო სამსახურის ასპარეზზედ და უკანასკნელ მან მიაღწია გენერალ ადიუტანტ გენერალ კავალერიის ხარისხამდე და მასთან ირიცხებოდა კავკასიის მთავარ მართებლის თანაშემწედ. ლევან მელიქიშვილის ქება-დიდების შესახებ ჩვენ არას ვიტ-

ყვით, მოვიყვანთ მხოლოდ ჩვენის ორის სასიქადულო მწერალთ აზრებს, მაგალითებრ ილია ჭავჭავაძე სწერს: „რომ ჩვენს დროში, ქართველობა ბევრს ეთაკილებაო. ლევან ივანეს ძე მელიქიშვილს კი, სხვათა შორის ქება მითაც ეთქმის, რომ მას ბევრს კაი საქმეებთან არც ქართველობა სძულსო, „ამით ეთქმის ჩვენგან მას ქებაო“ და სხვანი. აკაკი სწერს:—„ერთ ხმად ყველანი აქებენ კარგი არის ლევანიო, ქართული ყურძნის ვაზია, სანაქებო მტევანიო“ და სხვანი.

თ. გრიგოლ გურიელის რჩევით 1878 წ. შემოერთების დროს, ქართველ მაჰმადიანებმა და ალიებმა მთავრობას თხოვნა მიართვეს და სთხოვეს, რომ ჩვენი წოდების საქმე განიხილეთ და როგორც ძველად ჩვენში თავად-აზნაურები ვიყავით, ეხლაც ისევე გვიბოძეთ ეს წოდება და მით აღგვიდგინეთ ოსმალთაგან წართმეული საგვარეულო ღირსებაო. ამის გამოძიება ეხლაც სწარმოებს სენატში.

ასევე უნდა დავასახელოთ გენერალი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი. ამათის და გრიგოლ გურულის მეთაურობით ქართველ მაჰმადიანთ ბევრი რამ საპატიო ღირსება მიენიჭათ. პირველათ ქართველ მაჰმადიანთაგან ჩვენებურ სასწავლებლად წამოიყვანეს შერიფ ბეგის შვილები და შესაფერი მომზადების შემდეგ იგინი მიაბარეს თფილისის კორპუსის გემნაზიაში. ამათ გარდა მათისავე მეთაურობით სასწავლებლათ ქართველ მაჰმადიანთ გაიმეტეს და შვილები გამოგზავნეს დედი აღა ნიჟარაძემ და გული აღა კაიკაციშვილმა, ეს პირველი მაგალითი იყო, ამიტომ მათ ქართველი მაჰმადიანები ჰკიცხავდენენ, რომ შვილები რუსულ სკოლებში მისცეს, იქ გარუსდებიანო. მაგრამ ეს იყო სიცრუის შიშიანობა.

პირველათ ამათში ქართული სკოლა გახსნა ახმედ ეფენდი ხალვაშმა 1889 წ. დაბა მარადიდში. სკოლა მალე დაიკეტა, რადგანაც სასულიერო წოდება აეწინაღმდეგა. ამ გარემოებამ დიდათ დააღონა მარადიდის უფროსი ახმედ ეფენდი ხალვაში.

ქართველ მაჰმადიანთაგან პირველად ქართულ გაზეთებში წერილებს სწერდნენ ორიოდ პირნი და მათთან გულო ალაკაიკაციშვილი, ეს პირი წერილებს იწერებოდა იმ დროსაც კი, როცა ხსენებული კუთხე ოსმალთ ეკავათ, იგი ყოველთვის სწერდა პირნათლათ, რომ ჩვენ ენით და ტომით ქართველნი ვართო. 1879 წ. წერილი დასწერა შერიფ ბეგმა, რომელიც იმ დროის გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა. ამავე დროს დაიწყო ქართულ გაზეთებში წერილების წერა აბდულ ეფენდი მიქელაძემ, მერე, ანუ 1895 წ. ჰასან ეფენდი ციციშვილმა. ყველა ეს იყო პირველი მაგალითი ქართველ მაჰმადიანთა, პირველი კალმის ნაბიჯი. ქართველმა საზოგადოებამ ბათუმში ქართული სკოლა გახსნეს 188[illegible] წ. სადაც კერძოთ ქართველ მაჰმადიანთ შვილებმა პირველად შედგეს ფეხი სწავლისთვის, აქ ნასწავლთა რიცხვი მათში დიდია. სკოლის ღვაწლი ჩვენ სხვაგან გვაქვს ანუსხული. შეერთების დროს, ქართველ მაჰმადიანთ და მთავრობის წინაშეც დიდი ამაგი და შრომა მიუძღვით შემდეგ მოხელეებს:

**ტუშამ ბეგ შარგაშიძეს**, აჭარის, ანუ ქედის უფროსი, ქართველ მაჰმადიანი, მახვილ გონიერი კაცი.

**ახმედ ეფენდი ხალვაშა**,, ლივანაში, ანუ მარადიდის უფროსი, ქართველ მაჰმადიანი. კაცი შესმენილი და მახვილ გონიერი ქართველობით.

**ჰასან ეფენდი ხალიფაშვილი**, მუფთი აჭარისა, მერისელი, დიდათ ქებული და ამაგდარი, ამათი ცდა და შრომა იყო, რომ აჭარის ხალხი სულ არ აიყარა და არ გადასახლდა ოსმამალეთის შორს ადგილებში.

ქართველთ მაჰმადიანთ შესახებ 1878 წლიდამ ქართულ გაზეთებში მრავლად სწერს შემდეგ პირთა:

**ლეგან ლუკას ძე მჭედლიშვილი**. ქართველი კათოლიკე, სწერდა მრავლად გაზეთ „დროებაში“ ფსევდონიმი აქვნდა „ჭია ჭამია“. ამის წერილები საინტერესო საკითხავია დღესაც. გაზეთებში გაბნეულია მრავლად.

**ბაგლე მჭედლიშვილი.** ძმა ლევანის, სწერა სხვა და სხვა წერილები. ქართველ მაჰმადიანთ შესახებ ფრანგულ გაზეთებშიც სწერდა წერილებს. ამისაგან დაწერილი ბათუმის აღწერა პარიჟში ფრანგულ ენაზედ დაიბეჭდა. მერე ქართულადაც სთარგმნეს და 1882 წ. № 215 „დროებაში“ დაიბეჭდა.

**სოლომონ ასლანოვი.** ქართველ კათოლიკე, ფსევდონიმი აქვნდა „ბავრელი“. მსახურებდა ოსმალეთის საქართველოს სხვა და სხვა ადგილთა სამართველოებში, ყველგან ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრებას დიდს ყურადღებას აქცევდა. ქართულ გაზეთებში მრავლად სწერდა წერილებს, ამის წერილები გაფანტულია გაზეთ „დროებაში“ და „ივერიაში“. წერილები ბრწყინავენ დამწერის დიდის გულშემატკივრობით და მამულისშვილობით. წერილები ღირსია დღესაც კი წაკითხვის. ამავ პირმა შეადგინა ქართველ მაჰმადიანთათვის ოსმალურ-ქართული სახელმძღვანელო. რაც დიდათ გამოადგებათ სახმარად იმ ქართველ მაჰმადიანთ, რომელთაც ჟამთა ვითარების წყალობით ქართული ენა დაკარგეს, თუმცა დღესაც კი თავი ქართველად გურჯად მიაჩნიათ. დიდათ საჭიროა ამ წიგნის გამოცემა. ამ წიგნით ქართველ მაჰმადიანები ადვილათ შეისწავლიან ქართულ ენას და წერა-კითხვის.

**სერგეი სკიმონის ძე მესხი.** რედაქტორი გაზ. „დროების“ 1877 წ. 78 და 79 წ. მრავლად სწერა ქართველ მაჰმადიანთ და უკანასკნელი ომის შესახებ, რაც იბეჭდებოდა გაზ. „დროებაში“.

**პეტრე ოსების ძე უმიკაშვილი.** სწერა გიორგი ყაზიბეგისაგან დაწერილ რუსული წიგნიდან „სამი თვე ოსმალეთის საქართველოში“ და იბეჭდებოდა 1878 წ. გაზ. „ივერიაში“.

**გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზიბეგი.** პირველად ამან იმგზავრა ოსმალეთის საქართველოში და ასწერა ეს კუთხე საფუძვლიანად, რომელსაც „სამი თვე ოსმალეთის საქართველოში“ ეწოდება. ამისივე საფუძვლიანი შრომა არის „ლაზისტანის სანჯაყის“ აღწერა.

**დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე.** იმოგზაურა ორჯერ. ასწერა სხვა და სხვა ნაშთები რუსულს ენაზედ, ამანვე დასწერა ვრცელი წიგნი, სახელდობრ: ,,ისტორიული და არქეოლოგიური მოგზაურობა გურია-აჭარაში'' გამოიცა პეტერბურგში 1878 წ. ქარტით, ვრცელი საფუძვლიანი შრომა არის.

**თედო სახოკია.** იმოგზაურა ზედა და ქვედა აჭარას, აღწერა ყოველივე ნანახი ამბები და სოფლები და დაიბეჭდა ჟურნალ ,,მოამბეში''.

მეც ვწერე. 1889 წ. დავიწყე ბათუმში მგზავრობა. 1890 წელს ქობულეთში, 1891 წ. აჭარას, ლივანას და მერე შავშეთს, იმერიხევს და სხვა ადგილებში და ვკრიფე ზეპირ ამბები და ვსწერე სოფლის ცნობები, რაც იბეჭდებოდნენ გაზეთ ,,დროებაში'', ,,ივერიაში'', ჟურნალ ,,კრებულში'' და სხვა განაც.

დავსძენთ კვალად, რომ ოსმალეთის საქართველოს შეერთება რუსეთის საქართველოსთან გახდა დიდს სასარგებლოდ. ქართველ მაჰმადიანები სადღეისოთ გამოვიდნენ განათლების, მოქალაქობის, ხელოსნობის და ვაჭრობის ასპარეზზედ. მათ უძლურს და გავერანებულს მიუვალს ადგილებში გაიხსნა გზები, ბევრს ალაგას გაშენდენ სავაჭრო დუქნები, გაიხსნა სამართველოები, საავათმყოფონი და ამ უკანასკნელ დროს ევროპიული სკოლებიც. დღემდე კი აქ ასეთების არა იყორა. იმედი არს, რომ რაც დრო წავა, მით ქართველ მაჰმადიანებიც თვალ ხილულ ხალხათ გამოჩნდებიან და იგინი ამით უადვილესად დაიბრუნებენ იმ სახელოვან ღირსებას, რაც მაგალითებრ ძველად ჰქონდათ მათ მიღებული, რომ

,,მესხი სწავლითა ქებულიო''.

**ზ. ჭიჭინაძე** თფილისი, მეორე თუმანოვის ქუჩ
ლი № 27.

**ბათუმში**, ვახ. ჩანტლაძის და ნიკ. ხვინგიას ს
იბეჭდება: ქარ თვალ. მაჰმადიანთ დაკავშირება ას ...